ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ითხშაბათობით

ფასი: 1 ლარი

№43

23-29.X 2013

სარკე

„ჩემ გვერდით ირაკლი რომ არ ყოფილიყო, მშობიარობა ორი დღე გაგრძელდებოდა“

გვ.31

რატომ ეშინოდა ნანკა კალატოზიშვილს დედობის

PHOTO BY GIORGI TSAAVA

„ჩემთან კატოსნაირი ადამიანები ახლოს არ მოდიან, მისგან რადიკალურად განსხვავებული ცოლი მყავს“

„არ არსებობს არანაირი მირიანი! დათო ვარ დარჩია და თითო თეთრს გიქივით დავეძებ“

გვ.14

თამთა შედანიამ და ერეკლე მანგოშვილმა ერთმანეთის სახელები ამოისვირინგეს

რას ფიქრობს დათო დარჩია მირიან ბარათეონზე

გვ.30

გვ.22

იულია ქავთარაძის ოჯახის ტკივილიანი წარსული

„კიევში დღემდე „გრუზინკას“ მეძახიან, ხასიათი და ტემპერამენტი ქართული მაქვს“

გვ.25

გიორგი ვარდოსანიძე

სალომე ჭაჭუას მანქანის ტარებას ასწავლის

გვ.23

ნანა ნებიერიძემ ქმარს სპორტი არჩია

სარკე + „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“

მე-13 ტომი

ფასი ჟურნალთან ერთად 10 ლარი

ISSN 1987-9369

„იმედს არ ვკარგავ, რომ ციხიდან გამოსული ლამაზ ოჯახს შევქმნი“

გვ.13

გვ.6

რატომ ატარებს ყოფილი ქმრის გვარს ახალგათხოვილი ნონა ყანდიაშვილი

„ბიძინა ივანიშვილთან უთანხმოება არც ითქვა და არც აღვიღი"

გვ.33

„ჩემი სიძისთვის ჭკვა რომ შეეკითხა, შეცდომას არ დავუშვებდი"

მამუკა გამყრელიძის ქალიშვილი და გეგა ფალავანდიშვილი შვილს ელოდებიან

გვ.36

ნინო ჭანტურაია: „მეგობრებს უკვირთ, ნაოჭები რომ არ მაქვს"

გვ.34

როგორ გამოიყენეს სალომე შარვაძემ და მისმა ქმარმა ლოტოში მოგებული 390 ათასი ლარი

გვ.45

გიორგი გვიშიანი: „რომში, შუა მოედანზე, ჯორდანო ბრუნოს სადღეგრძელო დავლიეთ"

ნომერში

პერსონა

ნონა ყანდიაშვილი: „ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობა არც რთულია და არც ადვილი“ 6

გახმაურებული საქმე

იაშარ უსუბოვი: „გიორგი სანაიას, ზურაბ ყვანიას და ჩემი შვილის მკვლელები ერთი და იგივე პიროვნებები არიან“ 8

უბედური შემთხვევა

სიკვდილის წინ ირაკლი ღუღუნიშვილმა ახლობლებს ტკივილთან გამკლავება ასწავლა 10

გულახდილი საუბრები 12

წყვილი

თამთა შედანია და ერეკლე მანგოშვილი მალე ჯვარს დაიწერენ 14

პოლიტიკა

- ფიქრია ჩიხრაძე: „დაპირება, რომ არჩევნების შემდეგ კოალიტაცია დამთავრდება, ტყუილია!“ 16
- მამუკა არეშიძე: „27 ოქტომბრის შემდეგ „ოცნება“ უპატრონოდ დარჩება“ 17
- ვახტანგ ძაბირაძე: „ნაცმოძრაობას 200-230 ათასი ხმა ჯიბეში უდევს“ 19

აქტუალური თემა

არჩილ გამზარდია: „მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობაზე შური იძია!“ 20

კონკურსანტი

- იულია ქავთარაძის ქართულ-უკრაინული ოჯახის ტკივილიანი წარსული 22
- ნანა ნებიერიძემ ქმარს სპორტი არჩია 23

ავტომოყვარული

გიორგი ვარდოსანიძე სალომე ჭაჭუას მანქანის ტარებას ასწავლის 25

მოზარდები 28

სერიალის გმირი

დათო დარჩია: „ჩემთან კატოსნაირი ადამიანები ახლოს არ მოდიან, მისგან რადიკალურად განსხვავებული მეუღლე მყავს“ 30

ახალგაზდა დედა

ნანკა კალატოზიშვილი: „ჩემ გვერდით ირაკლი რომ არ ყოფილიყო, მშობიარობა ორი დღე გაგრძელდებოდა“ 31

ნაცნობი სახე

მამუკა გამყრელიძის ქალიშვილი და გეგა ფალავანდიშვილი შვილს ელოდებიან 33

ცოლ-ქმრის კლუბი

როგორ გამოიყენეს სალომე შარვაძემ და მისმა ქმარმა ლოტოში მოგებული 390 ათასი ლარი 34

სარკის წინ

ნინო ჭანტურაია: „მეგობრებს უკვირთ, ნაოჭები რომ არ მაქვს“ 36

კინონოსტალგია

„მზე შემოდგომისა“ — მედეა ჯაფარიძის და რეზო თაბუკაშვილის სიყვარული ეკრანზე 37

ცხოვრება ჩემოდნებზე

გიორგი გვიშიანი: „რომში, შუა მოედანზე ჯორდანო ბრუნოს სადღეგრძელო დაგლიეთ“ 45

მეგზური

ნარა — იაპონიის პირველი დედაქალაქი 46

ქალის ტვირთი

სოფლელი გოგონას ტრაგიკული ამბავი 49

მხოლოდ ქალებისთვის 50

დედიკოების სკოლა 51

ადამიანის ინსტიტუტი 52

სპორტის მილმა 53

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54

სახალისო 56

იყავით ჯანმრთელი 58

ირაკლი უჩანეიშვილის სიყვარულის ისტორია



„იყვნენ ადამიანები, ჰომღებსაც შეიდათ ჩემი მშობლების დიდი სიყვარული. შეიმა და ჭოხებმა თავისი საქმე გააკეთა, ისინი დაშორდნენ“.

ამ სახიობ ირაკლი უჩანეიშვილის და მერცია გელაშვილის სიყვარულის ამბავი დიდხანს ახსოვდათ თბილისში. ულამაზესი ქალი და საოცრად ხიბლიანი მამაკაცი 18 წელი იყვნენ ერთად, მაგრამ ჭორებმა, შურმა თავისი ქნა, მათი ოჯახი დაინგრა. ცალ-ცალკე იყვნენ, მაგრამ მაინც ერთმანეთი უყვარდათ. მსახიობი სიცოცხლის ბოლომდე საყვარელ ქალზე ფიქრობდა. უკანასკნელ წუთებშიც მასზე ზრუნავდა. „მართალია, ცხოვრებაში ბევრი რამ არასწორად გავაკეთე, მაგრამ ყველანი ძალიან მიყვარდით, განსაკუთრებით კი — დედათქვენი. აბა, თქვენ იცით, როგორ მიხედავთ დედას. თინიკო, დედას მიხედე!“ — ანდერძად დაუტოვა სიკვდილის წინ თავის უფროს ქალიშვილს, თინიკოს.

ირაკლი უჩანეიშვილის სცენის მიღმა ცხოვრების შესახებ „სარკეს“ სწორედ ქალბატონი თინიკო უამბობს.

გვ.26

კროსვორდები 60

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 62

სიცილის გვერდი 63

უცხოური დეტექტივი

წითელი სახლის საიდუმლოება (გაგრძელება) 64

ქალური მოთხრობები

თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

ჭრელაჭრელა 69

გზა ტაძრისაკენ

მამა საბა: „ნუ გვონიათ, რომ ღმერთი სადღაც ზის და იქიდან გვაკვირდება, ის ჩვენშია!“ 71

წმინდანები

ხშირად ცხვირწინ გვიდგას სასწაული და ჩვენ არ გვსურს მისი დანახვა — ცხოვრება წმინდისა მოწამისა იაკინთესი 72

კითხვები მოძღვარს

რას ვეკედრებით იერუსალიმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს 73

საბავშვო გვერდი 76

ხელსაქმე 78

№43(808) 23 — 29 ოქტომბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 21.10.2013, 21.00 სთ-ზე.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეში ახალი მტკიცებულებებია

ზურაბ ჟვანია

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგლა ჟვანია აცხადებს, რომ მისი ძმის, საქართველოს ყოფილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გამოძიება შესაძლოა ორ თვეში დასრულდეს. მისი თქმით, საქმეში არის ძალიან მნიშვნელოვანი ახალი მტკიცებულებები. გოგლა ჟვანია ამბობს, რომ გიორგი ბარამიძე იმ დილით ამ ყველაფრის გაფორმებაში მონაწილეობდა.

— სააკაშვილი, ბარამიძე, მერაბიშვილი და ადეიშვილი მსჯელობდნენ იმაზე, რა ნივთები მიეტანათ და დაელაგებინათ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არავითარი ანაბეჭდი არ დარჩენილა. ეს ყველაფერი ამ შესანიშნავმა ოთხეულმა გააფორმა, — აცხადებს გოგლა ჟვანია, — სააკაშვილს მოელის უმძიმეს კითხვებზე პასუხის გაცემა ჩემი ძმის მკვლელობის გარშემო. მან ხომ ყველაზე უკეთ იცის, რა დანაშაული აქვს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჩადენილი, ამიტომაც შეშინებული და აგონიაში მყოფი უბადრუკ განცხადებებს აკეთებს. ეს ყველაფერი დასასრულისკენ მიდის და უახლოეს თვეებში საზოგადოება თავისი პრემიერმინისტრის დაღუპვასთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე მიიღებს ამომწურავ პასუხს, სააკაშვილი და მისი ხროვა კი მათ მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულზე აგებენ პასუხს.

გოგლა ჟვანია

გოგლა ჟვანიას განცხადებას საპარლამენტო უმცირესობის წევრი, გიორგი ბარამიძე გამოეხმაურა. ის ირწმუნება, რომ გარდაცვლილი პრემიერმინისტრის ოჯახის წინაშე მართალია.

— მე ერთი რამ ზუსტად ვიცი, რომ ზურას ხსოვნის და მისი ოჯახის წინაშე მართალი ვიყავი და ვარ. ზურას მეგობარი ვარ და ვიქნები, ყოველთვის დავიცავ მის ინტერესებს. გული მტკივა, როცა ზურას ძმა მსგავს განცხადებებს აკეთებს, — განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

საქმეში გამოკვეთილ ახალ გარემოებებზე საუბრობს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილიც და ადასტურებს, რომ გამოძიება ახალ ვერსიაზე მუშაობს. ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციის თარიღი კი ჯერჯერობით უცნობია.

— აქამდეც დამიდასტურებია, რომ არის ახალი გარემოებები. ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება, შესაბამისად, პროგნოზების გაკეთება ჩემი მხრიდან არ იქნება მართებული. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

ცე ჰეპატიტის მკურნალობა უფასო გახდება

პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში ცე ჰეპატიტის მკურნალობა უფასო გახდება.

— ჩვენ ცე ჰეპატიტზე მუშაობის გადაწყვეტილება მივიღეთ. მოვახერხეთ, ძალიან მცირე ფასებში შეგვეძინა წამალი, რომელიც ძალიან ძვირი ღირს. ეს არის იმ ფასებზე რამდენჯერმე იაფი, რაც არსებობს. ასეთ ძვირადღირებულ მკურნალობას უახლოეს მომავალში უფასოს გავხდით, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილი: „პოსტს 24 ნოემბრამდე დავტოვებ, სააკაშვილი კი დაიკითხება“

ფრანგულ სააგენტოსთან საუბრისას საქართველოს პრემიერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ მალე დატოვებს თანამდებობას. მისი თქმით, ეს ნოემბრის ბოლომდე მოხდება.

— ინაუგურაციიდან ერთ კვირაში გადავდგები და პრემიერ-მინისტრის პოსტს 24 ნოემბრამდე დავტოვებ, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ „ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, სავარაუდოდ, პირველივე ტურში გაიმარჯვებს და მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური გვამია. არც ის გამორიცხა, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ის შეიძლება სასამართლოს წინაშე წარდგეს.

— სააკაშვილი პოლიტიკური გვამია. მას აღარასოდეს ექნება პოლიტიკური კარიერა საქართველოში. ჩემი აზრით, სააკაშვილს ბევრი შეკითხვისთვის აქვს პასუხი გასაცემი და სწორედ ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ის დაიკითხება, — განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა „ფრანს პრესს“.

მეორე ტური გარდაუვალია?

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გარდაუვალია. კითხვაზე, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას, ასეთი შედეგი დაფიქსირდა: გიორგი მარგველაშვილი — 34,60%, ნინო ბურჯანაძე — 30,90%, დავით ბაქრაძე — 16,40 %.

კვლევა 17 სექტემბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და 3.755 რესპონდენტი გამოიკითხა.

გიორგი მარგველაშვილმა მარნეულში დავით ბაქრაძის პლაკატების ჩამოხევა დაგმო

„ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მარნეულში დავით ბაქრაძის პლაკატების ჩამოხევას გამოეხმაურა.

გიორგი მარგველაშვილი

— ამნეზია ნუ დაემართებათ და გაიხსენონ, რას აკეთებდნენ ერთი წლის წინ, — განაცხადა მარგველაშვილმა ნაციონალების მისამართით, მაგრამ იქვე დაამატა, რომ, თუ მსგავსი ფაქტი მოხდა, მიუღებელი და სამარცხვინოა.

— ეს არის მიუღებელი და სამარცხვინო. ეს ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ მიზანს, რომ ეს არჩევნები იყოს შეფასებული ევროპული სტანდარტით. უპრეცედენტოდ მშვიდად მიმდინარეობს ეს კამპანია. ბევრს ალბათ ამნეზია აქვს. ჩვენ გვახსოვს დაპატიმრებები, დაყაჩაღებები, დემაგოგიური პროპაგანდა. როცა ეს ხალხი დღეს გველაპარაკება, საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა ჩაერიოს იმაში, რომ სადღაც პლაკატი ჩამოუხევიათო, მე საერთაშორისო თანამეგობრობის გარეშეც განვაცხადებ, რომ ვგმობ ყველა ასეთ ფაქტს და ეს არის ჩვენთვის მიუღებელი, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კეკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიკ – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჟღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

Cyan Magenta Yellow Black

დმანისური თავის ქალა ათ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ აღმოჩენას შორის მესამე ადგილზეა

პროფესორები გია დვალი, ვაჟა ბერეჟიანი და ზაზა კოკაია დმანისის აღმოჩენას ღია წერილით ეხმაურებიან, რომლის შესახებ ინფორმაციამ გასულ კვირას მსოფლიოს ყველა საინფორმაციო საშუალება მოიცვა. მანამდე კი სენსაციური აღმოჩენა დმანისიდან — თავის ქალა — ჟურნალ „საიენსის“ ყდაზე მოხვდა.

მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე მაღალრეიტინგულმა სამეცნიერო გამოცემამ დმანისის აღმოჩენას ვრცელი სტატია მიუძღვნა. თავის ქალა, რომელმაც შესაძლოა ადამიანის ევოლუციის შესახებ არსებული თეორია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, 2000 წლის მსოფლიოს ათ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ აღმოჩენას შორის მესამე ადგილზე დასახელდა.



ჟურნალ „საიენსის“ სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰომოს გვარის წარმომადგენლები, მათ შორის აფრიკაში აღმოჩენილი უძველესი ნამარხები, ევოლუციის ერთ ხაზს წარმოადგენს. ეს აიძულებს მეცნიერებს, ადრეული ჰომოს რამდენიმე სახეობის არსებობის შესახებ დამკვიდრებულ მოსაზრებებს გადახედონ.

„გვინდა, გულითადად მივულოცოთ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას დავით ლორთქიფანიძის და მისი კოლეგების მიერ დმანისში აღმოჩენილი ნამარხებით და მათი შემდგომი მეცნიერული კვლევით მიღწეული დიდი წარმატება. ამ აღმოჩენის მნიშვნელობის გადაჭარბება ძალიან ძნელია. ასევე ძნელია მისი მასშტაბების და პოტენციალის სრულად აღქმა და შეფასება... აქ ერთ წერტილში იკვეთება ღრმა მეცნიერული კვლევა და მარადიული ზოგადსაკაცობრიო კითხვები ადამიანის წარმოშობის და მისი, როგორც სამყაროს ნაწილის, შესახებ.

ჩვენთვის ყოველივე ეს განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგანაც ამ აღმოჩენის ლიდერი ჩვენი კოლეგაა და ამ საერთაშორისო თანამშრომლობით განხორციელებული ნაშრომის მამოძრავებელი ძალა ქართველ მეცნიერთა გუნდია. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს წარმატება ნათლად დაანახებს ქართველ საზოგადოებას მეცნიერული აზრის განვითარების უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის წინსვლისთვის და საერთაშორისო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. ეს მაგალითი ადასტურებს, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება არ ცნობს საზღვრებს და პატარა ქვეყანაში შესრულებულ კვლევას შეუძლია გავლენა მოახდინოს მსოფლიო სამეცნიერო აზროვნების განვითარებაზე“, — ნათქვამია მეცნიერთა ღია წერილში.

25 ოქტომბერს 200-მდე პატიმარი საპატიმროს დატოვებს

შეწყალების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელ ელენე თევდორაძის თქმით, პატიმართა შეწყალება 25 ოქტომბრამდე განხორციელდება. კომისიამ 462 პატიმრის საქმე უკვე განიხილა. აქედან 128-ზე მთლიანად გათავისუფლების რეკომენდაცია გაიცა, 33 მსჯავრდებულზე კი — სასჯელის განახევრების. თევდორაძის თქმით, 7 არასრულწლოვანი პატიმრიდან ერთს სასჯელის ოდენობა გაუნახევრდება, ხოლო 3 არასრულწლოვანი მსჯავრდებული გათავისუფლდება. რაც შეეხება ქალებს, კომისია 8 ქალზე პრეზიდენტს გათავისუფლების რეკომენდაციით მიმართავს, ხოლო 4-ზე — სასჯელის განახევრების წინადადებით.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, უარი ვთქვით მძიმე მუხლებით მსჯავრდებული პირების შეწყალებაზე, მაგრამ ყველა საქმე მაინც მძიმე იყო იმ მხრივ, რომ ეს შეეხებოდა თაღლითობას, ნარკოტიკების შემოტანას, მაგრამ არა — გასაღებას. ვისაც ჩვენ ვუწევთ სასჯელის განახევრების რეკომენდაციას, უფრო მძიმე ტიპის საქმეებია, დანარჩენი საშუალო სიმძიმისაა. ყოველ შემთხვევაში, კომისიამ ყაჩაღებს, მკვლელებს, პედოფილებს და მწამებლებს შეწყალებაზე უარი უთხრა, — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

ბელა ალანიამ მოგონებების წიგნი დაწერა



ლეიბორისტული პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ცოლმა საზოგადოებას საკუთარი წიგნი, სახელწოდებით „ფიქრებით ნაქსოვი ფარდაგი“, წარუდგინა. პრეზენტაცია 18 ოქტომბერს მწერალთა სახლში შედგა. საღამოს პოეტი მიხეილ ღანიშაშვილი უძღვებოდა.

„ყოველთვის ვწერდი, ადრე მხოლოდ — ჩემთვის. მერე თანდათან გავთამამდი და ჩემი გრძნობების, ემოციების, ნაფიქრის თქვენთვის გაზიარება მომინდა. მიხარია, რომ თანდათან გაჩნდნენ ნოველები და ჩანახატები. ახლა ისინი თქვენც გეკუთვნით. რა ბედნიერი ვიქნები, თუ ამას იგრძნობთ კითხვისას“, — ასეთი მიმართვა წაუმძღვარა ქალბატონმა ბელამ თავისი ნოველების კრებულს, რომლის ძირითადი ნაწილი ავტორის მოგონებებითაა დახუნძლული. მათში, რა თქმა უნდა, დიდი ადგილი ეთმობა საინტერესო ეპიზოდებს მისი და მისი მეუღლის ცხოვრებიდან.

■ ბელა ალანია

— მძიმე იყო ამ გადაწყვეტილებამდე მისვლა, რადგან წიგნი არის შენი სულის ნაწილი და მისი დაწერით შენი სულიერება სამსჯელოზე გამოგაქვს. მადლობა ყველას, ვინც ამ წიგნის დაბეჭდვა გამაბედინა. მასში არის ჩემი ფიქრები, ნააზრევი, მოგონებები, რომლებსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ვწერდი. მიჭირს საკუთარ წიგნზე საუბარი, — განაცხადა ბელა ალანიამ ხალხით გადაჭედილ დარბაზში.

— თუ ეს წიგნი ერთ ადამიანსაც კი გულს აუჩუყებს, დააფიქრებს, რაღაცას შესძენს, ავტორის მიზანი შესრულებული იქნება, — მოკლედ შეაფასა ჟურნალისტებთან საუბრისას ცოლის შემოქმედება შალვა ნათელაშვილმა.

წიგნის სათაურსაც საინტერესო ისტორია აქვს: „ერთხელ მთაში დეიდა თამარს ვესტუმრე, გარინდებული ფარდაგს ქსოვდა, ჩემი მისვლა ვერც კი შეამჩნია. მორიდებულად შევეხმიანე. მან ღიმილიანი სახით ამომხედა, ფიქრების ძაფებს გავყევი და შენი მოსვლა ვერ გავიგეო... ფერადი ძაფებით თავისი ცხოვრების ეპიზოდები ფარდაგზე გადაჰქონდა... წლები გავიდა. ჩემი ფიქრები, გაგონილი თუ თავს გადამხდარი ამბები ერთმანეთს თითქოს ძაფებით გადაება და აქაც „ფარდაგად“ იქცა“.

წიგნი გამომცემლობა „გუმბათმა“ გამოსცა. მის ყდას მხატვარ ლადო თევდორაძის ნახატი „ზაფხული“ ამშვენებს. ბელა ალანიამ კრებული დედას მიუძღვნა.

„ფიქრებით ნაქსოვი ფარდაგი“ უკვე იყიდება გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობა არც რთულია და არც ადვილი“

რატომ ატარებს ეოფილი ქმრის გვარს ახალგათხოვილი ნონა ყანდიაშვილი

საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობა მასმედიის წარმომადგენლებთან ნამდვილად არ არის მარტივი. ჟურნალისტებთან მის საჯარო შეხვედრებს ყოველთვის ახლავს შეკამათება, ხანდახან საკმაოდ მკვეთრიც. ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე ტელეჟურნალისტებთან მთავრობის მეთაურმა ამა თუ იმ გადაცემის კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზები დაიმოწმა იმის საილუსტრაციოდ, რომ ჟურნალისტები ცდებოდნენ. მერე კი აღმოჩნდა, რომ პრემიერს არასწორი ინფორმაცია ჰქონდა, რის გამოც ბოდიშის მოხდაც კი მოუწია.

„ვინ გიამბოთ ჟურნალისტიკის როლის შესახებ, რამაც ასეთი წარმოდგენა შეგიქმნათ, რაც ჩვენს შეხვედრას ლაიტმოტივად გასდევს? ვინ გიმზადებთ, ვინ გეხმარებათ, კონსულტაციებს ვისთან გადიხართ მსგავსი შეხვედრების ორგანიზებისას? ნაწერი რომ გიჭირავთ, ვისი ნაწერია? ვინ გირჩევთ კომუნიკაციის ამ ფორმას ჟურნალისტებთან და აქედან რომ გახვალთ, თუ უსაყვედურებთ მათ? ეს ფორმა კომუნიკაციისა, თქვენი არჩევანია თუ არის დამხმარის როლი?“ — დაუსვა კითხვები პრემიერს პოლიტიკური თოქ შოუს წამყვანმა ნინო ჟიჟილაშვილმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ჟურნალისტები კი ვარაუდობენ, რომ ინფორმაციას მასმედიის შესახებ პრემიერს ის ორი სამსახური უნდა აწვდიდეს, რომლებიც სახელმწიფო კანცელარიაში ფუნქციონირებს. მათ საზოგადოებისთვის ორი საკმაოდ ცნობილი პიროვნება ხელმძღვანელობს — კოკა ყანდიაშვილი და მისი ყოფილი ცოლი ნონა ყანდიაშვილი.

შევარდნაძის ეპოქის „პირველი არხის“ სახე, კოკა ყანდიაშვილი, თავისი გადაცემით „რა ხდება?“ ვარდების რევოლუციის შემდეგ გაქრა ტელეეკრანიდან. ახლახან კი ის პრემიერმინისტრის აპარატის საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსად მოგვევლინა. მთავრობის პრესსამსახურს კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი ყოფილი მეუღლე, ასევე პროფესიით ჟურნალისტი ნონა ყანდიაშვილი უდგას სათავეში.

კითხვებით, რომლებიც მასმედიის წარმომადგენლებს გაუჩნდათ, „სარკემ“ ნონა ყანდიაშვილს მიმართა და ამასთან ერთად იმ თემაზეც ესაუბრა, თუ რა გზა გაიარა და როგორ მოხვდა ის ბიძინა ივანიშვილის მთავრობაში.

— ქალბატონო ნონა, დავიწყოთ იმით, ვინ და როგორ შემოგთავაზათ ივანიშვილთან მუშაობა.

— როცა ბატონი ბიძინა პოლიტიკაში მოვიდა, პრესსამსახურის შექმნა გადაწყვიტეს. იქ ბევრი ჩემი მეგობარი მუშაობდა და მეც მიმიწვიეს. არც მიფიქრია, მაშინვე დავთანხმდი. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა და ბედნიერი ვარ, რომ მქონდა საშუალება, ამ ყველაფერში მონაწილეობა მიმეღო. მაშინ ბევრად საინტერესო იყო მუშაობა, ვიდრე დღეს არის.

— რატომ აღარ არის საინტერესო?

— იმიტომ, რომ შინაგანად არ ვარ ჩინოსანი. არ მიყვარს სახელმწიფო კანცელარიის შენობა. არჩევნებამდე კი ვებრძოდი იმას, რაზეც ვფიქრობდი, რომ ძალიან ცუდი იყო, ჩემთვის კი არა, ქვეყნისთვის, ხალხისთვის. 2007 წლიდან ყოველდღიურ ბრძოლაში ვიყავი. ის ბრძოლა ბევრად საინტერესოა, ვიდრე ასე ყოფნა. კანცელარიის შენობაში ხშირად ვყოფილვარ როგორც ჟურნალისტი, მაგრამ არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოდესმე იქ მომიწევდა მუშაობა.

„ჩემი ქმარი ახლოსაც ყი არ არის ჟურნალისტებთან თუ პოლიტიკასთან“.

— როცა ხელისუფლებაში ხარ, რეალობის შეგრძნებას კარგავ, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ასე ხდება. ასე დაემართა არაერთ ჟურნალისტსაც კი. საკუთარ თავს ამჩნევთ ამ ცვლილებას?

— ჟურნალისტის მოვალეობაა, ცუდიც დაინახოს და კარგიც, მაგრამ ამ 9 წელმა სხვა რეალობა შექმნა და ჯერ კიდევ ვერ გამოვედით იქიდან. ვერ მივხვდით, რომ რაღაცეები იცვლება ქვეყანაში, შეიძლება დაინახო მთავრობის შეცდომებიც და ისიც, რაც რეალურად კეთდება. შეიძლება ვილაპარაკოთ შეცდომებზე, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქვეყანაში კარგი რაღაცეებიც კეთდება. დღეს ძნელია როგორც ჟურნალისტად, ისე მთავრობის შემადგენლობაში თუ ოპოზიციაში ყოფნა. ცოტა დრო გავა და მიხვდებით, რომ სხვა რეალობაში დავიწყეთ ცხოვრება და ჯერ, სამწუხაროდ, კიდევ ძველი, მიჩვეული ჩარჩოების მიხედვით ვაზროვნებთ.

ცუდი ინფორმაცია უფრო კარგად იყიდება, მაგრამ ხომ არ შეიძლება, მოსახლეობა მუდმივ სტრესში ამყოფო?! დღეს ქალაქში რომ გახვიდეთ და დაელაპარაკოთ ადამიანებს, ყველა გეტყვით, რომ ტელევიზორის ყურება არ უნდათ, გაზეთების წაკითხვა არ უნდათ. ყველა გასართობ გადაცემებს უყურებს და გასართობ ჟურნალებს კითხულობს. ხალხი დაიღალა სულ ნეგატივში ცხოვრებით. ძალიან მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ხალხის უმრავლესობას არ ეცოდინება, ვინ არის შს მინისტრი და ყველას სტაბილურობის გარანტია ექნება. დავდივარ ქუჩაში და ვხედავ, ხალხი არ იღიმის. აქ დავიბადე და გავიზარდე და ხალხი შეცვლილია ამდენი ნეგატივისგან, აღარავინ იღიმის.

„თუ ოჯახს არ სცემ პატივს, მაშინ არც არავის სცემ პატივს და, მათ შორის, არც საკუთარ თავს. პრემიერმინისტრსაც ასეთი დამოკიდებულება აქვს თავისი ოჯახის მიმართ და სხვებსაც ხელს უნყობს, რომ ოჯახს უყრადღება არ მოაკლონ. თუ საქმე არ არის გასაკეთებელი, არასოდეს გაიძულებს, უფრო მეტი დრო გაატარო სამსახურში“.

— თქვენს სამსახურს რა ეკალება?

— მთავრობის საინფორმაციო უზრუნველყოფა, პრესკონფერენციებისათვის პრესრელიზების მომზადება, ტელემონიტორინგი, პრესის მონიტორინგი. თუ ქვეყანაში რამე ხდება, სასწრაფოდ მიწოდება მთავრობისთვის და ა.შ. რუტინული სამუშაოებია.

— კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზები, რომლებიც პრემიერმა ტელეჟურნალისტებთან შეხვედრაზე დაიმოწმა, როცა მათ არაობიექტურობას საყვედურობდა, თქვენმა სამსახურმა მიაწოდა?

— არა, ეგ ჩვენი სამსახურის საქმე არ არის. ჩვენ ვამზადებთ სრულ ინფორმაციას და არა — ანალიზს. ამისთვის სხვა სამსახური არსებობს. პრესსამსახური დადის პრემიერთან ერთად, პრესსამსახური აკეთებს ვიდეომასალას, ჟურნალისტებს ინფორმაციას ვაწოდებთ, ვათანხმებთ ინტერვიუებს პრემიერთან...

„იმდენ ჰამეს ნეჩენ ჩემზე, თუჰმე ჰჩემიეჩზე მე ვახდენ გავლენას... მეცინება ამ ყველაფეჩზე. არ მაინტეჩესებს ისინი, ვინც ჩემზე ასეთ ჩაღაცეებს ამბობენ, მათ ჟურნალისტებად არ ვთვლი. ბატონი ბიძინა ჩაღაცაში მართალია და ჩაღაცაში — არა. ეს არის ადამიანი, ჩომელსაც შეგიძლია ჰჩიდაჰჩი უთხრა, ჩასაც ფიქრობ, მაგრამ არგუმენტებით უნდა დაუმტკიცო, ჩომ მართალი ხარ“.

— „სხვა სამსახურში“ იმ დეპარტამენტს გულისხმობთ, რომელსაც კოკა ყანდიაშვილი ხელმძღვანელობს?

— კოკას სამსახურზე და მის ფუნქციებზე ვერაფერს გეტყვით. თავად კოკას ჰკითხეთ.

— კოკამ როგორ დაიწყო მუშაობა ივანიშვილის მთავრობაში? თქვენი რეკომენდაციით ხომ არა?

— არა. კოკა რამდენიმე თვეა, რაც ამ სამსახურშია და ვისი იდეა იყო, ვინ შესთავაზა, ვერ გეტყვით, ჩემი საქმე არ არის. ჩვენ ნორმალური და საქმიანი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ყველა დეტალზე არ ვსაუბრობთ. კოკა ჩემი შვილების მამაა და არასოდეს გვქონია ცუდი ურთიერთობა. მე ჩემი ოჯახი მაქვს, მეუღლე მყავს და კოკასთან მხოლოდ მეგობრობა მაკავშირებს.

— თუმცა მის გვარს ატარებთ.

— ისე მოხდა, რომ როცა გავთხოვდი, კოკას გვარზე გადავედი და წლების განმავლობაში ყველა ამ გვარით მიცნობს.

Cyan Magenta Yellow Black

20 წლის საბუთები რომ შევცვალო, ამის არც დრო მაქვს და არც ენერგია. არც ვთვლი, რომ ამის გაკეთება საჭიროა.

— ვინ არის თქვენი მეუღლე?

— ექიმია, ქირურგი. სახელი, გვარი და სხვა მონაცემების დაწერა საჭირო არ არის, რადგან ამას პირადი ცხოვრება ჰქვია. შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ ძალიან კარგი ადამიანია, ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და ბედნიერი ვარ. ერთი წლის წინ დავქორწინდით. მიხარია, რომ ახლოსაც კი არ არის ჟურნალისტიკასთან თუ პოლიტიკასთან. ასე უფრო საინტერესოა, რადგან სახლშიც არ ლაპარაკობ სამსახურზე. სამწუხარო ის არის, რომ ჩემი სამუშაო დღე საღამოს 7 საათზე არ მთავრდება. ღამის 12 საათამდე და ხან უფრო გვიანობამდე ტელეფონის ზარებს ვპასუხობ. არ ვაძლევ თავს უფლებას, ტელეფონი გამოვრთო, თორემ ამას სიამოვნებით გავაკეთებდი.

— გვიამბეთ, რა გზა გამოიარეთ ბიძინა ივანიშვილის მთავრობამდე, რა ჟურნალისტური გამოცდილებით მოხვედით დღემდე.

— დედაჩემი და მამაჩემი კინოტელელაბორატორიაში მუშაობდნენ და მთელი ბავშვობა უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში, ჟურნალისტიკის კათედრაზე გავატარე. ყოველთვის მქონდა ჰუმანიტარული საგნებისადმი მიდრეკილება და პროფესიის არჩევის დროს ბევრი აღარც მიფიქრია.

— თქვენი ქალიშვილობის გვარი თითქმის არავინ იცის.

— მერაბიშვილი ვარ. ძალიან ადრე გავთხოვდი და გვარიც გამოვიცვალე. ჩემი გვარით თითქმის არავინ მიცნობს.

— ცოლად ასეთ ჟურნალისტს გაჰყევით.

— დიახ. მე და კოკა ერთად ვსწავლობდით. 20 წლის ვიყავი, რომ გავთხოვდი. მაშინ რთული პერიოდი იყო. მეორე კურსზე რომ გადავედი, მუშაობა დავიწყე „ნტვ“-ზე. მაშინ გაიხსნა ეს ტელეკომპანია. აფხაზეთის ომის მერე შემომთავაზეს იქ მუშაობა. კოკა უკვე მუშაობდა რუსეთის არხ „რტრ“-ზე, კორესპონდენტი იყო. მე ჟურნალისტიკა „ნტვ“-ზე ვისწავლე, თორემ მაშინ არც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე არსებობდა რაიმე ბაზა და არც ტელევიზიაში. თან რუსულენოვანი ჟურნალისტი ვიყავი.

— რუსული აქცენტი ახლაც გაქვთ. რუსი გყავთ ვინმე?

— დედა მყავს უკრაინელი, კიეველი. რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული. მამა კიევში იყო გადაღებაზე. იქ გაიცნო, შეუყვარდათ ერთმანეთი. ძალიან უყვარდა დედას მამა და 19 წლის ასაკში გარისკა, რომ თბილისში გამოჰყოლოდა. 42 წელია თბილისში ცხოვრობს. ძალიან უყვარს აქაურობა. ქართულიც ისწავლა და თავიდან ბოლომდე აქაურია.

— თქვენი და კოკას სახელს უკავშირდება მაშინ საკმაოდ პოპულარული სტუდიის, „აუდიენციის“ შექმნა.

— ტელესტუდია „აუდიენცია“ კოკამ შექმნა. მეც ვეხმარებოდი. მეორე შვილს ველოდებოდი, როცა „ნტვ“-დან წამოვედი და მოგვივიდა იდეა, რომ საინფორმაციო ტოპ-რადიო გაგვეკეთებინა. მე დავიწყე რადიოს კეთება, რომელსაც ასევე „აუდიენცია“ დავარქვით. ჯერ რუსულენოვანი იყო, მერე ქართულენოვანი გახდა და საკმაოდ პოპულარული რადიო იყო. სრულ საინფორმაციო ვაკუუმში ვიყავით — გაზეთები არ შემოდიოდა, ინტერნეტი ჯერ არ იყო და მე მქონდა საშუალება, პრესაც შემომეტანა და საკმაოდ საინტერესო საავტორო რადიო შეგვექმნა. მერე „ტვ 6“-ზე ვმუშაობდი მოსკოვისთვის. რადიომენეჯმენტი ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ასევე ვიცი ტელევიზია და რეპორტიორობა.

■ კოკა ყანდიაშვილი

■ მარიამ ყანდიაშვილი

მერე ბადრი პატარკაციშვილთან რადიო „იმედში“ ვიმუშავე დირექტორად, სანამ ბადრი პატარკაციშვილი არ დაიღუპა და ოფიციალურად არ გამათავისუფლეს 2008 წელს. 2 წელი ირინა გუდავაძის — ბადრის მეუღლის, პრესსპიკერი ვიყავი. ბოლო 10 წლის განმავლობაში, სანამ ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურში არ დამიძახეს, გერმანულ საზოგადოებრივ არხთან ვთანამშრომლობდი, მისი პროდიუსერი ვიყავი საქართველოში.

— პრემიერმინისტრი მალე დატოვებს თანამდებობას. თქვენც ხომ არ აპირებთ სახელმწიფო კანცელარიიდან წასვლას, მით უმეტეს, თუ იქ მუშაობა გიჭირთ?

— დიდი სიამოვნებით წავალ. იმედი მაქვს, ეს მალე მოხდება. არ ვიცი, სად ვიქნები, როცა პრემიერი წავა, მაგრამ ამ შენობაში დარჩენის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. მიხარია, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღო და მიდის ამ პოსტიდან. ზუსტად არ ვიცი, რას აპირებს და როგორი სტრუქტურა ექნება, მაგრამ თუ დამიძახებს თავისთან სამუშაოდ, დიდი სიამოვნებით გავყვები. ბევრი სხვა რამის კეთებაც მინდა. ახლა ერთი კარგი პროექტი კეთდება, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონით მასში მონაწილეობის უფლება არ მაქვს.

— რა პროექტია?

— პატარკაციშვილები ხსნიან ჟურნალისტიკის სკოლას. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტია. ამაზე ადრეც გვილაპარაკია. იქ ლექციებს კი წავიკითხავ, ამის უფლება მაქვს ამ ეტაპზე და მერე ვნახოთ. ჩვენ შევძლებთ, კარგი, ნამდვილი ჟურნალისტები გამოვაწრთოთ. თავისუფალი ადამიანი ვარ და ჩემთვის უკეთესია, ტელერადიომენეჯერის საქმე ვაკეთო, ვიდრე კანცელარიის კედლებში ვიჯდე. შინაგანად ძალიან მიჭირს რაღაც ქაღალდების წერა, ბიუჯეტები და ა.შ. თავისუფალი ჟურნალისტისთვის სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობა ძალიან რთულია.

„ჯოჯა ჩემი შვილების მამაა და ახასოდეს გვქონია ცუდი ურთიერთობა“.

— როგორია თქვენი ურთიერთობა პრემიერ-მინისტრთან? შეგიძლიათ, პირდაპირ უთხრათ, თუკი რაიმეში არ ეთანხმებით?

— იმდენ რამეს წერენ ჩემზე, თურმე მე ვახდენ გავლენას... მეცინება ამ ყველაფერზე. ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ ასეთი რამ გამორიცხულია. არ მაინტერესებს ისინი, ვინც ჩემზე ასეთ რაღაცეებს ამბობენ, მათ ჟურნალისტებად არ ვთვლი. ბატონი ბიძინა აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანია და → 8

Cyan Magenta Yellow Black

ვთვლი, რომ რაღაცაში მართალია და რაღაცაში — არა. მასთან მუშაობა არც რთულია და არც ადვილი. ეს არის ადამიანი, რომელსაც შეგიძლია პირდაპირ უთხრა, რასაც ფიქრობ, მაგრამ არგუმენტებით უნდა დაუმტკიცო, რომ მართალი ხარ.

— ჟურნალისტებთან მისი შეხვედრის ფორმა და ტონი მოგწონთ?

— რაც შეეხება ჟურნალისტებთან მის ურთიერთობას, ამ ფორმას არ ვეთანხმები, მაგრამ ვეთანხმები იმაში, რომ გარკვეული სტერეოტიპები უნდა დაინგრეს. ისე, როგორც მთავრობის წევრებს, ჟურნალისტებსაც აქვთ ვალდებულებები. ბატონი ბიძინა

„ჰიემიეჩი ახის ადამიანი, ჰომეიეს ინტეჩვიუს წინ ჯითხვებს ახ ითხოვს. თავიდან ვეუბნებოდი, ხვაე ინტეჩვიუა და ჯითხვები ხომ ახ გამოვაგზავნინოთ-მეთქი. სულ მპასუხობდა, ახა, მოვიდეს, დამისვას ჯითხვები და, ჰაც ვიცი, ვუპასუხებ, ჰაც ახ ვიცი, ვნახოთო".

ხსნის, თუ რატომ უთხრა ზოგ ჟურნალისტს ასეთი რამ და რატომ ჩათვალა, რომ ასე იყო საჭირო. ისე არგუმენტირებულად ხსნის, ბოლოს ხვდები, რომ მართალია. ყველაზე მეტად ამ ადამიანში ის მომწონს, რომ ის არ ზის ჩარჩოებში.

— თუმცა ბოდიშის მოხდა მოუწია, მაგალითად, ჯანო სანაიასთვის.

— კი, მაგრამ იმ მომენტში ვახოსაც არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია. ალბათ ჟურნალისტი ვალდებულია, სწორი ინფორმაცია ჰქონდეს.

— რას გულისხმობთ? ჯანო სანაიამ დაუმტკიცა, რომ პრემიერმა არაარგუმენტირებულად მისცა შენიშვნა და იჯანიშვილი მზად იყო, ამის გამო მისთვის ბოდიში მოეხადა.

— პრემიერს არ უჭირს ბოდიშის მოხდა და ამას ყველაზე მეტად ვაფასებ. თუ საჭიროა, ადამიანმა ბოდიში უნდა მოიხადოს. შეუძლებელია, ყველაფერში მართალი იყო. ასეთი რამ ჩვენს ქვეყანაში არ ხდებოდა. ვერავის წარმოედგინა, მიშასთან დამჯდარიყო ჟურნალისტი და ის კითხვა დაესვა, რომელსაც წინასწარ არ შეუთანხმებდა. პრემიერი არის ადამიანი, რომელიც ინტერვიუს წინ კითხვებს არ ითხოვს. თავიდან ვეუბნებოდი, ხვალ ინტერვიუა და კითხვები ხომ არ გამოვაგზავნინოთ-მეთქი. სულ მპასუხობდა, არა, მოვიდეს, დამისვას კითხვები და, რაც ვიცი, ვუპასუხებ, რაც არ ვიცი, ვნახოთო.

— ზემოთ აღნიშნეთ, ჟურნალისტებად არ მიგიჩნევ, ვინც ჩემზე ნეგატიურ ინფორმაციას წერსო. ასეთი პოზიცია პრემიერმინისტრის პრესსამსახურის უფროსისგან რამდენად გამართლებულია?

— ჭორებზე შექმნილი სტატია ჟურნალისტიკა არ არის. ეს არ არის ანალიტიკა. ექსპერტს შეუძლია ინფორმაცია შეაჯამოს და ანალიზი გააკეთოს. ვიღაცას რაღაც დაესიზმრა, ვიღაცამ რაღაც გაიგო და სტატია დაწერა, ეს არ არის ჟურნალისტიკა. ყვითელი ჟურნალისტიკაც კი არ არის. ყვითელ პრესაშიც კი უნდა იყოს სიმართლის მარცვლები.

— ჟურნალისტიკის გარდა, რა სფეროები გაინტერესებთ?

— მენეჯმენტი და პოლიტიკა. ადრე ძალიან მიყვარდა კითხვა, მაგრამ ახლა მაგის ნერვები არ მაქვს. ტვინი იმდენადაა დაღლილი რაღაცეებისგან, რომ წაკითხულს არ იღებს. ავიღებდი ხოლმე წიგნს, ვკითხულობდი, მაგრამ გონება სხვაგან მიდიოდა და მხოლოდ მექანიკური კითხვა გამომდიოდა. იმდენ საბუთს ვკითხულობ და იმდენ რამეს ვიმახსოვრებ დღის განმავლობაში, რომ... მოვა დრო და ისევ წავიკითხავ მხატვრულ ლიტერატურას.

— თითქმის არასოდეს ჩნდებით ეკრანზე. პრემიერმინისტრის პრესსამსახურის უფროსი სართ და, წესით, თქვენ უნდა იჯდეთ ხოლმე პრესკონფერენციებზე მის გვერდით, მაგრამ თქვენს თანამშრომელს, მანანა თოქმაჯიშვილს დაუთმეთ ეს ადგილი. რატომ?

— არ მიყვარს ეკრანზე გამოჩენა. ვერც „ტუსოვკებს" ვიტან. თუ ერთი-ორი საათი გამომითავისუფლდებოდა, მერჩივნა, ჩემს შვილებთან, მეგობრებთან ვყოფილიყავი, ვიდრე რაიმე „ტუსოვკაზე" თუ სხვა შეკრებაზე. არასოდეს ვყოფილვარ ჩემი თავის პიარით დაკავებული.

— როგორი დასვენება გიყვართ?

— როგორც კი საშუალება მაქვს, ვცდილობ, ქალაქიდან გავიდე, რომ ცოტა განვიტვირთო. კახეთში მიყვარს ჩასვლა. ნათესავები მყავს იქ და გული მიმიწევს.

— შვილები თქვენთან ცხოვრობენ?

— დიახ. მარიამი 21 წლის ხდება აპრილში. სამხატვრო აკადემიაში სწავლობს მესამე კურსზე. ძალიან უყვარს ანიმაცია. უმცროსი გოგო, თეა, 18 წლის ხდება. ედინბურგში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობს.

სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დრო მაქვს ოჯახისთვის. იმედია, მომავალში მაინც დავალაგებ ყველაფერს ისე, რომ ოჯახისთვის დრო მოვიტოვო. ჩემი შვილები ისე გაიზარდნენ, ვერც დედას ხედავდნენ და ვერც მამას. ასაკში რომ შედიხარ, უკვე სხვანაირად ფიქრობ. სამსახური კარგია, მაგრამ ამის გარდა კიდევ ბევრი სხვა რამ არის საჭირო. თუ ოჯახს არ სცემ პატივს, მაშინ არც არავის სცემ პატივს და, მათ შორის, არც საკუთარ თავს. პრემიერმინისტრსაც ასეთი დამოკიდებულება აქვს თავისი ოჯახის მიმართ და სხვებსაც ხელს უწყობს, რომ ოჯახს ყურადღება არ მოაკლონ. თუ საქმე არ არის გასაკეთებელი, არასოდეს გაიძულებს, უფრო მეტი დრო გაატარო სამსახურში.

✓ **რუსუდან ადვაძე**

იაშარ უსუპოვი: „გიორგი სანაიას, ზურაბ ქვანიას და ჩემი შვილის მკვლელები ერთი და იგივე პიროვნებები არიან"

საპრეზიდენტო არჩევნების წინ გააქტიურების ახალ ფაზაში შევიდა 2005 წელს საქართველოს პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიასა და მისი ახალგაზრდა თანაპარტიელის, რაულ უსუპოვის ბუნდოვანებით მოცული გარდაცვალების გამოძიების თემა. საქართველოს მთავარი პროკურორი და გარდაცვლილთა ოჯახის წევრები ამბობენ, რომ საქმეში სრულიად ახალი დეტალებია გამოვლენილი. საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდება, რა გაირკვევა ბოლოს და ბოლოს 8 წელზე მეტი ლოდინის შემდეგ. სწორედ ეს დროა გასული 2005 წლის 3 თებერვლიდან, როცა თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე 53-ე კორპუსის ბინაში, ზურაბ ჟვანია და რაულ უსუპოვი გარდაცვლილები იპოვეს.

■

რაულ უსუპოვის მამას, იაშარ უსუპოვს, შვილის დაღუპვის პირველივე დღეს გაუჩნდა ეჭვი, რომ პრემიერმინისტრი და რაული მოკლეს. ის მაშინ რუსულ კვალზე საუბრობდა. ხელისუფლებამ კი დასკვნა ძალიან მალე დადო — წინასწარი გამოძიების გარეშე, ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალების დღეს, გამთენიისას, მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საზოგადოებას ამცნო, რომ ჟვანია და უსუპოვი არასწორად დამონტაჟებული გაზის გამათბობლიდან ნახშირჟანგის გაჟონვის შედეგად მოიწამლნენ და მათი სიკვდილის მიზეზიც ეს გახდა. ეს ვერსია დღემდე მიუღებელი და დაუჯერებელია გადაცვლილთა ოჯახებისა და საზოგადოების დიდი უმრავლესობისთვის, მით უმეტეს, რომ შემდგომმა გამოძიებამ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა და საეჭვო დეტალი დატოვა.

ზურაბ ჟვანიას უმცროსი ძმა, ამჟამად საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგლა ჟვანია, ამბობს, რომ გამოძიების ჩატარებას დამოუკიდებლად ცდილობდა, მაგრამ ყველა დოკუმენტს, რომელიც ზურაბ ჟვანიას სიკვდილის განსხვავებულ ვერსიას ამტკიცებდა, ვარდების ხელისუფლების იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი ანადგურებდა. ამიტომ მან საქმის გამოძიების შეჩერება გადაწყვიტა იმ დრომდე, სანამ ამის რეალური შესაძლებლობა არ ექნებოდა.

ასეთი შესაძლებლობა ჟვანიასა და უსუპოვის ოჯახებისთვის ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გაჩნდა. როგორც ისინი ამბობენ, უამრავი მტკიცებულება არსებობს, რომლებიც ადასტურებს, რომ გარდაცვლილები უბედური შემთხვევის მსხვერპლნი არ გამხდარან. უფრო მეტიც, გოგლა ჟვანია დარწმუნებულია, რომ მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და გიორგი ბარამიძე ის ადამიანები არიან, რომლებიც, სულ მცირე, ხელს აფარებენ მკვლელებს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია.

■

ვინ იყო რაულ უსუპოვი და რა ურთიერთობა ჰქონდა ზურაბ ჟვანიასთან? ეს კითხვა მათი გარდაცვალების დღიდან გახდა აქტუალური. მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროკურატურამ გამოძიება თითქმის დაამთავრა და მალე ყველაფერი გამოაშკარავდება, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, მაშინ ზურაბ ჟვანიას სახელს გავუფრთხილდით და იმიტომ არ ვთქვით ხმამაღლა ზოგიერთი დეტალიო.

სააკაშვილის ამ განცხადებას გოგლა ჟვანია გამოეხმაურა: „ის ბინძური ვერსია, რომლის წამოწევასაც შეეცადა სააკაშვილი, ასევე მათი შეთითხნილია და ესეც მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულია... სააკაშვილმა ამით თავს უფლება მისცა, გაეკეთებინა ზურას ღირსების შემლახველი განცხადებები. როგორც ჩანს, ამ ადამიანს რაღაცეები გულზე ძალიან მოხვდა და ხვდება, რომ მისი რეალური პასუხისმგებლობის საკითხი დადგება... აგონიურ მდგომარეობაშია, აღელვებულია და რას ლაპარაკობს, თვითონ ვერ ხვდება. რაზეც მან ისაუბრა, ეს არახალია, აქამდე ამის ტირაჟირებას მისი სპეცსამსახურები აკეთებდნენ. მისთვის სამწუხაროდ, მას აღარ ჰყავს სპეცსამსახურები, გარემოცვაც საკმაოდ შეუთხელდა და, როგორც ჩანს, თვითონ გადაწყვიტა ამ ფუნქციის შესრულება. ეს ყველაფერი მისთვის ძალიან ცუდად დამთავრდება".

■

რაულ უსუპოვი 25 წლის იყო, როცა გარდაიცვალა. თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, პედაგოგების ოჯახში

Cyan Magenta Yellow Black

■ რაულ უსუპოვი

გაზრდილმა ბიჭმა ქართული ენაც კარგად იცოდა და აზერბაიჯანულიც. მისი მამა, იაშარ უსუპოვი, „სარკესთან“ ამბობს, რომ სწორედ რაულის განათლება გახდა ზურაბ ჟვანიას გუნდთან მისი დაახლოების საფუძველი.

იაშარ უსუპოვი:

— რაული 9 წელი თელავის მეოთხე საშუალო სკოლაში სწავლობდა. მერე ქვეყანაში რთული პერიოდი იყო — გარეთ გასვლაც კი საშიში იყო და ყარაჯალის სკოლაში გადმოვიყვანეთ. ნიჭიერი ბავშვი იყო და ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. მეორე კურსზე იყო, როცა ჟვანიამ მიიწვია სამუშაოდ.

— სად და როგორ გაიცნეს ერთმანეთი?

— ბატონ ზურაბს სიღნაღის გამგებლისთვის დაუვალებია ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელსაც კარგად ეცოდინებოდა ქართულიც და აზერბაიჯანულიც. უთქვამს, ინგილოებიდან იქნებ ამირჩიო ვინმე ყოჩაღი სტუდენტიო. ქვემო ქართლში არჩევნების კოორდინატორად უნდოდა ასეთი პიროვნება. რაული სანიმუშოდ სწავლობდა, ფრიადოსანი იყო. რექტორს უთქვამს, ყოჩაღი ინგილო არ მყავს, მაგრამ ერთი კარგი ბიჭია, რაულ უსუპოვიო. სიღნაღის გამგებელმა შეახვედრა რექტორს რაული და იმან მეორე დღესვე წაიყვანა ზურაბ ჟვანიასთან. პირველივე შეხვედრაზე მოეწონა რაული ზურაბს და მაშინვე დაასაქმა. სემესტრის ბოლოს ჩადიოდა და აბარებდა გამოცდებს. დანარჩენ დღეებში ქვემო ქართლში მუშაობდა კოორდინატორად. მაშინ „მოქალაქეთა კავშირმა“ გააყალბა არჩევნები, რასაც ვარდების რევოლუცია მოჰყვა.

რევოლუციის შემდეგ რაული სახელმწიფო მინისტრ ზინაიდა ბესტაევას თანაშემწედ გადაიყვანეს. 15 დღის გადასული იყო რუსთავში გუბერნატორის მოადგილედ, როცა მოკლეს. პირველი ხელფასის აღებაც ვერ მოასწრო. დღემდე არ ვიცოდი, რაც ახლა, ინგა გრიგოლიას გადაცემაში თქვა ელენე თევდორაძემ. თურმე გარდაცვალების დღეს რაული კანცელარიაში მისულა და ზურაბ ჟვანიას შეხვედრია. თევდორაძის თქმით, რაული პრემიერმინისტრის აპარატში უნდა გადაეყვანათ. ეს ფაქტი მაშინდელმა კანცელარიის უფროსმა, პეტრე მამრაძემაც დაადასტურა.

— რაოდენ გარემოში იმრყეოდა რაული? ალბათ შმიბლები უწყობდათ ხელს მის განათლებას.

— მე მათემატიკის მასწავლებელი ვარ. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. მერე კიდევ დავამთავრე ეკონომიკის ფაკულტეტი და სკოლაშიც ვასწავლიდი ეკონომიკას, იყო ასეთი საგანი. ჩემი მეუღლეც დაწყებითი კლასების პედაგოგია. ისიც აზერბაიჯანელია, მაგრამ ქართულ სკოლაში სწავლობდა. თბილისში საბიბლიოთეკო სასწავლებელი დაამთავრა.

რაული ძალიან ყოჩაღი, დაუზარელი ბავშვი იყო. უყვარდა კითხვა. სკოლაში ყველანაირ ღონისძიებაში მონაწილეობდა. გადაღებულიც აქვთ, სკოლაში დიდი ღონისძიება როგორ წაიყვანა. გონიერი ბავშვი იყო. ყველაფერი გამოსდიოდა. როცა პატარა იყო, ჩემ გვერდით დიდი ადამიანივით მუშაობდა. სოფელში სახლი ავაშენეთ და ყველაფერს თვითონ ვაკეთებდი. რაულიც გვერდით დავიყენე და მეხმარებოდა. დედამისი სულ მეჩხუბებოდა, პატარაა და ბავშვობას ნუ ართმევო. ადამიანებთან ურთიერთობაც ადვილად გამოსდიოდა. ყველას უგებდა. დიდთან დიდი იყო, პატარასთან — პატარა.

2004 წელს სოფლის გამგებლად ამირჩიეს. მაშინ მითხრა რაულმა, ზუსტად არ მახსოვს, ბოლნისი თუ დმანისი მთლიანად ისე დავაკომპლექტეთ, როგორც ჩვენ გვინდოდაო. კადრების შერჩევას გულისხმობდა. რაული კარგად იცნობდა ქვემო ქართლს და ენდობოდნენ. როგორც ჩანს, მაშინ რაღაც ზეწოლა მიდიოდა მასზე. რომ გარდაიცვალა, მისმა მეგობარმა, სახელად ზურამ, მოგვიყვა ერთი ამბავი. ეს ბიჭი რაულის კორპუსში ცხოვრობდა. თურმე ერთად მიდიოდნენ რუსთავში და რაულისთვის ტელეფონზე დაურეკავს ვიღაცას. სულ ორი წუთით ულაპარაკია და ის ბიჭი იხსენებდა, ფერი და ხასიათი შეეცვალა ამ ზარის გამოო. უკითხავს, რა მოგვიდაო და უთქვამს, სპეცსამსახურები მირეკავენ და მაფრთხილებენო. რასთან დაკავშირებითო, რომ ჰკითხა, არაფერი უპასუხია. სიტყვაძუნწი ბიჭი იყო და არავისთან ლაპარაკობდა ზედმეტს.

ერთხელ, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მითხრა, შეიძლება დაცვა ავიყვანოო. ჟვანიას უთქვამს, თუ გჭირდება, დაცვას დაგინიშნავ და ისე იარეო. როგორც ჩანს, ტელეფონზე რომ ურეკავდნენ, მოუყვა ჟვანიას. ეს ამბავი და მეგობრის ნათქვამი რომ გავაანალიზე, მივხვდი, რომ სერიოზული რაღაც ხდებოდა რაულის თავს. ალბათ არც პირველი შემთხვევა

„ოგორც ჩანს, ხაულს მანქანა გააჩერებინეს, ჩაუსხდნენ და ყელზე მოქაჩეს. მეხე ჯი ძუძუსთავებში შეუყვანეს ხაღაც შხამი, ხომ გვამზე ღაქები შესამჩნევი ახ ყოფიღიყო“.

იყო რაულის ტელეფონზე მუქარის ზარები. არავინ იცის, კადრებს რომ ცვლიდა რეგიონში, იმის გამო ეშუქრებოდნენ, თუ ზურაბ ჟვანიასთან ახლო ურთიერთობის გამო.

მისი მეგობარი ბიჭი, ზურა, აეროპორტში რაღაც თანამდებობაზე მუშაობდა. რომ მითხრა, ასე და ასე იყოო, გამომძიებელს მოვუყევი. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მთელი სისტემა მუშაობდა ამ საქმის დაფარვაზე. ზურა დაიბარეს დაკითხვაზე და იქიდან რომ გამოვიდა, ვკითხე, რა გითხრეს-მეთქი. რა და, დამემუქრნენ, რაც მოგვა თავში, ყველაფერს ნუ ლაპარაკობ, თორემ მოგივლითო. მალე სამსახურიდანაც გაათავისუფლეს და საქართველოდან საერთოდ წავიდა. ახლა ვინც იძიებს ამ საქმეს, იმ გამომძიებელს რომ მოვუყევი ეს ამბავი, მითხრა, მაგ ბიჭთან იქნებ დამაკავშიროო. დავურეკე და ვუთხარი, საქმეს თავიდან იძიებენ და მოყევი, რაც იცი-მეთქი. არაფერი მახსოვსო, მიპასუხა. როგორც ჩანს, ისე დააშინეს, რომ გახსენება არ უნდა.

— თქვენ თავიდანვე გქონდათ ეჭვი, რომ ეს მკვლელობა იყო?

— თავიდანვე ვიცოდი, რომ მკვლელობა იყო და ამიტომ ვუთხარი გამომძიებელს, ასეთი რაღაც მოხდა-მეთქი, მაგრამ ეს თუ ქართველი მაღალჩინოსნების გაკეთებული იყო, ვერაფრით წარმოვიდგენდი. სანამ რაულს დავკრძალავდით, მაშინვე ვაცხადებდი საჯაროდ, რომ ეს მკვლელობა იყო, მაგრამ რატომღაც ვფიქრობდი, რომ რუსებმა ჩაიდინეს. ნაციონალურ მოძრაობას რომ გაემარჯვა და შევარდნაძე წასულიყო, რას არ ვაკეთებდი ამისთვის. სულ მემუქრებოდნენ. რევოლუცია რომ არ მომხდარიყო, ალბათ ახლა გადასახლებული ვიქნებოდი. მაშინ დამირეკეს და მითხრეს, დამთავრდება არჩევნები და ნახავ, სად ამოყოფ თავსო. ასეთი წვალების შემდეგ როგორ წარმოვიდგენდი, რომ ნაციონალები ასეთ რამეს გაუკეთებდნენ ჩემს ოჯახს, მაგრამ, როგორც ჩანს, მაგათ არც შინაური იციან და არც გარეული. თავიანთი მიზნის მისაღწევად ყველაფერზე წავლენ.

მაშინ დროის მოთხოვნა იყო შევარდნაძის გადაგდება. სულ საქვეყნო საქმეში ვიყავი ჩართული. ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დროს ვიყავი ზვიადისტი. რაულიც ასეთი იყო — რომელ მხარესაც ქართველი ხალხი იდგა, ჩვენც ყოველთვის იქ ვიყავით.

— რა მდგომარეობაში იყო თქვენი შვილის ცხედარი, როცა ნახეთ?

— თავიდან არაფერი შეგვიტყვია. ჩვენ წესი გვაქვს, რომ მესამე დღეს, დაკრძალვის წინ, მიცვალებულს განბანენ ხოლმე. ამ განბანვაში 5-6 კაცი მონაწილეობდა. დაკრძალვამდე არაფერი მითხრეს, მაგრამ მერე გავიგე, რომ თურმე რაულის სხეულზე რაღაცეები შეუნიშნავთ. სურათს მაინც გადავუღებდით, მანამდე რომ გაგვეგო. მეორე დღეს რომ შევიკრიბეთ ახლობლები, მაშინ ერთმა თქვა, არა მგონია, ეს გაზით გაგუდვა იყოს, რადგან ყელზე შავი ხაზი ჰქონდა და ძუძუსთავებზე ნაჩხვლეტებიო. ისეთი ნაჩხვლეტები ჰქონია, გეგონებოდა, ნემსი იყო ჩარჭობილი. ვიფიქრე, მოწამლული რომ იყო, იქნებ წვეთოვანი ჩაუყენეს მაგ ადგილებში-მეთქი. ექიმმა გვითხრა, ეგეთი რამ გამორიცხულია, წვეთოვანს რა უნდა მკერდის არეშიო. პირდაპირ პროზექტურაში გაუქანებიათ.

როგორც ჩანს, რაულს მანქანა გააჩერებინეს, ჩაუსხდნენ და ყელზე მოქაჩეს. მერე კი ძუძუსთავებში შეუყვანეს რაღაც შხამი, რომ გვამზე ლაქები შესამჩნევი არ ყოფილიყო.

რაულს „მერსედესის“ მარკის მანქანა ჰყავდა, რომელსაც მარჯვნივ, უკანა მხარეს, მაღალი ანტენა ჰქონდა. ავტომობილს რომ აქრობ, ანტენა თავისით ჩადის და, როცა დაქოქავ, მაღლა ამოდის. ასეა ქარხნულად დამზადებული, მაგრამ რაულს გადაკეთებული ჰქონდა. თვითონ თიშავდა. ანტენა აწეული რომ დარჩენოდა, ერთ-ორ საათში აკუმულატორი ჯდებოდა, რადგან მასზე იყო მიერთებული და მანქანა აღარ დაიქოქებოდა. პირველ რიგში, ანტენას თიშავდა. ერთხელ მე დამჭირდა მანქანა და დილით რომ ადგა, საყვედური მითხრა, ანტენა როგორ დაგრჩა, ახლა ვეღარ დავქოქავო. მართლაც ვეღარ დაქოქა.

საბურთალოს ქუჩაზე რომ მივედი და რაულის მანქანა დავინახე, ანტენა აწეული იყო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ რაულმა არ გააჩერა მანქანა, მკვლელმა მიიყვანა იმ ადგილზე. გადაყვანა რომ მოინდომეს, ვერ დაქოქეს და პროკურატურაში ევაკუატო-

→10

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

რით გადაიტანეს. არსებობს ერთი მოწმე, ქალბატონი ნათელა მოდებაძე, რომელსაც დაუნახავს, როგორ შეიყვანეს ზურაბ ჟვანია იმ ბინაში. ის ქალბატონი დაინტერესებულა და საქართველოდან გააქციეს. ჩემი ვერსიით, რაული ისე მიათრიეს, როგორც მთვრალი მიჰყავთ ხოლმე — აქეთ-იქით ამოდგომით.

რაულის შარვალი საშინლად იყო დასვრილი, შავი ლაქები ჰქონდა. ამ შარვლით ის ქუჩაში არაფრით გავიდოდა. იმ საღამოს რაული სუფრასთან იყო. სახლში მანქანით დაბრუნდა, ტალახში არ უვლია და შარვალი კი დასვრილი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, წინააღმდეგობა გაუწია, ისე ხომ არ დანებდებოდა. ვფიქრობ, ან წაიქცა, ან ათრიეს. ეს კიდევ ერთი ნიშანია, რომ მასზე ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. ჟვანიასთან შესახვედრად დასვრილი შარვლით მივიდოდა?!

დათვალიერების ოქმის მიხედვით, რომელიც გარდაცვლილების ნახვის შემდეგ შეადგინეს, აღწერეს, რომ ამოიღეს რაულის ერთი ფეხსაცმელი. ამერიკიდან რომ დაბრუნდა ტანსაცმელი, იქ უკვე წერია ფეხსაცმელები და არა — ფეხსაცმელი. როგორც ჩანს, რაულს იმ ბინაში მიყვანისას ცალი ფეხსაცმელი გაძვრა და მერე ან შეაკერვინეს ან ისეთი იშოვეს. ორივეს 42 ზომა აწერია, მაგრამ რომ დავატოლე, ერთი აშკარად მოკლეა მეორეზე. გარდა ამისა, ერთი ფეხსაცმლის ძირი უფრო გაცვეთილია. ერთი ძალიან დასვრილია — რემონტიან ბინაში რომ შეხვალ და ფეხსაცმელი დაგესვრება, ისეა და მეორე სუფთაა. ეტყობა, ჩემი შვილი ცალი ფეხით, ხტუნვა-ხტუნვით „დადიოდა“. ცალი ფეხსაცმელი რომ დაეკარგათ, მეორეც გახადეს და თქვეს, მუსლიმი იყო და სახლში რომ შედიოდა, ფეხსაცმელებს იხდიდაო. ამ დროს რაული საერთოდ არ იხდიდა ფეხსაცმელს სახლში შესვლისას და სულ ამაზე ჰქონდა პრობლემა დედასთან. სხვაგან მისული გაიხდიდა ფეხსაცმელს?!

■ იაშარ უსუპოვი შვილიშვილ როლანდთან ერთად

— ჟვანიას ოჯახთან კონტაქტი თუ გაქვთ? ატყობინებთ ერთმანეთს, როცა რამე ახალი მტკიცებულების შესახებ იგებთ?

— ახლო ურთიერთობა გვაქვს. ნებისმიერ დროს შემოსულია დავურეკო გოგლა ჟვანიას. ზურაბ ჟვანიას მეუღლე ნინო ქადაგიძესაც ვხვდები ხოლმე. სანამ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა, არჩევნების წინაც ვხვდებოდით მე და გოგლა ფარულად. ნაციონალებთან ერთად ვმუშაობდი გამგეობაში, თელავის რაიონის გამგებლის თანაშემწე ვიყავი, მაგრამ არავინ მენდობოდა, არაფრის საქმის კურსში არ მაყენებდნენ. მხოლოდ ხელფასს ვიღებდი. გოგლა ჟვანიას ვხვდებოდი ფარულად, რადგან მაინტერესებდა, რა მოხდებოდა და როგორ დამთავრდებოდა ეს საქმე. ნაციონალები არჩევნების გაყალბებას ცდილობდნენ, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცით, ნამდვილი არჩევნები ჩავატარეთ!

მალე ფაქტებით დავადასტურებთ, ვინ იყო მკვლელი. ბევრი ამბობს, წელზე მეტი გავიდა და ვერაფერი გამოიძიესო. ჯერ ერთი, სანამ პროკურატურა არ დაკომპლექტდა, 3-4 თვე არაფერი კეთდებოდა. თან, ფაქტები გაყალბებული იყო და ახალმა გამოძიებამ ყველაფერი ნულიდან დაიწყო. ასეთი მკვლელობის გასახსნელად ერთი წელი არაფერია. ჩვენ არ ვჩქარობთ და კმაყოფილებიც ვართ გამოძიების მსვლელობით.

— ბატონი იაშარ, გვამის ექსჰუმაციაზეა საუბარი და, რამდენადაც ვიცი თქვენი რელიგია მსგავს პროცედურებს კრძალავს.

— დიახ, კრძალავს ჩვენი რელიგია, საფლავში ჩასვენებული გვამი აღარ უნდა ამოთხარო, მაგრამ ამას ახლა საჭიროება მოითხოვს. ჩვენ ვართ დაინტერესებული, რომ საქმე გაიხსნას და წინააღმდეგი არ ვიქნებით.

— რაულს დაძმა ჰყავდა?

— ერთი ბიჭი კიდევ მყავს და ორი შვილიშვილი. აქედან ერთი რაულის ბიჭია, როლანდი. 10 წლისაა. რაულს წლინახევრის მოყვანილი ჰყავდა ცოლი, როცა დაიღუპა. როლანდი საოცრად ჰგავს მამას. პატარა რომ იყო, მამის სურათს რომ ვაჩვენებდით და ვეკითხებოდით, ეს ვინ არისო, გვპასუხობდა, მე ვარო. ხუჭუჭი თმა ჰქონდა რაულსაც და მისი შვილიც ასეა. დღეს ამ ბავშვს რომ ვუყურებ, ვმშვიდდები, რომ შვილი მაინც დარჩა. ჩემს მეორე შვილიშვილს კი რაული ჰქვია. ბიძის სიკვდილის მერე დაიბადა და მისი სახელი დავარქვით.

— რაული თბილისში ნაჭრაჟებ ბანაში ცხოვრობდა?

— არა, მე ვუყიდე ვარკეთილში ოროთახიანი ბინა, მანქანაც მე ვუყიდე. საშუალება მქონდა, რადგან სულ ვმრომობდი. დიდი ნაკვეთები გვაქვს, ვამუშავებდი, ხელოსნადაც ვმუშაობდი და ა.შ.

— ამბობენ, რომ ძმაზს, რომელიც გარდაცვლილებს სუფრაზე ედგა, ზურაბ ჟვანია არ შეხმადა. თქვენი ტრადიციის მიხედვით, ღორის ხორცს არც რაული ჭამდა და მათ უმეტეს, ძმაზს.

— რაული ღორის ხორცს ჭამდა, რადგან ქართულ გარემოში გაიზარდა. უამრავი ქართველი მეგობარი ჰყავდა და მათ დაბადების დღეებზეც დადიოდა. ძმაზზე პრობლემა არ ექნებოდა, მაგრამ არც ერთი იყო სასმელის მოყვარული. ცოტა ღვინოს სვამდა და სუფრებსაც თამადობდა, მაგრამ არაყს საერთოდ არ სვამდა. იმ მაგიდაზე კონიაკი რომ დავინახეთ, მაშინვე ვიფიქრეთ, რომ ყველაფერი მოწყობილი იყო. რაული არაყს არაფრით დალევდა და, მით უმეტეს, ღამის საათებში.

— რიგორც ამბობთ, რაული ზურაბ ჟვანიასთან მეგობრობდა, მაგრამ რამდენად ჰქონდათ ისეთი ურთიერთობა, რომ ღამით კონსპირაციულ ბანაში შეხვედრიდა?

— გამორიცხულია! მით უმეტეს, ჟვანიას იმ დილით შეხვედრია. ავტომანქანების სადგომის დაცვის წევრები იხსენებენ, რომ რაულს მანქანა გაუჩერებია, გადმოსულა, ბიჭებისთვის სიგარეტი უწუქებია და სახლისკენ მიდიოდა, როცა ტელეფონს დაურეკავს. შეუგიბია, ღამეც არ მასვენებენო. ზურაბ ჟვანიას რომ დაერეკა, შეიგინებდა? ესე იგი, სხვა ვიღაც ურეკავდა. ისევ ჩამჯდარა მანქანაში და წასულა. დილით კი ეს საშინელი ამბავი გავრცელდაო, ყვებიან დარაჯები.

— მინდა, ამ გაურკვეველ ხმებზე გკითხო, რომელიც ზურაბ ჟვანიას და თქვენი შვილის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას ეხება და ახლანდელ კიდევ ერთხელ შეგაგონოთ საკაშვილმა.

— ამ ხმების თავიდან სპეცსამსახურები და პროკურატურა სპეციალურად ავრცელებდნენ. როცა ეს ამბავი მოხდა, არც გოგლა ჟვანიას ეგონა, რომ საკაშვილის ხელი ერია ამ ყველაფერში. გოგლა დადიოდა მიშასთან და სთხოვდა, ექსპერტები მოეწვიათ, რომ ყველაფერი კარგად გარკვეულიყო. თავიდან შეჰპირდა მიშა, მაგრამ ისე მოატყუა ჟვანიები, როგორც მთელ მოსახლეობას ატყუებდა 9 წლის განმავლობაში. ამასობაში 2 წელი გავიდა. 2007 წელს მოიფიქრეს ეს ვერსია და დაემუქრნენ, რომ თუ არ გაჩუმდებოდნენ, ამ ვერსიას ხმამაღლა იტყოდნენ.

— თუმცა მასსაფს, დაღუბვის დღესაც ერცელდებოდა ეგ ხმები.

— კი, ეგ ვერსია მაშინაც იყო, მაგრამ არაოფიციალურად. ვითომ ცდილობდნენ, არ გაეჟონა ამ ამბავს. მერე დაიმუქრნენ, რომ ალაპარაკდებოდნენ და საქვეყნოდ შეარცხვენდნენ.

— ამბობენ, რომ მეტი დამაჯერებლობისთვის ახლობლებს აჩვენეს, რა სიტუაციაში იყვნენ გარდაცვლილები.

— იმ ღამეს ყარაჯალაში შუქი გაითიშა და ვერც მერაბიშვილის განცხადებას მოვუსმინე იმ დილით. მერე ერთმა ნაცნობმა დამირეკა, როგორ ხარო და ვუთხარი, კარგად-მეთქი. ტირილი დაიწყო და მითხრა, გაიგუდნენ თქვენი ვაჟი და ჟვანიაო. მე რომ თბილისში ჩამოვედი, უკვე პროზექტურაში ჰყავდათ გადაყვანილი. ჩვენ პირდაპირ იქ მივედით. რაული გარდაცვალებიდან მესამე დღეს დავკრძალეთ და მეოთხე დღეს ზურაბ ჟვანია დაასაფლავეს. სამების ტაძარში ესვენა, სამძიმარზე რომ ჩამოვედი. მძღოლი მანქანაში დავტოვე და ვუთხარი, არ გადმოხვიდე, შიგ რამე არ ჩააგდონ-მეთქი. რომ გამოვედი ტაძრიდან, მძღოლმა მითხრა, საოცრებები გავიგე აქ, ვიღაცეები მომიახლოვდნენ და ლაპარაკობდნენ, თურმე ჟვანია პატარა ბიჭთან დადიოდა და კარგია, რომ გაიგუდნენო. ალბათ სპეცსამსახურის თანამშრომლები იყვნენ.

ახლა მიშა ალაპარაკდა ისევ ამ ვერსიაზე. სხვა გზა არ აქვს და ხავსს ეჭიდება. წარმოგიდგენიათ, რა ელის, ეს საქმე რომ გაიხსნება?! ეგ რომ არ იყოს გარეული ამ ამბავში, მკვლელებს ხელს არ დააფარებდა. ფაქტია, რომ იმ ღამეს იმ კორპუსში, სადაც ვითომ გაზით გაიგუდნენ, გაზი საერთოდ არ იყო და არც გამათბობელი ჩაურთავს ვინმეს. ყველგან დაფიქსირებულია, რომ იმ ღამეს ავარია მოხდა და გაზი გადაკეტილი იყო. თუ გაზით გაიგუდნენ, მაშინ ზურაბ ჟვანიას ტუჩი რატომ ჰქონდა გახეთქილი?! გაზით რომ იგუდებიან, ტუჩები უსკდებათ და შარვლები ტალახში ესვრებათ?

ფაქტები სხვაზე მეტყველებს და სააკაშვილი სულ სხვა რამეს ლაპარაკობს. საქმე დასასრულს უახლოვდება და უსინდისოდ იმეორებს, ზურას მეგობარი ვიყავიო. ზურას ყველა დაბადების დღეზე მივდივარ მის საფლავზე და არასოდეს მინახავს. ორმოცის შემდეგ მეგობრის საფლავზე რატომ აღარ ყოფილა? სხვა მათი თანაგუნდელები კი მოდიოდნენ, მაგრამ მაშინ, როცა ჩვენ ავიშლებოდით. სააკაშვილი ჟვანიას ოჯახს შეჰპირდა, რომ ბინას მისცემდა, მაგრამ არ მისცა. მეგობარს და მის ოჯახს ასე ექცევიან?!

— რიგორ ფიქრობთ, რატომ აარჩიეს თქვენი შვილი მკვლელობის ამ ვერსიისთვის?

— რაული თუ არა, სხვა იქნებოდა მის ადგილას. ჟვანიას ჰყავდა შვილობილი, ახალგაზრდა ბიჭი და იმ ღამეს პარალელურად იმასთანაც რეკავდნენ. ეს სატელეფონო ამონაწერებიდან ირკვევა. ხომ შეიძლებოდა, რაული არ წასულიყო ან ტელეფონი გაეთიშა, მაშინ იმას მიიყვანდნენ.

ვერსია სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით ცნობილი მეთოდია. ჟურნალისტი გიორგი სანაია რომ მოკლეს, მასზეც ასეთი ჭორი გაავრცელეს. როგორც ჩანს, სანაიას და ჩემი შვილის მკვლელობის ავტორები ერთი და იგივე ადამიანები არიან. გამომძიებლები, იმის ნაცვლად, რომ საქმეზე ელაპარაკათ, მეუბნებოდნენ, შენი შვილი თურმე საუნაში დადიოდაო. რაულს ვინც იცნობდა, არავინ დაიჯერებს ამ ვერსიას. მე გავზარდე და არ ვიცი, ჩემი შვილი ვინ იყო?! კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტი და მტკიცებულება გვაქვს, რომელთა შესახებაც ჯერ ვერ ვილაპარაკებთ. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. რომ გახმაურდება, მერე ნახეთ, რა მოხდება.

✓ **რუსუდან ადვაძე**

Cyan Magenta Yellow Black

სიკვდილის წინ ირაკლი ღუღუნიშვილმა ახლობლებს ტკივილთან გამკლავება ასწავლა

„ცხოვრებაში არ ინერვიულო ორ რამეზე: ერთი, რომელსაც ეშველება და მეორე, რომელსაც არ ეშველება“, — ეს სიტყვები ფოტოგრაფმა ირაკლი ღუღუნიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გარდაცვალებამდე 6 საათით ადრე დაწერა. თითქოს სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა და ასე დაამშვიდა ოჯახის წევრები, მეგობრები, ასე დაემშვიდობა მათ. მისტიკურ წინათგრძნობად ჩანს ირაკლის გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე მისი ტყუპისცალის, ლაშას მიერ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული სურათიც, რომელსაც ინგლისურად „დასასრული“ აწერია... ირაკლი ღუღუნიშვილი 25 წლის იყო.

უბედური შემთხვევა 17 ოქტომბერს თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მოხდა. ირაკლი მოტოციკლეტით მოძრაობდა, როცა ავტომობილი დაეჯახა. რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ტრავმების გამო მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ფოტოგრაფმა ძმებმა, ტყუპებმა ირაკლი და ლაშა ღუღუნიშვილებმა ფოტოსტუდია „ლიგასტუდიო“ ერთად დააარსეს. ირაკლის ნახავდით ყველგან — ბომონდურ შეკრებებზე, ღონისძიებებზე, წვეულებებზე... მას თითქმის მთელი თბილისი იცნობდა. ირაკლის დაღუპვის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში ძალიან სწრაფად გავრცელდა. ამ სამწუხარო ამბავს მრავალი ცნობილი სახე გამოეხმაურა. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე ირაკლის ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა: „ამ სიცოცხლით, ხალისით აღსავსე ადამიანმა ყველას უსაზღვროდ დაგვწყვიტა გული... უდიდესი დარტყმაა ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის... ვუსამძიმრებ ყველას, ვინც პირადად იცნობდა ირაკლის, ვისაც მისი თბილი ღიმილი დააკლდა სამუდამოდ...“.

ირაკლი და ბერა ივანიშვილი მეგობრობდნენ. ბერა ირაკლის ასეთი სიტყვებით დაემშვიდობა:

„ძალიან მიჭირს ირაკლიზე წარსულში საუბარი... მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ჩვენს სურვილებს არ ემორჩილება. ერთი ვიცი, რომ ის სიყვარული და სითბო, რაც ირაკლიმ ამქვეყნად დატოვა, უკვდავია. მშვიდობით, ჩემო ირაკლი, უკვე ძალიან მენატრები, შენი ბერა“.

❖ ❖ ❖

ირაკლი მეგობრებმა, საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა გაიხსენეს.

ეკა ხოფერია, ტელეწამყვანი: ეს ბიჭები — ირაკლი და ლაშა, ისევე როგორც ყველას, მეც სულ მერეოდა ერთმანეთში. ისინი ამაზე იცინოდნენ ხოლმე. ძმები დაახლოებით სამი წლის წინ გავიცანი, ორი წელი თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდა. არ მახსოვს შემთხვევა, რომ რამეზე უარი ეთქვათ. შორიდანაც ვაკვირდებოდი მათ კარიერას და ძალიან ვგულშემატკივრობდი.

ამ ტრაგედიის შესახებ გვიან ღამე გავიგე და მივხვდი, რომ რაღაც მოხდა ჩემში. თურმე ძალიან, ძალიან მიყვარდა ეს ბიჭი. ცალკე ირაკლიზე ვფიქრობდი, ცალკე — ლაშაზე, რომელიც, წარმომიდგენია, რას განიცდის. ერთი რამ მინდა, ვთქვა: თურმე შეიძლება, რომ არსებობდეს ადამიანი, რომელიც არ არის შენი ბავშვობის მეგობარი, არც ახლო ნათესავი, მაგრამ ძალიან გიყვარდეს და მისმა სიკვდილმა ძალიან გატკინოს გული.

ნანუკა ჟორჟოლიანი, ტელეწამყვანი: ტყუპებმ ა ამ სატელევიზიო სეზონზე

ირაკლი ღუღუნიშვილი

ჩემთან დაიწყეს მუშაობა, გადაცემის ფოტოებს იღებდნენ. სულ მემახსოვრება, ორივე ერთად როგორ მოდიოდა და როგორ უხაროდათ ჩვენთან ყოფნა. ძმებს კბილებით ვასხვავებდი — ერთს შუაში გაყოფილი ჰქონდა, მეორეს — არა. სულ იცინოდნენ... მახსენდება ეს ბავშვი, როგორ უხაროდა სიცოცხლე, როგორ უყვარდა ადამიანები...

ეს ამბავი რომ გავიგე, პირველად მისი „ფეისბუქის“ გვერდზე შევედი. მისი სტატუსი რომ ვნახე, გავგიჟდი. ადამიანს, რომელიც სულ იცინოდა და მხოლოდ დადებით განწყობას ატარებდა, თავისი ფოტო დაედო მუქ ფერებში და ბოლო სტატუსად ეწერა: „ცხოვრებაში არ ინერვიულო ორ რამეზე: ერთი, რომელსაც ეშველება და მეორე, რომელსაც არ ეშველება“. საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა, რომ ყველა იმაზე გვანერვიულა, რასაც აღარაფერი ეშველება.

დათო იმედაშვილი, ტელეპროდიუსერი: მე და ირაკლი ვმეგობრობდით. მის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ვსაუბრობდით მოტოციკლეტზე. ჩემთან სახლში მოსვლას აპირებდა და ჩემი მოუცლელობის გამო გადავდეთ. ისე, იმ დილით ვფიქრობდი, დღეს დავუძახებ-მეთქი... ენერგიული, ნიჭიერი, სიცოცხლის მოყვარული კაცი იყო და ბევრი სიკეთის გაკეთება შეეძლო.

მარიტა ჯანაშია, მოდელი: ძალიან მიჭირს საუბარი... ვთვლი, რომ ახალგაზრდებმა მოტოციკლეტი არ უნდა ატარონ, ასე ძალიან ბევრი დაიღუპა. ირაკლისაც სულ ვეხვეწებოდით, მოტო არ ეტარებინა, მაგრამ...

ხატია სიჭინავა, ტელეწამყვანი: ირაკლის როცა ავარია შეემთხვა, ჩემს ქმარს (რამაზ ნოზაძე, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში. ავტ.) მეგობარმა დაურეკა, ირაკლი ავარიაში მოყვა და იქნებ რესპუბლიკურში დარეკო, რომ ექიმებმა მაქსიმალური გააკეთონ მის გადასარჩენადო. ჩემმა ქმარმა ცოტა ხანში დამწუხრებულმა მითხრა, ყველგან გადავრეკე, მაგრამ უკვე დაღუპულიაო. ორივეს ძალიან გვიყვარდა. ამ ტკივილს სიტყვებით ვერ გადმოვცემ.

ლიზა ვადაჭკორია, „მიუზიკ ბოქსის“ დირექტორი, ჟურნალისტი: ერთ სფეროში ვმუშაობდით და ვმეგობრობდით. მახსოვს, ირაკლი ბოლოს ზაფხულში ჩავწერე, მსახიობ ია ნინიძის ქალიშვილთან, ნინოსთან ერთად. ირაკლი და ნინო მეგობრობდნენ. ახლაც მიდგას კადრები თვალწინ, როგორი ბედნიერი იყო მაშინ ირაკლი.

❖ ❖ ❖

მოტოციკლეტი ირაკლის ახალი გატაცება იყო და რამდენიმე თვის წინ შეიძინა. მოტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი,

საოცნებო მოტოციკლეტის მართვა ახალგაზრდა ფოტოგრაფს რამდენიმე თვე დასცალდა

ნიკა გრიგოლია, თვლის, რომ ადამიანი სანამ მოტოზე დაჯდება, კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რამდენად სახიფათო ტრანსპორტია.

ნიკა გრიგოლია: მოტოციკლეტით მოძრაობისას მეტი სიფრთხილე და გამოცდილებაა საჭირო. განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მოწესრიგებულია მოძრაობა, ტელევიზიებში სისტემატურად გადის ვიდეორგოლები, ბაიკერებს აფრთხილებენ, რომ დადგენილ სიჩქარეს არ გადააჭარბონ, ფრთხილად იმოძრაონ. მსგავსი ვიდეორგოლების გაკეთება აქაც საჭიროა. მანქანის და მოტოციკლეტის მძღოლებმა უნდა იცოდნენ, რა რისკები არსებობს, რომ ერთმანეთს გაუფრთხილდნენ.

❖ ❖ ❖

სასჯელაღსრულების მინისტრის მრჩეველი, ლალი მოროშკინა, თვლის, რომ აუცილებელია, შსს-მ ბაიკერებს და მანქანის მძღოლებს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია, თუ როგორ უნდა იმოძრაონ ერთად და რა წესები დაიცვან.

ლალი მოროშკინა: ევროპის ქვეყნებში მოტოციკლეტი კომფორტულ ტრანსპორტად ითვლება, აქ კი ამის კულტურა არ არსებობს. საქართველოში გამოცდილი მძღოლებიც ვერ ხვდებიან, რა უნდა გააკეთონ, როცა მოტოციკლეტი გზას ჩაუჭრით. ბაიკერისთვის აბსოლუტურად ჩვეულებრივი მანევრია, მანქანებს შორის გაძვრეს. მძღოლები კი ამ ფაქტს შეურაცხყოფად აღიქვამენ საქართველოში. შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ დეპარტამენტმა, რომელსაც საგზაო მოძრაობა ეხება, ბროშურები უნდა გამოუშვას, სადაც განმარტებული იქნება, როგორ უნდა იმოძრაონ ბაიკერებმა და მანქანის მძღოლებმა ერთად. იქნებ ახლა მაინც შეიცვალოს რამე, რომ ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადარჩეს. ირაკლი ძალიან თბილი და კომუნიკაბელური ადამიანი იყო. მის ოჯახს სამძიმარს ვუცხადებ.

❖ ❖ ❖

ავტომობილის მძღოლი, რომელიც ირაკლის დაეჯახა, დაკავებულია. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით არის აღძრული, რაც გულისხმობს მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის ფაქტზე გამოწვეული ერთი ან რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობას.

„სარკე“ იზიარებს ირაკლი ღუღუნიშვილის ოჯახის მწუხარებას.

✓ მანანა ნოდია

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციოევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემს ძმას სულერთიზიანი დედა აღარ სჭირდება"

ბოხუცმა დედამ დიდი სანერვიულო გამიჩინა. სკლეროზი დაემართა. რამდენჯერაც შევხედავ, იმდენჯერ გული მეფლითება. თითქოს სხვა ადამიანი მიყურებს, თითქოს ჩემი დედიკო არ არის. ზოგჯერ თვალებში სხივი ჩაუდგება და თბილად შემომხედავს. ამ დროს იმედი მიჩნდება, ვფიქრობ, იქნებ დაამარცხა სიბნელე, იქნებ იმ შავი სამყაროდან გამოვიდა, მაგრამ მერე ისევ შუშის თვალები უხდება და თავიდან იწყება ყველაფერი. ზოგჯერ მგონია, რომ მე უფრო ვიტანჯები, რადგან ის საკუთარ თავს ვერ ხედავს. ერთი წუთით მაინც რომ დაუბრუნდეს საღი აზროვნება და მიხვდეს, რაც სჭირს, ალბათ გული გაუსკდება.

საოცრად კარგი დედა მყავდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ლამაზი და თბილი ადამიანი იყო. ყველას უყვარდა. მე და ჩემს ძმას იმდენი რამ გაგვიკეთა, რომ ჩემს შვილებს იმის მესამედსაც ვერ შევპირდები. მასავით ძლიერი არ ვარ. მშობლები ერთადერთ ბიჭს განსაკუთრებით ანებივრებდნენ. ყველაფერი, რაც საუკეთესო იყო, მისთვის უნდოდათ. ჩემს ძმას დედიკოს ბიჭს ვეძახდით, რადგან მართლა დედის კალთაზე იყო გამობმული. საბჭოთა ჯარში რომ გაიწვიეს, დედა-შვილი ერთმანეთს ვერ მოვგლიჯეთ, ორივე ხმამაღლა ტიროდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ჩემი ძმა ასე უგულოდ თუ მოექცეოდა. მშობლები ხომ მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, ჩვენი სიამაყე ხარო, ეუბნებოდნენ.

მამა წლების წინ გარდამეცვალა. დედამ ერთგული მეგობრის დაკარგვა ძალიან განიცადა და დაუძლურდა. მერე კი ეს საშინელი სენიც შეეყარა. ჩემი ძმა და რძალი უვლიდნენ, მაგრამ შემდეგ მოიძულეს. ძმამ ერთ დღეს დამირეკა, ყვიროდა, დედაშენი ან წაიყვანე, ან ახლავე მოვკლავო. გავვარდი და სახლში წამოვიყვანე. ქმარ-შვილს გამოვუცხადე, თუ დედაჩემს არ შეიფარებთ, მასთან ერთად ქუჩაში ვიცხოვრებ, ვიმათხოვრებ, მაგრამ არასოდეს მივატოვებ-მეთქი. არაფერი უთქვამთ, პირიქით, მის ავადმყოფურ ახირებებს მოთმინებით იტანენ. დიდი მადლობა მათ ამისთვის.

ჩემს ძმას დედა საერთოდ არ აინტერესებს, არ სჭირდება. ვეუბნები, გაიხსენე, სულ ასეთი ხომ არ იყო, როგორ გეფერებოდა, როგორ გიფრთხილდებოდა, შენგან ამის ღირსი არ არის-მეთქი. ის კი მპასუხობს, ლამის ცოლი და შვილები გამიქცია სახლიდან, ოჯახს ხომ არ დავანგრევო. ძმისაც კარგად მესმის. ასეთი ავადმყოფის ატანა ძალიან ძნელია, მაგრამ აბა, რა უნდა ვქნათ? ვის მივუყვანოთ მოსავლელად? ხომ უნდა მივხედოთ? ამ დროს ასეთი ლაპარაკი შეიძლება? კიდევ ერთხელ ვამბობ, ძმის კარგად მესმის, მაგრამ ვერ ვპატიობ, რომ ჩვენს მოამაგე დედას ასე ექცევა. სანახავადაც არ მოდის, მაგის ნერვები არ მაქვსო. არადა, რომ მახსენდება, დედა მისთვის რამდენ რამეს აკეთებდა, სულ მისი სახელი ეკარა პირზე. ჩემი ძმისშვილები მან გაზარდა, ჩემს რძალს ეუბნებოდა, შენ მუშაობ და დაისვენე, ცოდო ხარო. ახლა მისი ამაგი აღარავის ახსოვს. გული ძალიან მტკივა და ეს წერილიც ამან დამაწერინა. დიდი მადლობა, რომ თქვენი მკითხველებისთვის ჩემი გულისნადების გაზიარების საშუალება მომეცით.

„ხარის" მკითხველი

„ქმარი მოვატყუე, რომ ვღალატობდი"

ისეთი სისულელე ჩავიდინე, ისეთი რამ დავუშავე თავს, ჩემი მტერიც რომ ვერ მოიფიქრებდა. ახლა ყველაფერს კარგად ვაცნობიერებ, მაგრამ ვერაფერს ვცვლი.

ოჯახი სიყვარულით შევქმენი. ქმარი თავიდან დიდ პატივს მცემდა, ყურადღებით მექცეოდა, მერე კი ყველაფერი შეიცვალა. ვგრძნობდი, რომ მღალატობდა, მაგრამ ის ყველაფერს უარყოფდა. ბოლოს ჩემი კონტროლით დაიღალა და პირდაპირ გამომიცხადა, საყვარელი მყავს, თუ გინდა, შეეგუე, თუ გინდა, სახლიდან წადიო.

ქმრისგან ასეთ ულტიმატუმს არ ველოდი. აღარც მალაპარაკა, მითხრა, ჩემი აზრი უკვე იცი და ახლა არჩევანი თავად გააკეთეო. ისეთი შეურაცხყოფილი დავრჩი, მერჩივნა, იქვე მომკვდარიყავი. სახლიდან ვერ წავიდოდი, რადგან თავშესაფარი არ გამაჩნდა. ჩემი მშობლები და ძმის ოჯახი ოროთახიან ბინაში ძლივს ეტეოდნენ და შვილებით მათ ვერ შევეხიზნებოდი. იძულებული გავხდი, ქმართან დავრჩენილიყავი, მაგრამ მასთან ურთიერთობა აღარ შემეძლო. შურისძიების სურვილი მკლავდა, ამ დაუოკებელმა ემოციამ კი გამოუსწორებელი შეცდომა დამაშვებინა.

ქმარი რომ სახლში მოვიდოდა, მე შუაღამისას გარეთ გავდიოდი. მეკითხებოდა, სად მიდიხარო. ამაყად ვპასუხობდი, რა საქმესაც შენ აკეთებ, იგივე მეც შემიძლია-მეთქი. თავიდან ამას არასერიოზულად თვლიდა, მაგრამ ღამღამობით სიარულს რომ მოვუხშირე, შეშფოთდა. ბავშვობაში სხვა უბანში ვცხოვრობდი და ძველ მეზობლებთან ყოველთვის მქონდა კავშირი. სწორედ ერთ-ერთთან ვაფარებდი თავს. მარტოხელა ქალი იყო და ჩემი მისვლა სიამოვნებდა კიდეც. რამდენჯერმე მასთან დავრჩი.

ქმარმა ეჭვიანობა დაიწყო და ეს ძალიან მახარებდა, მაგრამ შურისძიების სურვილი მაინც არ გამინელდა. რაც უფრო ბრაზდებოდა, მით უფრო საეჭვოდ ვიქცეოდი. რომ მწარდებოდა, თითქოს გულიდან ლოდი მეხსნებოდა. ბევრჯერ გამაფრთხილა, ვერ ავიტან, რომ ჩემმა ცოლმა გარეგარე იაროს, სანამ ცოლ-ქმარი გვქვია, შენგან პატიოსნებას მოვითხოვო. ამაზე ვიცინოდი. არც ვადასტურებდი, რომ საყვარელი მყავდა და არც — უარვყოფდი.

ერთხელაც, ღამის მორიგი სეირნობიდან რომ დავბრუნდი, ჩემი ბინის კარზე ქაღალდი დამხვდა გაკრული, რომელზეც ეწერა: „აქ აღარასოდეს დაბრუნდე, ამ კარზე აღარასოდეს დააკაკუნო". ასე აღმოვჩნდი შუა ქუჩაში და მართლა იმ მარტოხელა ქალის საზრუნავი გავხდი, მან შემიფარა და უკვე ერთი წელია ასე ვცხოვრობ.

შვილები ჩემთან არ მოდიან. უფროსმა გოგონამ მითხრა, მამაჩემს ძალიან აწყენინე, ჩვენი ღირსი არ ხარო. არც ის მიჯერებს, რომ მოვიტყუე და ეს ყველაფერი შურისძიების სურვილმა ჩამადენინა. უმცროსი კი პატარაა და ჯერ ასეთი რაღაცეები არ ესმის. წარმოიდგინეთ, რა ჩავიდინე, ჩემი ტყუილით მარტო ქმარი კი არა, შვილებიც დავკარგე. ჩემი არც მშობლებს სჯერათ, ყველა ათვალწუნებით მიყურებს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჩემი ქმრის ღალატს აღარავინ ახსენებს და ყველა ჩემს მრუშობაზე ლაპარაკობს. მოძღვარს ეს ყველაფერი რომ ვუამბე, მითხრა, ტყუილი დიდი ცოდვაა და ამის გამო ისჯებიო.

თქვენს ჟურნალს ბევრი ქალი კითხულობს. მათ შორის ალბათ ისეთებიც არიან, ვისაც ქმრების ღალატით გული აქვთ დაკოდილი. კარგად ვიცი, ამ დროს რას გრძნობენ, როგორ უნდათ, შური იძიონ. მათ ვურჩევ, ეს არ გააკეთონ. თუ მოთმენა არ შეუძლიათ, გაშორდნენ, როგორღაც თავიდან აიწყონ ცხოვრება, ჩემნაირ შეცდომას კი ნუ დაუშვებენ.

„ხარის" ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„იმედს არ ვკარგავ, რომ ციხიდან გამოსული ლამაზ ოჯახს შევქმნი“

ამ წერილს ციხიდან გწერთ. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, საზოგადოებისთვის გამენდო ჩემი ფიქრი და დარდი. ადამიანი ყოველთვის აწყობ გეგმებს, მომავალზე ფიქრობ, უცებ კი ცხოვრების ჩარხი უკუღმა შეტრიალდება და ყველაფერი იცვლება. ერთმა უბედურმა დღემ ჩემი ცხოვრებაც შეცვალა, მომავალი წამართვა, თუმცა იმედი ბოლომდე არ მომისპო, რომ ამ ყველაფერს დავძლევ. ვიცი, ამაში ღმერთი დამეხმარება.

ძალიან მინდოდა, ჩემი ცხოვრება პატიოსნად და ლამაზ ამეწყო. ვოცნებობდი ლამაზ, მოსიყვარულე ოჯახზე, მაგრამ... იმ წელს ახალი მანქანა შევიძინე, სახლიც გავარემონტე, ჩემი ბიზნესიც კარგად მიდიოდა. ერთ საღამოს საქმეზე წასული ავტოავარიაში მოვყევი. უძილო ვიყავი და საჭესთან ჩამეძინა. ჩემ წინ სატვირთო ავტომანქანა მიდიოდა, ძლიერად დავამუხრუჭე. ამ დროს უკნიდან რამდენიმე მანქანა დამეჯახა. თავიც დავიღუპე და სხვაც დავღუპე... 5 წელი მომისაჯეს. გაზაფხულზე ციხიდან გამოვალ, მაგრამ არ ვიცი, ცხოვრებას როგორ მოვიწყობ. დავკარგე ბევრი რამ — ფული, ბიზნესი, სახლი... ნერვიულობისგან ლამის ჭკუიდან გადავიდე.

როგორ მინდა, ყველაფერი თავიდან დავიწყო. ამისთვის კი ალბათ ძალას მომცემდა ადამიანი, რომელიც სიყვარულს მაჩუქებდა, ჩემთან ერთად შეებმებოდა უღელს. არ ვკარგავ რწმენას, რომ ღმერთი ასეთ ქალს შემახვედრებს და ლამაზ ოჯახს შევქმნი.

თქვენი ერთგული მკითხველი

✓ *რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ*

გამოხმაურება

„მსუქანი ვარ, მაგრამ სიმპათიური მამაკაცის მოხიბლვა არ გამჭირვებია“

ჟურნალ „სარკის“ 42-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ჩემი სიმსუქნის გამო ყველა გოგომ ზურგი შემაქცია“. მეც მსუქანი ვარ, ქალი ვარ და ეს პრობლემა შენზე მეტად მაწუხებს. ძალიან მინდა, წელში გამოყვანილი, მოკლე კაბები მეცვას, მაგრამ ეს ოცნება ვერაფრით ავისრულე. ჭარბი წონა ბავშვობიდან მაწუხებს. სიმსუქნისკენ მიდრეკილება გენეტიკურად მაქვს, ჩემი მშობლებიც ჭარბწონიანები არიან. ასე რომ, კილოგრამებთან ბრძოლა ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრებისთვის უცხო არ არის. ზუსტად ვიცი, რა განცდაა, როცა დიდი ტანჯვით იცავ დიეტას, მშიერი დადიხარ, მაგრამ სასწორის ნიშნული დაბლა არ იწევს.

ბოლოს საუკეთესო გამოსავალი მოვძებნე და ზედმეტ კილოგრამებთან ერთად ცხოვრება ვისწავლე. ასე დიეტამაც უკეთესი შედეგი გამოიღო და ადამიანებთან ურთიერთობაც გამიადვილა. ჩემს სიმსუქნეზე ხშირად იუმორით ვლაპარაკობ და გარშემომყოფებს ვაცინებ. მეუბნებიან, ვერც ვამჩნევთ, რომ მსუქანი ხარო. ისე მოხდა, რომ ძალიან კარგი, სიმპათიური მამაკაცი მოვხიბლე. ის ძალიან ერთგული ქმარი და საუკეთესო მამაა.

ჩემი ამბავი იმიტომ მოვყევი, რომ იმ სტატიის ავტორი მიხვდეს, ცხოვრება ამით რომ არ მთავრდება. თუ კომპლექსს მოიხსნი და შენს სიმსუქნეს ყურადღებას არ მიაქცევ, ადამიანებთან ურთიერთობა გაგიადვილდება და, სხვათა შორის, ქალების მოხიბლვაც არ გაგიჭირდება. იმას არ გეუბნები, რომ წონაზე, ჯანმრთელობაზე არ იფიქრო და ხელი ჩაიქნიო, არა, ყოველ ზედმეტ კილოგრამს უნდა ებრძოლო, მაგრამ ამით ცხოვრება არ უნდა დაიმახინჯო.

კეთილი სურვილებით, „სარკის“ ერთგული მკითხველი

რომელი ლაზერით ჩავიტაროთ ეპილაცია?

Esthetic CorneR
ესთეტიკ კორნერი

ამ კითხვაზე პასუხი ძალიან ბევრ მომხმარებელს აინტერესებს – ვინაიდან ცნობილია, რომ ლაზერის ტიპი პიდაპირ ზეგავლენას ახდენს რეზულტატზე და პროცედურის ჩატარების სპეციფიკაზე. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ის ესთეტიკის ცენტრები და სალონები, სადაც განთავსებულია მსგავსი ტიპის აპარატები, არასაკმარისი ობიექტურობით აღწერენ მათ შესაძლებლობებს.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში აღიარებულია სამედიცინო ლაზერების 2 ძირითადი ტიპი, რომელიც გამოიყენება არასასურველი თმიანობის მოსაშორებლად: ალექსანდრიტის და დიოდური ლაზერები. არსებობს სხვადასხვა ტიპის სალონური სხივური ეპილაციის აპარატებიც: (IPL – ფოტოეპილაცია; RF+IPL – ე.წ. ELOS ეპილაცია, სადაც ფოტოს გაძლიერების მიზნით დამატებული აქვს რადიოტალღური ზემოქმედება; Q-switched, Rubi და სხვ.), თუმცა მათი ზოგიერთი პარამეტრი და რეზულტატები არ კმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს.

ლაზერული ეპილაციის აპარატებს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს მათ მიერ გამომუშავებული სხივის ტალღის სიგრძეში და მათი ზემოქმედების უნარზე სხვადასხვა ტიპის კანზე.

ალექსანდრიტის ლაზერის სხივის ტალღის სიგრძე 755 ნმ-ია, რაც უზრუნველყოფს თმის ფოლიკულის სწრაფ და ეფექტურ თერმოლიზს (მელანინის მიერ სითბოს ინტენსიური შთანთქმის ხარჯზე) ირგვლივ მყოფი ქსოვილების დაზიანების გარეშე. თუმცა მუქი ფერის კანის დამუშავების შემთხვევაში არსებობს დამწვრობის რისკი. ამიტომ ალექსანდრიტის ტიპის ლაზერები რეკომენდებულია მხოლოდ ღია ფერის კანის (1-3 ტიპი) და მუქი ფერის თმიანობის შემთხვევაში. პროცედურის ეფექტი ნამდვილად შთამბეჭდავია – პაციენტი ხანგრძლივი დროით თავისუფლდება არასასურველი თმიანობისაგან. ამერიკული წარმოების CANDELA-ს ალექსანდრიტის ლაზერები აღჭურვილია ყველაზე მძლავრი გაგრილების სისტემით, რაც მაქსიმალურად ამცირებს არასასიამოვნო შეგრძნებებს პროცედურის დროს და იძლევა საშუალებას, მაქსიმალურად საჭირო ენერგია იქნას გამოყენებული კანის დაზიანების გარეშე.

რაც შეეხება დიოდურ ლაზერებს (ტალღის სიგრძე 800-810 ნმ), ეს ახალი ტექნოლოგიური მიღწევების შედეგია. მისი უპირატესობა ისაა, რომ აქვს ყველა ტიპის კანზე (1-6 ტიპი) და ყველა შეფერილობის თმაზე ზემოქმედების უნარი და, ამასთან, პრაქტიკულად არ იწვევს კანის დამწვრობას. თუმცა დღემდე დიოდური ლაზერების ერთადერთი ნაკლი იყო ეპილაციის პროცედურის მტკივნეულობა, რაც დისკომფორტს უქმნიდა პაციენტს. უკანასკნელმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ეს პრობლემაც გადაჭრა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მსოფლიოში ლაზერების უმსხვილესი მწარმოებლის ALMA lasers (ისრაელი) მიერ შექმნილი ახალი დიოდური ლაზერი – SOPRANO ICE. ეს აპარატი აღჭურვილია განსაკუთრებული გაგრილების სისტემით (-3 გრადუსამდე), რაც ეპილაციის უმტკივნეულოდ ჩატარების საშუალებას იძლევა. გარდა ამ უპირატესობისა, სპეციალური პროგრამა იმპულსების უწყვეტი მოწოდების ხარჯზე უზრუნველყოფს პროცედურის ჩატარებას მოძრაობაში, ანუ in motion. პრაქტიკულად მწარმოებელმა ეპილაცია გარდაქმნა კომფორტული მასაჟის პროცედურად.

ჩვენს კლინიკაში მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ხდება ინდივიდუალურად, თითოეული პაციენტისათვის შესაფერისი ლაზერის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს თქვენს უსაფრთხოებას, კომფორტს და შედეგის ეფექტურობას.

მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, აბაშიძის 76, კლინიკა „ესთეტიკ ქორნერი“. ☎ 229-56-61

Cyan Magenta Yellow Black

თამთა შედანია და ერეკლე მანგოშვილი მალე ჯვარს დაიწერენ

თამთა: „უმძიმეს წუთებში ერეკლე ჩემი ოჯახის გვერდით დადგა, უკაცობა არ გვაგრძნობინა“

„ის საქართველო 2012“ თამთა შედანია, როგორც კი გვირგვინს სხვა ლამაზმანს გადაულოცავს, საყვარელ მამაკაცთან, ახალგაზრდა ბიზნესმენ ერეკლე მანგოშვილთან ხელს მოაწერს და პომპეზურ ქორწილსაც გადაიხდის. მანამდე კი ჯვარს დაიწერენ და ღვთის წინაშე სიყვარულის ფიცს დადებენ.

თამთამ და ერეკლემ ერთმანეთი წელიწადნახევრის წინ გაიცნეს. ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ერთმანეთში ბევრი საერთო თვისება აღმოეჩინათ. თამთამ მასში ევროპულად მოაზროვნე მამაკაცი დაინახა, რომელსაც ლამაზი ქალის გვერდით ყოფნა არ აკომპლექსებს და არც რამეს უკრძალავს. ერეკლე თამთას ჰპირდება, რომ კარიერაში ყველანაირად შეუწყობს ხელს და სამოდელო სააგენტოსაც გაუკეთებს.

ერეკლე: თამთა პირველად სილამაზის სალონში. დავინახე და მაშინვე ძალიან მომეწონა. მივხვდი, რომ მოდელი იქნებოდა. იმ დღეს არანაირი ინიციატივა არ გამომიჩენია. მეორედაც იმავე სალონში შევხვდი სრულიად დაუგეგმავად და მაშინ გამოველაპარაკე. ასე დაიწყო ყველაფერი.

თამთა: ერეკლე დავინახე თუ არა, ძალიან მომეწონა. ყურადღება იმით მიიპყრო, რომ ჩემ მიმართ არანაირი რეაქცია არ ჰქონია, წესიერად არც შემოუხედავს, თითქოს იქ არც ვყოფილიყავი. ასე დამაინტრიგა. სალონში არაფერი მიკითხავს მასზე. მერე გავიგე, რომ ჩემი წასვლის შემდეგ სტილისტებს დაუწყიათ ლაპარაკი, ვინც ვიყავი და ა.შ.

ერეკლე: სალონში მითხრეს, რომ თამთას მამა ძალიან ცუდად იყო... მიუხედავად იმისა, რომ მასზე ყველაფერი გავარკვიე და მობილური ტელეფონის ნომერიც გავიგე, არ მიმოქმედია, შესაფერის დროს დაველოდე. თამთას მამის მდგომარეობა გულთან ახლოს მივიტანე. პირველად სწორედ მამამისის მოსაკითხად დავურეკე.

თამთა: ერეკლეს ასეთი საქციელი ჩემთვის მოულოდნელი იყო. ჩვენი საუბარი ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა. იმ პერიოდში „მის საქართველოს“ კონკურსისთვის პროფაილი უნდა გადაგვეღო რაბათის ციხეში. ღამის 2 საათზე გაისმა ზარი, ერეკლე მომესალმა და მითხრა, ახალციხეში შენ სანახავად მოვდივარ და რა გინდა, წამოგიღოო.

— ახალგაცნობილი ბიჭისგან ასეთი საქციელი არ გაგიკვირდათ?

თამთა: მაშინვე გამიჩნდა კითხვა: „რატომ მოდის?“. ვფიქრობდი, ის არც ჩემი შეყვარებულია, არც — მეგობარი... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერეკლემ ბარში შეიარა და ჩემთვის და გოგოებისთვის სუში წამოიღო. თუმცა ჩამოსვლა ისე დაგვიანდა, დავურეკე, გვიანია და ვეღარ შეგხვდებიმეთქი. რა უნდა ექნა, შუა გზიდან გაბრუნდა. მეორე დღეს კი ისე ჩამოვიდა, არც კი

ეროკლე: „15 ნლიდან ვმუშაობ, შრომისმოყვარე ადამიანებს პატივს ვცემ, უსაქმურებს კი ვერ ვიტან. თამთაც პატარა ასაკიდან თავდაუზოგავად შრომობს. ესეც ერთ-ერთი თვისება იყო, რითიც მოვიხიბლე“.

გავუფრთხილებივარ. საერთოდ, ერეკლეს სიურპრიზები ძალიან უყვარს. რაღა დაგიმალოთ და, მაშინ მისი საქციელით ძალიან მოვიხიბლე.

ერეკლე: თამთას გულის მოგება ადვილი არ იყო. ჩემი მიდგომით და ტაქტიკით, მასთან საერთო ენის გამონახვა მაინც მოვახერხე.

— ალბათ ბევრი საერთოც აღმოაჩინეთ ერთმანეთში და ამასაც გაგიადვილათ ურთიერთობა.

თამთა: კი, ასე იყო. მე და ერეკლე ერთმანეთს ხასიათებით ძალიან ვგავართ. ერთნაირი გემოვნება გვაქვს, ჩემსავით რომანტიკულია.

ერეკლე: თამთაში ვხედავდი იმ ადამიანს, რომელსაც მთელ ჩემს ცხოვრებას დავუკავშირებდი. როცა ლაპარაკობს, ხანდახან მგონია, რომ ჩემს სათქმელს ამბობს და ამაზე მეტი მსგავსება რა გინდათ? უახლოესი მეგობრებიც ხშირად მეუბნებიან, რომ მე და თამთა ერთმანეთს საოცრად ვგავართ. მგონი, ის სტერეოტიპი, რომ ქართველი მამაკაცები რომანტიკულები არ არიან, დავარღვიე. თამთამაც აბსოლუტურად შეცვალა ჩემი წარმოდგენა მოდელ გოგონებზე.

— მანამდე რას ფიქრობდით მოდელებზე, რა არ მოგწონდათ მათში?

ერეკლე: ვერ წარმომედგინა, რომ მოდელს გარეგნობის მიღმა შეიძლებოდა

ერეკლე: „მსიამოვნებს, რომ ჩემი საცოლე 2012 წლის ყველაზე ლამაზი გოგოა“

სულიერი ღირებულებები ჰქონოდა. მეგონა, არაფრის გაკეთება იცოდნენ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ერთი-ორმა მოდელმა, რომლებიც თამთასგან გავიცანი, ჩემი ძველი წარმოდგენა ამ პროფესიის ადამიანებზე გაამართლა. თამთა კი აბსოლუტურად განსხვავებული, ჩამოყალიბებული ადამიანია. იცის,

თამთა: „ეროკლეს ის აქვს კომპლექსი, რომ გვერდით ლამაზი ქალი ჰყავდეს. ის ისის ტიპური ქართველი, თანამედროვე, ევროპულად მოაზროვნე ადამიანია“.

რა უნდა, რა მიზნები აქვს. ამაშიც ერთმანეთს ვგავართ. ჩემი ცხოვრება თავად „გავქაჩე“. 15 წლიდან ვმუშაობ. შრომისმოყვარე ადამიანებს პატივს ვცემ, უსაქმურებს კი ვერ ვიტან. არც ერთი ჩემი ძმაკაცი არ არის უსაქმური, ასეთები ვინც იყვნენ, ყველა ჩამოვიშორე. თამთაც პატარა ასაკიდან მარტო „ქაჩავს“, თავდაუზოგავად შრომობს. ესეც ერთ-ერთი თვისება იყო, რითიც მოვიხიბლე და დიდი ყურადღება მივაქციე.

— შეიძლება შეყვარებულები ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ რაღაცეებში ვერ გაუგონ ერთმანეორეს და აჩხუბონ. თქვენს ურთიერთობაში თუ ყოფილა მსგავსი რამ?

ერეკლე: როგორ არა! გვიჩხუბია, მაგრამ ლაპარაკით, ტაქტიანი მიდგომით ყველაფერი დალაგებულა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ შორის დიდი გაუგებრობა არასოდეს ყოფილა, ერთმანეთისთვის თეფშები არასოდეს გვისვრია.

თამთა: პრობლემას ყოველთვის საუბრით ვაგვარებთ. ბუტია არ ვარ.

ერეკლე: მაგრამ ხანდახა ხოლმე თავს... (იცინინან).

— თამთა, არის ისეთი რამ, რასაც ერეკლე გიკრძალავთ. რა მოთხოვნები აქვს მას?

თამთა: არ მახსოვს, რამე აეკრძალოს. ერეკლეს გაცნობამდე ქართველ მამაკაცებზე ცოტა სხვანაირი წარმოდგენა მქონდა. ჩემ ირგვლივ კაცებს რომ ვუყურებდი, ქალებს სულ რაღაცას უკრძალავდნენ. მეგონა, ყველა ქართველი კაცი ასეთი იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, საქართველოში ერეკლესნაირ განსხვავებულ მამაკაცს თუ ვიპოვიდი. მას არ აქვს იმის კომპლექსი, რომ გვერდით ლამაზი ქალი ჰყავდეს. არ არის ტიპური ქართველი, თანამედროვე, ევროპულად მოაზროვნე ადამიანია. ძალიან გამიმართლა.

ერეკლე: თამთა არასოდეს მაძლევს იმის საბაბს, რომ რამე ავუკრძალო. მეც მაქვს ჩემი „ხუშტურები“, ბოლოს და ბოლოს ქართველი კაცი ვარ, უბრალოდ სხვანაირად ვაზროვნებ. არ მაქვს იმის პრეტენზია, რომ თამთამ მოკლე კაბა ჩაიცვას, მაგრამ ეს არ უნდაიყოს ვულგარული. მსიამოვნებს, რომ ჩემ გვერდით ლამაზი და წარმატებული ქალი დგას. მისი თითოეული

Cyan Magenta Yellow Black

წინგადადგმული ნაბიჯით ვამაყობ. ვცდილობ, ხელი შევუწყო, რომ უფრო მეტს მიაღწიოს. თამთა რომ „მის საქართველოა“ და 2012 წლის ყველაზე ლამაზ გოგოდ აღიარეს, მაგრად მსიამოვნებს.

— თამთა ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა. ეს ხომ არ გაღიზიანებთ ან ხომ არ ეჭვიანობთ?

ერეკლე: არა, რას ამბობთ! ამას „ვქაჩავ“ და სულ „გავქაჩავ“.

თამთა: თუ გგონიათ, რომ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ერეკლე ყუ-

ეჩეკლე: „როცა თამთა ლაპარაკობს, ხანდახან მგონია, რომ ჩემს სათქმელს ამბობს. მან აბსოლუტურად შეცვალა ჩემი ნარმოდგენა მოდელ გოგონებზე. ვეჩ ნარმომედგინა, რომ მათ გარეგნობის მიღმა სულიერი ღირებულებებიც ჰქონდათ“.

რადღების ცენტრში არ ექცევა, ძალიან ცდებით.

ერეკლე: ხშირად მე უფრო ყურადღების ცენტრში ვარ, ვიდრე თამთა... (იცინიან). ამიტომაც ეს უფრო ეჭვიანობს, ვიდრე მე. ისე არ გაიგოთ, რომ თამთას ვჩრდილავ, ასეთი ამბიციურიც არ ვარ.

— ერეკლეჯ თქვენზე მეტი რამ გვიამბეთ. როგორც ვიცი, გარკვეული პერიოდი სპორტითაც იყავით დაკავებული.

ერეკლე: კი, ჯერ ფეხბურთს ვთამაშობდი, მერე ფეხზე ტრავმა მივიღე და ოპერაცია დამჭირდა. შემდეგ რაგბის თამაში დავიწყე. გერმანიაში ვცხოვრობდი, იქ დავამთავრე სპორტის აკადემია. საბოლოოდ სპორტს ჩამოვშორდი, რადგან ბიზნესს ვერ შევუთავსებდი. ერთდროულად რამდენიმე კომპანიას ვმართავ.

— თამთა, თქვენმა ოჯახმა როგორ მიიღო სასიძო?

თამთა: სამწუხაროდ, მამამ ვერ მოასწრო ერეკლეს გაცნობა და ამაზე გული ძალიან მწყდება. ერეკლე იმ მძიმე წუთებში, როცა მამა გარდაიცვალა, ჩემი ოჯახის გვერდით იდგა. დედა ხშირად აღნიშნავს, იმ პერიოდში ოჯახში უკაცობა არ მიგრძვნია. ერეკლეს უკვე ოჯახის წევრად მიიჩნევს, შვილივით უყვარს და უფრთხილდება.

ერეკლე: თამთა ჩემი ოჯახის წევრებსაც ძალიან უყვართ. დედა მესამე შვილად თვლის. მათ ურთიერთობას რომ ვუყურებ, ძალიან მიხარია.

თამთა: ერეკლეს სანათესაოსთან უფრო კარგი ურთიერთობა მაქვს, ვიდრე ჩემს ახლობლებთან. არაჩვეულებრივი და ჰყავს.

— როდის აპირებთ შეუღლებას?

ერეკლე: თამთა „მის საქართველოს“ გვირგვინს სხვას რომ გადაულოცავს, ვიქორწინებთ, ხელს მოვაწერთ და ქორწილსაც გადავიხდით.

თამთა: ჯვარს კი უახლოეს დღეებში დავიწერთ.

ერეკლე: ჯვრისწერა პოპეზური არ იქნება, საქორწილო ცერემონიალს კი მასშტაბურს ვგეგმავთ.

თამთა: ჩემი ქორწილი ბავშვობიდან მქონდა დაგეგმილი, წინასწარ ვიცი, რა უნდა ჩავიცვა, რა და როგორ უნდა გავაკეთო. მინდა, ისეთი ორიგინალური ქორწილი გვქონდეს, რომ წლების შემდეგ, როცა მე და ერეკლე დავბერდებით, ტკბილად მოვიგონოთ. ჩვენი ქორწილი მხოლოდ ჭამე, დალიე, იცეკვე და წადი სახლში — არ იქნება. სხვას არაფერს გეტყვით, მინდა, სიურპრიზი მოგიწყოთ.

— თამთა, ბავშვობის ოცნებებიდან რა ჯერ აისრულეთ?

თამთა: რაზეც ვოცნებობდი, ყველაფერი ამიხდა. ღმერთმა უხვად დამაჯილდოვა, ყველაფერი მაქვს — საყვარელი საქმე, კარგი ოჯახი და გვერდით არაჩვეულებრივი მამაკაცი, რომელიც, მგონი, ჩემს თავზე მეტად მიყვარს. ძალიან ბედნიერი ვარ.

— ხელებზე ერთმანეთის სახელები გაწერიათ. ვისი სურვილი იყო ტატუს გაკეთება?

თამთა: ჯერ მე გავიკეთე ტატუ, შემდეგ — ერეკლემ. მისი სახელი სამეფო გვირგვინზე დავაწერე, რადგან ერეკლე ჩემი მეფეა... (იცინიან).

ერეკლე: როცა ამ ტატუს ვიკეთებდი, ვფიქრობდი, ასე თამთა ყოველთვის ჩემ გვერდით იქნება-მეთქი. ხშირად მიწევს უცხოეთში საქმიან მოლაპარაკებებზე გამგზავრება და თამთა მართლაც სულ ჩემ გვერდითაა.

— თამთასაც ხშირად უწევს უცხოეთში სამუშაოდ წასვლა, განშორებებს როგორ ეგუებით?

ერეკლე: ორკვირიანი განშორებებიც კი ძალიან რთულია ჩვენთვის, ერთმანეთი

თამთა: „ჩემი ქორწილი ბავშვობიდან მქონდა დაგეგმილი, წინასწარ ვიცი, რა უნდა ჩავიცვა, რა და როგორ უნდა გავაკეთო. მინდა, ორიგინალური ქორწილი გვქონდეს და როცა დავბერდებით, ტკბილად მოვიგონოთ“.

უზომოდ გვენატრება. ვერასოდეს შევეგუები, რომ თამთა თვეობით ვერ ვნახო. ჩინეთში ორი თვით იყო წასული და კინაღამ გავგიჟდი.

თამთა: ის ორი თვე მეგონა, საკანში ვიყავი. მაშინ ვთქვი, რომ ერეკლეს გარეშე არსად გავემგზავრებოდი.

— თამთა, როგორ წარმოგიდგენიათ ცხოვრება, როცა „მის საქართველოს“ გვირგვინს მოიხსნით?

თამთა: სამოდელო კარიერას გავაგრძელებ.

ერეკლე: მინდა, თამთას თავისი სამოდელო სააგენტო გავუხსნა, რომ საყვარელი საქმე აკეთოს.

✓ ლანა კიკნაძე

სუნამო გოფრირებული სამოსისთვის

ნარფიუმერული კომპანია „ისი პარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, ხატია შამუგიამ ჟურნალისტებს იაპონელი დიზაინერის, ისი მიაკის ახალი სუნამო „პლიტს პლის“ წარუდგინა. პრეზენტაცია სუნამოსა და დიზაინერის იდეის კონცეფციით იყო მოწყობილი. საღამოს მასპინძელს, ხატია შამუგიას და მის ფრანგ სტუმარს გოფრირებული კაბები ეცვათ. დელიკატესები და კოქტეილიც სუნამოს ფერებში — სტაფილოსფერში, წითელსა და ვარდისფერში იყო გადაწყვეტილი. საღამოს ლამაზ ფონს უქმნიდა ცეკვა — გოფრირებულ ქსოვილებში გახვეული სამი ქალის იაპონური როკვა.

ქართველმა ჟურნალისტებმა ახალი არომატის სუნამო აიტაცეს. ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ისი მიაკის ბოლო კოლექციიდან გეომეტრიულფორმებიანმა ძვირფასმა ჩანთამ. პრეზენტაციაზე დამსწრე ყველა ქალბატონი სუნამოს პკურების შემდეგ ჩანთას ეტანებოდა.

— იაპონელი დიზაინერი, ისი მიაკი, მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში ქსოვილების საოცარი ხარისხით არის ცნობილი. მას მეორენაირად მოდის არქიტექტორსაც უწოდებენ. მისი ბოლო კოლექცია განსაკუთრებულად საინტერესო და შთამბეჭდავია. მხოლოდ გოფრირებული ქსოვილი გამოიყენა, რამაც კოლექცია უფრო მეტად ჰაეროვანი და ქალური გახადა. სწორედ ასეთი კოლექცია გახდა სუნამოს ისპირაციის წყაროც და ასე შეიქმნა ისი მიაკის „პლიტს პლის“, ანუ „ინებეთ გოფრე, გეთაყვა“. ბუნებრივია, „ისი პარი“ ამ მნიშვნელოვან სიახლეს გვერდს ვერ აუვლიდა და ქართველ მომხმარებელს ისი მიაკის ბოლო სიახლეს სთავაზობს. სპეციალურად ამ დღისთვის პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა კატია აკერმანი. „პლიტს პლის“ არის მხიარული, უდარდელი და ოპტიმისტური, რომელიც სიცოცხლით და ენერგიით სავსე სამყაროში გვიწევს, — ამბობს ხატია შამუგია.

✓ ავთო ჩიტაძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ფიქრია ჩიხრაძე: „დაპირება, რომ არჩევნების შემდეგ კოალიციცია დამთავრდება, ტყუილია!“

სხვა პოლიტიკური ძალებისგან განსხვავებით, „ახალი მემარჯვენეები“ საპრეზიდენტო არჩევნებს შორიდან აკვირდებიან და პირველად მათი პარტიის ისტორიაში უკვე ამომრჩევლის და დამკვირვებლის რანგში აფასებენ წინასაარჩევნო კამპანიას. პარტიის თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე პრემიერის განცხადებებსაც ეხმაურება და პარალელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ავლებს. აბობს, რომ სააკაშვილსაც ჰქონდა ისეთი განცდა, რომ ქართველი საზოგადოება არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რასაც მოითხოვს საერთაშორისო საზოგადოებრიობა და მენტალობის შეცვლაზე აკეთებდა აქცენტს. „ივანიშვილი კი ფიქრობს, რომ მის სტანდარტებზე უნდა მოვეწყოთ“, — აცხადებს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი და თავის შეფასებებსა და ანალიზს გვთავაზობს.

— ქალბატონო ფიქრია, პირველი შემთხვევაა, რომ ასეთ პასიურ მდგომარეობაში გხედავთ საარჩევნო პერიოდში.

— მართლა პირველი შემთხვევაა, რომ ამ ყველაფერს გვერდიდან, ამომრჩევლის თვალით ვუყურებ. არ მომწონს, რომ ამ საარჩევნო კამპანიამ რაღაც ახალი იდეა ვერ შემოიტანა პოლიტიკაში. ეს არის ან საპარლამენტო დაპირებების გადამღერება, ან შეუსრულებელ დაპირებებზე საუბარი. არადა არჩევნები რაღაც ახალი იდეის მატარებელი უნდა ყოფილიყო, რაც არ არის და ეს სერიოზული ხარვეზია ამ კამპანიისათვის. დაძაბულობის თვალსაზრისით კი, ნამდვილად ვერ შევადარებ წინა კამპანიებს, როცა მართლა ბრძოლის ველი იყო. კარგია, რომ ტერორი და დაპირისპირება აღარ არის, მაგრამ ჩნდება კითხვა: ეს იმან ხომ არ განაპირობა, რომ რეალური კონკურენცია არ არის და საზოგადოებამ გამარჯვებული წინასწარ იცის?

— ამბობთ, რომ გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს?

— მარგველაშვილი — არა, სახელისუფლები კანდიდატი გაიმარჯვებს, თორემ ის პერსონალურად არათუ ვერ გაიმარჯვებდა, შეიძლება სოლიდური პროცენტიც ვერ მიეღო.

ჩვენ, „მემარჯვენეები“, ვმონაწილეობთ როგორც უწყებათაშორისში, ისე საარჩევნო კომისიაში და ყველანაირად ვცდილობთ, ეს არჩევნები მოემსახუროს ერთ მნიშვნელოვან მიზანს — ვილნიუსის სამიტს. ნორმალურად ჩატარებული არჩევნები ჩვენთვის უნდა იყოს ერთგვარი ბილეთი, რომ ვილნიუსის სამიტზე საქართველომ ერთი ნაბიჯით წინ წაიწიოს და ასოცირებული ხელშეკრულების პარაფირება მოხდეს.

— ეს არჩევნები კანდიდატების რეკორდული რაოდენობითაც გამოირჩევა.

— ამან არასერიოზულობის ელფერიც შესძინა საზოგადოების თვალში და შარჟის ელემენტებიც შემოიტანა. საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევნების მიმართ გულგრილია. ეს ნიჰილიზმი იმანაც განაპირობა, რომ პირველი — კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, როგორც პრემიერი უსვამს ხაზს, მისი რჩეულია, მისი კანდიდატია და მას უნდა ენდონ, თორემ განაწყენდება. ხალხი ფიქრობს, ბიძინა ივანიშვილს ჩვენ ერთხელ მივეცით ხმა. ახლა კი გვითხრა, მე უკვე მივდივარ და ვისაც გეტყვით, იმას უნდა დაუჭიროთ მხარიო. ეს უკვე ნაკლები მოტივაციაა; მეორე — დავით ბაქრაძეს აქვს რთული მოცემულობა და ვერ განთავისუფლდება ამისგან; მესამე — ნინო ბურჯანაძე ცდილობს გაბრაზებული და პრორუსულად განწყობილი ამომრჩევლის მობილიზაციას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რომ საზოგადოებაში ნიჰილიზმი გაქრეს. შესაბამისად, ვიღებთ ასეთ მუხტს და მე თავადაც ამ მდგომარეობაში ვარ.

ის მაინც უნდა მოეხერხებინათ, რომ კამპანიის ფარგლებში კონსტიტუციის ახალი იდეა დაენახვებინათ — როგორი უნდა იყოს პრეზიდენტი და მისი ფუნქცია. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა, განსხვავებული სურათი მიგვეღო და იმაზე ელაპარაკათ, რაც საერთოდ არ შედის პრეზიდენტის უფლებამოვალეობაში.

— იმის თქმა გინდათ, რომ საარჩევნო კამპანია სიცრუეზეა აგებული?

— მარგველაშვილი გვეუბნება, რომ დაამთავრებს კოალიციას, ბურჯანაძე ამბობს, მე უფრო მაგრად დავამთავრებო, ხოლო, ვისთანაც კოალიცია უნდა დაამთავრონ, ის კანდიდატი ამბობს, მე ყველასთან ვითანამშრომლებო. თანამშრომლობის თემაში ვერ შეედავები ბაქრაძეს, პრეზიდენტს ეს ფუნქცია ნამდვილად ექნება, ის მართლაც იქნება არბიტრი, მაგრამ, რაც შეეხება კოალიციას, თუ მიხეილ სააკაშვილთან კოალიციაზეა საუბარი, ის ისედაც მთავრდება; თუ ამბობენ, რომ ნაცმოძრაობასთან, ეს ტყუილია, რადგან ამისათვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარადეს. ეს ძალა პარლამენტში არის და ვერც დააპატიმრებენ ამ ხალხს და ვერც მანდატს ჩამოართმევენ, თუ ახალი არჩევნები არ ჩატარდა, ანუ ამ ორმა ძალამ უნდა ითანამშრომლოს. ასე რომ, ეს დაპირება თავიდან ბოლომდე ტყუილია.

ბურჯანაძეც იმ გაგებით ამბობს, კოალიციას მე უფრო მაგრად დავამთავრებო, რომ დააპატიმრებს დამნაშავეებს, მაგრამ პრეზიდენტს, რომელსაც თავისი მთავრობა არ ეყოლება და არც პარლამენტში — დასაყრდენი, არანაირი ბერკეტი არ ექნება იმისთვის, რომ რაიმე მართლმსაჯულებითი ღონისძიება განახორციელოს. ამიტომ ჯობდა, ტყუილი და უსაფუძვლო დაპირებების ნაცვლად, სხვა თემები წამოეწიათ წინ. საინტერესოა ისიც, რომ ყველამ აარიდა თავი მცოცავი ოკუპაციის თემას. მაგალითად, მარგველაშვილმა ორაზროვანი განცხადებები გააკეთა, ეს არის პროვოკაცია, იქ არ ჩავალ და სიტუაციას არ გავამწვავებო. ამით გვეუბნება, რომ, როცა პრეზიდენტი გახდება, მაშინაც ასე იქნება, ანუ ხელებს დაიბანს ასეთ პრობლემებზე. არადა პრეზიდენტს სწორედ ამ ტიპის აქტივობა მართებს... ყველაფრისგან აცდენილი საარჩევნო კამპანია მივიღეთ, სადაც ვირჩევთ არა — პირველ პირებს, არამედ პირველებისგან ხელდასმულებს.

„ყველა კანდიდატმა აარიდა თავი მცოცავი ოკუპაციის თემას. მარგველაშვილმა თქვა, ეს არის პროვოკაცია, იქ არ ჩავალ და სიტუაციას არ გავამწვავებო. ამით გვითხრა, როცა პრეზიდენტი გახდება, მაშინაც ასე იქნება, ხელებს დაიბანს ასეთ პრობლემებზე. არადა პრეზიდენტს სწორედ ამ ტიპის აქტივობა მართებს".

— მერე ეს რამდენად ეჯდება დემოკრატიულ ჩარჩოებში, საითაც იკანიშვილს მიყვყავართ?

— შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი მართალია, როცა ამბობს, ჩვენ პირდაპირ მითითებებს არ ვაძლევთ პოლიციას და ადგილობრივ სტრუქტურებს, რომ ჩვენთვის სასურველი შედეგი დადონო. მაგრამ ის, რომ, თუ მარგველაშვილი 60 პროცენტს არ მიიღებს, პრემიერი ძალიან გაბრაზდება, შეიძლება მივიღოთ მითითებად ყველასთვის — შტაბებისთვის, ადგილობრივი სტრუქტურებისთვის.

— როგორ ფიქრობთ, „ოცნებას“ ამომრჩეველის 60 პროცენტი რეალურად უჭერს მხარს?

— მეეჭვება, რადგან „ოცნებამ“ ამ ერთი წლის განმავლობაში ხალხს იმედები გაუცრუა. პირდაპირ გეტყვით, ის, რაც სოფლისთვის ჩვენ გავაკეთეთ, ნაცმოძრაობამაც და „ოცნებამაც“ იდეურად გადაიღო, მერე ერთმა თანხა 4-ჯერ გაამრავლა და მეორემ — 10-ჯერ. ამომრჩეველმა გადათვალა, ეს ამაზე მეტს მპირდება, მაგრამ ეს, აუ, რამდენს მპირდებაო და, ბუნებრივია, იმას მისცა ხმა. მერე ეს დაპირება რომ არ განხორციელდა, ძალიან გაბრაზდა. ყველას ვეუბნები, რომ ნუ ბრაზდებით მხოლოდ პოლიტიკოსებზე, გაბრაზდით საკუთარ თავზეც. თუ ეს არ გავაკეთეთ, ყოველთვის ვიქნებით მოტყუებული და იმედგაცრუებული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არა მგონია, რომ „ოცნებას“ 60 პროცენტი უჭერდეს მხარს, თუმცა ისეც ხდება, როცა ახალ ძალას ერთი წელი მიჰყვება რეიტინგი.

ამ არჩევნებზე აქტივობა ნაკლები იქნება, ამიტომ ხელისუფლება შეეცდება, მხარდამჭერები საარჩევნო უბნებთან თავისი რესურსით მიიყვანოს, ამის გამოცდილება ნაცმოძრაობასაც აქვს. ასე რომ, შესაძლებელია გარკვეული პროცენტების მატება, როგორც ხელისუფლების სასარგებლოდ, ისე ნაცმოძრაობის.

„ჩვენ საკაშვილის უტაქტო საუბრები ის მოგვნონდა და ჩატომ უნდა ვიყოთ აღფრთოვანებული ივანიშვილის უტაქტობით? გვახსოვს, საკაშვილის უტაქტო ღაპარაკი, როგორ მაგალითს აძლევდა მისი გუნდის წევრებსაც, ჩომღებიც მეორე პირველი პირივით დაუნდობლები და უტაქტოები ხდებოდნენ. იმედი მაქვს, ეს „ქართული ოცნებას" ის გადაედება".

— მეორე ტური იქნება?

— საზოგადოება რომ ამაზე მსჯელობს, ეს ცუდი მოვლენა არ არის.

— პრემიერმა თქვა, თუ მეორე ტური დაინიშნება, მარგველაშვილის ადგილას ის არჩევნებში მონაწილეობაზე უარს იტყოდა. მერე ეს სიტყვები „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმაც გაიმეორა.

— და ამით დაამტკიცა, რომ დამოუკიდებელი არ არის. ამ განცხადებით ივანიშვილმა საზოგადოებას უთხრა, ნუ იქნებით პასიურებიო და ამით პარტიულ თუ სამთავრობო სტრუქტურებსაც მოუწოდა, რომ გააქტიურდნენ.

— ეს შეცარა იყო თუ გაფრთხილება?

— მე ორივე ელემენტი დავინახე — თან გაგაფრთხილე და თან დაგემუქრე, რომ შეიძლება მიხეილ სააკაშვილი დაბრუნდეს ხელისუფლებაში.

— რომელ კანდიდატს უფრო აქვს მეორე ადგილზე გასვლის შანსი?

— სოციოლოგიური კვლევების თემა ცოტა გაურკვეველია, მაგრამ ტენდენციებს მაინც აჩენს, ალბათ ისეც დალაგდება, როგორი რეიტინგებიც გამოქვეყნდა. თუმცა არჩევნებს მოულოდნელობებიც ახასიათებს. არსებობს ე.წ. ფარული ხმები და ვნახოთ, რა იქნება.

— ივანიშვილმა საპრეზიდენტო კანდიდატები, განსაკუთრებით შალვა ნათელაშვილი და გიორგი თარგამაძე არასახარბიელო კონტექსტში მოაქცია...

— ეს საერთოდ უტაქტო საქციელი იყო. ჩვენ სააკაშვილის უტაქტო საუბრები არ მოგვწონდა და რატომ უნდა ვიყოთ აღფრთოვანებული ივანიშვილის უტაქტობით? გვახსოვს, სააკაშვილის უტაქტო ლაპარაკი როგორ მაგალითს აძლევდა მისი გუნდის წევრებსაც, რომლებიც მერე პირველი პირივით დაუნდობლები და უტაქტოები ხდებოდნენ. იმედი მაქვს, ეს „ქართულ ოცნებას“ არ გადაედება. ივანიშვილი არ შეეხო პირველ-მეორე ადგილებზე მყოფ კონკურენტებს და რატომღაც უფრო დაბალ საფეხურზე მყოფ კანდიდატებს გადაუარა. მას ეს არ წაადგება და თუ ასე ფიქრობს ქართული პოლიტიკის „აღზრდას“, არ გამოუვა.

— რა იქნება, როცა პრემიერი წავა, რას ელოდებით?

— ეს არის კითხვის ნიშანი ყველასთვის და ვერც ვერაფერს გეტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ბევრს ვფიქრობ. არჩევნების შემდეგ ჩვენ გვეყოლება ახალი პრეზიდენტი, რომელსაც მეტნაკლებად ვიცნობთ და გვეყოლება ახალი პრემიერი, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი ვიცით. ადამიანზე, ვისაც ძალიან ბევრი უფლება და გავლენა ექნება, მინიმალური წარმოდგენაც არ გვაქვს. როგორც ვიცით, ამის შესახებ ინფორმაცია მმართველ გუნდსაც არ აქვს და არც იმ ადამიანს, ვის დასახელებასაც ივანიშვილი აპირებს. ანუ იმ პიროვნებამ თვითონაც არ იცის, რომ ხვალ-ზეგ ასეთი ფუნქცია დააწვება მხრებზე, რაც არასერიოზულია, აღარაფერს ვამბობ, ეს დემოკრატიასთან რამდენად ახლოს არის.

— პრემიერის სამოქალაქო სექტორში გადასვლას როგორ უყურებთ?

— ესეც ბუნდოვანია. თუ სამოქალაქო სექტორში გადასვლაში გულისხმობს, რომ მთავრობის წევრებს პერიოდულად დაიბარებს და გაკვეთილებს ჩაუტარებს... ჯერ არ გვეუბნება, ეს პროცესი თვითონ როგორ წარმოუდგენია. გვეუბნება, არჩევნების მერე გეტყვითო, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, მისი წარმოდგენები ძალიან სცდება დემოკრატიულ სტანდარტს. როცა ადამიანს აქვს ასეთი დიდი ფინანსური საშუალებები, ის ისედაც სხვა განზომილებაში ცხოვრობს და მისი წარმოდგენებიც იცვლება. ჰგონია, რომ ყველაფერი ესმის, თან — ყველაზე კარგად. შეიძლება მართლაც ესმის ვიღაცაზე მეტი რაღაც სფეროში, მაგრამ წარმოუდგენელია, ყველა სფეროში კომპეტენტური იყოს.

პრემიერს პოლიტიკაზეც ძალიან თავისებური შეხედულებები აქვს, დემოკრატიაზეც. მაგალითად, ამას წინათ თქვა, ნატო რატომ აღიზიანებს რუსეთს, ეს გასაგებია, რადგან სამხედრო კავშირია, მაგრამ ევროკავშირი რატომ აღიზიანებს, ეს ჩემს ანალიზში არ ჯდებაო. იცით, ეს როგორი „წვერებამოსული“ შეხედულებაა მსოფლიო პოლიტოლოგიაში? რუსეთს აღიზიანებს ყველა, სადაც თვითონ არ არის დომინანტი და ევროკავშირი ერთ-ერთი ასეთი გაერთიანებაა, რომელიც მის საზღვრებთან არის. ეს უნდა ესმოდეს თანამედროვე პოლიტიკაში მყოფ ადამიანს, მაგრამ, როგორც ჩანს, მის გარშემო წლების განმავლობაში ის ადამიანები იყვნენ შეკრებილი, რომელთაც ძველი წარმოდგენები ჰქონდათ პოლიტიკურ პროცესებზე.

— ამით ხაზს ამას უსვამთ, რომ შეკარდნაძის ხელისუფლების კადრები ანცეცია თავს?

— არ ვიცი, ვინ ანცევია, მას ლიტერატურაზეც თავისი წარმოდგენები აქვს, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ივანიშვილის წარმოდგენებს კვებავს მისი უსაზღვრო შესაძლებლობები და ამიტომ ვერც გადაარწმუნებ.

— ფაქტია, რომ უყვარს დებატები და თუ ძლიერი არგუმენტი გაქვს, ალბათ დაფიქრდება მაინც.

— უყვარს დებატები მხოლოდ თავისებურ შეხედულებებზე და თუ არ ეთანხმები, აღარ მოსწონს. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ მთელი 20 წლის განმავლობაში საზოგადოებამ მისებურად დავიწყოთ აზროვნება? ეს წარმოუდგენელია! მიხეილ სააკაშვილსაც ჰქონდა ასეთი განცდა, რომ ქართველი საზოგადოება არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რაც საჭიროა და მენტალობის შეცვლაზე აკეთებდა აქცენტს. ივანიშვილსაც აქვს მენტალობის შეცვლაზე პრეტენზია. სააკაშვილი ფიქრობდა, რომ საერთაშორისო სტანდარტებისკენ უნდა წავეყვანეთ. ივანიშვილი კი ფიქრობს, რომ მის სტანდარტებზე უნდა ავეწყოთ. ერთიც შეცდომაა და მეორეც, რადგან საზოგადოებას აქვს თავისი განვითარების ლოგიკა. მივცეთ თავისუფლება და საზოგადოება თვითონ იპოვის გზას. შეუძლია ფინანსურად დაეხმაროს სამოქალაქო სექტორს, განათლება დააფინანსოს, ამაზე დიდ სამსახურს ვერ გაუწევს ქვეყანას, მაგრამ მეეჭვება, რომ ამ მიმართულებით წავიდეს. გვითხრა, რომ სახალისო 20 წელი გველოდება და ვერ გეტყვით, ხალისი რასთან იქნება დაკავშირებული.

„არჩევნების შემდეგ ჩვენ გვეყოლება ახალი პრემიერი, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი ვიცით. ადამიანზე, ვისაც ძალიან ბევრი უფლება და გავლენა ექნება, მინიმალური წარმოდგენაც არ გვაქვს. როგორც ვიცით, ამის შესახებ ინფორმაცია მმართველ გუნდსაც არ აქვს და არც იმ ადამიანს, ვის დასახელებასაც ივანიშვილი აპირებს. ანუ იმ პიროვნებამ თვითონაც არ იცის, რომ ხვალ-ზეგ ასეთი ფუნქცია დააწვება მხრებზე, რაც არასერიოზულია, აღარაფერს ვამბობ, ეს დემოკრატიასთან რამდენად ახლოს არის.

— პრემიერის სამოქალაქო სექტორში გადასვლას როგორ უყურებთ?

მამუკა არეშიძე:

„27 ოქტომბრის შემდეგ „ოცნება“ უპატრონოდ დარჩება“

ჟურნალისტების შემდეგ საქართველოს პრემიერმინისტრმა შეხვედრა გაზეთებისა და რადიოების რედაქტორებთან ისურვა. ექსპერტების უმრავლესობა თანხმდება იმაში, რომ პრემიერმა ეს შეხვედრა, სადაც, წინა ორისგან განსხვავებით, თავისი სიმართლის დამტკიცება არ უცდია, იმისთვის გამოიყენა, რომ ამომრჩევლის მობილიზაცია მოეხდინა. მაგრამ კონსტრუქციულობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა და პრეზიდენტობის კანდიდატებზე საუბრისას შალვა ნათელაშვილს — მასხარა, გიორგი თარგამაძეს კი მოღალატის ეტალონი უწოდა. ყველაზე მოულოდნელი კი მისი განაცხადი აღმოჩნდა — იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების მეორე ტურის საჭიროება დადგება, გიორგი მარგველაშვილს ვურჩევდი, მასში მონაწილეობა არ მიიღოსო. ექსპერტი მამუკა არეშიძე პრემიერმინისტრისა და ჟურნალისტების შეხვედრას აფასებს და იმ დღეს გაკეთებულ მთავარ მესიჯებზე გვესაუბრება. თვლის, რომ სამი შეხვედრიდან ორი რომ მედიას დაეთმო, ეს უკვე რაღაცის მანიშნებელია, მაგრამ რისი?

მამუკა არეშიძე, ექსპერტი:

— ხელისუფლება კარგად ხედავს მედიის ძალას და ამიტომაცაა, რომ სამი შეხვედრიდან ორი მედიას დაეთმო, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ორი შეხვედრა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. თუ პირველი შეხვედრის დროს ცდილობდა, თავისი სიმართლე დაემტკიცებინა და ეს გამოეყენებინა საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, მეორე შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტული ამოცანა ჰქონდა — გამოეყენებინა არჩევნების და მარგველაშვილის პროპაგანდისთვის. ერთ ნიუანსზე მინდა ყურადღების გამახვილება. ზოგიერთი კანდიდატის მიმართ რა გამოთქმაც იხმარა პრემიერმა, ეს საჭირო არ იყო. თუმცა გასაკვირი არ იყო, რადგან თავისი პირდაპირობით არის ცნობილი. ის არ გახლავთ პოლიტიკოსი და პოლიტიკური ფრაზეოლოგია მისთვის უცხოა. ამიტომაც არ გამკვირვებია მისი ნათქვამი, თუმცა ვთვლი, რომ ეს არ უნდა გაეკეთებინა. თარგამაძემ რომ იჩივლოს, დადებით რეზულტატსაც მიიღებს.

რაც შეეხება მის ნათქვამს მეორე ტურზე, ეს არის პოლიტიკური თამაშის წესები. სურს, დაამტკიცოს, რომ არამარტო შენარჩუნებული აქვს წინა არჩევნების მაჩვენებელი, არამედ გაზრდილიც. ეს — ერთი და მეორე, არ უნდა, რომ მიხეილ სააკაშვილი წავიდეს ვილნიუსის სამიტზე. მართალია, ეს არ უხსენებია, მაგრამ მისი განწყობები ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, მან მოუწოდა მერყევ ამომრჩევლებს, რომ გადაწყვეტილება სწრაფად მიიღონ. სხვებს კი უთხრა, →18

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

რომ არ იზარმაცონ და არჩევნებზე წავიდნენ. ზოგიერთი ჩვენი მომხრე ფიქრობს, მაინც მოვიგებთ და რატომ მივიდეო, ამიტომ ეს იყო ამომრჩევლის დარწმუნება და, მეორე მხრივ, მობილიზება.

— ეს გასაგებია, მაგრამ იმის თქმა, გიორგი მარგველაშვილი რომ ვიყო, მეორე ტურში აღარ მივიღებდი მონაწილეობასო, რამდენად მისაღებია?

— მარგველაშვილმა 49 პროცენტი რომ აიღოს, მოწინააღმდეგემ — 15 პროცენტი და მარგველაშვილმა უარი განაცხადოს მეორე ტურში მონაწილეობაზე, ეს იქნება ნონსენსი! პრემიერს აქვს უფლება, რომ ასეთი განცხადება გააკეთოს, მაგრამ მარგველაშვილს მართლა არ ჰქონდა უფლება, ეთქვა, მონაწილეობას აღარ მივიღებო. პრემიერის მხრიდან კი ეს იყო პიარსვლა.

— მარგველაშვილმა ეს პოზიცია ორჯერ გააჟღერა, მას შემდეგაც, რაც დავით უსუფაშვილმა მდგომარეობის გამოსწორება სცადა.

— ეს იქნება სისულელე! ისე, გააჩნია პროცენტსაც. თუ 30 პროცენტს აიღებს, გასაგები იქნება, მაგრამ, თუ 49 პროცენტმა დაუჭირა მხარი, მაშინ უარის თქმა სისულელე იქნება.

— ბევრმა ეს განცხადება გაფრთხილებად შეაფასა, ბევრმა კი — მუქარად, თუ ჩემს კანდიდატს მხარს არ დაუჭერთ, ფულს საქართველოში აღარ დაგხარჯავო.

— მესმის, რომ ყველაფრის მიღმა შეიძლება სხვადასხვა ტიპის დასკვნების გამოტანა, მაგრამ ვთვლი, რომ ჩემი მოსაზრება არის სწორი. ხომ შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ იგულისხმა, თუ გინდათ, ქვეყანა ფეხზე დავაყენო, მხარი უნდა დამიჭიროთო.

— რამდენად სწორია, კანდიდატმა ის აკეთოს, რასაც პრემიერი ეტყვის? ან რამდენად ჯდება ეს დემოკრატიის ჩარჩოებში?

— დემოკრატია არის მყარ საფუძველზე აგებული ეფემერული იდეა. დემოკრატიული წყობა არის ხალხის მიერ მართული სახელმწიფო. ეს არის მყარი თეზისი, მაგრამ შეიძლება — იმპროვიზაცია. ვიმეორებ, შეიძლება ვიღაცას მოსწონდეს ივანიშვილის ნათქვამები, ვიღაცას — არა, მაგრამ ეს პრემიერი აირჩია ხალხმა უდიდესი უმრავლესობით. ამიტომ მის გამონათქვამებზე საუბარი სწორად არ მიმაჩნია.

— მაშინ როგორ აფასებთ საარჩევნო კამპანიას?

— საკმაოდ მდორედ მიდის და ტრადიციული აჟიოტაჟი არ ახლავს თან. ეს გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით. ერთი — საზოგადოების დიდი ნაწილი აცნობიერებს, რომ პრეზიდენტი ფრთებშეკვეცილი ფიგურაა და დიდი გავლენები არ ექნება და მეორე, საზოგადოებაში არის გაღიზიანება, რადგან ძირითადი დაპირებები, რომლებიც გავეცით და მათ შორის — მეც, ვერ სრულდება. განსაკუთრებით ეს ეხება სამართლიანობის აღდგენას და ადამიანებისთვის ღირსების დაბრუნებას, თორემ ეკონომიკა ერთ წელიწადში რომ ვერ აღორძინდებოდა, ფაქტია. მე თუ ვეკამათები და ოპონირებას ვუწევ ხელისუფლებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ეკონომიკის განვითარებისთვის მყარი საფუძველი უნდა ჩაყრილიყო.

მთავარი, რაც საზოგადოებას აწუხებს, არის სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომელიც არის არა — დამუხრუჭებული, არამედ გაჩერებული. ეს მე გულზე მხვდება და ასევე საზოგადოების დიდ ნაწილს. ხალხს შეუძლია გაიგოს, რომ დასავლეთიდან არსებობს გარკვეული ზეწოლა და ასევე პრობლემები ბიუჯეტთან დაკავშირებით, რომ ქონების დაბრუნების პროცესი დაიწყოს, მაგრამ არსებობს სხვა გარემოებები, რომელთა შესრულების მიმართ კანონის გამოყენება იქნებოდა აბსოლუტურად თავისუფალი. მაგალითად, ავიღოთ პოლიციის უფროსის, ლაშა ბრეგვაძის თემა, რომელიც ყოფილმა პატიმრებმა სცემეს. ვვარაუდობდი, რომ ასეთი ტიპის რაღაც მოხდებოდა: კაცი, რომელიც საშინელი სისასტიკით ექცეოდა პატიმრებს, დაისჯებოდა. პასუხი უნდა აგოს არამარტო ბრძანების გამცემმა, არამედ შემსრულებელმაც. არგუმენტი, რომ ის სისტემის მსხვერპლია, ჩემთვის არაფერს ნიშნავს.

„მე მჯერა მარგველაშვილის გულწრფელობის, მაგრამ არ მჯერა, რომ კაბინეტაცია დამთავრდება. ჩვენი პარლამენტის ბევრი დეპუტატი თუ პოლიტიკოსი კაბინეტაციის რეჟიმიდან გადავიდა წილების გადანაწილების და ჩახუტების რეჟიმში“.

— ანუ მაანაშენებთ, რომ, თუ ხელისუფლება არ აღასრულებს სამართალს, ამას ხალხი თავად გააკეთებს და ეს ამის კონკრეტული მაგალითია?

— რასაკვირველია, ეს უკვე მერამდენე ფაქტია. ჩემმა ერთმა ნაცნობმა პოლიტპატიმარმა უკვე ორჯერ სცემა პროკურორი, რომელმაც მას უკანონოდ მიუსაჯა პატიმრობა და ეს პროკურორი დღემდე თანამდებობაზეა.

— „ოცნება“ ამის საპასუხოდ ამბობს, მტკიცებულებების გარეშე ხელს არაფის ვახლებთ, ნაცმოძრაობას არ დავემსგავსებითო.

— რა მტკიცებულებები უნდა, ლაშა ბრეგვაძის წინააღმდეგ შეტანილია სამი საჩივარი, სადაც წერია, როგორ აწამებდა ხალხს. პლუს, მის წინააღმდეგ საჩივარი აქვთ შეტანილი წითელ ჯვარს და ევროკავშირის დამკვირვებლებსაც.

— გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ 27 ოქტომბერს კაბინეტაცია დამთავრდება და ასეთი საქმეების გადაწყვეტაც დაჩქარდება.

— მე მჯერა მარგველაშვილის გულწრფელობის, მაგრამ არ მჯერა, რომ კაბინეტავცია დასრულდება, რადგან ჩვენი პარლამენტის ბევრი დეპუტატი თუ პოლიტიკოსი კაბინეტაციის რეჟიმიდან გადავიდა წილების გადანაწილების და ჩახუტების რეჟიმში. პრემიერმა შეიძლება ბევრი რამ არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რადგან ისეთი ფორმა აქვს ამ ყველაფერს, არ ყვირის, მაგრამ ჩვენთვის ხომ ცნობილია? ჩემთვის ძალიან გამაღიზიანებელია, რომ წელს მასობრივად დაიწყო გარდაბნის რაიონის ყოფილი ზონდერჯგუფების წევრების მიღება კონსერვატიულ პარტიაში. თან მათი, რომლებიც პირადად მე მებრძოდნენ საშინელი ფორმებით. მათ ჩვენი შტაბის უფროსის მოადგილეს სახეში ქიმიური ნივთიერება შეასხეს და ახალგაზრდა კაცი დააბრმავეს. დამნაშავეები კი არ დასჯილან და, უფრო მეტიც, კონსერვატიული პარტიის წევრები გახდნენ. კიდევ კარგი, დროულად გააჩერა პროცესი კონსერვატორების ხელმძღვანელობამ და ზოგიერთი გამოუშვეს, მაგრამ ხომ ხდებოდა ასეთი რამ? ეს პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ხდება ფინანსური გარიგებებიც და ამის შემდეგ ძალიან რთულია კაბინეტაციის დამთავრება იმ მეთოდით, რისი იმედიც საზოგადოებას ჰქონდა.

— ბურჯანაძე რომ გაპირდება კაბინეტაციის დამთავრებას, ამის გაკეთებას როგორ შეძლებს?

— ვერ შეძლებს, პრეზიდენტის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა. მარგველაშვილს, როგორც ამ გუნდის წევრს, კიდევ შეუძლია ზემოქმედება, მაგრამ ბურჯანაძე ამას მხოლოდ თუ ილაპარაკებს, არა — როგორც პრეზიდენტი, არამედ როგორც პოლიტიკოსი.

— როგორ დალაგდება პოლიტიკური ცხოვრება მას შემდეგ, რაც პრემიერი პოლიტიკიდან წავა?

— რთული თემაა, ზოგს მოსწონს მისი გადაწყვეტილება, ზოგს — არა, მაგრამ ბევრი არ ფიქრობს, რომ პრემიერი მიდის პარტიის ხელმძღვანელის პოსტიდანაც. სამოქალაქო სექტორში მყოფი ივანიშვილი კი გაუწევს კონტროლს სახელმწიფო მშენებლობას, მაგრამ პარტიის მშენებლობაში არ ჩაერევა, ამის გარანტიას გაძლევთ. ასე რომ, „ოცნება“ საერთოდ უპატრონოდ დარჩება და არ ვიცი, მას ხვალ და ზეგ რა ბედი ელის. ისედაც ძლიერი კონკურენცია იქნება ადგილობრივი არჩევნების წინ და სულ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან პარტია „ქართული ოცნება“ კოალიციაში ვერ იქნება ძლიერი კონკურენტი სხვა პარტიებისთვის.

— ქაოსს მართლა მოელით?

— სწორედ ამაზე მეკამათა პრემიერი შეხვედრაზე, ქაოსი რატომ მოხდებაო. ეტყობა, ჩვენ ეს სიტყვა სხვადასხვანაირად გვესმის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ქაოსი აუცილებლად სამოქალაქო ომს ნიშნავს, ასე არ არის. ქაოსი ის არის, როცა მოშლილია ცენტრალური სახელისუფლებო და პარტიული ვერტიკალი. და ყველა ცდილობს, სიტუაცია სათავისოდ გამოიყენოს.

— სწორედ აქედან იწყება დიდი ქაოსიც.

— მეც ამას ვვარაუდობ. ვირტუალური სურათი ასეთია: გვყავს პრეზიდენტი და არაპოლიტიკოსი პრემიერი, ანუ ფიგურა, რომელიც პირველ ეტაპზე მაინც იქნება მართული. ეს უკვე ნიშნავს, რომ პრემიერის თანამდებობაზე მყოფმა გზადაგზა უნდა ისწავლოს ეს საქმე, ეს ხომ ძალიან რთულია და პლუს ამას კოალიციაში შიდა კონკურენცია ემატება პარტიებს შორის. აქედან გამომდინარე ვვარაუდობ, რომ გველოდება დაძაბული 5-6 თვე, რაც ქაოსის შექმნას შეუწყობს ხელს. ძნელი სათქმელია, ძალოვანი სტრუქტურები ამას რამდენად გაუმკვლავდებიან.

— კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლასაც ვარაუდობთ?

— არა, შეიძლება არ დაიშალოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემები არ იქნება. რეგიონებში ძალიან არამყარი მდგომარეობაა. ბევრგან სერიოზული უკმაყოფილებაა, რადგან ისინი, ვინც თავი გადადეს „ოცნებისთვის“, გარეთ დარჩნენ. ისინი გავლენიანი ადამიანები არიან რეგიონებში და ამ გავლენების დაბრუნებას მოინდომებენ. ვიცი, რომ გარდაბანში „ოცნების“ ის ფრთა, რომელიც ხელდასმულია ცენტრალური ოფისის მიერ, არჩევნებს ვერ მოიგებს. ასეა ბევრ სხვა რაიონშიც.

— ეს შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნებზეც მოხდეს?

— ამ არჩევნებზე — არა, რადგან ერთ კაცს ირჩევენ, მაგრამ თვითმმართველობის არჩევნებზე ეს აუცილებლად აისახება.

— ისე, მართლა აქვს ვითომ „ოცნებას“ 60 პროცენტი?

— არ ვიცი, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მარგველაშვილი მოიგებს. და თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მეორე ადგილზე ნინო ბურჯანაძე გავა.

Cyan Magenta Yellow Black

ვახტანგ ძაბირაძე: „ნაცმოძრაობას 200-230 ათასი ხმა ჯიბეში უდევს“

«ერთ წელიწადში ივანიშვილს მთავრობაზე გავლენა აღარ ექნება»

არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღე რჩება, მაგრამ საზოგადოებაში საარჩევნო განწყობა ისევ არ შეინიშნება. მოსახლეობის ინდიფერენტულობას „ქართული ოცნებაც“ აღიარებს და ამომრჩეველს მოტივაცია რომ გაუჩინოს, პრემიერმა ჯერ პირველ ტურში მარგველაშვილის აუცილებელ გამარჯვებაზე ილაპარაკა, მერე კი პირადად ჩაერთო საარჩევნო კამპანიაში. რატომ დასჭირდა „ქართულ ოცნებას“ არჩევნების მობილიზაციაზე ზრუნვა, ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე განმარტავს.

ვახტანგ ძაბირაძე:

— დღევანდელი საარჩევნო კამპანია ნამდვილად განსხვავდება ყველა წინასგან. რამდენიმე დღეში არჩევნები რომ უნდა ჩატარდეს, საზოგადოებაში თითქმის არ იგრძნობა. ხალხი მშვიდად ხვდება ამ არჩევნებს.

— ეს სამშვიდეა თუ ინდიფერენტულობა?

— ალბათ ორივეა და ამას ყველაზე უკეთ გრძნობს ის, ვინც ჩართულია საარჩევნო კამპანიაში. ამ შემთხვევაში „ქართული ოცნებას“ ვგულისხმობ. ის, რაც ბოლო დროს ითქვა, თუ პირველ ტურში 60 პროცენტით ვერ გავიმარჯვებთო და ასე შემდეგ, მიმართულია სწორედ იმისკენ, რომ საზოგადოება გამოიყვანონ ინდიფერენტული მდგომარეობიდან. სამი ძირითადი კანდიდატიდან — მარგველაშვილი, ბურჯანაძე, ბაქრაძე, საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება ყველაზე მეტად „ოცნების“ კანდიდატს უჭირს. ბაქრაძე და ნაციონალები დაკრისტალებული ძალაა, რომლებიც კულისებში მუშაობენ. მათ აქვთ დიდი ფინანსები და კარგადაც იყენებენ. მშვენიერი საარჩევნო ინფრასტრუქტურა აქვთ. მათ იციან, რომ ნაცებისთვის მხარდაჭერა ჩვეულებრივ მოქალაქეებში გაღიზიანებას იწვევს, ამიტომ ჩუმად არიან. ამ მხრივ, ნაცმოძრაობა ძალიან მაგონებს კომუნისტებს 1990 წელს. მაშინ არავის ეგონა, რომ 9 აპრილიდან ერთი წლის შემდეგ ხმებს თუ მიიღებდნენ, მაგრამ 30 პროცენტი აიღეს.

ასეთივე მოტივირებულია ბურჯანაძე და მისი ამომრჩეველი. რამდენად აქვს საფუძველი მის განცხადებებს სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, ეს სხვა საკითხია. მისი მხარდამჭერების რიცხვს ემატება „ოცნების“ მიმართ განაწყენებული ადამიანები, რომლებიც ასევე მოტივირებული არიან, საარჩევნო უბნებზე მივიდნენ. თან ბურჯანაძე აცხადებს, რომ გამარჯვებისთვის იბრძვის და არა — მეორე ადგილისთვის. ამიტომაც ჩაერთო პრემიერი საარჩევნო კამპანიაში და თქვა, თუ პირველ ტურში არ გაიმარჯვებს მარგველაშვილი, ისევ ბაქრაძე და ბურჯანაძეო დაგრჩებათო.

— რამდენად სწორი იყო ამ განცხადების გაკეთება?

— გამიკვირდა, რომ ჩემთვის პატივსაცემმა არასამთავრობოებმაც კი ეს შეაფასეს, როგორც ზეწოლა. ზეწოლა იქნებოდა, რომ ივანიშვილს აემუშავებინა ბერკეტები შედეგის დასადგომად. რატომ არის ეს ზეწოლა და არა — პიარი?

— ფიქრობთ, ყველაფერი მართლაც პირველი ტურით დამთავრდება?

— რა თქმა უნდა და შეიძლება, მარგველაშვილმა 60 პროცენტზე მეტიც მიიღოს.

— თუ სოციალიზმურ გამოკვლევებს გადავხედავთ, 60 პროცენტი ძალიან ბევრია.

— კი, გასაგებია, მაგრამ საქართველოში არჩევნების ბედი წყდება ბოლო 2 კვირაში. სააკაშვილმა არჩევნები მოიგო ბოლო 2 კვირაში — ბათუმის ამბებით, „ოცნებამაც“ ასევე — ციხეში წამების კადრებით და ახლა ივანიშვილმა ხელოვნურად პირველი ტურის თემა „შემოაგდო“, რომელიც იქნება გარდამტეხი.

— როგორ შეაფასებთ პრემიერის მხრიდან „მაესტროს“ და მისი წამყვანების კრიტიკას, თარგამაძის — მოდალატედ და ნათელაშვილის მასხარად გამოცხადებას?

— არ მახსოვს — რომელმა, მაგრამ ამერიკის ერთ-ერთმა პრეზიდენტმაც ჟურნალისტებს უთხრა, ძალიან არ მიყვარხართ, მაგრამ ყველაფერს ვიზამ, რომ თქვენი უფლებები დავიცვაო. ანუ ივანიშვილი ექსტრაორდინარულს არაფერს აკეთებს.

რაც შეეხება პოლიტიკოსებს, ივანიშვილმა თქვა, ჩემი წარმოდგენით, ასე არისო. არა მგონია, რომ ამით თარგამაძემ ხმები დაკარგა ან მოემატა, არც არავის დაუჭერიატელეკომპანია „იმედში“ საათნახევარი ამტკიცებდა, ასე არ არისო. ადვოკატებმა ურჩიეს, ნუ შეიტან სარჩელსო. მაშინ მირჩიონ, რა ვქნაო, იკითხა. ისე, პირველად არ გაუგონია, რაც ივანიშვილმა თქვა. თავის დროზე იმავე ბრალდებებით იყო პრესა აჭრელებული. ითხოვს, ჩატარდეს ძიება, მაგრამ საქართველო ისეთი ქვეყანაა, შეიძლება, მის გარდა, არც არავის აძლევდეს ხელს ძიების ჩატარება. ამიტომ ჯობია, რა ტონალობაში თქვა ივანიშვილმა, იმავეთი უპასუხოს. ნათელაშვილის მიმართაც იგივე სიტუაციაა.

— მაგრამ პრემიერს არაფერი უთქვამს ბაქრაძეზე, ბურჯანაძეზე პირიქით, ნაციონალებში პროფესიონალები არიანო, აღნიშნა.

— მას რომ ბურჯანაძესა და ბაქრაძეზე ასე ელაპარაკა, ეს იქნებოდა ძალიან ცუდი და შეტევა უშუალო კონკურენტზე. მგონი, არ არსებობს საქართველოში კაცი, რომელიც ვერ აცნობიერებდეს, რომ თარგამეძეს და ნათელაშვილს მეორე ტურში გასვლის შანსი არ აქვთ. ამიტომ მათ მიმართ ასეთი განცხადება არაკორექტული იყო, მაგრამ ვერ განვიხილავ, როგორც კონკურენტზე თავდასხმას. მე სხვა რამეს გეტყვით, ივანიშვილის ნაცვლად, სხვას რომ გაეკეთებინა იგივე განცხადება, მისი რეიტინგი ნულის ტოლი იქნებოდა. მაგრამ ივანიშვილმა მოსვლისთანავე ასეთი პოლიტიკური იმიჯი შეიქმნა — მე ვარ გულღია, მე არ ვარ პოლიტიკოსი, არ ვიცი დაფარული საუბრები. ამ იმიჯით მიიღო ის საზოგადოებამ და ასეთიც მიდის.

— არა, არ მიდის, გადადის.

— სიმართლე გითხრათ, არა მგონია, სერიოზული იყოს, საზოგადოებრივი სექტორიდან აკონტროლო მთავრობა, როცა საკონტროლო მექანიზმები არ გაქვს. შეიძლება რაღაც ინერციით ექვსი თვე ივანიშვილის ქარიზმა გაჰყვეს ამ ხელისუფლებას და ხელისუფლებაში მყოფი წევრებისთვის ივანიშვილი იყოს რაღაცა, მაგრამ ექვს თვეში ეს დაშორება გაიზრდება და, მაქსიმუმი, მომავალი წლის ამ დროს ივანიშვილის გავლენა ზუსტად ისეთივე იქნება მთავრობაზე, როგორც ჩვენ გვაქვს ახლა.

— რამდენადაც მოცხადდა, მეორე ადგილზე ნაცმოძრაობას ვარაუდობთ.

— თუმცა მინდა, რომ ბურჯანაძე გავიდეს მეორეზე. ვიქნებოდი ნეიტრალური, რომ არა ნაციონალების ყრილობა. ამით თქვეს, ჩვენ ვიყავით, ვართ და ისევ ვიქნებითო. მგონია, რომ ბურჯანაძის რეიტინგი იზრდება, მაგრამ ნაცმოძრაობას 200-230 ათასი ხმა ჯიბეში უდევს და მან ამაზე მეტი უნდა მიიღოს.

— არაკლი ალასანია უკვე ალაპარაკდა საბოტაჟზე, უკვე დაიწყო აქტიური მზადება პასტიყანიშვილის პერიოდისთვის?

— გამორიცხულია, ეს არ მოხდეს. როგორ წარმოგიდგენიათ, 6 პარტიას ადგილობრივ არჩევნებზე კონკურენცია არ ექნება? შეიძლება უმრავლესობა არ დაიშალოს, მაგრამ გადაჯგუფება აუცილებლად მოხდება.

— გკითხეთ და არ მიპასუხეთ, რატომ ახსენა პრემიერმა ნაციონალების კარგი კადრები.

— ამ თემაზე უნდა ეფიქრა მაშინ, როცა საპარლამენტო სიას ადგენდა. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ამ პარლამენტს სხვანაირად უყურებს — როგორ, კაცო, რეიგანი არ იყო მსახიობი? კი, იყო, მაგრამ სანამ მსახიობი გახდებოდა, გუბერნატორიგახლდათ. ანუ გარკვეული გზა გაიარა. პოლიტიკა არ შეიძლება ადამიანს ასწავლო, რადგან პოლიტიკა შედგება უამრავი დეტალისგან, რომელიც პოლიტიკური პროცესის გააზრებას მოითხოვს. ეს პროცესი არ არის სტატიკური, სულ დინამიკაშია. მან ხალხი შეიყვანა, რომლებიც მხოლოდ სხედან, ამ დროს კი ნაციონალურმა მოძრაობამ შეიყვანა ხალხი, რომლებმაც ეს ნიუანსები იციან. ლაპარაკი შეუძლიათ და ისიც კარგადგაეგებათ, ყური საითკენ მოაბან ქოთანს.

— რისი თქმა უნდოდა ამით ივანიშვილს?

— ანუ ბურჯანაძეს ხომ არ ურჩევნია ნაციონალები მეორე ადგილზეო? რომ არა დასავლეთიდან ზეწოლა, კოაბიტაციის თემას ივანიშვილი ძალიან სწარაფად დაამთავრებდა, მაგრამ იქ სხვა პრობლემებია კიდევ. ეს მას 2011 უკვე უნდა სცოდნოდა. შევარდნაძე რომ გადადგა, რუსეთის საგარეო მინისტრი ჩამოვიდა თბილისში, ანუ შევარდნაძემ ვაშინგტონიდანაც მიიღო გარანტიები და მოსკოვიდანაც, მერე წავიდა. სააკაშვილმა ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ვერაფერი ქნა, რადგან იძულებული იყო, მათთვის ანგარიში გაეწია. კი, ჩვენ მართლები ვართ, მაგრამ მაშინ უნდა წავიდეთ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ. ტყუილად ჰგონია ვინმეს, რომ სააკაშვილის გასამართლებას მოსკოვი დაუჭერს მხარს. ეს სულ სხვა სფეროა, სხვა თამაშია. შეიძლება, ჩვენ გარდა, არც არავის უნდოდეს იმის გარკვევა, რეალურად ცხინვალში რა მოხდა, იმიტომაც ვართ მარტო დარჩენილები და ამ მხრივ, ვერც ერთ ნაბიჯს წინ ვერ ვდგამთ. ჩვენი საზოგადოება მოითხოვს, კოაბიტაცია დასრულდეს, დასავლეთს არ უნდა, მაგრამ, თუ ნაცმოძრაობა დაკარგავს რეიტინგს, მეტი საშუალება ექნება ხელისუფლებას, ეს კოაბიტაცია დაასრულოს.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა**
მანანა გეგიამ

Cyan Magenta Yellow Black

„მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობაზე შურრი იძია!“

როგორ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა თურქეთში მცხოვრებმა 10 000-ზე მეტმა ეთნიკურმა ქართველმა

„საქართველოს პრეზიდენტი მაჭახელას რაიონში იმყოფებოდა. მიხეილ სააკაშვილი სოფელ ჯიმითში მცხოვრებ წარმოშობით ქართულ მოსახლეობას შეხვდა. პრეზიდენტის განცხადებით, თურქეთის ათასობით მოქალაქემ ორმაგი მოქალაქეობა უკვე მიიღო. უახლოეს დღეებში კი ორმაგ მოქალაქეობას კიდევ 10 000 მოქალაქე მიიღებს“ — ეს ინფორმაცია „რუსთავი 2“-ის ეთერში, საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ 18 ოქტომბერს გაჟღერდა.

■ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან

ვის მისცა პრეზიდენტობის ბოლო კვირაში მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა და რა მიზნებით, ჯერჯერობით გაურკვეველია. აღნიშნული ინფორმაცია „რუსთავი 2“-მა ზარ-ზეიმით ამცნო საზოგადოებას და ამ ფაქტს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია არც მთავრობის და არც რომელიმე არასამთავრობო თუ სხვა ორგანიზაციის მხრიდან.

სავარაუდოდ, პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა ჩვენი ქვეყნიდან 1944 წელს თურქეთში გადასახლებულ ე.წ. თურქ მესხებს მისცა. 1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრებისას საქართველომ მათი რეპატრიაციის საკანონმდებლო ბაზის მომზადებისთვის ვალდებულება აიღო. 2007 წელს ქვეყანამ, ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე, საქართველოდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ კანონი მიიღო. მასში გაწერილი სამართლებრივი მექანიზმებით, „თურქ მესხებს“ შეუძლიათ, ჯერ — სტატუსი და შემდეგ მოქალაქეობა მიიღონ.

გასული საუკუნის 40-იან წლებში გადასახლებული მოქალაქეების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებას ადგილობრივი მოსახლეობა სასტიკად ეწინააღმდეგება. მათი ჩამოსახლება ქვეყანაში სხვა პრობლემებსაც შექმნის. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ იკავებდა თავს მათი რეპატრიაციისაგან ნაციონალების ხელისუფლება მთავრობაში ყოფნის პერიოდში. ახლა კი, ერთი ხელის მოსმით, ადამიანები, რომელთა ვინაობაც კარგად არ არის შესწავლილი, ერთბაშად საქართველოს მოქალაქეები ხდებიან!

„ეს არის პრეზიდენტის შურისძიება საქართველოზე. მე ამ საქციელს პრეზიდენტის მძიმე გაიძვერობას ვუწოდებდი“, — ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი, არჩილ გამზარდია „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე. ბატონი არჩილი საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების დუმილის მიზეზებზეც გვესაუბრა.

— ბატონო არჩილ, რატომ თქვით, რომ ეს არის სააკაშვილის შურისძიება ქართული ხალხის მიმართ?

„იმ 10 000-ში ვინ არის ქართული წარმოშობის და ვინ – არა, არავინ იცის. მათ შორის მართლაც არიან ისეთები, რომლებმაც ქართული იციან, უყვართ ჩვენი ქვეყანა და სხვებთან ერთად მათი ჩასმაც კი არასწორია. ჩვენ გვაქვს უფლება, გვქონდეს ინფორმაცია, ვის მისცა საქართველოს მოქალაქეობა და ვინ ჩამოდის. ეს პროცესი კი ბუნდოვანი და დახურულია“.

— არის საკითხები, რომლებიც წლების განმავლობაში ფაქიზ თემებად ითვლებოდა. მიუხედავად უფლებამოსილებისა, ქვეყნის პირველ პირებსაც კი საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე არ აქვთ მორალური უფლება, რომ ასეთ თემებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიიღონ. ქართული წარმომავლობის ე.წ. თურქი მესხების საქართველოში დასახლების საკითხი წლების განმავლობაში ფაქიზი თემა იყო, რადგან ეს ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. სადაოა, როგორ უნდა განთავსდნენ ისინი — უნდა ჰქონდეთ კომპაქტური დასახლებები, უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი მთლიანად ქართულ გარემოში, გაბნეულები — ერთ ადგილას ორი ოჯახი, მეორე ადგილას — ორი და ა.შ. თუ სხვაგვარად. როცა ლაპარაკია თავის დროზე იძულებით გადასახლებულ ქართველებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი შთამომავლობა საკუთარ სამშობლოს უნდა დაუბრუნონ — მორალი ამაშია. თუმცა თაობების ცვლის განმავლობაში ამ ყველაფერმა ბევრად რთული სახე მიიღო. ახლა ძნელია საუბარი მათ ქართველობაზე და ა.შ. დიდი მნიშვნელობა აქვს, ისინი როგორ მოხვდებიან საქართველოში, რადგან ეს არის პოტენციური საფრთხე.

— რაში მდგომარეობს საფრთხე?

— ფესვები აქვთ ქართული, თორემ მათ, სამწუხაროდ, დღეს ქართველები არ ჰქვიათ. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს, რომ ქართველობა დაიბრუნონ. დღეს საქართველოში ბევრ სხვა საკითხზეა გადატანილი ყურადღება და არავის აინტერესებს, სააკაშვილი მისი პრეზიდენტობის ბოლო დღეების განმავლობაში რას აკეთებს. ის კი მუხანათობას სჩადის! თუ ქართველები ჩამოჰყავთ, უნდა დაეხმარონ და დაწყებული საცხოვრებელი პირობების შექმნით, გაგრძელებული მათი ინტეგრაციით, ყველაფერი კარგად განსაზღვრონ და საზოგადოებასთან შეათანხმონ. ამას კი არ აკეთებენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ჩვენი კი არა, მათი უფლებებიც ირღვევა. საქართველოს არაქართულენოვან მოსახლეობას არ შეუძლია დაიკავოს თანამდებობა, ცენტრალურ პროცესებში მიიღოს მონაწილეობა. ყველაზე დიდი, რასაც ქართულის არმცოდნე ადამიანი ჯავახეთსა თუ ქვემო ქართლში შეძლებს, ეს არის ადგილობრივ დონეზე წარმართოს თავისი კარიერა. სხვაგან ვერაფერს გააკეთებს და ეს ხომ მათი უფლებების დარღვევაა?! უნდა შეუქმნა პირობები, რომ იცოდნენ ქართული ენა და ა.შ. მხოლოდ მაშინ შეიძლება მათი უფლებების დაცვაზე ლაპარაკი... თუ ჩვენ არ ვიბრუნებთ ჩვენს სისხლს და ხორცს და ვიბრუნებთ სხვებს, მაშინ ასეთი რამ ნებისმიერი ქვეყნისთვის იქნება საფრთხე. ამიტომაცაა, რომ სხვა ქვეყნებში ფრთხილად ეკიდებიან მოქალაქეობის სტატუსის მიცემას.

სამცხე-ჯავახეთში, სადაც სხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ, ზოგიერთები ავტონომიაზე საუბრობენ. თუ ადამიანებს არ შეუქმნიან პირობებს, რომ ისწავლონ ენა, ჩადგნენ თავიანთი ქვეყნის სამსახურში, მაშინ ისინი, ბუნებრივია, ვერ დაინახავენ საკუთარ თავს ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. ასე ნებისმიერი ადამიანთა ჯგუფი შეეცდება საკუთარი ინტერესების გატარებას იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი მოხვდებიან და ამით ქვეყნის ერთიანობას შეუქმნიან საფრთხეს.

ეს რთული პროცესია. აშშ „მწვანე ბარათს“ ათამაშებს და მილიონში ერთს აძლევს მოქალაქეობას, მაგრამ დანარჩენი უნდა დაიმსახურო. ასე მარტივად, რომ ვიღაცამ ხელი მოაწეროს მოქალაქეობის მიცემას და ამით თანამედროვე მოღვაწის როლი ითამაშოს, სწორედ რომ მოღალატეობაა!

— რატომ აწყობს სააკაშვილს, როგორც თქვენ ამბობთ, ასეთი დალატის ჩადენა?

— ეს პრეზიდენტის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისადმი სამაგიეროს გადახდაა. იმის ნაცვლად, რომ დაუმტკიცოს ქვეყანას, როგორი ღირსეული პრეზიდენტი იყო, წმინდა ადამიანური სისუსტით გადაწყვიტა სამაგიეროს გადახდა. ბოლო წუთამდე ცდილობს, რაღაცით ავნოს ადამიანებს, რადგან ისე ვერ ამთავრებს თავის საქმეს,

Cyan Magenta Yellow Black

როგორც უნდოდა.

ქართველი ადამიანი, დღევანდელი პრემიერმინისტრი საქართველოს მოქალაქეობას ითხოვდა და პრეზიდენტმა არ მისცა. ამ დროს მხოლოდ ქართველობაზე არ იყო საუბარი. ეს ადამიანი ჩართული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის გარკვეულ დამსახურებებს ითვლიდნენ ა.შ. ასეთ პიროვნებას არ მიანიჭა მოქალაქეობა და აძლევს მოქალაქეობას ჩვენთვის გაურკვეველ ადამიანებს. ვიცით მხოლოდ ის, რომ ისინი არიან ქართული წარმოშობის, ცხოვრობენ თურქეთში და ინტეგრირებულები არიან იქაურ საზოგადოებაში. წინა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საქართველოში დევნილების საცხოვრებელი პირობები, სოციალურად დაუცველი ადამიანების პირობები ელემენტარულ დონეზე მაინც, ქართველ ემიგრანტებს ვერ აბრუნებენ, რომლებიც სხვა საზოგადოებაში ინტეგრირებულები არ არიან და ფასეულობათა ცვლილება არ შეხებიათ და 10 000 ადამიანს ასე ადვილად მისცა მოქალაქეობა. ეს ხომ მხოლოდ მოქალაქეობის მიცემა არ არის?! ქვეყანას ამ დროს კიდევ სხვა ვალდებულებები აქვს, სადაც ხარჯვითი ნაწილიც კი გათვლილია.

— რა უპირატესობით სარგებლობენ ეს ადამიანები ასეთ დროს, რა ვალდებულება აკისრია სახელმწიფოს?

— მათ აუცილებლად უნდა მიიღონ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, დაიბრუნონ საცხოვრებელი სივრცეები, რაც წინაპრებიდან ეკუთვნოდათ და ა.შ. თუ თქვენ გაგაგდებენ საკუთარი საცხოვრებლიდან და მერე თქვენს შვილს დააბრუნებენ, მას ხომ ექნება უფლება, მოითხოვოს თქვენი ქონება?! ამიტომ მათ მატერიალური ბაზა სჭირდებათ — მიწებიდან დაწყებული, სხვა დანარჩენით დამთავრებული. სახელმწიფომ უნდა შეუქმნას ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, დააფინანსოს, მათი ინტეგრაციისთვის უნდა ჩაიდოს თანხები და ა.შ.

არავინ იქნება წინააღმდეგი, თუ მართლა ჩვენი სისხლისა და ხორცის ჩამოსახლებაზეა საუბარი, მაგრამ არა — ამ პირობებით და ამ შინაარსით. გამორიცხული არ არის, რომ ამ დროს არა მხოლოდ გათურქებული ქართველები, არამედ სხვა თურქებიც ჩამოვიდნენ. „თურქი მესხი“ გაპროტესტებული ტერმინია და იგულისხმება გათურქებული ქართველები. იმიტომ აძლევს მსოფლიოს გარკვეული ორგანიზაციები მათ საქართველოში დაბრუნების უფლებას, რომ ისინი ქართველებად ითვლებიან, მაგრამ ვინ ბრუნდება, იმ 10 000-ში ვინ არის ქართული წარმოშობის და ვინ — არა, არავინ იცის. მათ შორის მართლაც არიან ისეთები, რომლებმაც ქართული იციან, უყვართ ჩვენი ქვეყანა და სხვებთან ერთად მათი ჩასმაც კი არასწორია. მაგრამ ჩვენ გვაქვს უფლება, გვქონდეს ინფორმაცია, ვის მისცა საქართველოს მოქალაქეობა და ვინ ჩამოდის. ეს პროცესი ბუნდოვანი და დახურულია.

— ვალდებულება, რომ საქართველოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრიაცია მოხდეს, წლების წინ აიღო საქართველომ, მაგრამ ნაციონალებს და თავად სააკაშვილს ამის სისრულეში მოყვანა არ მოსვლიათ თავში. ახლა რა მოხდა?

— ცდილობდნენ, ისეთი ნაბიჯი არ გადაედგათ, რომლის წინააღმდეგაც საზოგადოება წავიდოდა. ახლა პრეზიდენტი ფიქრობს, მივდივარ გაბანკროტებული, შეიძლება დამაპატიმრონ კიდეც და რა მაქვს დასაკარგიო. თორემ აქამდე გააკეთებდა ამ ყველაფერს, თუ მას საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება აღელვებდა.

— ბოლო დროს ნაციონალურ მოძრაობას რელიგიურ თემებზე სპეკულირებაშიც სდებენ ბრალს...

— რელიგიურ თემებზე სპეკულირებს ყველა — ძველი და ახალი ხელისუფლება. ამ მხრივ, მოსახლეობა დაუცველია. ათობით ფაქტი მაქვს მოპოვებული, როცა მართლმადიდებელი ადამიანების უფლებები დაირღვა. არასამთავრობო სივრცე, სახელისუფლებო სივრცის ნაწილი — ყველა არღვევს ამ უფლებას. როგორ ფიქრობთ, ევროკავშირი, საერთაშორისო ორგანიზაციები მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ფასეულობებზე იქნება ორიენტირებული?! ფინანსდება პროცესები, რომლებიც ამის წინააღმდეგაა მიმართული, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეკლესია ბევრ შეცდომას უშვებს და სასულიერო

■ არჩილ გავზარდია

„წინა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საქართველოში დევნილების საცხოვრებელი პირობები, სოციალურად დაუცველი ადამიანების პირობები ელემენტარულ დონეზე მაინც, ქართველ ემიგრანტებს ვერ აბრუნებენ და 10 000 ადამიანს ასე ადვილად მისცა მოქალაქეობა. ქვეყანას ამ დროს კიდევ სხვა ვალდებულებები აქვს, სადაც ხარჯვითი ნაწილიც კი გათვლილია“.

პირებიც ზოგჯერ შეუფერებლად იქცევიან, ყველა ხედავს, რომ ჩვენი ეკლესია ფასეულობათა სისტემის და ეროვნული იდენტობის გაქრობას უშლის ხელს.

მინარეთის და სხვა ამბებიც ხელოვნურად იყო ინსპირირებული და ამიტომაც არ მოჰყვა გაგრძელება, თორემ ეს რომ ასე არ ყოფილიყო, რომელი მორწმუნე მაჰმადიანი დაუშვებდა საკუთარი რწმენის შეურაცხყოფას?! ნაციონალების ხელი ერია თუ რესპუბლიკელების, ფაქტია, რომ ხელოვნურად იყო ინსპირირებული. ძველი და ახალი ხელისუფლება დაინტერესებული იყო ასეთი კერების გაჩაღებით, რადგან მათ ამ ყველაფრით მიეცემოდათ დამატებითი ბერკეტები საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსაპოვებლად. ეს ზეგავლენა კი დღეს ეკლესიას გააჩნია.

— მიხეილ სააკაშვილმა ათასობით თურქისთვის მოქალაქეობის მიცემით იძია შური საქართველოს მოსახლეობაზე თუ ახალ ხელისუფლებაზე, რადგან მათ გარკვეული ვალდებულებები დააკისრა ამ ნაბიჯით?

— პირიქით, ახალი ხელისუფლება ამით უფრო კომფორტულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ეს თუ ითვლება საერთაშორისო ვალდებულებად, რომელსაც თავის დროზე ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ სააკაშვილმა მოაწერეს ხელი, ახალ ხელისუფლებას ექნება კარგი ალიბი იმის, რომ ამ პროცესს თავად კი არ შეუწყვეს ხელი, არამედ სააკაშვილმა განახორციელა. თვითონ კი იძულებულები არიან, დეტალები, გარკვეული საკითხები მოაგვარონ. ეს არის ქვეყნისთვის და ხალხისთვის პრობლემა და არა — ხელისუფლებისთვის.

აჭარის ზოგიერთ რაიონში დღეს აქტიური ისლამიზაცია მიმდინარეობს. პირადად შევსწრებივარ იმას, რომ ზემო აჭარაში ზარები დარეკეს მართლმადიდებლურ ტაძარში და ადგილობრივი ხოჯა და მოლა მოვიდნენ და საქმე კონფლიქტამდე მივიდა. სამწუხაროდ, ქართული მედია ამით ნაკლებად ინტერესდება. ეკლესიაც ცდილობდა გამწვავებისა და მედიაში გაშუქების გარეშე მოეგვარებინა ეს ყველაფერი.

შეიძლება ახალმა ხელისუფლებამ უახლოეს ხანში თურქებისთვის მოქალაქეობის მიცემის ამბავი გააპროტესტოს, მაგრამ ეს იქნება ხელოვნური, რომ საზოგადოების თვალში კარგად გამოჩნდნენ. შეიძლება ხელისუფლებამ შუალედური კრიტიკული შენიშვნებიც გააკეთოს, მაგრამ... ყოველთვის ვრცელდებოდა ხმები, რომ ამ საკითხებით დაინტერესებულები იყვნენ რესპუბლიკური პარტიის წევრებიც. მათ ზოგადად სხვა მიდგომა აქვთ სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით და არ არის გამორიცხული, აქედანაც იმართებოდეს მსგავსი პროცესები. არ გამოვრიცხავ, რომ პრეზიდენტს გარკვეული ფორმით უბიძგეს და დაეხმარნენ, რომ ეს გაეკეთებინა. ასე რომ, ახალ ხელისუფლებას მოუწევს განახორციელოს ის ქმედებები, რაც ქვეყანას და ხალხს აუცილებლად ცუდად შემოუტრიალდება.

✓ **რუსუდან ადვაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ᲘᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ

„ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ „ᲒᲘᲣᲖᲘᲜᲯᲐᲡ" ᲛᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ, ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲥᲐᲗᲘᲗᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ"

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ"-ᲘᲡ ᲜᲐᲪᲜᲝᲑ ᲗᲣ ᲣᲪᲜᲝᲑ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ, ᲘᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲐᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ „ᲜᲘᲙᲘᲢᲐᲡ" ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲞᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ. ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲣᲠ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ „ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ" ᲜᲐᲮᲐ. ᲘᲣᲚᲘᲐᲛ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ ᲗᲐᲛᲐᲛᲘ ᲙᲚᲘᲞᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ „ᲞᲚᲔᲘᲑᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ" ᲒᲐᲨᲘᲨᲕᲚᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲛᲘᲯᲘᲡ ᲐᲠᲐᲯᲒᲐᲜᲡᲐᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲯᲒᲣᲤᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ.

ᲘᲣᲚᲘᲐ 6 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 90-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲓᲐᲐᲨᲝᲠᲐ. ᲘᲣᲚᲘᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ. ᲘᲣᲚᲘᲐ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲐ. ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲛᲔᲫᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐ. ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲙᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲧᲝ...

„7 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲓᲠᲗᲡ ᲛᲥᲝᲜᲘᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ, ᲗᲛᲝ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲒᲕᲐᲢᲝᲕᲐ. ᲡᲣᲚ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘ, ᲗᲛᲝ ᲘᲡ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲘᲧᲝ. ᲓᲔᲓᲐᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ, ᲗᲛᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲘᲛ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ."

ᲘᲣᲚᲘᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ. ᲘᲣᲚᲘᲐ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲐ. ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲛᲔᲫᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲒᲐᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐ. ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲙᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲧᲝ...

ᲘᲣᲚᲘᲐ 30 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ, ᲰᲧᲐᲕᲡ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ — ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲓᲔᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ „ᲡᲐᲠᲙᲔᲡ" ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲐᲓ ᲣᲐᲛᲑᲝ:

— ᲛᲐᲛᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲓᲔᲓᲘᲗ — ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ. ᲩᲛᲛᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲒᲐᲘᲪᲜᲔᲡ. 6 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲕᲘᲖᲠᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ. ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲢᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲗᲔᲕᲖᲐᲝᲠ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ, ᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲛᲖᲘᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲘᲧᲝ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲡᲚᲐᲓ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘ. ᲛᲐᲛᲘᲙᲝᲡ ᲒᲝᲒᲝ ᲕᲘᲧᲐᲕ.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲓᲐᲓᲒᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲪᲮᲝᲕᲠᲐ. ᲩᲔᲛᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲑᲔᲑᲘᲐᲛ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗ. ᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ. ᲛᲐᲛᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ.

— ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ.

— ᲩᲔᲛᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲛᲐᲒᲐᲓ ᲛᲫᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ 3 ᲬᲔᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗᲐᲡ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲔᲛᲔᲑᲛᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘᲪ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲘᲪ ᲒᲐᲬᲧᲓᲐ. 7 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲓᲠᲗᲡ ᲛᲥᲝᲜᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲒᲕᲐᲢᲝᲕᲐ. ᲡᲣᲚ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲘᲧᲝ. ᲓᲔᲓᲐᲡ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲘᲛ ᲞᲔᲠᲐᲜᲒᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ, ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲓᲠᲗᲡ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ.

— ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡᲐ Დ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ?

— ᲒᲐᲓᲐᲓᲬᲧᲕᲘᲢᲔ, ᲛᲐᲛᲐ „ᲝᲓᲜᲝᲙᲚᲐᲡᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡ" ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲘᲓᲔᲑᲓᲐ. ᲠᲐᲢᲝᲛᲦᲐᲪ ᲐᲛᲔᲙᲕᲘᲐᲗᲐ ᲐᲖᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲔᲣᲧᲝᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲫᲛᲐ. ᲩᲐᲕᲬᲔᲠᲔ ᲒᲕᲐᲠᲘ — ᲥᲐᲗᲐᲠᲐᲫᲔ, ᲐᲛ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲐᲛ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲧᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲑᲝᲜᲓᲝ ᲥᲐᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲔᲮᲔᲓᲔ, ᲛᲘᲕᲮᲓᲔ, ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲕᲪᲓᲔ. ᲛᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘ ᲓᲐ 5 ᲓᲦᲔᲨᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲩᲐᲕᲓᲔᲓᲘ. ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲓᲠᲗᲡ ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲜᲔᲑᲓᲔᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲘᲥ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ — ᲛᲐᲛᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲐ, ᲑᲘᲫᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲩᲐᲕᲓᲘᲝᲓᲘ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲐᲛᲐᲛ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲛ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲪ ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ.

— ᲓᲔᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ?

— ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲓᲔᲓᲐᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲥᲔᲑᲜᲐ. ᲔᲠᲗ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲐᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔ�გᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲐᲜᲐ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, „ᲡᲞᲐᲘᲡ ᲒᲔᲠᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ" ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲒᲐᲘᲯᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ. ᲐᲡᲔ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ „ᲐᲠᲛᲘᲐ". ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗᲛᲔᲓᲘ.

„ᲡᲘᲧᲕᲐᲰᲘᲔᲚᲛᲐ ᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲞᲝᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲔᲜᲓᲜᲔ. ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲔᲗᲘᲗᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲓᲘᲗ. ᲛᲐᲛᲐᲡ ᲣᲭᲘᲠᲓᲐ ᲘᲥ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲔᲗᲘᲗ ᲜᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲐᲡᲔᲕᲔ — 49 ᲓᲦᲘᲡ ᲐᲡᲐᲯᲨᲘ ᲓᲔᲓᲐᲪ ᲜᲐᲕᲘᲓᲐ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ".

ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲜ ᲕᲐᲠ, ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ. ᲛᲔ ᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ. ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ, ᲘᲠᲘᲜᲐ ᲑᲘᲚᲘᲙᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲑᲓᲐ. ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲥᲐᲚᲘ ᲙᲐᲡᲢᲘᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲕᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛᲦᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ, ᲛᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘ, ᲐᲒᲕᲘᲠᲩᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲕᲔᲠᲙᲐ ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲩᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲗᲐᲕᲐᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲓᲐᲓᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲝᲠᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲗᲕᲔᲨᲘ 29 ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡ ᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲘᲗ, ᲡᲣᲚ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲛᲫᲚᲔᲠᲓᲘᲗ?

— ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲠᲝᲪ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲕᲔᲠᲙᲐ ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲩᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲛᲐ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲛᲐ ᲘᲣᲠᲘ ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲗᲐᲕᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲛᲦᲔᲠᲐ. ᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, „ᲡᲞᲐᲘᲡ ᲒᲔᲠᲚᲘᲡ" ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲒᲐᲘᲯᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ. ᲐᲡᲔ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ „ᲐᲠᲛᲘᲐ". ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲐᲚᲔᲕᲔ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗᲛᲔᲓᲘ.

„ᲡᲘᲧᲕᲐᲰᲘᲔᲚᲛᲐ ᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲞᲝᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲔᲜᲓᲜᲔ. ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲔᲗᲘᲗᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲓᲘᲗ. ᲛᲐᲛᲐᲡ ᲣᲭᲘᲠᲓᲐ ᲘᲥ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. ᲔᲗᲘᲗ ᲜᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲐᲡᲔᲕᲔ — 49 ᲓᲦᲘᲡ ᲐᲡᲐᲯᲨᲘ ᲓᲔᲓᲐᲪ ᲜᲐᲕᲘᲓᲐ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ".

ᲛᲔ ᲛᲝᲛᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲠᲐ — ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ. ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ, ᲘᲠᲘᲜᲐ ᲑᲘᲚᲘᲙᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲑᲓᲐ. ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲥᲐᲚᲘ ᲙᲐᲡᲢᲘᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲕᲔᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛᲦᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ, ᲛᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲘ, ᲐᲒᲕᲘᲠᲩᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ ᲨᲝᲣᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲕᲔᲠᲙᲐ ᲡᲔᲠᲓᲘᲣᲩᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲗᲐᲕᲐᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲓᲐᲓᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲝᲠᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲗᲕᲔᲨᲘ 29 ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲡ ᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲘᲗ, ᲡᲣᲚ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ.

**— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲛᲫ

ბუნებრივია, ორსული ჯგუფში ვეღარ ვიქნებოდი. მშობიარობიდან ორ თვეში კი ისევ გამოვცხადდი პროდიუსერთან. მან მოიფიქრა, რომ გოგონების დუეტი შეექმნა და ასე დაიბადა „ნიკიტა“.

— თქვენი ჯგუფის თითოეული კლიპი რუსი საზოგადოებისთვისაც კი ძალიან სექსუალური და თამამი იყო.

— ჩემგანაც და მეორე გოგონასგანაც სექსუალურობა მოდიოდა და პროდიუსერმაც აქცენტი ამაზე გააკეთა. პირველი კლიპი იყო სექსუალური, მაგრამ არა — შიშველი. შემდეგ კი მეტი აქცენტი გაკეთდა სხეულზე, სიშიშვლეზე. ასეთი მიდგომა უკვე მიუღებელი იყო ჩემთვის. არც უკრაინაა ჰოლივუდი და არც — საქართველო, ხალხი მზად არ არის, რომ სექსუალური კლიპი ისე აღიქვას, როგორც საჭიროა. ჩემთვის თითოეული კლიპი ახალი როლი იყო, ხალხი კი ვერ ხვდებოდა, რომ ჩვენ ცხოვრებაში აბსოლუტურად სხვა ტიპის ქალები ვიყავით. რკინის ნერვები უნდა გქონოდა, რომ იმ წნეხისთვის გაგეძლო, რაც უკრაინაში ჩვენი მისამართით იყო. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ხედავდნენ და აფასებდნენ ჩვენს მუშაობას და იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საერთოდ არ იღებდნენ ჩვენს დუეტს. არ მომწონდა, რომ ხშირად ამორალურად გვთვლიდნენ.

მე, პირადად, ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, თუ ლამაზ სხეულს მხატვრულად გამოაჩენ. ძალიან მიყვარს ეროტიკა, ლამაზი ქალისა და მამაკაცის შიშველი სხეულები. ძალიან მიყვარს ხელოვნება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ვთვლი, რომ ქალი ცოტა იდუმალი უნდა იყოს და მისი შიშველი სხეულიც, სულ მცირე, ვუალით მაინც უნდა იყოს დაფარული. როცა ეს ზღვარი არ არის დაცული, მაშინ ეროტიკა და ხელოვნებაც აღარ არის. როცა მივხვდი, რომ „ნიკიტა“ ამ ზღვარს გადასცა და ვულგარულობაში გადადიოდა, ჯგუფი დავტოვე. ჩემს თავს ვულგარულობის უფლებას ვერ მივცემ. სადაც ხელოვნება და სილამაზე იქნება, კი, ბატონო, მეც იქ ვიქნები.

— თქვენი სკანდალური იმიჯის გამო ბევრს ჭორაობდნენ, ამბობდნენ, თითქოს სცენაზე სტრიპტიზიდან მოსვდით.

— სტრიპტიზის მოცეკვავე არასოდეს ვყოფილვარ. ჩემ გარშემო ყოველთვის იყო ბევრი ჭორი, მაგრამ ამისთვის ყურადღება არასდროს მიმიქცევია და დღემდე ასეა.

— უკრაინის სექსსიმბოლოდ ითვლებით, „პლეიბოისთვისაც“ გაშიშვლდით...

— ასეთი ფორმულირება სასაცილოა ჩემთვის. სექსსიმბოლოები მხოლოდ ამერიკაში არსებობენ. უკრაინაში კი სექსსიმბოლოს ტიტული სასაცილოა. თავს ასეთად არ ვთვლი და სექსსიმბოლო არც არასდროს გავხდები. როცა „პლეიბოიში“ გადამიღეს, მაშინ ჯგუფ „არმიაში“ ვიყავი და, კონტრაქტის თანახმად, „პლეიბოის“ ფოტოსესიაში უნდა მიმეღო მონაწილეობა. შეიძლება ძალიანაც არ მინდოდა, მაგრამ კონტრაქტს ვერ დავარღვევდი. მაშინ უბრალოდ არ მქონდა უფლება, პროდიუსერებისთვის ჩემი მოთხოვნები წამეყენებინა. მხოლოდ თხოვნა შემეძლო. თან ორსულობის მეოთხე თვეში ვიყავი, ამიტომ ძალიან მიჭირდა ფოტოსესიაში მონაწილეობა. შემდეგ ვნახე მონიკა ბელუჩის ორსულობის შიშველი ფოტოები და მივხვდი, რომ შეიძლებოდა ამის ლამაზად გაკეთება. მაგრამ გამოვიდა ის, რაც არ მინდოდა. მას შემდეგ ვთქვი, რომ ასეთ ნაბიჯს არასდროს გადავდგამდი.

— ახლა რას აკეთებთ?

— ვფიქრობ კინოსა და ტელევიზიაზე. ვმუშაობ იმაზე, რომ უკრაინულ ტელევიზიაში საინტერესო რამ გავაკეთო და არის წინადადებებიც.

— თქვენგან არ იყო რისკი, რომ მიგეღოთ მონაწილეობა ქართულ პროექტში, ქვეყანაში, სადაც არავინ გიცნობთ და კონკურენცია გაგიწიათ პოპულარული ადამიანებისთვის?

— როგორ უნდა მეთქვა უარი საქართველოში ყოფნაზე! საქართველო ჩემი ბავშვობის ლამაზი სურათია. გაზაფხულზე ძმასთან ვიყავი ჩამოსული. ამ შოუს შესახებ მაშინ გავიგე. ყველგან ამაზე ლაპარაკობდნენ და ჩემში მაშინვე გაიღვიძა სცენის სიყვარულმა. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე ჩემთვის მძიმეა, ისაა, რომ ჩემი გოგონა აქ არ არის. ის ძალიან მენატრება. რაც შეეხება კონკურენციას, იმდენად დიდ სიამოვნებას ვიღებ, რომ ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. ვტკბები ურთიერთობებით, საქართველოში ყოფნით და ამიტომ ამას სხვა რაღაცეებით ვერ გავიფუჭებ. ჟიურის შეფასებების შემდეგ მონაწილეების თვალებში არ ვეძებ, აბა, ვის მოეწონა და ვის — არა. ყველა მიყვარს. მინდა, ფინალში გადავიდე, რომ ახალ წელს თბილისში შევხვდე და ეს დღესასწაული ქართულად შევიგრძნო.

— ჟიურის შეფასებებით კმაყოფილი ხართ?

— როგორ შეიძლება ჟიურის მიმართ პრეტენზიები მქონდეს! როცა რაღაც არ მოსწონთ ჩემში, მივდივარ სარკესთან, ვიხედები და ვეძებ იმ მინუსებს, რაც მათ დაინახეს. ისინი ყოველთვის მართლები არიან.

„მინდა, ფინალში გადავიდე, რომ ახალი წელს თბილისში შევხვდე და ეს დღესასწაული ქართულად შევიგრძნო“.

— თქვენი პარტნიორი, ოთო ფოლადაშვილი როგორ მოგწონთ?

— ძალიან ვამაყობ, რომ ოთო არის ჩემი მეწყვილე. იმდენ დროს ხარჯავს ჩემთვის, რომ... მის ადგილას ჩემს პარტნიორს მოვკლავდი. მაგარი პროფესიონალია.

— ოთომ გასწავლათ ქართული თუ თქვენ ასწავლეთ მას რუსული?

— ყველაზე კარგად ჟესტების ენა გამოგვდის.

— ჩვენ ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, გარდა პირადისა. ამ საკითხზე რატომ გაქვთ ტაბუ დადებული?

— შოუბიზნესი ისედაც ბინძური სფეროა და როცა იქ ხარ, მაქსიმალურად უნდა ეცადო, დაიცვა შენი პირადი. მირჩევნია, ბინძური ჭორები ილაპარაკონ ჩემზე, ვიდრე მე თვითონგადავუშალო მათ გული საჯაროდ.

— ამ ეტაპზე თავისუფალი ქალი ხართ? ქართველ მამაკაცებს აქვთ შანსი თქვენი გულის დაპყრობის?

— ეს ყველაზე დიდი ინტრიგაა, რომელიც მინდა, ისევ ინტრიგად დავტოვო.

✓ **ავთო ჩიტიძე**

ნანა ნებიერიძემ ქმარს სპორტი არჩია

„14 წლის ასაკში ევროპის ჩემპიონი რომ გავხდი, პირველად მაშინ ვიტირე“

ნყალში მხტომელმა ნანა ნებიერიძემ, მანამ, სანამ საზოგადოება პროექტით „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გაიცნობდა, დიდი სპორტული გზა გაიარა და თავისი საქმით არაერთხელ ასახელა საქართველო. 14 წლის ასაკში ევროპის ჩემპიონი გახდა, კარიერა კი 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე დაასრულა. სპორტი იმდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რომ, როცა არჩევანის წინაშე დადგა, რთული გადაწყვეტილება მიიღო და საყვარელ საქმეს ოჯახი ანაცვალა. აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ სპორტულ ჟურნალისტიკაში გადაინაცვლა. ცხოვრებაში რასაც ვერ წარმოიდგენდა, ეს ცეკვის კონკურსი იყო, თუმცა პირველობას არც აქ თმობს. ხალხისა და ჟიურის კეთილგანწყობა პირველივე ტურიდან დაიმსახურა. ნანას ერთი შვილი ჰყავს, 19 წლის ნინა ჯაფარიძე.

— ნანა, როგორ აღმოჩ- →24

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ნაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გაპირდებათ...

ჩაწერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

Cyan Magenta Yellow Black



ნდით პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“?

— ტელეკომპანია „პიკში“ ვმუშაობდი, სპორტულ ბლოკს ვუძღვებოდი. პროფესიით სპორტსმენი ვარ, წყალში მხტომელი, ევროპის ჩემპიონი, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე. ჟურნალისტიკა ჩემი ჰობია, ადრე ტელეკომპანია „ალანიაში“ და „პირველ არხზეც“ ვმუშაობდი. „იმედიდან“ რომ დამირეკეს, ვიფიქრე, ტელევიზიაში სამსახურს მთავაზობდნენ. კონკურსში მონაწილეობის შემოთავაზება პროექტის პროდიუსერ ნოე სულაბერიძისგან მივიღე. მანამდე მის შესახებ არაფერი ვიცოდი. ნოეს წინადადებაზე უარი არ მითქვამს. ჩემი გადაწყვეტილება პირველად ქალიშვილს, ნინას გავუზიარე.

— ეტყობა, ცეკვის გარკვეული გამოცდილება გქონდათ და ამატომაც ადვილად დათანხმდით.

— არასდროს მიცეკვია და არც სცენასთან მქონია შეხება. პირველად ვარ ამ ამპლუაში. ახლა კი იმდენად მომწონს ცეკვა, რომ თავს ველარ ვანებებ. ბედნიერი ვარ, რომ ლევან ახვლედიანი შემხვდა მეწყვილედ. ის თავისი საქმის პროფესიონალია, გარდა ამისა, არაჩვეულებრივი პიროვნებაა, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მასთან კონტაქტში ადვილად შევედი. ლევანი თავიდან თქვენობით მომმართავდა და ამის გამო ვუბრაზდებოდი. ჯერჯერობით ჩვენ შორის ყველაფერი კარგად მიდის, სხვა წყვილებს ურთიერთობა დაეძაბათ. მე და ლევანი კი სიმშვიდეს ვინარჩუნებთ.

— კონკურსს ყნებათადელაა ყოველთვის თან ახლავს. ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე ალბათ ძალიან ნერვიულობთ.

— ნერვიულობაზე მეტად პასუხისმგებლობას ვგრძნობ, პირველ რიგში, ლევანის, მერე კი — ოჯახის და მეგობრების წინაშე. ვცდილობ, ნერვები ვაკონტროლო. ბუნებითაც სპორტსმენი ვარ, თუ რამეს ხელი მოვკიდე, ბოლომდე მივყვები, სხვანაირად არ შემიძლია.

— ევროპის ჩემპიონობამდე დიდ გზას გაიყოლიდით. გვაამბეთ თქვენს სპორტულ წარმატებებზე.

— სპორტით ბავშვობიდან ვარ დაკავებული. დედაჩემი წყალში მხტომელი იყო და სპორტის ამ სახეობის მიმართ ინტერესი და სიყვარული ჩემშიც ბუნებრივად გაჩნდა. ნიჭიერი ვიყავი მუსიკაში, ფორტეპიანოზე დავდიოდი და ისე ადვილად ვითვისებდი, რომ მესამე კლასიდან მეხუთე კლასში გადამიყვანეს. გაგიკვირდებათ და, ამის მიუხედავად, მუსიკალური შვიდწლედი არ დამიმთავრებია. სპორტმა შემიშალა ხელი, მუდმივად შეკრებებზე მიწევდა წასვლა და მუსიკალურ სამყაროს ჩამოვშორდი. მერე კიევში დავიწყე სწავლა. მეექვსეკლასელი ბავშვი დამოუკიდებლად ვცხოვრობდი, მშობლები თან არ მახლდნენ. საბჭოთა სპორტსმენი ბავშვები იქ ერთად ვიყავით. კიევის სკოლაში ხუთიანებზე ვსწავლობდი.

14 წლის ასაკში გავხდი ევროპის ჩემპიონი. ჩემპიონატი ესპანეთში, მადრიდში ჩატარდა. ჩემი სახელი და გვარი რომ გამოაცხადეს, ცხოვრებაში პირველად ვიტირე. მაშინ ყველაზე მეტად მინდოდა დედა და სახლი. ის ემოცია დღემდე არ მავიწყდება. მერე ისე მოხდა, რომ 18 წლის გავთხოვდი და ფაქტობრივად 2 წელი სპორტს ჩამოვშორდი. დედა გავხდი, ოჯახს და სპორტს კი ერთად თავს ვერ ვართმევდი. საყვარელი საქმის გარეშე ვერ გავძელი და ისევ დავიწყე ვარჯიში... ოჯახი დამენგრა, მაგრამ ამის გამო დეპრესიაში არ ჩავვარდნილვარ.

„ვარსკვლავი ნამდვილად არ ვარ, ჩვეულებრივი თბილისელი ვარ, ჩვეულებრივად ვცხოვრობ, ჩემი სამყარო მაქვს. ეს არის და ეს“.

— განქორწინების მიზეზი რა გახდა, თქვენი ქმარი წინააღმდეგი იყო, რომ სპორტული კარიერა გაგეგრძელებინათ?

— არა, უბრალოდ, ორივე ერთად არ გამომივიდა. როცა აღარ ვარჯიშობ, შენი კონკურენტები წინ მიდიან, ორწლიანმა ტაიმაუტმა უკან დამხია. ჩემი მწვრთნელი რუსეთში ცხოვრობდა და მეც იქ წავედი, ვარჯიში დავიწყე. რუსეთში 3 წელი დავყავი, ოლიმპიადაზე გასასვლელი ლიცენზია ავიღე და ნახევარფინალშიც მოვხვდი. სამწუხაროდ, ფინალში ვერ გავედი.

— თქვენი ცოლქმრული თანაცხოვრება რამდენ ხანში დასრულდა?

— ორ წელიწადში. იმ ქორწინებიდან დაგვრჩა არაჩვეულებრივი გოგონა, ჩემი სიამაყე და სიცოცხლე — ნინა. ჩემი ყოფილი ქმარი ამერიკაში ცხოვრობს. მას და ნინას მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

— ამერიკიდან გიყურებთ?

— არ ვიცი, მიყურებს თუ არა, თუმცა, როგორც ნინამ მითხრა, გაიგო, რომ ამ პროექტში ვმონაწილეობ.

— მეორედ ოჯახის შექმნაზე არ გიფიქრიათ?

— ოლიმპიადის შემდეგ სიდნეიდან რომ ჩამოვედი, ჩემი სპორტული კარიერა დამთავრდა. მას მერე მთელი ცხოვრება ნინას მივუძღვენი და გათხოვებაზე აღარ მიფიქრია. თუმცა ამჟამად ჩემ გვერდით არის ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარს და მასთან ბედნიერი ვარ. ეს დღეები კი მხოლოდ ცეკვებით ვცხოვრობ. ყველაფერი გვერდზე მაქვს გადადებული, პირადი ცხოვრებაც და ნინაც.

„ახლა ჩემ გვერდით არის ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარს და მასთან ბედნიერი ვარ“.

— ელოდით, რომ მაყურებელი ასე დადებითად მიგიღებდათ?

— ხალხისგან იმხელა სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ, რომ უკვე მეშინია. ასეთ რამეს მართლა არ ველოდი და ვერ წარმოიდგენთ, ეს რამხელა პასუხისმგებლობაა.

— სცენაზე გასვლის წინ როგორია თქვენი ემოცია?

— ყველაზე საშინელი მომენტია, როცა გაცხადებენ. ვიდრე კიბეს ჩავივლი და სცენაზე გავალ, გული საგულედან მივარდება, მტკივდება მუცელი, თავი, კოსტიუმი ნერვებს მიშლის, მაგრამ სცენაზე დავდგამ თუ არა ფეხს, ემოციები და ნერვიულობა იქვე მთავრდება. ცეკვისას თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ.

— ჟიურის წევრების შეფასებებზე არ ნერვიულობთ?

— კი, ძალიან ვნერვიულობ. იმდენად ვღელავ, სიტყვები არ მესმის. საკონკურსო დღის დასრულების შემდეგ ჩემს გამოსვლას სახლში ვუყურებ და ჟიურის წევრების კომენტარებსაც მაშინ ვიგებ. ჟიური ჩემ მიმართ კეთილგანწყობილია და ალბათ ეს დავიმსახურე. მთელ ენერგიას ვდებ ცეკვაში, თავიდან ბოლომდე ვარ ჩართული. ამ პროექტით ჩემი ცხოვრება გადასხვაფერდა.

— ზოგიერთმა კონკურსანტმა გააპროტესტა საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანების მონაწილეობა პროექტში. ამაზე რა რეაქცია გქონდათ?

— არ ვიცი, რა გითხრათ. ვარსკვლავი ნამდვილად არ ვარ, ჩვეულებრივი თბილისელი ვარ. სიტყვა „ვარსკვლავი“ ძალიან ხმამაღლა ჟღერს და არც მომწონს. კიდევ ვიმეორებ, ჩვეულებრივად ვცხოვრობ, ჩემი სამყარო მაქვს. ეს არის და ეს.

— კონკურსანტებთან დაახლოება მოახერხეთ?

— ქეთი ხატიაშვილს მანამდეც ვიცნობდი, სხვები კი ახლა გავიცანი. ყველა თავისებურად კარგია და ძალიან შემიყვარდა. ისინი, პირველ რიგში, ჩემი მეგობრები არიან და მერე — კონკურენტები. ყველას დიდ პატივს ვცემ.

„18 წლის გავთხოვდი და 2 წელი სპორტს ჩამოვშორდი. დედა გავხდი, ოჯახს და სპორტს კი ერთად თავს ვერ ვართმევდი, ორივე ერთად არ გამომივიდა“.

— წინა ორ სეზონს თუ უყურებდით და რამდენად მოგწონდათ?

— აქტიური მაყურებელი არ ვყოფილვარ. პროექტში მონაწილეობა რომ გადავწყვიტე, მაშინ ვუყურე ქართულ, ამერიკულ და რუსულ ვერსიებს. სალომე ჭაჭუას და გიორგი ვარდოსანიძის წყვილმა მომნუსხა.

❖ ❖ ❖

საუბარში ნინაც შემოგვიერთდა და თავისი აზრი გაგვიზიარა:

— დედამ ყოველ ხუთშაბათს სანერვიულო გამიჩინა. მისი შემართება მახარებს, მომწონს, როგორც ცეკვავს. დედას ფანკლუბი შევუქმენი. ჩემი მეგობრები აქტიურად გულშემატკივრობენ. არ ველოდი, ცეკვის ასეთი მონაცემები თუ ექნებოდა, რადგან სახლში არასოდეს უცეკვია. ნიჭიერი დედა მყავს, მგონია, რომ ცეკვაში სპორტსმენობამაც ხელი შეუწყო.

— დაბოლოს, ნანა, რაზე გწყდებათ გული, რა ოცნება ჯერ აისრულეთ?

— გული მწყდება, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვერ გავხდი. ეს ჩემი ბრალი არ იყო, სამწუხაროდ, ისეთ ცუდ დროს ვიყავი სპორტში, როცა ქვეყანაში არეული სიტუაცია იყო — ომი, უშუქობა... ამ ყველაფერმა ჩემს კარიერაზე გავლენა იქონია.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი ვარდოსანიძე სალომე ჭაჭუას მანქანის ტარებას ასწავლის

„საბარგულში ისეთი აღჭურვილობა მიწყვია, უკაცრიელ ადგილას ერთი თვე გავძლებ“

ბატონი გიორგი ვარდოსანიძეს საჭესთან ჯდომის არცთუ დიდი სტაჟი აქვს, სულ სამიოდე წელი, მაგრამ ამ სამ წელიწადში იმდენი მანქანა ჰყავდა, თამამად შეუძლია თქვას, ავტომობილებს ცხვირსახოცებივით ვიცვლიო. ტყე-ღრეში სიარულის მოყვარული გიორგი ახლა სწორედ ისეთ მანქანას მართავს, მიუვალ ადგილებშიც რომ თავისუფლად ივლის. უკანა საბარგულში კი იმდენი და ისეთი აღჭურვილობა უწყვია, რომ უკაცრიელ ადგილზეც ერთი თვე გადასარევად იქნება და არაფერი გაუჭირდება.

გიორგიმ „ცეკვავენ ვარსკვლავებ“-ის წინა სეზონში მოგებული „რენჯ როვერი“ გაყიდა. იმ ფულით ბანკის ვალებიც გაისტუმრა და 2005 წლის „ემელის“ ჯიპიც იყიდა. მსახიობს უყვარს ქალაქგარეთ პიკნიკების მოწყობა, კუმისის თუ წალკის ტბაზე სათევზაოდაც დადის და საქართველოს ისტორიულ კუთხეებშიც მოგზაურობს.

— გიორგი, ავტომობილი რა როლს ასრულებს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

— პირველ რიგში, ის ჩემი მეგობარია, შემდეგ კი — კომფორტული გადაადგილების საშუალება. ჯანმრთელობისთვის ფეხით სიარული კი ჯობია, მაგრამ მანქანა სხვა რამ გახლავთ. პიკნიკებისთვის და ქალაქგარეთ გასასვლელად მას ვერაფერი შეცვლის.

— რამდენი ხანია, რაც ავტომობილს მართავთ?

— სამი წელი იქნება. პირველად მამაჩემმა დამსვა თავისი მანქანის საჭესთან, რაღაცეები ამიხსნა, საბოლოოდ კი ტარება მაინც ჩემით ვისწავლე. ჩემი პირველი ავტომობილი 1993 წელს გამოშვებული ცე კლასის „მერსედესი“ იყო, რომელსაც მუსტანგს ვეძახდი, რადგან ბევრი რამ აიტანა, მათ შორის — ჩემი უვიცობაც. ისე მატარა ერთი წელი, არც გაფუჭებულა, ოქროს მანქანა იყო. მას მერე რამდენიმე ავტომობილი გამოვიცვალე, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც სიახლე მჭირდებოდა. ოთხი თვის განმავლობაში პატარა, ორკარიანი „მერსედესი“ მყავდა, შემდეგ „მიცუბიში კოლტი“, რომელმაც ერთი წელი მაინც მატარა. მერე იყო „რენჯ როვერი“, რომელიც პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებ“-ში მოვიგე, მაგრამ ეს მანქანა არ ითვლება, რადგან მხოლოდ ორი დღე ვიარე და გავყიდე. ბანკის ვალები მქონდა, რომელიც ჩემი მოგებული „რენჯ როვერის“ გაყიდვით გადავფარე და 2005 წელს გამოშვებული „ემელის“ ჯიპიც შევიძინე. სამწუხაროდ, სხვა რაღაცეებისთვის ფული აღარ მეყო.

— ეს ავტომობილი რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ?

— პირველ რიგში, მისი კომფორტულობის მიხედვით. ძალიან ძლიერი მანქანაა. მე ტყე-ღრეში სიარულის დიდი მოყვარული გახლავართ. ჩემს ჯიპს კი ასეთ ადგილებში სიარულის რეჟიმიც აქვს.

— ძირითადად სად დადიხართ ხოლმე?

— სადაც გამიხარდება, ყველგან მივდივარ, ამისთვის კი ყოველთვის მზად ვარ. ჩემს მანქანაში ყველაფერი ინახება. შეგიძლიათ ერთი თვე ნებისმიერ უკაცრიელ ადგილას დამტოვოთ და ისე ვიცხოვრებ, კომფორტი არ მომაკლდება. რა მყინვარწვერზეც ან ულრან ტყეშიც უნდა დამტოვოთ, ერთი თვე გადასარევად გავძლებ. სათევზაოდ კუმისზე, წალკაში და სხვა ტბებზე დავდივარ. ყველაზე შორს მანქანით ტაო-კლარჯეთში წავსულვარ. ულამაზესია იქაურობა, დასათვალიერებლად ნამდვილად ღირს. როცა იცი, რომ შენი სამშობლოს ისტორიული მიწაა, მით უმეტეს, უნდა მოინახულო. მანქანით მოგზაურობას კიდევ სხვა ხალისი აქვს, სადაც გინდა და რამდენი ხანიც მოგესურვება, იქ და იმდენ ხანს გაჩერდები.

— ამხელა გზაზე მანქანით მოგზაურობა თქვენთვის რთული არ არის?

— ტაო-კლარჯეთში რომ წავედით, ერთმანეთს ორი მძღოლი ვცვლიდით და გზა გადასარევად გავინაწილეთ. „გონკაობის“ მოყვარული არ გახლავართ, მაგრამ მანქანის მართვა ძალიან მიყვარს. ქალაქგარეთ გასვლა და დასვენება კი ძალიან მომწონს.

— მიუვალ ადგილებში მანქანა რომ გაგიფუჭდეთ, ამისთვისაც მზად ხართ?

— გამოგიტყდებით, რომ ავტომობილის ნაწილებში ვერ ვერკვევი. მხოლოდ საბურავის გამოცვლა შემიძლია და გამომიცვლია კიდეც. ზეთს ვამოწმებ და რადიატორში წყალი არის თუ არა, ამასაც ვაქცევ ყურადღებას. საბედნიეროდ, ჩემი მანქანა გამართულია და მიუვალ ადგილებში მისი იმედი მაქვს.

— გამოდის, რომ უკლით.

— შეძლებისდაგვარად. მანქანის მოვლა არ მეხერხება, ვიცი, რომ უნდა გაირეცხოს. სალონის მოწესრიგებაზე მისი გარეცხვის დროს ვზრუნავ. სალონში ბევრს არაფერს ვინახავ, თუ აქსესუარებს არ ჩავთვლით. ტანსაცმელს და სხვა ნივთებს ჩემი ავტომობილის სალონში ვერ ნახავთ. უკანა საბარგულში კი, როგორც გითხარით, მთელი აღჭურვილობა მაქვს.

— სამწლიანი გამოცდილების კვალობაზე რაოდენი მძღოლი ხართ?

— გადასარევი! ნორმალური, დაწყნარებული და გაწონასწორებული მძღოლი ვარ. წესების დაცვით ვმოძრაობ, არ ვარღვევ.

— თბილისში რამდენად შესაძლებელია წესების დაცვით მოძრაობა?

— საერთოდ თბილისში ძალიან რთულია მოძრაობა, ასეთი რამ სხვა ქვეყანაში არ მინახავს. ქართველები გიჟებივით დავდივართ, მაგრამ ისე ვახერხებ, რომ ჯერ არ დავმტვრეულვარ. ყველაზე მეტად საცობები მაღიზიანებს, ისიც მაშინ, როცა მაგვიანდება, მაგრამ სიმშვიდეს მაინც ვინარჩუნებ. ზრდილობიანი მძღოლი ვარ.

— ჯერ ქალ მძღოლებს გამოჰყავხართ წყობიდან?

— ოო, ქალი მძღოლების კი ცოტა ნამდვილად მეშინია. ჩვენთან, მამაკაცებთან შედარებით, ქალებს მანქანები ცუდად დაჰყავთ. რამდენი ავარიაც მინახავს, 80% ქალი მძღოლის გაკეთებული ყოფილა. მოძრაობით შორიდანვე ვხედავ, რომ საჭესთან მშვენიერი სქესის წარმომადგენელი ზის. საბედნიეროდ, პირადად ჩემთვის ქალს ავარიული სიტუაცია არ შეუქმნია.

— თქვენი შეყვარებული სალომე ჭაჭუა მართავს მანქანას?

— არა, სალომემ მანქანის ტარება არ იცის. ახლა უნდა, რომ მართვის მოწმობა აიღოს და ავტომობილიც იყიდოს.

— არ ვიცდიათ, მისთვის ტარება გესწავლებინთ?

— ერთი-ორჯერ ტრიალ მინდორზე საჭესთან დავსვი და რაღაცეები ვასწავლე, მაგრამ ამ ცოდნით ქალაქში გასვლა არ შეიძლება. სალომე ჯერჯერობით დამწყები მძღოლიც ვერ არის. კარგ ქალ მძღოლს ჯერ არ ვიცნობ, ნორმალური ქალი მძღოლი კიდევ გამიგია.

— სალომე დადებითად აფასებს თქვენს მძღოლობას?

— მე ყველა მაფასებს, როგორც ძალიან კარგ მძღოლს. ჩემს მანქანაში ყველა მშვიდად ზის. იციან, რომ დანიშნულების ადგილამდე უეჭველად მივლენ.

— შუქნიშანზე გაჩერებულს ვოდონები არ გეკეკლუცებიან?

— არ ვიცი, ამდენს არც ვაკვირდები. შუქნიშანს ვუყურებ, ერთი სული მაქვს, გამწვანდეს.

— რა თქმა უნდა, პატრულიც გცნობთ.

— სამართლე გითხრათ, მათთან ურთიერთობა არცთუ ისე ხშირად მიწევს. ძირითადად 10 საათის შემდეგ შეიძლება გამაჩერონ, როცა უფლება აქვთ, რომ სიმთვრალეზე შემამოწმონ. ადრე ერთი-ორჯერ პატრული ჩემი ცნობადობს გამო გაფრთხილებით შემოიფარგლა და არ დამაჯარიმა, მაგრამ ეს ხშირად არ ხდება. ნუ დაარღვევ და არც არავინ დაგაჯარიმებს.

„ჩემ გვეხლით ყველა მშვიდად ზის. იციან, ოომ დანიშნულების ადგილამდე უეჭველად მივლენ“.

✓ სოფიო ბოჭორიძე

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ირაკლი უჩანეიშვილის სიყვარულის ისტორია

„მამის ანდერძი პირნათლად შევასრულე, დედა ერთი წუთითაც არ მიმიტოვებია“

■ ირაკლი უჩანეიშვილი და მერცია გელაშვილი

მსახიობ ირაკლი უჩანეიშვილის და მერცია გელაშვილის სიყვარულის ამბავი დიდხანს ახსოვდათ თბილისში. ულამაზესი ქალი და საოცრად ხიბლიანი მამაკაცი 18 წელი იყვნენ ერთად, მაგრამ ჭორებმა, შურმა თავისი ქნა, მათი ოჯახი დაინგრა. ცალ-ცალკე იყვნენ, მაგრამ მაინც ერთმანეთი უყვარდათ. მსახიობი სიცოცხლის ბოლომდე საყვარელ ქალზე ფიქრობდა. უკანასკნელ წუთებშიც მასზე ზრუნავდა. „მართალია, ცხოვრებაში ბევრი რამ არასწორად გავაკეთე, მაგრამ ყველანი ძალიან მიყვარდით, განსაკუთრებით კი — დედათქვენი. აბა, თქვენ იცით, როგორ მიხედავთ დედას. თინიკო, დედას მიხედე!“ — ანდერძად დაუტოვა სიკვდილის წინ თავის უფროს ქალიშვილს, თინიკოს.

ირაკლი უჩანეიშვილის სცენის მიღმა ცხოვრების შესახებ სწორედ ქალბატონი თინიკო გვიამბობს.

— ქალბატონო თინიკო, პირველ რიგში, მამის ანდერძზე გკითხავთ. შეძლებთ მისი ასრულება?

— მამის ანდერძი პირნათლად შევასრულე, დედა ერთი წუთითაც არ მიმიტოვებია, სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან იყო. ის 2013 წლის იანვარში გარდაიცვალა. ორივე მშობელმა ჩემს ხელში დალია სული.

— მშობლების სიყვარულის ისტორია თქვენთვის ცნობილია?

— ირაკლი უჩანეიშვილის და მერცია გელაშვილის სიყვარულზე თბილისში ლეგენდები დადიოდა. ერთმანეთი წვეულებაზე გაიცნეს. მამას დანახვისთანავე მოეწონა, რადგან დედა ძალიან ლამაზი ქალი იყო. თურმე მამამ დაინახა თუ არა, მაშინვე მასთან მივიდა და პირდაპირ უთხრა, შენ ჩემი ცოლი გახდებიო. მის სიტყვებზე დედას გაეცინა, ყურადღება არ მიაქცია. მამამ გაუმეორა, ნუ იცინი, მართალს გეუბნებიო. იმ წვეულებაზე მამამ როიალზე დაუკრა თავისი დაწერილი სიმღერა და ყველას გასაგონად დედას უთხრა, ამ სიმღერას თქვენ გიძღვნითო. როიალზე სურათები ჰქოდათ დადებული, მამას მეგობარმა ინსტრუმენტი ისე გაანძრია, რომ ფოტოები გადმოცვივდა, მამამ ამით ისარგებლა და დედაჩემის სურათი ჯიბეში ჩუმად ჩაიდო. ისე მოხიბლა მერცია, რომ ერთ წელიწადში ცოლად გაჰყვა. არადა დედა მოსკოვში უნდა წასულიყო და იქ გათხოვილიყო.

— მოსკოვში საქმრო ჰყავდა?

— დანიშნული არ იყო, მაგრამ რუსი დიპლომატი ჰყავდა თაყვანისმცემელი. დედას ბევრი ეტრფოდა.

როცა დაოჯახდნენ, მამა 24 წლის იყო, დედა — 23-ის.

— მათი ურთიერთობიდან შვილებს რა დაგამახსოვრდათ?

— მამას სიურპრიზების მოწყობა უყვარდა. მოულოდნელად დედას სახლში საჩუქარს, ყვავილებს დაახვედრებდა. რომანტიკულ საღამოებს უწყობდა, თუმცა ეჭვიანიც იყო.

„მისი ეთაღეთი სიყვარული დედაჩემი იყო, მამას ცხოვრებაში სხვა მხოლოდ გართობა გახდათ“.



■ მერცია გელაშვილი

სუფრასთან ორივენი თუ მოხვდებოდნენ, იქიდან ადრე უნდა წამოსულიყვნენ, რადგან დედაჩემით იხიბლებოდნენ და მამა ამაზე ეჭვიანობდა. დედა მხოლოდ მამასთვის უნდა ყოფილიყო, სხვას არ უნდა ეცქირა მისთვის.

— საპირისპირო სქესის ყურადღება არც მამათქვენისთვის იქნებოდა უცნო. ამბობენ, მის გარშემო უამრავი ქალი იყო.

— მამა ყველა ქალს ხიბლავდა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს შეყვარებულების კორიანტელი ეხვია თავს. ყველა ქალის გულის მონადირება შეეძლო. მანდილოსნებს ავიწყდებოდათ, შეყვარებულებთან ან ქმრებთან ერთად რომ იყვნენ მისული და მამაჩემის გარშემო იკრიბებოდნენ. ის თავისი ხასიათით, იუმორით, სიმღერით ხიბლავდა მათ. მიუხედავად იმისა, რომ მეგობარი ქალები ჰყავდა, მისი ერთადერთი სიყვარული დედაჩემი იყო. მამას ცხოვრებაში სხვა მხოლოდ გართობა გახლდათ.

— ოჯახში, შვილებთან როგორი იყო?

— შესანიშნავი მამა და გიჟი ბაბუა გახლდათ. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახი იყო. მე და ჩემს უმცროს დას, ხათუნას, მშობლების უსაზღვრო სიყვარული გვქონდა. მამას ჩვენი უსიტყვოდ ესმოდა. არაფერში გვზღუდავდა, თავისუფლად ვიზრდებოდით, მაგრამ ზღვარს არ გადავდიოდი. დედაც ასე იყო ჩვენთან მიმართებაში.

■ თინიკო უჩანეიშვილი

მამას სულ ჩემი და ხათუნას სახელები ეკერა პირზე. მეგობრები ეუბნებოდნენ, ირაკლი, ნუთუ შენს მეტს შვილები არავის ჰყავსო. გასტროლებზე რომ მიდიოდა, ყველაფერს ჩვენთვის ყიდულობდა.

დედას ყველაფერში ეხმარებოდა. ადრე სოლოლაკში ვცხოვრობდით და მამა ყოველდღე ბოტანიკურ ბაღში გვასეირნებდა. მამაჩემის დედა მაშინ გარდაიცვალა, როდესაც ჩემი მშობლები დაოჯახდნენ. მე ბებიის სახელი მქვია. ბაბუამ და დედაჩემმა ერთმანეთს ძალიან კარგად გაუგეს. ბაბუას უხაროდა, რომ მის შვილს ასეთი კარგი ცოლი ჰყავდა. სამეგრელოში ბაბუასთან (უჩანეიშვილები სამეგრელოდან არიან) რომ ჩავდიოდით, მამას სათევზაოდ წასვლა უყვარდა.

ერთხელ დასასვენებლად გაგვიშვა, იქიდან რომ ჩამოვედით, სახლი გარემონტებული დაგვახვედრა. იყო შემთხვევა, როდესაც მამამ მუავე წყლებზე (ესენტუკი, კისლოვოდსკი) თვითმფრინავით გაგვგზავნა, იქ რომ ჩავფრინდით, ერთ საათში თავადაც გამოგვეცხადა.

მამა საავიაციო ტექნიკუმში ხაზვას სწავლობდა, ტანსაცმლის თარგებს გვიხაზავდა. დედაჩემს ხან რას გამოუჭრიდა და ხან — რას. ერთხელ დედას ლამაზი ჩუსტები შეუკერა. შეეძლო ავტომანქანა დაეშალა და თავიდან აეწყო. ავტომობილები ძალიან უყვარდა, მაგრამ ერთი და იმავე მანქანით დიდხანს არ დადიოდა.

— რამდენი წელი იყვნენ თქვენი მშობლები ერთად?

— 18 წელი იყვნენ ერთად. დიდ სიყვარულს შენარჩუნება და გაფრთხილება უნდა. მათ ირგვლივ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც შურდათ ჩემი მშობლების დიდი სიყვარული. შურმა და ჭორებმა ზეგავლენა იქონია. ისინი ოფიციალურად გაშორდნენ, მაგრამ მაინც ერთად ვიყავით.

„დედა ძალიან ლამაზი ქალი იყო. თუმცა მამამ დაინახა თუ არა, მაშინვე მასთან მივიდა და პირდაპირ უთხრა, შენ ჩემი ცოლი გახდებიო. მის სიტყვებზე დედას გაეცინა...“.

სანამ ოფიციალურად გაიყრებოდნენ, დედამ ბოლო წლებში მამას თავისუფლება მისცა, რომ თავის საქმეში ხელი არ შეშლოდა.

მამას ასეთი ჩვევა ჰქონდა — ყველას რჩევას და აზრს მოისმენდა, მაგრამ ბოლოს მაინც ისე გააკეთებდა, როგორც თავად სურდა. ამიტომ დედა მამას აღარ ეკამათებოდა. ერჩივნა, ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც თავად თვლიდა საჭიროდ. ამით დედამ ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო.

— ამის შემდეგ მამათქვენის ცხოვრებაში იყო სხვა ქალი?

— მამა ერთ ქალთან წავიდა, რომლის ვინაობის დასახელება არ მინდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისიც მიატოვა და სხვასთან წავიდა. ბოლოს კი მარტო იყო. ბაგებში, თავისი ხელით აშენებულ სახლში ცხოვრობდა, მხოლოდ ერთი ნათესავი ეხმარებოდა. მამასთან რომ ავდიოდით, ჩვენთან ერთად დედაც ამოდიოდა. საუბრობდნენ, დემოკრატიული ოჯახი გვქონდა.

— მამათქვენი შეუდარებელ თამადად იყო ცნობილი. თქვენს სახლში ხშირად იშლებოდა სუფრები?

— კი, ძალიან ხშირად. ის სუფრა, სადაც მამა იჯდა და თამადობდა, სპექტაკლი იყო. იმდენად შემოქმედებითად მიჰყავდა ყველაფერი, რომ საზოგადოებას ავიწყდებოდა, რაზე იყვნენ შეკრებილი. ნოდარ მგალობლიშვილი, თენგიზ არჩვაძე, ბუხუტი ზაქარიაძე და ოთარ მეღვინეთუხუცესი მამას განუყრელი მეგობრები იყვნენ. ბატონი ოთარი ჩემი ნათლია გახლდათ. მამა რომ გარდაიცვალა, ბატონმა ოთარმა გამიწია მამობა.

ერთხელ ახლობლებთან ერთად მამა რესტორანში ქეიფობდა. მათთან ახლოს ახალგაზრდებიც იყვნენ. მამამ გიტარაზე დაკვრა რომ დაიწყო, ერთ-ერთი მასთან მივიდა და უთხრა, ამ სიმღერას ცუდად მღერით, ირაკლი უჩანეიშვილივით უნდა იმღეროთო. მამას გაეცინა და უთხრა, თუ შემხვდება, გადავცემო.

— ცნობილია, რომ მისი სურვილი იყო, მფრინავი გამხსულიყო. ოცნების ასრულებაში რამ შეუშალა ხელი?

— ვასო გოძიაშვილმა გადააფიქრებინა. საავიაციო ტექნიკუმში სწავლის დროს კლუბში სპექტაკლი დადგეს, სადაც მამამ ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა. იმ სპექტაკლს ვასო გოძიაშვილი და აკაკი ხორავა (თუ არ მეშლება) ესწრებოდნენ. მათ მაშინვე შეამჩნიეს მამა და ბუმბერაზმა მსახიობებმა თეატრალურზე ჩაბარება ურჩიეს. მამას არასოდეს უნანია პროფესიის შეცვალა.

— სხვა გატაცება არ ჰქონია?

— გიტარა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური განათლება არ ჰქონდა, ფორტეპიანოზე ჯაზის კომპოზიციებს შესანიშნავად უკრავდა. მუსიკალური ნიჭი დედისგან გამოჰყვა. ბებია თავის დროზე ქართული ხალხური ანსამბლის წევრი იყო, არაჩვეულებრივად მღეროდა.

— ცნობილია მისი დეკლამაციის სელოვნებაც.

— მამამ მხატვრული კითხვა თეატრალურ ინსტიტუტში დაიწყო. განუმეორებელი ხმის ტემბრი ჰქონდა, რამაც თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ყველა პოეტს სურდა, მათი ლექსები ირაკლი უჩანეიშვილს წაეკითხა. მამას გამორჩეულად ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე უყვარდა. ხშირად იწვევდნენ რადიოში ჩასაწერად. რუსულ ენაზე 800-900 ფილმი აქვს გახმოვანებული.

— საათნოვას როლი სომხურად შეასრულა. სად ისწავლა სომხური ენა?

— სომხური ენა მამამ ბავშვობაში ისწავლა, როდესაც მისი ოჯახი სოლოლაკში, იტალიურ ეზოში ცხოვრობდა. დღეს ის სახლი აღარ არსებობს, დაანგრიეს. იმ ეზოში ქართველებიც ცხოვრობდნენ, რუსებიც, სომხებიც და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მამას სომეხი მეგობრები ჰყავდა. ხშირად იწვევდნენ სომხურ თეატრში. სომხეთში ან რუსეთში გაცვლითი შემოქმედებითი საღამო ან მხატვრული კითხვის საღამო რომ ტარდებოდა, მამა იქაც მონაწილეობდა.

> **„იყვნენ ადამიანები, ჰომღებსაც შეიდათ ჩემი მშობლების დიდი სიყვარული. შეიმა და ჭოჩებმა თავისი საქმე გააკეთა, ისინი დამოიდნენ".**

— ირაკლი უჩანეიშვილის როლები კინოში თითზე ჩამოსათვლელია („განაჩენი", „სად არის შენი ბედნიერება, მზია?", „ჭაკოკონა", „პალიასტომი", „ზღვის შვილები", „აკვდრება", „დანაშაული მოხდა"...). ასეთ ნიჭიერ მსახიობს რატომ არ იწვევდნენ კინოში?

— მამას კინოზე მეტად თეატრი უყვარდა. მისთვის სცენა ყველაფერი იყო. ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ სპექტაკლზე ან რეპეტიციაზე არასოდეს იგვიანებდა. არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა. ორჯერ წაიკითხავდა და ტექსტი იცოდა. როლში მთლიანად იყო ჩაფლული, ამით ცხოვრობდა, ის გმირი იყო, ვინც უნდა ეთამაშა. სპექტაკლში „იეთიმ გურჯი" იეთიმის არაჩვეულებრივი სახე შექმნა, რომელიც შედევრად ითვლება. დღესაც ჰიტია მისი სიმღერა „ფიფქები", რომელიც ლენა რეხვიაშვილთან ერთად შეასრულა.

ფილმებიდან კი მხოლოდ კონსტანტინე პიპინაშვილის ფილმს „ზღვის შვილებს" და ირინა პოვოლოცკაიას ფილმს „საიდუმლო კედელს" გამოარჩევდა, სადაცმამასთან ერთად სანდრო ჟორჟოლიანი და ანდრეი მირონოვიც თამაშობენ. რატომღაც ეს ფილმი საქართველოში არ აჩვენეს.

„ზღვის შვილები"

„ძველი ოდესელები". მარცხნივ თბილელთან ერთად

> **„კინოზე მეტად მამას თეატრი უყვარდა. მისთვის სცენა ყველაფერი იყო. ხოლით ცხოვრობდა, ის გმირი იყო, ვინც უნდა ეთამაშა".**

მამა „ზღვის შვილებს" და „საიდუმლო კედელს" (თუ არ ჩავთვლით ფილმ „ვედრებას", სადაც მუსას როლი შეასრულა და რუსულადაც გაახმოვანა), შინაარსობრივი დატვირთვით გამოარჩევდა. ორივე ფილმში მთავარი და სერიოზული როლი შეასრულა.

— იყო როლი, რომელიც განუხორციელებელ ოცნებად დარჩა?

— მამას ძალიან დასწყდა გული, როდესაც გიგა ლორთქიფანიძემ „დათა თუთაშხია" გადაიღო და როლი არ მისცა. ამ ფილმში თითქმის ყველა მსახიობია დაკავებული, მაგრამ რატომღაც მამასთვის ერთი პატარა როლი არ მოიძებნა.

— რიგორი იყო სიცოცხლის ბოლოს?

— 63 წლის ასაკში ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა. ავად რომ გახდა, ქვეყანაში ცუდი პერიოდი იყო, 1991-1992 წლები. მიუხედავად იმისა, რომ აპოლიტიკური პიროვნება გახლდათ, საქართველოს ბედს ძალიან განიცდიდა. რამდენჯერმე სთხოვეს მიტინგზე გასვლა, მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდა, რადგან თვლიდა, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ იყო. 1989 წლის 9 აპრილის ამბები მძიმედ გადაიტანა...

ავად იყო, მაგრამ თავის საქმეს არ ღალატობდა. მაინც ითამაშა თავისი ბოლო სპექტაკლი „მარტოობის დღესასწაული". სიცოცხლის ბოლო წლებში მონაწილეობდა გიზო ნიშნიანიძის საღამოებზე „პაემანი ვერაზე". ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა, საავადმყოფოში იწვა, მაგრამ გიზო ნიშნიანიძის საღამოზე მაინც მიდიოდა, ღამით საავადმყოფოდან იპარებოდა, რადგან იცოდა, რომ ფილარმონიაში მაყურებელი ელოდებოდა. იცოდა, რომ საშინელი სენი სჭირდა, მაგრამ მაინც მღეროდა, საჭესთანაც იჯდა. დაავადებას არ შეეპუა, თავის საქმეს ბოლომდე აკეთებდა.

— ქალიშვილების ბედით კმაყოფილი იყო?

— მე კონსერვატორია დავამთავრე, მუსიკოსი ვარ, ხათუნა ინგლისური ენის სპეციალისტია. ძალიან განიცდიდა, ხათუნა რომ არ თხოვდებოდა. მამას გარდაცვალების შემდეგ გათხოვდა ჩემი და. ჩემი სიძე, ივანე ვასუტინი, ქუთაისშია დაბადებული და გაზრდილი. ძალიან კარგი ექიმია და მოსკოვიდან საზღვარგარეთ გაგზავნეს. ჯერ იტალიაში იყო, მერე ინგლისში, ახლა შვეიცარიაში, ქალაქ ლოზანაში ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ჩემს დას ორი შვილი ჰყავს — სოფია და დავითი. სოფია 20 წლისაა და ლოზანას უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. დავითი 11 წლისაა, სკოლაში დადის, პარალელურად კი ლოზანას ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდის წევრია.

— თქვენი რჩეული მოსწონდა მამას?

— ჩემი მეუღლე, გოგი ცინცაძე, მშენებელია. მამას ის ძალიან მოეწონა. ორი თვის განმავლობაში ჩემი ქორწილი ხან სად გრძელდებოდა და ხან — სად. ბოლოს ბაგებში, ჩვენს სახლში ავედით ახალგაზრდები. ისე მოხდა, რომ სტუმრები გვიანობამდე შეყოვნდნენ. წასვლა რომ დააპირეს, აღმოჩნდა, რომ ავტომანქანა არავის ჰყავდა. მამას დავურეკე და ნახევარ საათში ჩვენს სახლთან 5 ტაქსი გაჩერდა. მერე გავიგეთ, რომ მამა თავისუფლების მოედანზე წასულა, სადაც მაშინ ტაქსების გაჩერება იყო და მძღოლებისთვის უთხოვია, ახალგაზრდებს ბაგებში ძალიან უჭირთ და გთხოვთ, ყველა ერთად ადითო. მართლაც, ჩამწკრივებულები ამოვიდნენ.

— თქვენ რამდენი შვილი გყავთ?

— სამწუხაროდ, ჩემი ვაჟი, გიორგი, 7 წლის ასაკში გარდაიცვალა. მამა მაშინ უკვე

ხათუნა უჩანეიშვილი შვილებთან, სოფიასთან და დავითთან ერთად

აღარ იყო ცოცხალი. ქალიშვილმა, თათამ, უნივერსიტეტი დაამთავრა და ახლა ერთ-ერთ ბანკში მუშაობს. თათას ორი შვილი ჰყავს — 8 წლის ანასტასია და 2 წლის ნატალია ფრანჩუკები.

✓ ლია ოსაძე

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

„მეგობრებს ვერ ვუმხელ, რომ დედაჩემი მესამედ გათხოვდა“



თქვენს მეტს ვერავის გავუმხელ იმ პრობლემას, რაც ახლა მაწუხებს. დედამ საშინელ მდგომარეობაში ჩამაგდო. არც კი ვიცი, ასე რატომ მიმეტებს, რატომ არ ფიქრობს ჩემზე. რამეს რომ ვეტყვი, არც მისმენს, ყოველთვის მე მადანაშაულებს, მეუბნება, რომ მე არაფერი ვიცი, რომ ძალიან პატარა ვარ და ხმის ამოღების უფლება არ მაქვს. არადა 15 წლის ვარ და, ჩემი აზრით, უკვე შემიძლია რაღაცეები გავიგო, თან ძალიან სწორად.

4 წლის ვიყავი, როცა მამა ჩვენგან წავიდა. მეუბნება, რომ ამის მიზეზი დედაჩემი იყო, რადგან მის მძიმე ხასიათს ვერაფრით შეეწყო. ამბობს, დედაშენის პრეტენზიებს კიდევ გავუძლებდი, მაგრამ ბებიაშენმა სახლიდან გამაქციაო. მამის მჯერა, რადგან დედას და ბებიას მართლა მძიმე ხასიათები აქვთ. ისინი რომ იტყვიან, არავინ უნდა შეეწინააღმდეგოს, თვლიან, რომ მართლები არიან. მეც ზუსტად ასე მექცევიან. დიდი სიამოვნებით წავიდოდი მათგან, მაგრამ მამას სხვა ცოლი და შვილები ჰყავს. ჩემს და-ძმასთან კარგი ურთიერთობა კი მაქვს, მაგრამ ცოტა სხვანაირი ბავშვები არიან. მისი ცოლიც არც ისე თბილად მხვდება, ამიტომ აღარ ვიცი, ვის მივეკედლო, რადგან დედასთან ცხოვრება არ შემიძლია.

10 წლის ვიყავი, მეორედ რომ გათხოვდა. ის კაცი საშინელი პიროვნება იყო. მუდმივად მთვრალი მოდიოდა, მერე სახლშიც სუფრას შლიდა, შუაღამემდე იჯდა და გაუთავებლად ლაპარაკობდა. თავიდან ბებიას საჩუქრებით ავსებდა, სულ აქებდა და ადიდებდა და მასაც მოსწონდა. ამბობდა, როგორც იქნა, კარგი სიძე მეღირსაო. მერე კი მისი გაუთავებელი სმა ვეღარ აიტანა და მათ შორისაც კონფლიქტი დაიწყო. თავიდან დედა ქმრის მხარეს იყო და ბებიას საშინელ დღეში აგდებდა. ყოველდღე მათი ჩხუბის მოსმენა მიწევდა. ბოლოს ის კაცი ჩვენგან წავიდა და ცოტა ამოვისუნთქე.

დედამ თქვა, მორჩა, ჩემ გვერდით მამაკაცი აღარ იქნებაო. მეგონა, ამ პირობას შეასრულებდა და ნამდვილი, თბილი ოჯახი გვექნებოდა, მაგრამ ჩვენს დედაშვილობას მაინც არაფერი ეშველა. დედა ისევ არ მაქცევდა ყურადღებას. რამეს რომ ვსაყვედურობდი, მეუბნებოდა, ყველაფერი გაქვს, ჩასაცმელი არ გაკლია, საჭმელი და დასვენება, მეტი რა გინდაო. მართლა ბევრს მუშაობს და მთელ ოჯახს არჩენს, მაგრამ მისგან მეტი სითბო მჭირდება. ნუ მიყიდის ფეხსაცმელებს და კაბებს, არ მოვთხოვ, უბრალოდ მაგრძნობინოს, რომ ძალიან ვუყვარვარ.

რამდენიმე თვის წინ დედამ გამოაცხადა, კიდევ უნდა გავთხოვდეო. ბებია შეეწინააღმდეგა, მაგრამ საშინელ დღეში ჩააგდო. უთხრა, ჩემი ბედნიერება არ გინდაო. მეც ვუთხარი, რომ სახლში უცხო მამაკაცს ვერ ავიტანდი, ამის გამო კი საშინელი სიტყვები მითხრა. ეგოისტი მეძახა, მერე მამაჩემის ლანძღვა დაიწყო, მან გამაუბედურა, ცხოვრება ამირიაო. ნიშნისმოგებით მითხრა, მეორე შვილი უნდა გავაჩინო, იქნებ მას უკეთესი გენი ჰქონდესო. გავჩუმდი და იმის შემდეგ ხმა არ ამომიღია.

დედას უკვე სხვა ქმარი ჰყავს და, როგორც ამბობს, მასთან ძალიან ბედნიერია. ბუნებრივია, ეს მიხარია, მაგრამ ერთხელაც არ უკითხავს, მე რამე ხომ არ მაწუხებს. ჰგონია, რომ ჩემთვის მთავარი ჩასაცმელი, მასწავლებლებთან სიარული და კაფეში ყავის დასალევი ფულია. მე კი მისი სითბო ძალიან მენატრება. ყველაფერს დავთმობდი, ნორმალური ურთიერთობა რომ გვქონოდა. ყოველივე ამას სირცხვილი ემატება — მეგობრებს ვერ ვუმხელ, რომ დედაჩემი მესამედ გათხოვდა. მათი ძალიან მრცხვენია.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ახალ კლასელს ცუდად ვექცეოდით, ის კი თურმე დიდ ტკივილს ატარებდა“

ამ წერილს 16 წლის გოგო გწერთ. მინდა, რომ ჩემი წერილი გამომიქვეყნოთ, იქნებ აფორიაქებული სული ამით ცოტათი მაინც დავიმშვიდო. მთელმა კლასმა საშინელი შეცდომა დავუშვით, რასაც ყველა ვნანობთ, მაგრამ ახლა გვიანია. ადამიანს გული თუ ატკინე, მერე რაც უნდა გაუკეთო, ის არასოდეს დაავიწყდება.

წელს ჩვენს კლასში ერთი გოგონა გადმოვიდა. რაღაცნაირი გულჩათხრობილი იყო, გამარჯობაც კი არ გვითხრა. მასწავლებლებსაც დაბნეული პასუხობდა. კლასელმა გოგოებმა ავითვალწუნეთ, რადგან ყველა ბიჭის ყურადღება მიიქცია. ჩემს დაქალს ერთი ბიჭი მოსწონდა და მანაც იმ გოგოს დაუწყო თვალიერება. სკოლაში ქალს მოჰყავდა მანქანით და გვეგონა, რომ დედამისი იყო. გოგოები სწორედ ამით ვხსნიდით ბიჭების ასეთ დაინტერესებას. სულ რაღაც ორ დღეში მის მტრებად ვიქეცით. ძალიან უბრალოდ და სადად იცვამს, ჩვენ კი დაცინვა დავუწყეთ.

ერთხელ უკადრებელი რაღაც ვკადრეთ, ამას აქაც კი ვერ დავწერ, რადგან ძალიან მრცხვენია. ბიჭების თანდასწრებით ისეთი რაღაც ვუთხარით, რომ... ის საშინლად გაწითლდა და ტირილი დაიწყო. ორი დღე სკოლაში აღარ მოსულა. მერე ისევ იმ ქალმა მოიყვანა. არ დაგველაპარაკა, მერხთან ჩუმად დაჯდა. არც არავინ გასაუბრებია. იმის ნაცვლად, რომ ბოდიში მოგვეხადა, ისევ დაცინვა დავუწყეთ. მისი წინდები ავითვალწუნეთ და მთელი დღე ამაზე დავცინოდით. საკუთარი თავის ძალიან მიკვირს. ბუნებით ასეთი არ ვარ და ახლაც ვერ ვხვდები, რამ გამაგიჟა, იმ ადამიანს, რომელსაც ჩემთვის არაფერი დაუშავებია, ასე რატომ მოვექეცი.

ცოტა ხნის წინ მასწავლებელმა თემა მოგვცა დასაწერად, სათაურით — „მონატრება“. მეორე დღეს ჩვენი ქართულის პედაგოგი ოთახში რომ შემოვიდა, ახალ მოსწავლეს გადაეხვია და ცრემლები ვერ შეიკავა. მისი ასეთი საქციელი ძალიან გაგვიკვირდა, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ თემა მოეწონა და აღფრთოვანების გამო ტიროდა. სიმართლე კი სხვა რამ აღმოჩნდა. თურმე იმ გოგომ თემა გარდაცვლილ დედაზე დაწერა, რომ ის ძალიან ენატრებოდა. მერე ეს თემა მთელმა კლასმა წავიკითხეთ და ყველამ ფერი დავკარგეთ, საშინელი სინდისის ქენჯნა ვიგრძენით.

ჩვენი კლასელი წერდა, რომ 9 წლის იყო, როცა დედა გარდაეცვალა. აღწერილი ჰქონდა, ავადმყოფ მშობელს როგორ უთენებდა ღამეებს, როგორ ეფერებოდა. თურმე სიკვდილის წინ დედა ასწავლიდა, როგორ უნდა მოევლო თავისთვის, როგორ უნდა ეპატრონა მამამისისთვის. მოკლედ, საკმაოდ მძიმე წასაკითხი აღმოჩნდა.

იმ დღის შემდეგ კლასელს თვალებში ვეღარ ვუყურებთ. იმასაც კი ვერ ვბედავთ, ბოდიში მოვუხადოთ. ჩვენ დავცინოდით, ის კი თურმე რამხელა ტკივილს ატარებდა. ის ქალი, დედა რომ გვეგონა, დედინაცვალი აღმოჩნდა. ალბათ მისთვის დედინაცვალთან ცხოვრებაც ძალიან მძიმეა. დარწმუნებული ვარ, ამასაც ძალიან განიცდის, ჩვენ კი როგორ ვიქცეოდით. იმ ყველაფრის გახსენებაც არ მინდა. პირადად თქმა ვერ გავბედე და ახლა თქვენი ჟურნალიდან ვთხოვ პატიებას.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ძალიან გთხოვთ, დედა გადამირჩინეთ!“

თქვენს ჟურნალს ხშირად ვკითხულობ და იმედი მაქვს, ამ წერილს დამიბეჭდავთ. 13 წლის გოგო ვარ. მამამ 3 წლის წინ მიგვატოვა და სხვა ქალთან წავიდა. ქირით ვცხოვრობთ. დედა მუშაობდა და თავი ასე გაგვქონდა, მაგრამ ახლა სამსახურში ვეღარ დადის, რადგან სასწრაფოდ ოპერაცია სჭირდება. ჩვენ კი არავინ გვყავს ისეთი, ვინც დაგვეხმარება. ბინაშიც არ გვაჩერებენ, რადგან ქირას ვერ ვიხდით. სკოლაში ხანდახან დავდივარ...

დედის გარდა არავინ მყავს. ძალიან გთხოვთ, იქნებ დამეხმაროთ და დედა გადამირჩინოთ.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
   1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემი შეყვარებული სხვა გოგოს ეოცნიდა"

16 წლის ვარ. სიყვარულში არასოდეს მიმართლებს, ყოველთვის იმედგაცრუებული ვრჩები. 4 თვის წინ გავიცანი ბიჭი, რომელიც თან მყვებოდა, საჩუქრებს მიგზავნიდა, ყველა თხოვნას მისრულებდა. მეფიცებოდა, რომ ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ეს ყველაფერი მოჩვენებითი აღმოჩნდა. რამდენიმე ხნის წინ თავის ყოფილ შეყვარებულთან დავინახე, რომელსაც კოცნიდა. საშინლად განვიცადე, მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი. ძალიან მიყვარს, ამიტომ ვერ გადამიწყვეტია, დავშორდე თუ არა.

მკითხველი

„გირჩევთ, ემოციები მოთოკოთ!"

ჟურნალ „სარკის" 42-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „დაქალმა ჩემი ჩახუტება ლესბოსელობად აღიქვა". მეც ამ სტატიის ავტორის თანატოლი ვარ და ამიტომაც მინდა, რჩევა მივცე. არიან ადამიანები, რომლებსაც ზედმეტი ყურადღება არ სიამოვნებთ და, სხვათა შორის, მეც ასეთი ვარ.

ჩემს მეგობარს ჩვეულად ჰქონდა, უცნობებსაც კი გადაეხვეოდა და კოცნიდა. თან ყველას „საყვარელოთი" ელაპარაკებოდა. სულ ვეუბნებოდი, რომ არასწორად იქცეოდა და მისი ასეთი ემოციები ადამიანებს აბნევდა. ერთხელ მართლაც ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა. ახალგაზრდა კაცი გაიცნო ქორწილში, სულ რაღაც ორი საათი ჰქონდა მასთან ურთიერთობა. არც მისი სოციალური მდგომარეობა იცოდა, არც არაფერი. რამდენიმე კვირის შემდეგ ის კაცი ქუჩაში ვნახეთ ქალთან ერთად. ჩემი მეგობარი კი ებრდღვნა და გადაკოცნა, თან დიდი ამბით მოიკითხა.

იმ მომენტში მის გვერდით ვიდექი და დავინახე, მის თანმხლებ ქალს სახე როგორ აუწითლდა. მერე გავიგეთ, რომ იმ კაცის ცოლი იყო. დაქალს მაშინვე ვუთხარი, იმ ქალმა აშკარად იეჭვიანა-მეთქი, მან კი ჩემი სიტყვები „გაატარა", ვითომ ვერ გაიგო. ჩემი მეგობარი გარეგნულად ძალიან კარგი გოგოა და, უნდა ვაღიარო, რომ ცოტა გამომწვევადაც იცვამს. იმ დღეს კი განსაკუთრებულად სექსუალური იყო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაქალს ჩემი სიტყვები იმ დღესვე აუხდა. ვის ქორწილშიც იყო, იმ გოგომ დაურეკა და გამოჰკითხა, იმ ბიჭს საიდან იცნობო. თურმე პატარძლის ნათესავი იყო. იმ კაცის ცოლმა კი „ფეისბუქით" დაუწყო გამოკითხვა, ჩემს ქმარს როდიდან იცნობ და რა ურთიერთობა გაქვსო. რომ უთხრა, მხოლოდ ერთხელ ვნახე და ისიც ორი საათითო, არ დაუჯერა. უთხრა, ახალგაცნობილებს ასეთი ოვაციებით არ ხვდებიანო. მერე კი დაემუქრა, ჩემს ქმარს არ გაეკაროო. ჩემი მეგობარი მიხვდა, რომ ზედმეტი ემოციების გამოვლენა ყოველთვის არ არის საჭირო.

წერილის ავტორს მივმართავ, ძალიან კარგია, ასეთი მოსიყვარულე რომ ხართ, მაგრამ, ჩემი აზრით, ემოციები ცოტათი უნდა მოთოკოთ. იცოდეთ, რომ ზოგჯერ ადამიანებს ზედმეტი ყურადღება აღიზიანებთ.

„სარკის" ერთგული მკითხველი

„თქვენი ჩრეული თუ მოინათლება, სიყვარულში დაბრკოლება აღარ შეგექმნებათ"

„სარკის" 42-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „მუსლიმი ბიჭი შემიყვარდა". ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება. ისიც მსმენია, რომ საყვარელი ადამიანის გამო სარწმუნოებას იცვლიან. იქნებ თქვენმა რჩეულმაც მიიღოს ქრისტიანობა და სიყვარულშიც აღარ შეგექმნათ დაბრკოლება.

მკითხველი

„საყვარელი ბიჭის ნაცვლად ჰაემანი დაქალებმა დამინიშნეს"

ჟურნალ „სარკის" 42-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „პაემანზე შეყვარებულის ნაცვლად სხვა ბიჭი მოვიდა". ამ წერილმა ის სიმწარე გამახსენა, რაც დაქალებმა მაგემეს. ახლა 17 წლის ვარ, ეს ამბავი კი 2 წლის წინ მოხდა. მაშინ ყურებამდე ვიყავი შეყვარებული, მაგრამ იმ ბიჭისგან ვერაფერს ვგრძნობდი. ყოველთვის თავს მარიდებდა. მე კი აღარ ვიცოდი, მისი ყურადღება როგორ მიმექცია.

ერთ დღეს ვიღაცამ დამირეკა ჩემი საყვარელი ბიჭის სახელით. ხმა შეცვლილი ჰქონდა, მითხრა, გრიპი მაქვსო. იმდენად მინდოდა, ეს სიმართლე ყოფილიყო, რომ დავიჯერე. თურმე დაქალებმა სხვა ბიჭს დაარეკვინეს. მან პაემანი დამითქვა. მითხრა, ამა და ამ ადგილას მოდი, რაღაც უნდა გითხარო.

ვიფიქრე, რომ სიყვარულის ახსნა უნდოდა. განსაკუთრებულად გამოვიპრანჭე და იმ ბიჭთან შესახვედრად წავედი. იქ კი ჩემი დაქალები მოვიდნენ, თან სიცილით იხოცებოდნენ, გაგაშაყირეთო. მე სირცხვილისგან ავტირდი და მათ იმ დღესვე დავშორდი, ჩავთვალე, რომ ასეთი მეგობრები არ მჭირდებოდნენ.

მერე ისე აეწყო ყველაფერი, რომ ის ბიჭი მართლა გამომიტყდა გრძნობაში და დღეს შეყვარებულები ვართ. ჩემი მეგობრების, უფრო სწორად, ყოფილი მეგობრების საქციელს კი დღემდე ვერ ვამართლებ და მათი პატიებაც არ შემიძლია.

მკითხველი

„ბიჭმა ბინძური ჭორი მომიგონა და შეყვარებულს დამაშოხა"

ჟურნალ „სარკის" 42-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „პაემანზე შეყვარებულის ნაცვლად სხვა ბიჭი მოვიდა". ამ გოგონას წერილმა მიბიძგა, ჩემი ისტორია მომეყოლა. მინდა, მას ვურჩიო, რომ ფრთხილად იყოს, იმ ბიჭმა რამე არ დაუშავოს. ახლა კი ჩემს ამბავს მოგიყვებით.

ერთი ბიჭი ორი წელი მიყვარდა. მის გარდა არავინ მაინტერესებდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ჩვენ თუ ერთმანეთს დავშორდებოდით. სკოლაში ერთ ბიჭს ვუყვარდი, მაგრამ ის საერთოდ არ მაინტერესებდა. რაღაცას რომ მეტყოდა, მეცინებოდა. ბევრჯერ საჩუქარიც მომიტანა, მაგრამ არ გამოვართვი. ის ოდნავადაც არ მომწონდა. ეცადა, ჩემი გული მოეგო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე კი ისე გაბოროტდა, ბინძური ჭორი მომიგონა. ჩემს შეყვარებულს უთხრა, ვითომ მასთანაც მქონდა რომანი და თან სერიოზული. სამწუხაროდ, შეყვარებულმა დაუჯერა და დიდი ჩხუბით დავშორდით. ასე რომ, კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, იმ ბიჭს ერიდე. განაწყენებულმა და დაბოღმილმა შეიძლება ცუდი რამე გაგიკეთოს.

თქვენი მკითხველი

✓ *რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ*

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემთან კატოსნაირი ადამიანები ახლოს არ მოდიან, მისგან რადიკალურად განსხვავებული მეუღლე მყავს“

ხას ფიქრობს დათო დარჩია მირიან ბარათეონზე



მსახიობმა დათო დარჩიამ თეატრის სცენაზე უამრავი გმირი შექმნა, მუშაობდა რობერტ სტურუასთან, წლების წინ სერიალებში „წვრილ ვარსკვლავთა ღამე“ და „თენდება გვიან“ მთავარი როლები ითამაშა, ასე რომ, პოპულარობა არ აკლდა. და მაინც, სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში“ სრულიად მოულოდნელი რაკურსით გამოჩნდა თუ არა, მაშინვე მისი გმირი, მილიონერი ნაბდოსანი მირიან ბარათეონი, საყოველთაო განხილვის ობიექტი გახდა და მსახიობი მასთან გააიგივეს. ეს დათო დარჩიას, ცოტა არ იყოს, უკვირს, თუმცა ცუდს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ ამ როლით კარგი შანსი გაუჩნდა, მაყურებლისთვის თავი შეეხსენებინა.

— ბატონო დათო, პროფესიონალები, განსაკუთრებით კი თეატრის მსახიობები, თვლიან, რომ სერიალში მონაწილეობა ერთი საფეხურით ქვემოთ ჩასვლაა არტისტისთვის. თქვენც ხომ იყოთ მანეთ, სანამ ახალ როლს დათანხმებოდით?

— ქართულ კინემატოგრაფიას იმდენად უჭირს, რომ შემოთავაზებაზე ბევრი ფიქრი არ ღირს. სცენარების ასარჩევად არ გვაქვს საქმე. მე კინოსა და დრამის ფაკულტეტი დავამთავრე, ამიტომ ორივეში რატომ არ უნდა გამოვცადო თავი? კინო სულ სხვაა და თეატრი — სხვა. ამას თუ გავითვალისწინებთ, ძალიან საინტერესო შემოთავაზება იყო ჩემთვის. მეორე მიზეზი ისაა, რომ ყურებადი, რეიტინგული სერიალია. კარგი საშუალება იყო, ხალხისთვის თავი შემეხსენებინა. სერიალზე ნიჭიერი მსახიობები მუშაობენ, კარგი გუნდია და ამიტომ მინდოდა, მეც მიმეღო მონაწილეობა.

— ალბათ მზად ხართ, რომ მაყურებელი მირიანთან გაგაიგივებთ.

— ჰო, დაიწყება, ფული მასესხეო. თუ ჩემს გმირთან გამაიგივებენ, კარგიც იქნება, ესე იგი კარგად ვთამაშობ.

— თავად როგორ შეაფასებთ მირიანს?

— შეიძლება მაყურებელს ჩემი გმირის ბევრი რამ არ მოსწონს, მაგრამ ვფიქრობ, რომ კარგი თვისებებიც აქვს. მდიდარი კაცია, რომელიც ყველა სფეროს აფინანსებს, სადაც კი ხელი მიუწვდება, მათ შორის — დაზღვევასაც. ერთ ეპიზოდში კატომ უთხრა, ნეტა, ყველა შენნაირი იყოსო და ჩემი გმირი პასუხობს, ყველა ჩემნაირი რომ იყოს, ამ ქვეყანაში ბედნიერება იქნებოდაო. რეალურად საქართველოში მართლაც არსებობს 100 კაცი, ვინც მილიონებს ფლობენ, მათ შეუძლიათ, მოსახლეობას კარგად მიხედონ, მაგრამ ამას არ აკეთებენ. ჩემი შეხედულებით, მირიანის დიდი პლუსია ის, რომ ფულს ბალიშებში არ ინახავს და სხვადასხვა სფეროს აფინანსებს. 4 შვილი ჰყავს და მათთვისაც კარგი მამაა. მთლად მოხუცი არ არის, ახალგაზრდაა და რატომაც არ ენდომება ვიღაცეებთან გაპრანჭვა-გამოპრანჭვა?

„მსახიობი ან მკვლელს ითამაშებს, ან ბოროტს, ან ჯეთილ გმირს, მაგრამ ხალხმა ყველაფერზე პასუხი უნდა მოგვთხოვოს? რა ვქნა, არ მინდა, დავიჯერო, რომ ჩემი ქართველი ერი ასეთი დაბალი დონისაა. დათო ვარ დარჩია და არ გამაჩნია არანაირი მილიონები, თითო თეთრს გიჟივით დავეძებ“.

— გასაგებია, მაგრამ მის მოსაწონ ქალს რომ ქმარი ჰყავს და თავადაც ცოლიანია, ეს გასათვალისწინებელი ფაქტორი არ არის?

— მირიანი ცოლს შორდება, მთლად ასეც ნუ ვიტყვით. ეს ხომ ქართული კეთილი სერიალია და არა — ვენესუელური.

— თქვენს გმირს კატოს ქმრის, დიტოს შაში მაინც უნდა ჰქონდეს, ის ხომ მის ცოლთან აბამს რომანს.

— ჩემი გმირის დონესთან შედარებით ძალიან სასაცილოა დიტოს დონე და გავლენა. მას თუ 10 ლარი აქვს, მირიანს 100 აქვს. მოკლედ, მატერიალურად დიტო მირიანთან ვერ მივა. ამ მხრივ დიტოს არ უღირს მასთან შეტაკება. დიტო თუ იმ კუთხით გააქტიურდება, რომ ცოლს მეტი ყურადღება მიაქციოს და მოეფეროს, ეს უფრო გამართლებული იქნება, ვიდრე ჩემთან ჭიდაობა. დიტო, მამა, ჩემთან ჭიდაობა არ გამოგივა, არა! ასე რომ, ურჩევნია, ცოლთან მეტი სიყვარული გამომჟღავნოს, ჩემი გმირი კი სადმე ლას ვეგასში მოძებნის სასურველ ქალს.

— ყველა მსახიობი აუცილებლად რაღაც თავისას დებს პერსონაჟში. მირიანში რა ჩადო დათო დარჩიამ?

— რეჟისორმა რომც აგიხსნას, როგორი პერსონაჟი სჭირდება, მსახიობი მაინც თავისას დებს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მირიანში დათო დარჩიასი რაღაც ნამდვილად არის. არ მინდა, თავის ქება გამომივიდეს, მაგრამ მირიანის მსგავსად არ ვარ აგრესიული ტიპი, დახვეწილობითაც ვგავართ ერთმანეთს, არც „ბლატნოი“ ტიპი ვარ. ჩემი გმირი განათლებული ადამიანია და ვერ ვიტყვი, რომ მე განათლება არ მაქვს. ეს თვისებები ცოტ-ცოტა ყველაფერი მაქვს. დანარჩენ ამოცანებს, რომლებიც რეჟისორმა და სცენარისტებმა დამისახეს, მგონი, თავს ვართმევ.

— კატოსნაირი გოგონები რეალურად ბევრნი არიან. თქვენი შეხედულება როგორია ასეთების მიმართ?

— დათო დარჩიასთან კატოსნაირი ადამიანები ახლოს არ მოდიან. არ ვამბობ, რომ კატო ცუდია, უბრალოდ ცხოვრებაში მისგან რადიკალურად განსხვავებული მეუღლე მყავს. ვიღაცისთვის შეიძლება კატო ძალიანაც მისაღები იყოს, მაგრამ არა — ჩემთვის. თავისი სუსულელეებით და ქარაფშუტობით მოსდის რაღაცეები, თორემ ისე ძალიან კარგი და კეთილი გოგოა. მეგობრებიც უყვარს. თუ ავალებენ, არც მუშაობა ეზარება. ლელა მებურიშვილი გადასარევი გოგოა, ახლა გათხოვდა, ოჯახი შექმნა და თქვენი საშუალებით კიდევ ერთხელ მივულოცავ!

— ლელასთან ერთად გადასაღებ მოედანზე ყოფნა და მუშაობა ადვილია?

— ძირითადად ლელასთან მიწევს გადაღებები. გადასაღებ მოედანზე ისე კარგად გვესმის ერთმანეთის, თითქოს ძალიან დიდი ხანია პარტნიორები ვართ.

— თუ იცით, მაყურებელი როგორ აფასებს თქვენს გმირს?

— მაყურებლის აზრით ყოველთვის ვინტერესდები, მაგრამ რომ მიყვებიან, თუ რა გამოხმაურებები ჰქონდა ამ სერიალს, გაკვირვებული ვარ. თურმე ნინო მუმლაძეს მიუცვივდნენ და მიტინგი გაუმართეს, უხეშო და ოხეროო, ეძახდნენ. არ ვიცი, რამდენად მართალია. დავიჯერო, მართლა ხდება ასეთი რაღაცეები?

— გამორიცხული არაა, მართალი იყოს, რადგან თავად ლეკვან ყოჩაშვილსაც უთქვამს ჩემთვის, ხალხი მაჩერებდა და მეუბნებოდა, ოჯახს ნუ ანგრევ, შვილები არ მიატოვოო.

— კარგია, თუ ხალხი ასეა ამ სერიალში ჩაფლული, მაგრამ ასე არ უნდა გაგიჟდნენ. ერთი პერიოდი, როცა „თენდება გვიან“ გადიოდა, ერთი-ორი „მეკაჩავებოდა“, როგორ მოკალი გიგილოო. ვუსსნიდი, ის კინოა, ის მსახიობი კი ჩემი კარგი ძმაკაცია-მეთქი. მსახიობი ან მკვლელს ითამაშებს, ან ბოროტს, ან კეთილ გმირს, მაგრამ ხალხმა ყველაფერზე პასუხი უნდა მოგვთხოვოს? რა ვქნა, არ მინდა, დავიჯერო, რომ ჩემი ქართველი ერი ასეთი დაბალი დონისაა. არ არსებობს არანაირი დიტო და მირიანი! დათო ვარ დარჩია და არ გამაჩნია არანაირი მილიონები, თითო თეთრს გიჟივით დავეძებ.

„სტუჩეასთან ჰამდენი მთავარი ჰოლი მაქვს შესრულებული, ჰეპეტიციებზე ჰამდენი უძილო ღამე მაქვს გატარებული, სცენის ჰამდენი მტვერი მაქვს შესუნთქული, მაგრამ... ეჯანზე ჰამდენჯერმე გამოვჩნდი და ახლა ისევ მცნობს ხალხი და ისევ მოვიდა პოპულარობა“.

— თქვენს ცოლს მოსწონს მირიანი?

— მე და ჩემი მეუღლე უკვე ძალიან დიდი ხანია ერთად ვართ. ვერ ვიტყვი, მას ჩემი გაკეთებული არაფერი მოსწონს, ვიკა ზუსტად მაფასებს, ათიანში არტყამს. ვერც იმას ვიტყვი, რომ მთლად განებივრებული ვყავარ,

Cyan Magenta Yellow Black

ნანკა კალატოზიშვილი: „ჩემ გვერდით ირაკლი რომ არ ყოფილიყო, მშობიარობა ორი დღე გაგრძელდებოდა“

„30 წლამდე ვთვლიდი, რომ დედობისთვის მზად არ ვიყავი. ამ პასუხისმგებლობის ყოველთვის მეშინოდა, მაგრამ ახლა დანიელის დაბადებას ყველანაირად მომზადებული შევხვდი“.

მსახიობი ნანკა კალატოზიშვილი ოთხთვენახევრის წინ, 34 წლის ასაკში გახდა დედა. ამ მოვლენამ არათუ უკანა პლანზე გადასწია მისი შემოქმედებითი მუხტი, პირიქით — იმხელა სტიმული მისცა, რომ ახალბედა დედა სერიალის გადაღებებშიც მონაწილეობს, შოუც მიჰყავს, თეატრთან ერთად გასტროლებზეც დადის და თან შვილთან მაქსიმალურად ახერხებს ყოფნას. თითქმის ასეთივე აქტიური იყო ფეხმძიმობის პერიოდშიც. 30 წლამდე კი დედობა მისთვის აბსტრაქტული თემა გახლდათ, თვლიდა, რომ ამისთვის მზად არ იყო. ოჯახურ იდილიას ყოფილ კალათბურთელ ირაკლი კეიდიასთან (კედოსთან) ერთად ცხოვრების დაწყების შემდეგ გაუგო გემო, ახლა კი ის, ირაკლი და მათი პატარა დანიელი განუყოფლები არიან.

დედობრივ ემოციებსა და ოჯახური ცხოვრების სიხარულებზე ნანკა „სარკეს“ გულახდილად უამბობს.

— ნანკა, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი, ალბათ ყველაზე მთავარი მოვლენა მოხდა — დედა გახდით. როგორ შეხვედით ამ „როლში“?

— ეს ყოფილა სასწაული! რომ ამბობდნენ, ყველა ქალმა უნდა გამოსცადოს დედობაო, არ მესმოდა. ვიმეორებ, ეს მართლა სასწაული ყოფილა. ამას სიტყვებით ვერ გადმოსცემ. აშკარად სხვა პლანეტაზე ვარ.

— დანიელის დაბადებამ ალბათ ბევრი რამ შეცვალა თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

— კი, ყველაფერი შეიცვალა. ჩვენს ოჯახს შეემატა არაჩვეულებრივი ბიჭი. ყველაფერზე მენანება დროის დახარჯვა, მინდა, სულ მის გვერდით ვიყო. ყოველდღე ახალ-ახალ რაღაცეებს აკეთებს. რაც მეტს ვაკვირდები, მით მეტად ვგიჟდები.

— მშობიარობამ უპრობლემოდ ჩაიარა, დანიელმა არ გაწყალათ?

— ჩემი ბიჭი 6 ივნისს დაიბადა. ჩემი ექიმი დათო დავარაშვილი გახლდათ. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ბატონ დათოსთან მინდოდა, მემშობიარა. მშობიარობის პროცესმა 19 საათს გასტანა და დიდი მოლოდინის შემდეგ დანიელი დაიბადა. რადგან პირველი მშობიარობა იყო, ასე ამიტომაც გაჭიანურდა. საკეისრო კვეთა →32

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65.ექიმი — ქალბატონი დეა

მაგრამ, როცა მაკრიტიკებს, მისაბუთებს და მე ყოველთვის ვუსმენ. როგორ მივიღებ, ეს უკვე ჩემი საქმეა. მირიანზე პირდაპირ მითხრა, მომწონსო, მისი დახვეწილობა მოეწონა. მითხრა, ძალიან კარგად გამოიყურებიო. ყველა ქალს მოსწონს ისეთი ქმარი, რომელიც ძალიან დახვეწილია, ყოველთვის კარგად გამოიყურება, თან ამდენი ფული აქვს. ბავშვებიც გახარებულები არიან. მაგათ უფრო ის უხარიათ, რომ ეუბნებიან, მამაშენს ვნახულობთ სერიალშიო. ამით ძალიან ბედნიერები არიან. მეც კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი გმირი მოსწონთ.

— სერიალის მიღმა, თეატრში როგორ გრძელდება მუშაობა?

— თეატრი ჩემთვის ყველაფერია, მასზე ძალიან არაფერი მიყვარს. სამწუხაროდ, თეატრში ხალხი აღარ დადის. ტელევიზია კი უფასოა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ თეატრის ბილეთები კატასტროფული ფასი ღირს. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ახერხებენ მოსვლას. ზაფხულში რობიკო სტურუასთან სპექტაკლში „მარია კალასი“ ვითამაშე.

— თეატრს სერიალის გადაღებები დაემატა, საქმის გამო ჩვენთან შეხვედრა დიდხანს ვერ მოახერხეთ. ცოლ-შვილი კმაყოფილდება ამ დროით, რაც მათთვის გაქვთ გამოყოფილი?

— ჩვენი ცხოვრება ასეთია, უცებ მოგვეყრება ყველაფერი და ამ დროს შეიძლება რამდენიმე თვე სახლში ვერ მნახონ. დილით იმ დროს გავდივარ, როცა ბავშვებს სძინავთ და მაშინ ვბრუნდები, როცა უკვე დასაძინებლად წვებიან. მერე შეიძლება ისე მიეწყოს თვეები, ვთქვა, ნეტა, რამე გამაკეთებინა-მეთქი. ასეთ მდგომარეობაში უკვე არც ერთ შემოთავაზებაზე უარს აღარ ვამბობ. ადრე ვახმოვანებდი კიდეც, მაგრამ რაც სტენტირება გავიკეთე გულზე, მას შემდეგ დახურულ სივრცეში სული მეხუთება. ვიდრე შემიძლია, ჩემი პროფესიიდან მიღებულ შემოთავაზებებს ყოველთვის დავთანხმდები. მატერიალურ მხარესაც რომ თავი დავანებოთ და პოპულარობასაც, ეს წუთისოფელი ისეთი პატარაა, მინდა, რაღაც გავაკეთო, რაც დარჩება.

„ჩემი გმირის დონესთან შედარებით ძალიან სასაცილოა დიტოს დონე და გავლენა. დიტო, მამა, ჩემთან ჭიდაობა არ გამოგივა, არა!“.

სტურუასთან რამდენი მთავარი როლი მაქვს შესრულებული, რეპეტიციებზე რამდენი უძილო ღამე მაქვს გატარებული, სცენის რამდენი მტვერი მაქვს შესუნთქული, მაგრამ... ეკრანზე რამდენჯერმე გამოვჩნდი და ახლა ისევ მცნობს ხალხი და ისევ მოვიდა პოპულარობა. უკვე ასე მხვდებიან — მობრძანდით, მირიანო. სერიალში „თენდება გვიან“ რომ ვთამაშობდი, მაშინაც პოპულარული ვიყავი. ამის შემდეგ თეატრში ძალიან საინტერესო როლები ვითამაშე, მაგრამ რად გინდა, ამან პოპულარობა ვერ შემინარჩუნა. ახლა კი ისევ დადგა ძველი დრო.

— შვილებთან ახლოს ხართ?

— ბავშვებმა თავად მოინდომეს, რომ მათ ცხოვრებაში ჩახედული ვიყო. რატომღაც სულ „მა, მა“-ს გაიძახიან. ისეთ რამეს არასოდეს ვპირდები, რაც შეიძლება ვერ შევასრულო. ყველაზე მეტად მაშინ ვდნები, როცა გუგა და ელენე მესაუბრებიან. ერთ-ორს აფერისტულად მაკოცებენ და მორჩა, მამა უკვე დამდნარია. ცუდს არაფერს მთხოვენ, რომ მათთვის ხშირად მიწევდეს უარის თქმა. კარგი შვილები მყავს, ამიტომ ვცდილობ, მეც კარგი მამა ვიყო. მე თუ მათთვის კარგი ვიქნები, გადაედებათ და თავის დროზე თავადაც კარგი მშობლები იქნებიან. რატომღაც ხშირად გვავიწყდება, რომ დღეს თუ ვართ, შეიძლება ხვალ აღარ ვიყოთ. საწყალ ბადრი პატარკაციშვილს რამდენი ქონება ჰქონდა, მაგრამ უცებ დაიღუპა და რა წაიღო? არც არაფერი.

— თქვენს შვილებს უყვართ თეატრი, არის შანსი, რომ თქვენი გზა გააგრძელონ?

— გუგა ძალიან კარგად სწავლობს. ელენე საბალეტო სკოლაში დადის, მაგრამ არ ვიცი, ბალეტს გაჰყვება თუ არა. ბოლო დროს გამომიტყდა, შეიძლება მსახიობობაზე დავფიქრდეო. ბიჭმა ჯობს, ისწავლოს, 21-ე საუკუნეში განათლებული ხალხი გვჭირდება.

— როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ თქვენი ცხოვრების ახლანდელი ეტაპი?

— მე და ვიკას სანამ შვილები გვეყოლებოდა, სამოქალაქო ომები იყო. ბავშვები რომ დაიბადნენ, მაშინ თეატრში აქტიურად ვმუშაობდი, ახლა კი ჩვენს ცხოვრებაში სულ სხვა ეტაპია. ბავშვები წამოიზარდნენ, ბიჭი უკვე გარდატეხის ასაკშია. მგონი, ჩვენს ცხოვრებაში ბედნიერების და მომძლავრების ეტაპია. ვიდრე 50 წლის გავხდები, მინდა, ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი გარკვეული იყოს. ასაკი კი მომემატა და კიბეებზე ასვლისას უფრო ღრმად ვსუნთქავ, ვიდრე 5 წლის წინ, მაგრამ სხვა არაფერი შეცვლილა, ისევ ის ვარ, ვინც ვიყავი.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

არ მინდოდა და მადლობა ღმერთს, რომ არც დამჭირდა.

— სახელი ცოლ-ქმარმა ერთად შეურჩიეთ?

— ბავშვის სახელი კედომ მოიფიქრა, მეც მომეწონა და დანიელი დავარქვით. ახლა მოფერებით დანის ვეძახი.

— აქტიური ორსულობა იყავით?

— კი, ფანტასტიკური ორსულობა მქონდა. 8 თვე საერთოდ არ შევწუხებულვარ. კედო ძალიან მივლიდა, პრეტენზიები არ მქონდა, რაც ძალიან უკვირდა. საჭმელი არ მინდებოდა, უბრალოდ ბევრ წყალს ვსვამდი. დუტას გადაცემაში ორსული მივედი და მერე ჩემი თავი ეკრანზე რომ ვნახე, ვთქვი, ამხელა მუცლით გადაცემაში რამ მიმიყვანა-მეთქი. საგრძნობლად დასიებული ვიყავი.

— როგორ მოახერხეთ ფორმაში ჩადგომა?

— ორსულობისას 15 კილო მოვიმატე. მეცხრე თვეში რომ ვიყავი, სასწორი გადავაგდე, ასე რომ, ახლა არ ვიცი, რამდენი კილოგრამით ნაკლები ვარ. თავს ცუდად არ ვგრძნობ, მაგრამ ვარჯიში მინდა, რომ სასურველ ფორმაში ჩავდგე. ახლა არც დრო მაქვს ვარჯიშისთვის და ექიმებმაც მითხრეს, ცოტა ხანს თავი შეიკავეო. ახალი წლის შემდეგ გავაქტიურდები. რამდენიმე კილოგრამი აშკარად ზედმეტი მაქვს და, ცოტა არ იყოს, მაწუხებს.

— რომელს უფრო გგავთ დანი, თქვენ თუ ირაკლის?

— პრინციპში, ორივეს ძალიან გვგავს. მინდოდა, კედოს თვალები ჰქონოდა და დანიელს აქვს მამის თვალები. ტუჩებით მე მგავს. სხვა დანარჩენით კეიდიაა!

— მამა მშობიარობას დაესწრო?

— დაესწრო არ ჰქვია ამას, ირაკლიმ მიიღო მშობიარობა! ღამის პირველი საათიდან ერთად ვიყავით პალატაში და ბოლო წუთამდე გვერდიდან არ მომშორებია. ჩემმა გინეკოლოგმა მითხრა, მე მომხრე ვარ, რომ მამები ესწრებოდნენ შვილის დაბადებასო. კაცს ვერ დაავალდებულებ, მშობიარობას დაესწროს, რადგან მძიმე პროცესია, მაგრამ კედო რომ არ მყოლოდა გვერდით, ალბათ ორი დღე ვერ გავაჩენდი შვილს. ის იმხელა მხარდაჭერას მიცხადებდა, რომ მისი გვერდში დგომა მამხნევებდა. ირაკლი ძალიან მშვიდია და მშობიარობის დროსაც ძალიან მამშვიდებდა.

დედამ შემომთავაზა, სამშობიარო ბლოკში შენ გვერდით ვიქნებიო, მაგრამ უარი ვუთხარი. ისე ნერვიულობდა, შემეშინდა. მერჩივნა, ირაკლი ყოფილიყო ჩემთან. როცა დანიელი დაიბადა, ირაკლიმ თქვა, შვილის დაბადება ყველა კაცმა უნდა ნახოს, რა დღეში ყოფილხართ ქალები, ამას ვერც ერთი კაცი გადაიტანსო.

— ალბათ ძალიან მზრუნველი მამაა.

— დანიელი დღეების რომ იყო, იქიდან მოყოლებული მეხმარება. ერთმანეთისთვის არასდროს გვითქვამს, ახლა შენი ჯერია, ბავშვი შენ აიყვანე ხელშიო. სულ ხელს მიწყობს, შენ დაიძინე, მე მივხედავო. გიჟდება შვილზე, ერთად ძალიან საყვარლები არიან. საყვარელი ადამიანისგან ბავშვი ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ჩემს შვილში კედოს გამოხედვას რომ დავიჭერ ხოლმე, ვგიჟდები.

— თქვენს ურთიერთობას დანიელმა ახალი ფერები შემატა?

— ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო მაგარი გახდა, ფერები შეიცვალა. ისედაც ხომ ძალიან კარგი და ძვირფასი იყო ეს ურთიერთობა ჩვენთვის, მაგრამ დანიელმა კედო უფრო შემაყვარა. მამა-შვილს ერთად რომ ვუყურებ, ვგიჟდები! ყურადღებიანი მამაა. სადმე რომ არის წასული, ასჯერ რეკავს, ბავშვს კითხულობს. თუ საჭიროა, პამპერსებსაც უცვლის და საჭმელსაც უკეთებს.

— ძალიან გაგიმართლათ. ქართველი მამაკაცები ხშირად არ იქცევიან ასე.

— თვალი არ მეცეს!.. (იცინის). საოცარი ბიჭები მყავს. დარწმუნებული ვიყავი, რომ

■ მამა-შვილი — ირაკლი და დანიელი

„დანიელმა ჯედო უფრო შემაყვარა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჯედო ჯარგი მამა იქნებოდა, მაგრამ ასეთს მაინც არ ველოდი. საყვარელი ადამიანისგან ბავშვი ყველაზე დიდი ბედნიერებაა".

კედო კარგი მამა იქნებოდა, მაგრამ ასეთს მაინც არ ველოდი.

— საკმაოდ მოწიფულ ასაკში გეყოლათ შვილი. ამისთვის ფსიქოლოგიურად მზად იყავით?

— 30 წლამდე ვთვლიდი, რომ დედობისთვის მზად არ ვიყავი. სანამ ფსიქოლოგიურად არ ხარ მზად ამ მნიშვნელოვანი ეტაპისთვის, შვილი არ უნდა გააჩინო. ამ პასუხისმგებლობის ყოველთვის მეშინოდა, მაგრამ ახლა დანიელის დაბადებას ყველანაირად მომზადებული შევხვდი. მასთან ურთიერთობა მსიამოვნებს. 34 წლის ვარ და ყველაფერი კარგად მაქვს შეგნებული და გაცნობიერებული. მუშაობის უდიდესი სტიმულიც მაქვს. დანიელი ერთი თვის რომ გახდა, მას მერე სულ გადაღებებზე ვარ, სულ მენატრება, მაგრამ ვიცი, რომ ახლა ამ ყველაფერს მისთვის ვაკეთებ.

— ჩვილის პატრონი როგორ ახერხებთ გადაღებებზე სიარულს?

— დანიელი უკვე 4 თვისაა. ერთი თვის იყო, როცა ბუნებრივ კვებაზე აღარ მყავდა, რაც ძალიან განვიცადე. ბევრი ხერხი ვცადე, რომ ეს პროცესი რამენაირად გამეხანგრძლივებინა, მაგრამ ამაოდ. ამიტომ დროის თვალსაზრისით შეზღუდული არ ვარ, უბრალოდ ერთი სული მაქვს, საქმეს რომ

დის დავამთავრებ, რომ შინ მივიდე და შვილთან ვიყო.

— არ ჭირვეულობს?

— არა, კარგი ზნის ბავშვია, ღამეებს არ გვათენებინებს, მშვიდად სძინავს. დილაობით ჩვენ ვერ ვასეირნებთ, რადგან კედო სულ ვარჯიშზეა, მე — გადაღებებზე. ამიტომ ეს ფუნქცია დედამ შეითავსა, საოცრად მეხმარება. ის რომ არა, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ფსიქოლოგიურად ძალიან

„ირაკლიმ თქვა, შვილის დაბადება ყველა კაცმა უნდა ნახოს, ხა დღეში ყოფილხართ ქალები, ამას ვერც ერთი კაცი გადაიტანსო".

გამიჭირდებოდა ძიძასთან ბავშვის დატოვება. ამ მხრივაც გამიმართლა.

— რა გადაღებებში მონაწილეობთ?

— ტელეკომპანია „ჯიდიესის" სერიალში ვმონაწილეობ, რომელიც ნოემბრიდან გავა ეთერში. კვირაში 5 დღეა გადაღებები. რამდენიმე დღით ქალაქიდან გასვლა მომიხდა მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებებზე და ბავშვის გარეშე ძალიან გამიჭირდა, ვნერვიულობდი. ვფიქრობდი, რომ დავბრუნდები, ვერ მიცნობს-მეთქი. ერთკვირიანი განშორების შემდეგ დანიელმა დანახვისთანავე რომ არ გამიცინა, ტირილი დავიწყე, დავიღუპე, ვეღარ მიცნო-მეთქი. მერე იმდენი მიცინა, რომ ცოტა ამოვისუნთქე.

— რა როლი გაქვთ სერიალში?

— ექიმს ვთამაშობ. ჩემი პარტნიორი მსახიობი თორნიკე გოგრიჭიანია. სერიალს „პარადოქსი" ჰქვია და რეჟისორი ჯაბა მელქაძეა. ამ იდეის შესახებ რეჟისორი იმდენად საინტერესოდ მომიყვა, ისეთი გულანთებული იყო, რომ მაშინვე დავთანხმდი. მერე მიკვირდა, ასე უცებ თანხმობა როგორ მივეცი-მეთქი.

— პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები" წამყვანი ხართ. მანამდე ამბობდნენ, რომ თქვენც იცეკვებდით. ჯერ დაგითანხმეს?

— ცეკვებს ძალიან დიდი დრო სჭირდება და ფაქტობრივად შვილს ვეღარ ვნახავდი. შარშან და შარშანწინ შემოთავაზება მქონდა, მაგრამ მაშინ უარი გასტროლების გამო ვთქვი, წელს კი — შვილის გამო, თან სათანადო ფორმაშიც არ ვარ.

— სერიალი, შოუ... თეატრმა უკანა პლანზე ხომ არ გადაიწია?

— არა, ახლახან გასტროლი გვქონდა ვილნიუსში, „მაკბეტი" წავიღეთ. სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა და საქართველოში დიდი ემოციებით დავბრუნდით. ერთი წელია ეს სპექტაკლი არ მითამაშია და ძალიან ვნერვიულობდი. ვილნიუსი და ლიტვა ცნობილია თეატრალური კულტურით. მარჯანიშვილის თეატრში 7 თვის ორსული ვთამაშობდი სპექტაკლში „ქალი ძაღლით" და სულაც არ ვიღლებოდი.

— როგორ ახერხებთ, თეატრშიც იყოთ, სხვადასხვა პროექტებზეც არ თქვათ უარი და პარალელურად ქმარ-შვილისთვისაც გრჩებოდეთ დრო?

— როცა სტიმული გაქვს, როცა ფანტასტიკური ქმარი გყავს, როცა ასეთი დედა გყავს, ყველაფრის მოსწრება შეიძლება.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

მამუკა გამყრელიძის ქალიშვილი და გეგა ფალავანდიშვილი შვილს ელოდებიან

„ჩემი სიძისთვის ჭკუა რომ მეკითხა, შეცდომას არ დავუშვებდი“

მამუკა გამყრელიძე, რომელიც საზოგადოებამ გადაცემიდან „ვის უნდა 20 000?“ გაიცნო, დიპლომატიური ცხოვრებიდან ისევ სამოქალაქო ცხოვრებას დაუბრუნდა. ის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩინეთში საქართველოს ელჩად მიავლინა, წელიწადნახევარიანი მუშაობის შემდეგ კი ახალმა მთავრობამ უკან გამოიწვია. ახლა ისევ საკუთარი ბიზნესით, ტელეკომპანია „ჯი ემ ჯის“ მართვითაა დაკავებული, პარალელურად, ერთ-ერთი ინტერნეტგამოცემის თანადამფუძნებელიცაა. მისი ორივე ქალიშვილი მამის ტელევიზიაში მუშაობს. ბატონი მამუკა მალე მესამე შვილიშვილის ბაბუა გახდება. მისი ქალიშვილი, რუსკა გამყრელიძე და გეგა ფალავანდიშვილი შვილს ელოდებიან.

— ბატონო მამუკა, ჩვენი ბოლო ინტერვიუ თქვენი ელჩობის პერიოდში შედგა. ახლა რას საქმიანობთ?

— ახლა ისევ ტელევიზიას, „ჯი ემ ჯის“ დავუბრუნდი. როცა ჩინეთში წავედი, ტელევიზიის მართვა საკუთარ თავზე ლევან ყუბანეიშვილმა აიღო, რომელიც თანადამფუძნებელია. ახლა აქ ისევ ლევანს შევენაცვლე, თვითონ სხვა კომპანიებშიცაა ხელმძღვანელი და დრო არ აქვს.

— ამ გადმოსახედიდან როგორ აფასებთ ჩინეთში თქვენი ელჩობის პერიოდს?

— ელჩი წელიწადნახევარი ვიყავი. ეს სრულიად არასაკმარისი დროა იმისთვის, რომ ჩინეთში იმუშაო. ყველა წარმატებული ელჩი იქ 4 წელზე მეტხანს რჩება. ჩინეთი რთული ქვეყანაა თავისი ტრადიციებით. ჩინურად რომ დაიწყო ლაპარაკი და მათ თავი გააცნო, მინიმუმი, ერთი წელი გჭირ-

„ჩინეთში საშუალო ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე აქ, მათთან უმუშევრობის პრობლემა არ არის. საქართველო არ არის ქვეყანა, სადაც ისინი ზღვასავით მოაწყდებიან“.

დება. თუმცა ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად გამომივიდა, კმაყოფილი ვარ. ბოლო წლებში ჩინეთთან საერთოდ არანაირი კონტაქტი არ გვქონია, ჩემს იქ ყოფნაში კი ოთხი ძალიან სერიოზული ვიზიტი განხორციელდა. სამწუხაროდ, ჩემი გამოწვევის შემდეგ უკვე თითქმის ერთი წელია, რაც იქ არავინაა, ელჩი არ გაუშვიათ. მრჩეველიც, რომელიც ძალიან კარგად მუშაობდა, ინდოეთში გადაიყვანეს და იქ საქართველოდან ერთი დიპლომატი დარჩა. ამხელა ქვეყნაში გაცილებით დიდი საელჩო უნდა არსებობდეს და უპრანი იქნებოდა, სავაჭრო ან კომერციული წარმომადგენლობაც იყოს, რომელიც ბევრ საქმეს გააკეთებდა.

ჩინეთის 25 ქალაქში ჩასვლა მოვასწარი. უზარმაზარი ქალაქებია, ერთ-ერთის მერმა მითხრა, ჩვენ ძალიან მოკრძალებული ქალაქი გვაქვს, აქ სულ 6 მილიონი ცხოვრობსო. ჩიჩუანი — არის ასეთი პროვინცია, რომელიც ტიპური საქართველოა. სხვათა შორის, იქ რაჭული ლორიც ვჭამე. ულამაზესი მთები, არაჩვეულებრივი ბუნებაა.

— ელჩობიდან საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გამო გამოგიწვიეს?

— აბა, სხვა რა მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო?! წინა ხელისუფლების პირობებში ძალიან აქტიურად ვმუშაობდი მთავრობასთანაც და სხვადასხვა სამინისტროებიც ხელს მიწყობდნენ. ჩინეთიდან რომ ჩამოვედი, საქართველოს პრეზიდენტმა ბრწყინვალების ორდენით დამაჯილდოვა.

— ადაპტაციას როგორ გაიარეთ, ქართველ მამაკაცს ჩინურ კულტურასთან, მენტალობასთან შეგუება არ გავიჭირდათ?

— ვერ მოგატყუებთ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი რთული იყო. ჯერ იმით დავიწყოთ, რომ იქ ურთიერთობები ძალიან რთულია. ერთი მხრივ, ეს აღმოსავლური ურთიერთობებია, მეორე მხრივ, კონფუცის ფილოსოფიაზე დამყარებული ურთიერთობები, რაც თავისთავად ჩვენი მენტალობისგან ძალიან განსხვავდება, მაგრამ მთავარია, მიგიღონ. თუ მიგიღეს, აბსოლუტურად გამორიცხულია მათგან ტყუილი. თუ არ მიგიღეს, შეიძლება საერთოდ არ დაგელაპარაკონ. ამ ურთიერთობებს აგურ-აგურ დალაგება სჭირდება. ეს ძალიან გამიჭირდა. პირველი ორი კვირა შუადღისას ქალაქის ცენტრში მივდიოდი, სადაც უცხოელები იყრიდნენ თავს, ვიჯექი და ყავას ვსვამდი. თავს ვიმშვიდებდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ ამ ყველაფერს შევეგუებოდი... საკვები... სუნია ისეთი, სანამ მიეჩვევი, ძალიან რთულია, ისევე როგორც ინდოეთში. თბილისში არსებული ჩინური სამზარეულოები ნამდვილისგან ძალიან განსხვავდება. ჩინეთშიცაა ტურისტული რესტორნები, სადაც ადაპტირებული საკვები აქვთ. ჩინური სამზარეულოს პირველი პრინციპი არის, მარგებელი იყოს, გემრიელი იქნება თუ არა, ეს მეორეხარისხოვანია.

— ენის ბარიერი ადვილად გადალახეთ?

— ეს ჩემმა მეუღლემ გადალახა, ჩინურად ალაპარაკდა. ახლახან ავსტრიაში გახლდით, იქ ჩინელი ტურისტების ჯგუფს წაწყდა და ჩინურად კარგახანს საუბრობდნენ. მე ჩინურის სწავლა ვერ მოვახერხე და ამის დიდი აუცილებლობაც არ მქონია, რადგან არაჩვეულებრივი თარჯიმნები მყავდა. გარდა ამისა, სახელმწიფო ორგანიზაციებში, სადაც ურთიერთობა მიწევდა, რუსული ყველამ იცოდა, ბიზნესმენებთან კი ინგლისურად ვსაუბრობდი. ვინც ჩინეთში მოხ-

„ჩიჩუანი — ჩინეთში არის ასეთი პროვინცია, რომელიც ტიპური საქართველოა. სხვათა შორის, იქ რაჭული ლორიც ვჭამე. ულამაზესი მთები, არაჩვეულებრივი ბუნებაა“.

ვდება, ალბათ მაინც უკეთესი იქნება, ჩინურის მცოდნე იყოს, რადგან ის ხალხი ამას დიდ ყურადღებას აქცევს. რამდენიმე უცხოელი დიპლომატი ჩინურად კარგად საუბრობდა და მათ ურთიერთობები ძალიან უადვილდებოდათ. კიდევ ერთხელ ვამბობ, სანამ ჩინელები მიგიღებენ, ძალიან რთულია. გიღიმიან, მაგრამ ეს ღიმილი აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს. პირობას ძალიან ბევრს გაძლევენ და არც ეს ნიშნავს რამეს. როცა მიგიღებენ, ნახავენ, რომ სანდო ხარ, ძალიან მაგარი მეგობრობა იციან, ოჯახურ ურთიერთობებზე არიან ორიენტირებულნი.

— ალბათ მთელ ჩინეთში ყველაზე მაღალი ადამიანი თქვენ იქნებოდით, არა?

— ჩინეთთან დაკავშირებით უამრავი სტერეოტიპი არსებობს, მათ შორის — ესეც. არადა იქ ძალიან ბევრი მაღალი ადამიანია. ჩემი მეუღლე, რომელიც აქ საშუალო სიმაღლის ქალია, იქაც საშუალო სიმაღლის ქალად ითვლებოდა. მე სიმაღლით გამოვირჩევი, ჩემხელები კი ცოტანი იყვნენ. ჩრდილოელი ჩინელები ძალიან მაღლები არიან, სამხრეთელები — პატარები. →34

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ეს კვების პრობლემასთანაცაა დაკავშირებული. ჩვენთან ჩინელები რომ ჩამოდიან, ეს ის ჩინელები არ არიან, რომლებიც ფუფუნებაში ცხოვრობენ. მე მონღოლეთშიც ვიყავი ელჩი და ვიეტნამშიც. მონღოლები უზარმაზარი, ძალიან ჯანმრთელი, მაღალი ხალხია, ვიეტნამელები — პატარები, საშუალოზე დაბლები.

— ისე, ჩინელების საქართველოში ჩამოსვლას ბევრი უარყოფითად აფასებს...

— მინდა, ქართველები მიხვდნენ, რომ აქ ჩინელები დიდი რაოდენობით არ ჩამოვლენ. ჩინეთში საშუალო ხელფასი უფრო მაღალია, ვიდრე აქ, მათთან უმუშევრობის პრობლემა არ არის. საქართველო არ არის ქვეყანა, სადაც ჩინელები ზღვასავით მოაწყდებიან. რაც მეტი ჩინელი ჩამოვა, უკეთესია. ისინი მუშა ხალხია.

— პოლიტიკაში ჩართვას ხომ არ აპირებთ?

— არც კარგი ორატორი გახლავართ და არც ცნობადი ფიგურა, რომ ვინმე კალთებს მახევდეს, პოლიტიკაში ჩაერთეო. პოლიტიკასთან ირიბი შეხება მაქვს. ინტერნეტგამოცემის თანადამფუძნებელი ვარ, სადაც ძალიან საინტერესო საზოგადოება შეიკრიბა, მათ შორის — საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გიორგი ვაშაძე, ნიკა რურუა, ყოფილი დიპლომატები, ნინო ნაკაშიძე და ა.შ. ეს არის მინდორველი იმისათვის, რომ გარკვეული აზრები გამოიხატოს იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც ახლა საქართველოში მიმდინარეობს. ჩემი აზრით, მთავრობას ერთგვარად უჭირს გარკვეულ პროცესებში ჩართვა... უზარმაზარი ამნისტია, რაც განხორციელდა, ჩემთვის ცოტა გაუგებარი და ხიფათის შემცველი იყო. ამას ალბათ ცოტა სხვანაირად გავაკეთებდი, პატიმრებს ნელ-ნელა გამოვუშვებდი და ჯერ მათ სოციალურ ადაპტაციაზე ვიზრუნებდი. თუმცა მინდა, შს მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მისამართით ვთქვა, რომ საკმაოდ კარგადგაუძღვა ამ რთულ სიტუაციას.

> **„ჩემი ბრიყვული ქცევით, რომ ტელევიზიის საკითხებში მაგარი ვარ, ჩემი გემოვნებით სერიალები შევიძინე და ვერ გაამართლა. გეგა ამას ბევრად უკეთ ახერხებს.**

რაც შეეხება ჩემს პოლიტიკაში ჩართვას, მირჩევნია, ყველაფერს გვერდიდან ვუყურო. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, სამოქალაქო საზოგადოება უნდა გავაძლიეროო. ვთვლი, რომ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომა ის იყო, რომ ზედნაშენის შენება დაიწყეს. ჯერ საზოგადოება უნდა ააშენო, გარკვეულ დონემდე აიყვანო და ახალი სახელმწიფოს შენება მერე დაიწყო. მათ გამორჩათ, დაავიწყდათ, ვერ მოახერხეს სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, ვთვლი, რომ ამ არჩევნებში მათი მარცხი სწორედ ამან გამოიწვია.

— საზოგადოებამ გაგიცნოთ გადაცემით „ვის უნდა 20 000?“. ხომ არ გიფიქრიათ, რომელიმე არხზე გადაცემა ან რაიმე ტოქ შოუ წაიყვანოთ?

— არც შემოთავაზება მქონია და არც სურვილი, რომელიმე ტელევიზიაში წამყვანი ვიყო.

— შედგა მამუკა გამყრელიძე, როგორც ტელეწამყვანი?

— მე მგონი, რომ შედგა. ხალხი დღემდე თბილად მხვდება და ეს მიხარია.

— იყავით ტელეწამყვანი, ელჩი, საკუთარი ბიზნესიც გაქვთ. აქედან თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია?

— ალბათ — უფრო ტელევიზია, რადგან ეს ჩემი ოჯახის ბიზნესია და მინდა, წარმატებული იყოს. ახლა საქართველოში ეკონომიკური ვარდნაა, რაც ბიზნესს მძიმედ დაეტყო. წინა პერიოდთან შედარებით უკეთესობას ვერ ვხედავ და ეს მაშინებს.

— თქვენი სიძე „რუსთავი 2“-ის მარკეტინგისა და პროგრამირების დირექტორი გეგა ფალავანდიშვილი გახლავთ. როგორი ურთიერთობა გაქვთ სიძე-სიმამრს?

— გეგა ძალიან მიყვარს. მისი მშურს, რადგან ბავშვებთან ურთიერთობის ნიჭი აქვს და გაცილებით უფრო ახლოსაა ჩემს შვილიშვილებთან, ვიდრე მე. ჩვენ ერთმანეთთან კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. სხვადასხვა თაობა ვართ და გადაბმულად ერთად ვერ ვიქნებით, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ქალიშვილი ბედნიერია. ეს კი გეგამ გააკეთა. მისი მადლობელი ვარ და ჩემი მხრიდან ის მხოლოდ კარგს უნდა ელოდოს.

— უყურებთ თქვენს სიძეს „ნიჭიერის“ ჟიურიში?

— ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ. თუ რამე მაინტერესებს, ახალ ამბებს ინტერნეტში ვუყურებ.

— როგორც შეკიცყვეთ, თქვენი ქალიშვილი და გეგა შვილს ელოდებიან. სქესი იცით?

— ეს ჩემთვის მესამე შვილიშვილია. ამბობენ, გოგონაო. ბიჭები არამზადები არიან და ისევ გოგო სჯობს.

— სიძე-სიმამრი ერთ სფეროში, ტელევიზიაში ხართ. საქმიანი ურთიერთობები გაქვთ?

— გეგას ჭკუას ვეკითხები ხოლმე. ის გაცილებით გამოცდილია. თავის დროზე მისთვის ჭკუა რომ მეკითხა, შეცდომას არ დავუშვებდი.

— რას ეუბნებოდა საქმე?

— ჩემი ბრიყვული ქცევით, რომ ტელევიზიის საკითხებში მაგარი ვარ, ჩემი გემოვნებით სერიალები შევიძინე და ვერ გაამართლა. გეგა ამას ბევრად უკეთ ახერხებს. მაშინ გეგა ჩემი სიძე არ იყო, მაგრამ მეკითხა მაინც. ასე რომ მოვქცეულიყავი, ბევრად წარმატებული ტელეკომპანია მექნებოდა.

✓ ეკა ლემონჯავა

როგორ გამოიყენეს სალომე შარვაძემ და მისმა ქმარმა ლოტოში მოგებული 390 ათასი ლარი

ცნობილ სალომე შარვაძის და იურისტ მამუკა არველაძის სიყვარულის ამბავი სირთულეების გარეშე, მშვიდობიანად დაიწყო და დღემდე ასე გრძელდება. მათი ურთიერთობა 7 წლის წინ დაიწყო და უკვე 5 წლის გოგონას მშობლები არიან. როგორც სალომე ამბობს, ბედნიერად გრძნობენ თავს, მამუკა ცოლს სიურპრიზებით ანებივრებს, ყველაზე მეტად კი მაშინ გაახარა, როცა ლოტოში მოგებული ფულით სალომეს პაპის, მხატვარ მიხეილ ვარდიშვილის გამოფენა მოაწყო. ის სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებსაც“ სიამოვნებით უყურებს, სადაც სალომე ერთ-ერთი პერსონაჟია და თავის ცოლს იმ გმირს ამსგავსებს კიდეც.

სალომე: ყველაფერი 7 წლის წინ დაიწყო. მამუკას მოვეწონე, მე არ მომეწონა, მაგრამ სანამ თავი არ შემაყვარა, არ გაჩერდა. მას შემდეგ ასე ბედნიერად ვართ.

— მამუკა, რა აზრის ხართ სერიალზე, რომელშიც თქვენი ცოლი თამაშობს?

მამუკა: სერიალს ახლა უფრო ვუყურებ, მანამდე საქართველოში არ ვიყავი. შემოქმედებით ჯგუფს ძალიან კარგად ვიცნობ, ყველასთან ვმეგობრობ. თავიდანვე ვიცოდი, რომ ნორმალური გამოვიდოდა. მართლაც ასეა, მთელი საქართველო უყურებს, რადგან ძალიან კარგია.

— სალომე, მამუკა შენაშვნებს ხომ არ გაძლევთ თქვენს როლთან დაკავშირებით?

სალომე: არა, მით უმეტეს, ჩემს პროფესიასთან არანაირი შეხება არ აქვს. მხოლოდ ჩემს წონასთან დაკავშირებით აქვს ხოლმე შენიშვნა.

მამუკა: საქართველოში რომ არ ვიყავი, წონაში მოიმატა. ახლა კიდევ ვაპირებ წასვლას და ასე თუ გააგრძელა...

— სად იყავით?

Cyan Magenta Yellow Black

სალომე: ბაბუაჩემი ცნობილი მხატვარი გახლდათ, მიხეილ ვარდიშვილის შვილიშვილი ვარ. ყაზახეთში ბაბუას გამოფენა გაკეთდა. მამუკა კი ჩვენი წარმომადგენელია. მისი დამსახურებაა, რომ ბაბუას გამოფენა მომავალშიც კიდევ ბევრგან მოეწყობა.

მამუკა: ახლა გამოფენა მოსკოვშია დაგეგმილი, შემდეგ პარიზში, მილანში და ა.შ. ამ მხატვარმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია.

სალომე: სამწუხაროდ, რაღაც მიზეზების გამო ყაზახეთში გამგზავრება ვერ მოვახერხე.

— სალომე, მოსკოვში, პარიზში და მილანში თქვენც დაესწრებით პაპის გამოფენას?

— თუ დრო მექნება, აუცილებლად წავალ.

— მამუკა, სერიალის გმირსა და თქვენს ცოლს შორის რაიმე მსგავსებას ხომ არ ხედავთ?

მამუკა: რაღაც მომენტები არის, სადაც ძალიან ჰგავს, განსაკუთრებით ეჭვიანობით. სალომეც ძალიან ბევრს ლაპარაკობს და არ ჩერდება.

სალომე: გამიმართლა, რომ მამუკა გიორგი ბოჭორიშვილის ზაზასგან განსხვავებულია, მას არ ჰგავს. ზაზა ძალიან უხეშია. მამაკაცების 70 პროცენტიც სწორედ ასეთია, ცოლებს არსად ამუშავებენ, არსად უშვებენ, თუმცა გამონაკლისებიც არიან.

— და ამ გამონაკლისებში მამუკაც არის?

მამუკა: მე ჩვეულებრივი კავკასიელი მამაკაცი ვარ, თუმცა რაღაც აკრძალვები მიუღებელია ჩემთვის.

სალომე: რამდენიმე ტიპის ძალადობა არსებობს. ქმარზე ფინანსურად რომ ხარ დამოკიდებული, ესეც ზეწოლაა მისი მხრიდან. ქალი აუცილებლად დამოუკიდებელი უნდა იყოს, უმჯობესია, საკუთარი ფინანსები ჰქონდეს. რაც გავთხოვდი, სულ ვმუშაობ, ოღონდ იმიტომ არა, რომ თავი ვირჩინო. ქალს თავისი საქმე უნდა ჰქონდეს.

— მამუკა, თქვენს ოჯახში ფუნქციები როგორ არის გადანაწილებული?

მამუკა: რაც კაცის ფუნქციებში შედის, მე ვასრულებ, დანარჩენს — სალომე. სამზარეულოში რაღაცეების მომზადება ჩემთვის მიუღებელია და არც ფიზიკურად შემიძლია.

— სალომე, სერიალში ცოლ-ქმარს შორის გაჩენილ ბზარზე, ღალატზე დიდი აქცენტია გაკეთებული. თქვენ რას ფიქრობთ, ღალატის პატიება შესაძლებელია?

სალომე: ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ქმარი არასდროს მიღალატებს, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი რაღაც გავიგო, ვიგრძნო ან შევესწრო! ეს ჩემთვის უპატიებელი საქციელია! ჩემს მეუღლეს ყველაფერს მივუტევებ, მაგრამ ღალატს ვერა! ცივილურად მითხრას, აღარ მიყვარხარ, სხვა ადამიანთან მინდაო და რა პრობლემაა! ამ დროს ბავშვია ცოდო, მაგრამ ჯობს, ურთიერთობა ნორმალურად დასრულდეს, ვიდრე დღე და ღამე გაუთავებელი ჩხუბი იყოს და ასე იცხოვრო.

მამუკა: ჩვენ საერთოდ არ ვჩხუბობთ, არც მახსენდება, როდის ვიჩხუბეთ.

სალომე: სკანდალი და კონფლიქტი არასდროს გვქონია. ჩემი გმირი, ქეთი კი „ისტერიჩკაა". მთელი დღე დედამთილთან და მამამთილთანაა სახლში, ფულს რასაც მისცემენ, იმით არსებობს და კიდევ კარგადაა.

— მამუკა, თქვენი ცოლის გმირს ამართლებთ, რომ ნინას ქმრის ღალატის შესახებ შეატყობინა?

მამუკა: ჩემი აზრით, არ უნდა ეთქვა.

სალომე: რატომ?! ჩემმა დაქალმა რომ შენზე რამე გაიგოს და არ მითხრას, ხომ ძალიან მეწყინება?

მამუკა: ასეთი რამ არ მოხდება, მაგრამ ასეც რომ იყოს, არ უნდა გითხრას.

სალომე: დაახლოებით ასეთი სიტუაცია მქონია და არ მითქვამს. კიდევ კარგი, რომ არ ვთქვი... ახლა ჩემი გმირი გაიგებს, რომ ნათია დათოსგან ფეხმძიმედაა, მაგრამ ნინას არ ეტყვის.

— სალომე, მამუკა ტიპური ქართველი ქალია თუ განსხვავებული?

სალომე: საერთოდ, ქართველი კაცები ერთმანეთს რაღაცით ჰგვანან. ჩემი ქმარი არ სვამს, როცა მეგობრები სადმე მივდივართ, მამუკა მიშვებს, მაგრამ ყოველდღე კლუბებში რომ ვიარო, თან მარტომ, არ ესიამოვნება. მკაცრი საერთოდ არ არის, ძალიან კარგი მამაა. სულ ვამბობ, ორი შვილი მყავს-მეთქი. მართა და მამუკა ერთნაირები არიან, ერთმანეთს არ უთმობენ, სულ ჩხუბობენ, ვაშველებ და აღარ შემიძლია. მართა მამამისზე გიჟდება. მამუკა აქ რომ არ იყო, სულ მამას გაიძახოდა.

მამუკა: სალომეც ძალიან კარგი მეუღლე, კარგი მეგობარია. ბევრი რაღაც გვაქვს ერთად გამოვლილი. ალბათ მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით და ერთმანეთს შევაბერდებით.

— კრიზისული, რთული პერიოდი გქონია?

მამუკა: ურთიერთობაში — არა. ჩვეულებრივი, ტიპური ქართული ოჯახი გვაქვს.

— როცა თქვენი აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა, რომელი თმობთ?

მამუკა: რა თქმა უნდა, სალომე, მე ხომ არ დავთმობ!

— მამუკა, ეჭვიანი ხომ არ ხართ?

მამუკა: არა, საბაბი არ მოუცია და თუ მომცა, თავისთავად ვიქნები. არც ისეთი როლი აქვს, რომ ვიეჭვიანო.

— თვითონ ეჭვიანია?

მამუკა: „ჩემი ცოლი თავის გმირს ჰგავს, ეჭვიანია და ბევრს ლაპარაკობს".

მამუკა: არც მე ვაძლევ საბაბს...

სალომე: გიჟივით ეჭვიანი ვარ, ვიღაცას შემიძლია თვალები ამოვჩიჩქნო. თან თბილისური ამბები — რა ხდება და როგორ ხდება, ისე კარგად ვიცი, ვინ რა უნდა გამომაპაროს! კაცს ყურადღება მაინც უნდა, შიგადაშიგ უნდა გადაამოწმო, რა ხდება. ცოტა პატარა რაღაც თუ ხდება, იმ წამსვე ვიგებ და იქვე მთავრდება. ამ თემაზე სანერვიულო არ მაქვს. მე და მამუკა ძალიან მეგობრულები ვართ, თემა არ არის, რომელზეც ჩემს ქმართან ვერ ვისაუბრებ. ერთმანეთის აზრებს ვითვალისწინებთ, ისე არ ხდება, რომ გადაწყვეტილებებს მხოლოდ მე ვიღებდე. კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— უკრანიდან ენერგიული ქალის შთაბეჭდილებას ტოვებთ. სახლშიც ასეთი აქტიური ხართ?

სალომე: სამსახურში სულ ვქაქანებ და სახლში რომ მივდივარ, ლაპარაკის თავი არ მაქვს. მამუკა მეუბნება, მელაპარაკეო და ხმას ვეღარ ვცემ.

მამუკა: ბევრი საუბარი უყვარს, მაგრამ სამსახურში იღლება ხოლმე.

სალომე: ახლა ჩვენს ცხოვრებაში ქაოსური ეტაპია, რაღაცეები ლაგდება. ორივე რისკიანები და მებრძოლები ვართ, ამიტომაც არ გვაქვს ხოლმე სტაბილური სიტუაცია. არ ვეგუებით იმას, რაც დღეს გვაქვს, უკეთესი გვინდა!

— მამუკა, ლოტოში მოგებულმა 390 ათასმა ლარმა თქვენი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა?

მამუკა: არაფერი შეუცვლია, ის ფული მალევე დამთავრდა.

სალომე: როგორ არ შეცვალა? ძალიან ბევრი რამ შეცვალა. ქარვასლაში ბაბუაჩემის უდიდესი გამოფენა გავაკეთეთ. მამუკამ მკითხა, რა საჩუქარი გაგიკეთოო. არაფერი ფასეული ნივთი არ მინდოდა, გარდა ბაბუას დიდი გამოფენისა.

სალომე: „მამუკამ მკითხა, რა საჩუქარი გაგიკეთოო. არაფერი ფასეული ნივთი არ მინდოდა, გარდა ბაბუას დიდი გამოფენისა".

✓ ეკა ლემონჯავა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ნინო ჭანტურაია: „მეგობრებს უკვირთ, ნაოჭები რომ არ მაქვს“

„ქალს სჭირდება სრულყოფილი პირადი ცხოვრება, ბედნიერი ოჯახი, კარგი განწყობა და, რა თქმა უნდა, თავის მოვლა. ეს ყველაფერი ქმნის სილამაზეს“.

ტელეკომპანია „იმედის“ დღის საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, ნინო ჭანტურაია, სამსახურში მისვლისთანავე მაკიაჟს და ვარცხნილობას იკეთებს, რომ საქმეს მოწესრიგებული შეუდგეს. სახლში კართან დიდი სარკე უკიდია და ისე არ გაუვლის, საკუთარ გამოსახულებას თვალი არ შეავლოს. სამი შვილის დედა არც კვების სწორ რეჟიმს იცავს, არც ვარჯიშისთვის რჩება დრო და არც ესთეტიკური მედიცინის სიახლეებს იყენებს. უბრალოდ ერთ მთავარ საიდუმლოს ფლობს, რომელსაც ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: ცდილობს, სულ კარგ განწყობაზე იყოს, რაც შემდეგ მის გარეგნობაზეც დადებითად აისახება.

— ნინო, როგორც ვიცი, რამდენიმე ტელეკომპანიაში ხართ ნამუშევარი. სხვადასხვა არხზე საინფორმაციოს წამყვანებს განსხვავებული იმიჯს უქმნიან?

— ვფიქრობ, საინფორმაციო წამყვანების იმიჯი სტანდარტულად იქმნება. მთავარია, რა გიხდება, ამას კი პროფესიონალები გირჩევენ. ბუნებრივია, მოდის ტენდენციები იცვლება. ტელევიზიას აქვს იმის საშუალება, სწორად შეარჩიოს წამყვანების იმიჯი, ამაზე კი „იმედში“ ავთანდილი ზრუნავს. ერთობლივად ვარჩევთ ფერებს თუ სტილს.

— თქვენთვის რა ფერებია უფრო მისაღები?

— ყველგან ნეიტრალურ ფერებს ვანიჭებ უპირატესობას.

— მაკიაჟის გაკეთებისას ვიზაჟისტებს ბრმად ენდობით თუ საკუთარი შტრიხებიც შეგაქვთ?

— ვენდობი, მაგრამ ჩემს აზრსაც ვუზიარებ. დროთა განმავლობაში ვისწავლე მაკიაჟის გაკეთება, შესაბამისად, დღეს უკვე ვიცი, რა მიხდება. საინფორმაციოს წამყვანისთვის მკვეთრი მაკიაჟი მიუღებელია და არც მე მიყვარს.

— საინფორმაციოს წამყვანს მუდმივად უწევს გრიმის გამოყენება, რაც სახის კანზე უარყოფითად აისახება. თქვენ როგორ უკლით ამ პრობლემას?

— გეთანხმებით, რომ ძალიან მძიმე მაკიაჟი კეთდება, თან ყოველდღიურად. ეს ყველაფერი კი სახის კანზე აისახება. ყოველთვის ვიყენებ მაკიაჟის ქვეშ წასასმელ დამცავ ბაზას. კოსმეტოლოგი არ მყავს, რადგან პრობლემური კანი არ მაქვს. სახის კრემებს ინდივიდუალურად ვარჩევ. რასაც შევიძენ, თუ მომიხდება, ვიტოვებ.

— მეზოთერაპია ან ბოტოქსი გიცდიათ?

— ჯერჯერობით მსგავს მკვეთრ ნაბიჯებზე წასვლა არ დამჭირვებია. თუ მომინდება და ამის სახსრებიც მექნება, ალბათ გავიკეთებ. თუ ქალი თვლის, რომ ქირურგიული ჩარევა სჭირდება, აუცილებლად უნდა გაიკეთოს.

— ფიქრობთ, რომ კანის მდგომარეობა გენეტიკაზეა დამოკიდებული?

— გენეტიკას და კვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ კანზე თუ ზოგადად, ქალის გარეგნობაზე დიდ გავლენას ახდენს ხასიათი და განწყობა. ყოველთვის უნდა შეეცადო, რომ კარგი განწყობა გქონდეს. შესაბამისად, არც ნაოჭები გაგიჩნდება. ხასიათი ადამიანის სახეზე ყოველთვის აისახება.

— საინფორმაციოს წამყვანს, რომელსაც ბევრი უარყოფითი ინფორმაციის მიწოდება უწევს მაყურებლისთვის, კარგი განწყობის შენარჩუნება არ ეჭირთ?

— რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ რთულია, სამაგიეროდ, კარგი განწყობა ყოველთვის აისახება ადამიანის სახეზე და გარეგნობასაც ცვლის. შესაბამისად, მისი შენარჩუნება საჭიროა.

— გუშინათ ნაოჭების?

— ამაზე არც მიფიქრია. თუმცა აღვნიშნავ, რომ მეგობრები სულ მეკითხებიან, ნაოჭები რატომ არ გაქვსო. ვფიქრობ, რომ ყველა ასაკს თავისი სილამაზე და ხიბლი აქვს. შეიძლება მოგვიანებით ესთეტიკურ მედიცინასაც მივმართო კანის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— უფროსი თაობა როგორ უყურებდა თავს თქვენს ოჯახში?

— გენეტიკა ვახსენეთ და რუსი ბებია მყავდა, ტატიანა ბონდარევა, რომელსაც ძალიან კარგი სახის კანი ჰქონდა. ის დიდ ყურადღებას აქცევდა კვების რეჟიმს. მახსოვს, მეუბნებოდა, სიმინდს რომ ჭამ, ლუკმა აუცილებლად ორმოცჯერ უნდა დაღეჭოო. დედის მხრიდან ბებია, თამარ გოგიტიძე, თავადი იყო და სულ ამაყობდა ამით. მასაც ძალიან კარგი კანი ჰქონდა. დედასაც არაჩვეულებრივი კანი აქვს, ასაკის მიუხედავად. ყოველთვის ვხედავდი, რომ დედა კანს დიდ ყურადღებას აქცევდა. დილიდან იწყებდა მის მოვლას და საცხების გარდა, ბუნებრივ საშუალებებზე დამზადებულ ნიღბებსაც იყენებდა, როგორიც არის მარწყვი თუ არაჟანი.

„ყველა ასაკს თავისი სილამაზე და ხიბლი აქვს. შეიძლება მოგვიანებით ესთეტიკურ მედიცინასაც მივმართო კანის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

— თქვენ მოგწონთ ბუნებრივი საშუალებებით კანის მოვლა?

— იშვიათად, რომ ასე მოვუარო კანს. მაკიაჟს ძილის წინ აუცილებლად ვიშორებ, ეს დაუწერელი კანონია.

— თქვენი კვების რეჟიმი როგორია?

— სწორი კვება ძალიან ბევრ რამეს განაპირობებს, პირველ რიგში კი, ჯანმრთელობას. სამწუხაროდ, ცუდად ვიკვებები. ვერ ვახერხებ სწორი რეჟიმის დაცვას. აუცილებლად ვსვამ ბევრ წყალს. ვცდილობ, დღის განმავლობაში ორი ლიტრი მაინც მივიღო. გურმანი ვარ და ჭამაზე უარს ვერ ვამბობ. მაგრამ ხანდახან თავს ვიზღუდავ და განტვირთვის დღეებს ვიწყობ.

— წონის კონტროლს განტვირთვის დღეებით ანერხებთ?

— ალბათ. დიეტას ვერ ვიცავ. ფორმაში ყოფნისთვის ვარჯიშია საჭირო, მაგრამ ვერ ვახერხებ. მშურს იმ ადამიანების, ვისაც შეუძლია მუდმივად ივარჯიშოს. ვერ ვამართლებ ჩემს თავს, რომ ვარჯიშისთვის დროს ვერ ვპოულობ. დროის გამონახვა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებ, რაზეც გული მწყდება. ქალი სახესაც და სხეულსაც თანაბრად უნდა უვლიდეს. მხოლოდ სახე არ არის მთავარი.

— რა გჭირდებათ იმისათვის, რომ თავი კარგად იგრძნოთ?

— ენერგიული და შრომისუნარიანი რომ ვიყო, ძილი მჭირდება. ხშირად ღამის ათ საათზე ვიძინებ.

— რა არის თქვენი საყვარელი აქსესუარი?

— ალბათ საათი, რადგან მის გარეშე სახლიდან ვერ გავდივარ, ასევე — სუნამო. მომწონს გრილი სურნელი, ტკბილი — მაღიზიანებს. ფრჩხილები ყოველთვის მოწესრიგებული უნდა მქონდეს.

— ვარცხნილობას რის მიხედვით აკეთებთ — გემოვნების თუ სამსახურებრივი მოვალეობის?

— სამსახურში მკაცრი რეჟიმი მაქვს. ტელევიზიაში მისვლისთანავე ჯერ ვარცხნილობას და მაკიაჟს ვიკეთებ, რომ მერე ამაზე დრო არ დამეკარგოს. თმა ეთერის გამო შევიჭერი. მიმაჩნია, რომ მოკლე ვარცხნილობა ეთერს უფრო უხდება.

— რაც შეეხება თმის მოვლას, რა ძალისხმევას მოითხოვს თქვენგან?

— ჯერჯერობით თმას არ ვიღებავ. ყოველდღიურად მიწევს ვარცხნა, ამიტომ მას მეტი ზიანი ადგება, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად ვუვლი. იშვიათად, მაგრამ თმის სპეციალურ ნიღბებს მივმართავ ხოლმე.

— ოჯახის წევრი მამაკაცები თუ აქტიურობენ კომპლიმენტებისა და რჩევების მხრივ?

— სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ უფროსმა ვაჟმა მთხოვა, მაღალქუსლიანები ჩაიცვი, უფრო გიხდებაო. ეს მინიშნება რომ გააკეთა, გამიკვირდა. ალბათ ყველას უყვარს, როცა დედა მოწესრიგებულია. ტანსაცმელს რომ ვიყიდი, პირველი შემფასებლები ჩემი შვილები არიან.

— სარკის წინ ბევრი დრო გჭირდებათ?

— ძალიან სწრაფად ვახერხებ მომზადებას. ნახევარ საათზე მეტი არ მჭირდება. სარკეზე ზედმეტად დამოკიდებული არ ვარ, ისე ვიყენებ, როგორც საჭიროა. სახლში, გასასვლელთან, კიდია დიდი სარკე და მინდა-არ მინდა, გასვლის წინ ვიყურები. ვცდილობ, სარკეში კარგი განწყობით ჩავიხედო.

— რა არის ქალის სილამაზის საიდუმლო?

— ქალს სჭირდება სრულყოფილი პირადი ცხოვრება, ბედნიერი ოჯახი, კარგი განწყობა და, რა თქმა უნდა, თავის მოვლა. ეს ყველაფერი ქმნის სილამაზეს.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

„მზე შემოდგომისა“ — მედეა ჯაფარიძის და რეზო თაბუკაშვილის სიყვარული ეკრანზე

ინფორმაციული

თემურ ფალავანდიშვილი: „მედეა იხე გავაბრაზეთ, გადახაღები მოედნიდან გაგვექცა“

„თუ დამიჯერებ, მე დღეს შენი ნაოჭები უფრო მიყვარს, ვიდრე შენი სახე 20 წლის წინათ“, — სიტყვები, რომელთა მოსმენაც ალბათ ყველა ქალისთვის ბედნიერებაა, რეზო თაბუკაშვილს ეკუთვნის, უფრო სწორად, მისი სცენარის მთავარ გმირს, მხატვარ ვახტანგს, რომლის პროტოტიპადაც მწერალი თავად იქცა ფილმისათვის „მზე შემოდგომისა“. ამ სიტყვების ადრესატი კი მისი საყვარელი ქალია ფილმშიც და ცხოვრებაშიც — მედეა ჯაფარიძე.

მე-20 საუკუნეში საქართველოში ისინი ერთ-ერთი გამორჩეული წყვილი იყვნენ. მათი სიყვარული ჯერ კიდევ მათ სიცოცხლეში იქცა ლეგენდად. სცენარი „მზე შემოდგომისა“ მწერალმა და დრამატურგმა სწორედ მეუღლისთვის შექმნა. ბატონი რეზო ხშირად ამბობდა: „მედიკო ცხოვრებაშიც ისეთია, როგორიც ფილმში „მზე შემოდგომისა“.

„ფილმი ჩეზოსა და მედეას ცხოვრების ანარეკლია. ზოგიერთი ამბავი მათ ზუსტად გადახდათ თავს, მაგალითად, ჩხუბის და პუჩის საცხობის სცენა ჩვენი ისტორიიდან არის. ძალიან მინდოდა, ჯადში ჩეზოც შემეყვანა, მაგრამ ვერაფრით დავითანხმე“.

მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი

მედეა ჯაფარიძემ კინოში არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნა, მაგრამ საკუთარი თავი ეკას როლით ითამაშა. ფილმის გამოსვლიდან 40 წელი გავიდა, მაგრამ ყოველთვის, როდესაც ამ ფილმს და უკვე მარადისობაში გადასულ მედეა ჯაფარიძისა და ოთარ მეღვინეთუხუცესის გმირებს უყურებ, გრძნობ, რომ სადღაც, ახლოს, შემოდგომის მზე ანათებს...

ფილმი ქართველი მაყურებლისათვის ძვირფასია იმითაც, რომ მასში უნიკალური კადრებია შენახული — დიდი ქართველი მხატვრების ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის მონაწილეობით.

როგორ იქმნებოდა „მზე შემოდგომისა“, რეჟისორი თემურ ფალავანდიშვილი იხსენებს.

გაცოცხლებული ძველი თბილისი

თემურ ფალავანდიშვილი:

— ეს იყო ჩემი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი, მანამდე მხოლოდ მოკლემეტრაჟიან ფილმებს ვიღებდი. სცენარის →38
ავტორი რეზო თაბუკაშვილი დედაჩემის დეიდაშვილი იყო

BAYER
150 Years
Science For A Better Life

ბიპანთენი პლიუსი – ცწარეთი ლიზინთექცია და შეხორცება!

- არ იწვევს წვის შეგრძნებას
- არ შეიცავს ანტიბიოტიკებსა და ჰორმონებს

შემადგენლობა: დექსპანთენოლი (B5 ვიტამინი) ქლორჰექსიდინი 0,5%

მწარმოებელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

და ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა გვქონდა. მედეა ჯაფარიძე ჩვენი რძალი გახლდათ. მედეამ მთავარი როლი შეასრულა ფილმში „წარსული ზაფხული“ და მას შემდეგ 10 წელზე მეტი კინოში აღარ უთამაშია. 1970 წელს გადაიღეს ფილმში „იყო შაშვი მგალობელი“, მაგრამ იქ ეპიზოდური როლი ჰქონდა. ქართული კინოსთვის ეს დიდი დანაკლისი იყო, რომ ასეთი ბრწყინვალე მსახიობი 10-12 წელი ეკრანის მიღმა რჩებოდა.

■ მედეა ჯაფარიძე

ერთხელ დილომში, კინოსტუდიაში ვიყავი. რეზო მოვიდა, ხელში რაღაც ფურცლები ეჭირა და მითხრა, ეს სცენარი წაიკითხეო. შემდეგ თავის „ვოლგაში“ ჩამსვა და ძველი თბილისის ქუჩები მომატარა. რეზოს დიპლომატიური ჰქონდა დამთავრებული, ინგლისური კარგად იცოდა. მთავრობა უცხოელ სტუმრებს ხშირად რეზოსა და მედეას გადააბარებდა ხოლმე, რადგან ქალაქის ღირსშესანიშნაობები მათ კარგად იცოდნენ. იმ დღესაც მან ყველა ის ადგილი მომატარა, სადაც ის და მისი მეუღლე ხშირად დადიოდნენ. ამის შემდეგ სცენარი გადმომცა და სახლში მიმიყვანა.

ძველი თბილისი ყოველთვის მომწონდა, თუმცა იმ დღის მერე ყველაფერს სხვანაირად შევხედე. რეზოს მხრიდან ეს საოცრად ზუსტი რეჟისორული სვლა იყო. სცენარის სიუჟეტის მთავარი თემა არის, რომ ხელოვანმა არ უნდა უღალატოს თავის მოწოდებას და არ უნდა იფიქროს კომერციაზე იმისთვის, რომ ოჯახი შეინახოს. გარდა ამისა, მეორე საკითხიც გამოიკვეთა, რომ ძველ თბილისზე ამ ფილმში დიდი აქცენტი უნდა გაკეთებულიყო. ჩემთვის ყველაზე გამორჩეული ეპიზოდი რეჟისორული კუთხით არის ის, როდესაც ოთარის გმირი უსიტყვოდ დადის ძველი თბილისის ქუჩებში და იქ ნანახ ხედებს ხატავს. სწორედ ამან შემოატრიალა ვახტანგი თავისი მთავარი საქმისკენ.

■ ოთარ მელვინეთუხუცესი

„ოთარ მელვინეთუხუცესთან მუშაობა ადვილი იყო. ის გახლდათ მსახიობი, რომელიც თავის საოცარ სამყაროს გთავაზობდა, რომელში ჩახედვაც საჭირო არ იყო. ვუთხარი, მისი გმირი როგორი უნდა ყოფილიყო და ყველაფერი თავად გააკეთა“.

მე შევეცადე, „მზე შემოდგომისა“ ძველი თბილისისთვის მიძღვნილი ფილმი გამოსულიყო. სწორედ ამიტომ ავარჩიე ფილმის კომპოზიტორად ვაჟა აზარაშვილი, რადგანაც ის ქალაქური სიმღერების ავტორია.

■ კადრები ფილმიდან „მზე შემოდგომისა“

ყველაზე მთავარი ის არის, რომ ფილმმა წინ წამოწია მნიშვნელოვანი თემა — ძველი თბილისი არა მხოლოდ საცხოვრებელი ადგილია, არამედ იგი არის ესთეტიკური ფენომენი. რატომღაც დაემთხვა, რომ ამ ნამუშევრის ეკრანზე გამოსვლიდან 2 წლის შემდეგ პირველად ჩატარდა თბილისობის დღესასწაული. ამგვარად, ჩვენმა ფილმმა პატარა წვლილი შეიტანა იმაში, რომ ძველმა თბილისმა აქტუალურობა არ დაკარგა. თავიდან თბილისობა მართლაც კარგად ტარდებოდა. ყოველი დღესასწაულისთვის ერთი უბნის რესტავრაცია ხდებოდა. პირველ წელს აბანოთუბანი შეაკეთეს, მეორე წელს — ლესელიძის ქუჩა და ა.შ. შემდეგ რაღაც პერიოდი თბილისობა მობეზრდათ. ამ ბოლო წლებში დღესასწაულს კი აღნიშნავენ, მაგრამ

www.abdiibrahim.com.tr

ᲨᲔᲤᲣᲗᲜᲔᲗ „ᲮᲐᲗᲗᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ“ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲔᲑᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲠᲔᲘ

ᲧᲔᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠ-ᲮᲐᲮᲘᲡ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲣᲠ-ᲐᲜᲗᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ, ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

- ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲮᲜᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲡ
- ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕ ᲒᲐᲣᲢᲙᲘᲕᲐᲠᲔᲑᲐᲡ
- ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ ᲚᲔᲭᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲚᲐᲐᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ
- ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲙᲝᲑᲠᲘᲗ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ: ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜᲓᲐᲖᲛᲣᲚᲔᲑᲨᲘ
- ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲡᲘᲛᲝᲕᲜᲝ ᲒᲔᲛᲝ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲡᲞᲠᲔᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ. ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ 0112,
Დ. ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 148/III

PSP №1

ABDiIBRAHIM

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ

ᲑᲔᲜᲔᲢᲘ ᲞᲚᲘᲣᲡᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲓᲐᲛᲘᲜᲘ/ᲥᲚᲝᲠᲰᲔᲥᲡᲘᲓᲘᲜᲘ

ᲒᲘᲕᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐ

მწვადობანაში და გიგანტურ ფელამუშობანაში გადაიზარდა. ქალაქის ესთეტიკურ მხარეს დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ. უფრო მეტიც, ქალაქის ძველი უბნები დამახინჯდა. ისეთი შენობები გაჩნდა, რომლებიც კარგია, მაგრამ არა — ძველი თბილისისთვის. ის ყბადაღებული მშვიდობის ხიდი მომწონს, მაგრამ არა — იმ ადგილზე. ძველ თბილისს მსგავსი შუშის ნაგებობა არ უხდება. აი, მაგალითად, საბაგირო გზა ძალიან მომწონს, მაგრამ ეს ხიდი ნამდვილად არ ჯდება ძველი თბილისის ხედებში. ცოტა თემიდან გადახვევა გამოგვივიდა, მაგრამ ფაქტია, რომ სიძველე არ უნდა დავკარგოთ. სწორედ ამ სიძველეზე გაკეთდა აქცენტი ფილმში.

სცენარი საყვარელი ქალისთვის

— „მზე შემოდგომისა“ რეზოსა და მედეას ცხოვრების ანარეკლია და ფაქტობრივად ავტობიოგრაფიული ფილმია. ზოგიერთი ამბავი მათ ზუსტად გადახდათ თავს, მაგალითად, ჩხუბის და პურის საცხობის სცენა რეალური ისტორიიდან არის. რეზო გადაღებებს იშვიათად ესწრებოდა. ბოლო, ფინალური კადრების გადაღებისას იქ იყო. ძალიან მინდოდა, კადრში ისიც შემეყვანა, მაგრამ ვერაფრით დავითანხმე.

მედეა და ოთარი

— ჩემს ფილმში იმდენად დიდი რანგის მსახიობები იყვნენ დაკავებულნი, რომ ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, მათთან მუშაობა უდიდესი შემოქმედებითი სიამოვნება იყო. ძალიან არ მიყვარს, როცა ერთსა და იმავე როლზე რამდენიმე მსახიობს სინჯავ, მერე ადარებ, ვინ რა და როგორ ითამაშა. ადრე კინოსტუდიაში სამხატვრო საბჭო არსებობდა და სწორედ ისინი ითხოვდნენ, რომ მსახიობების სინჯები ჩატარებულიყო. ჩემი აზრით, რეჟისორმა თავად უნდა აარჩიოს, მის ფილმში როლს ვინ შეასრულებს. თანაც, როცა ფილმის მონახაზს აკეთებ, უკვე იცი, სავარაუდოდ, ვინ შეიძლება იყოს ამა თუ იმ როლისთვის შესაფერისი.

როდესაც რეზომ სცენარი გადმომცა, თავიდანვე ვიცოდი, რომ ეს მედეასთვის იყო დაწერილი და მთავარი როლი სწორედ მას უნდა ეთამაშა. ვახტანგის როლზეც ვიცოდი, რომ ოთარ მეღვინეთუხუცესი უნდა ამეყვანა. სხვა გმირების შემთხვევაშიც ასე მოხდა. ვიცოდი ყველა ამ მსახიობის შესაძლებლობები და სინჯების ჩატარება საჭიროდ აღარ მივიჩნიე.

ოთარ მეღვინეთუხუცესთან მუშაობა ძალიან ადვილი იყო. ის გახლდათ მსახიობი, რომელიც თავის საოცარ სამყაროს გთავაზობდა, რომელში ჩარევაც საჭირო არ იყო. თავიდან ვუთხარი, მისი გმირი როგორი უნდა ყოფილიყო და შემდეგ უკვე ყველაფერი თავად გააკეთა. როცა ასეთ პროფესიონალთან გიწევს მუშაობა, მას მთლიანად უნდა ენდო.

მედეა ჯაფარიძის პროფესიონალიზმზე, გარეგნულ მშვენიერებაზე საუბარს არ დავიწყებ, რადგან ყველამ კარგად იცის, რა დონის მსახიობი იყო. გადაღებების პროცესში მასთან ცოტა პრობლემები შემექმნა. მე მინდოდა, რომ გადაღებები დილით დამეწყო, ის კი არ მოდიოდა. მედეა ძირითადად თეატრის მსახიობი იყო და თვლიდა, რომ მისი ორგანიზმი დილაობით სამუშაოდ მზად არ იყო. ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ პირველ-ორ საათამდე „მატორ“ არ დაგვეძახა. დროს სპეციალურად აჭიანურებდა. მედეაზე მიმაგრებული მყავდა ჩემი ასისტენტი ზაურ ტყეშელაშვილი, რომელიც ყოველ დილით აკითხავდა. 9 საათზე მიაკითხავდა ხოლმე, მედეა ზემოდან გადმოსძახებდა: „ზაურ, ამოდი!“. →40

მარცხნივ: ლადო გუდიაშვილი

„ბატონი ლადო ჯარგად ცეკვავდა. ფილმში „ქეთო და ჯოტე" გიორგი შავგულიძეს კინტაურის ილეთები მან ასწავლა. ხელის მოძრაობის ცნობილი ილეთი ფაქტობრივად დაკარგული იყო და მისი დამსახურებით აღდგა".

ის ერთხანს უცდიდა, მაგრამ მედეა იმდენს იზამდა, მაინც აიყვანდა, დასვამდა, ასაუზმებდა და ამასობაში დროც გადიოდა. ზაური მაშინ 19-20 წლის ბიჭი იყო და მედეა დედასავით თბილად ექცეოდა. მოკლედ, 12 საათზე მოვიდოდა გადაღებაზე, შემდეგ გრიმს იკეთებდა, ემზადებოდა. გადაღებები მაინც 2 საათზე იწყებოდა. იძულებული ვიყავით, მისი რეჟიმით გვემუშავა, რადგან თითქმის ყველა კადრში იყო და მის გარეშე ვერ დავიწყებდით.

ცოცხალი ლეგენდების გაღეჩეა

— ფილმის ყველაზე დასამახსოვრებელი კადრი მაინც ფინალია, როდესაც დიდი სუფრაა გაშლილი და ყველანი ზეიმობენ. იმდროინდელი ქართული ელიტის ყველა წარმომადგენელი მოვიწვიეთ, ვისაც კი ეცალა. მიხარია, რომ მათი სახეები ეკრანს შემორჩა. ლადო გუდიაშვილის ცეკვაც ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მომენტია. მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ლადოს ჯერ კიდევ სტუდენტობიდან ვიცნობდი, მამასთან (სიკო დოლიძე — ბატონი თემურის მამობილი, ავტ.) მეგობრობდა და ერთხელ თავისი ნახატიც გვაჩუქა, მაინც მერიდებოდა მისი მოწვევა. არ ვიცოდი, დამთანხმდებოდა თუ არა იმაზე, რომ კინტაური ეცეკვა. მე ახალგაზრდა ვიყავი, ის კი უკვე — ხანშიშესული, თანაც პატივსაცემი კაცი. ცეკვაზე დაგვთანხმდა, მაგრამ მხოლოდ იმდენი ვაცეკვეთ, რაც ფილმს სჭირდებოდა. მომეხათრა, მეტი გადამეღო და შემენახა. წლების შემდეგ ეს ძალიან ვინანე. შეიძლება ფილმში მთლიანი ცეკვა არ ჩამჯდარიყო, მაგრამ სამახსოვროდ დამრჩებოდა.

საერთოდ, ბატონი ლადო კარგად ცეკვავდა. ფილმში „ქეთო და კოტე" გიორგი შავგულიძეს კინტაურის ილეთები მან ასწავლა. ხელის მოძრაობის ცნობილი ილეთი ფაქტობრივად დაკარგული იყო და მისი დამსახურებით აღდგა.

60-იან წლებში მე მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. ჩემს კურსზე ორი ინდოელი სწავლობდა, ერთერთთან, უსხარასთან, ძალიან დავმეგობრდი. ერთ ზაფხულსაც უსხარა საქართველოში, ჩემთან სტუმრად ჩამოვიდა. თბილისის საინტერესო ადგილები მოვატარე. მაშინ ბევრი გასართობი არ იყო, არც მანქანა მყავდა, რომ აქეთ-იქით მეტარებინა. ბოლოს უკვე აღარ ვიცოდი, ინდოელი მეგობარი რითი გამერთო. ჩემმა მეგობარმა, მსახიობმა მანანა მაჩაბელმა შემომთავაზა, ლადო გუდიაშვილთან წამეყვანა. ბატონი ლადო მისი მეზობელი იყო. ცოტა ხანში მანანამ დამირეკა, გერასიმოვის მოწაფეების მიღებაზე მტკიცე უარი განაცხადაო. ჩვენი პედაგოგი, რეჟისორი გერასიმოვი ძალიან კარგი კაცი იყო, მაგრამ ამავე გვარის მქონე მხატვარიც არსებობდა, რომელიც საბჭოთა რეალიზმის საშინელი მხატვარი იყო, ყველა დეტალს ისე ასახავდა, რომ ფოტოგრაფიისგან

„ელენე ახვლედიანის სამეგობრო ფილმის მთავარი გმირების სამეგობროდ გადავაქციეთ".

ცენტრში: ელენე ახვლედიანი

ვერ გაარჩევდი. როგორც ჩანს, ბატონ ლადოს სწორედ იმ გერასიმოვის მოწაფეები ვეგონეთ და იმიტომაც არ ისურვა ჩვენი ნახვა.

მანანას ვუთხარი, რომ კიდევ დაერეკა მისთვის და აეხსნა, რომ მომავალი კინორეჟისორები ვიყავით და არა — მხატვრები. ამის მერე მანანამ დარეკა, ბატონი ლადო გელოდებათო. მაშინვე გავეშურეთ მასთან. მე და უსხარა ძალიან თბილად მიგვიღო. ჩაისა და ნამცხვარზე დაგვპატიჟა და 3 საათი ჩვენთან საუბარში გაატარა.

ფილმის მთავარი გმირის, ვახტანგის მიერ დახატული სურათები სინამდვილეში მხატვარ ელენე ახვლედიანს ეკუთვნის. ქალბატონი ელენე მამასთან მეგობრობდა. მის რამდენიმე ფილმში მთავარი მხატვარიც იყო. მედეასთან და რეზოსთანაც ძალიან ახლოს გახლდათ, ასე რომ, მასთან მისვლა არ გამჭირვებია. მისი სახელოსნოდან ნახატებს მთლიანად ვერ წამოვიღებდით, ამიტომ ნება დაგვრთო, ფილმის ფინალური კადრები იქვე გადაგვეღო. იმ დროს ფერად ფირზე გადაღება ძალიან ძნელი იყო, ოპერატორმა ლომერ ახვლედიანმა კი ეს სცენა რთული განათებების გარეშე

პარა პლუსი

უფრო ძლიერი ვიდრე ტილები

განთავისუფლდით ტილებისგან სულ რაღაც 10 წუთში

- ეფექტურია ერთჯერადი გამოყენებისას
- შეიცავს ორ აქტიურ ნივთიერებას
- 1 აეროზოლი – სრული მკურნალობა მთელი ოჯახისათვის

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მწარმოებელი: ლაბორატორია " OMEGA PHARMA" (საფრანგეთი)

წარმომადგენლობა საქართველოში: ფიკ მედიკალი. ტელ/ფაქსი: 255-20-59. ელ-ფოსტა: ficmedical_georgia@yahoo.com

გადაიღო. ამისათვის საოცარი გამოსავალი მონახა. ჭერზე ფიცრები დაამაგრა და მასზე ფოტოლამპები ჩამოკიდა. ასე გადავიღეთ სახელოსნოს ფინალური სცენები. ელენე ახვლედიანის სამეგობრო ფილმის მთავარი გმირების სამეგობროდ გადავაქციეთ.

გაბრაზებული ვახსოვრავი

— გადაღებების დროს სახალისო ბევრი იყო, თუმცა ასეთი ამბების გახსენება დიდად არ მიყვარს. ქალბატონ მედეასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც შემდგომ მხიარული მოსაგონარი გახდა, თორემ მაშინ ის ძალიან გავაბრაზე. ფილმში არის ასეთი ეპიზოდი, როდესაც სახლში მიჰყავს გრიშა ქსოვრელი და მისი დასტა. უნდა, რომ სიმღერამ მის ქმარს განწყობასა და მუშაობაში ხელი შეუწყოს. მედეამ მოისურვა, რომ სიმღერით აჰყოლოდა დუდუკის ჰანგებს და „გამარჯობა, ჩემო თბილისქალაქო“ ემღერა. თეატრის სცენაზე სიმღერას სულ სხვა სპეციფიკა აქვს, კინოში კი — სულ სხვა. გამოსახულებასთან ცოცხლად სიმღერა ცოტა რთული მისასადაგებელია. ვიცოდით, რომ ეს ფილმს არ მოუხდებოდა, მაგრამ უარი ვერ ვუთხარით.

თემურ ფალავანდიშვილი

მაშინ ფირების პრობლემა იყო, ამიტომ მე და ლომერმა გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ დასაწყისი გადაგვეღო. მოლაპარაკებისამებრ, პირველი სტროფის შემდეგ კამერა გამოვრთეთ. მედეა არ გაგვიჩერებია, რადგან ასე უნდა, ბარემ ბოლომდე იმღეროს-თქო, ვიფიქრეთ. მაგრამ ერთი გარემოება წინასწარ ვერ გავთვალეთ. მაშინდელი კინოაპარატურა ძალიან ხმაურიანი იყო და ჩართვა-გამორთვისას დიდი ხმა ჰქონდა. ქალბატონი მედეა მიხვდა, რომ კამერა გამოვრთეთ და სიმღერა შეწყვიტა. ძალიან გაბრაზდა და გადასაღები მოედანი დატოვა. ამის გამო 2-3 დღე მე და ლომერს ხმას არ გვცემდა. მერე შევრიგდით და განაგრძო მუშაობა.

40 წელი ეჯანზე

— ზოგადად, მკაცრი რეჟისორი არ ვარ. სულ ვცდილობ, მსახიობს მეტი თავისუფლება ჰქონდეს, რომ თავისი შინაგანი სამყარო უკეთ გადმოსცეს. ამ მიდგომით ყოველთვის მოგებული ვრჩები. ჩარჩოში ჩასმული მსახიობი იმ ინსტრუქციას მიჰყვება, რომელსაც შენ თავიდან აძლევ. ასეთი თამაში ნამუშევარზე ცუდად აისახება. ხოლო როდესაც მსახიობი არ ზის ჩარჩოებში, ის უფრო მეტად ამდიდრებს თავის როლს, თუნდაც იმპროვიზაციებით.

არც ერთი ფილმის გადაღებისას სცენარში არ ვიხედებოდი. ასევე იყო ამ ფილმის შემთხვევაშიც. მით უმეტეს, ისეთი მსახიობების პლეადა მყავდა, რომლებსაც აბსოლუტურად ვენდობოდი.

„მე შევეცადე, „მზე შემოდგომისა“ ძველი თბილისისთვის მიძღვნილი ფილმი გამოსულიყო“.

გადაღებების დროს რეჟისორიც თავისუფალი უნდა იყოს და მსახიობიც.

ფილმის გადაღებები 3 თვეს გაგრძელდა, მთლიანად გამზადებას დაახლოებით წელიწადი დასჭირდა. რამდენიმე კადრი ბათუმსა და ოდესის პორტშია გადაღებული, ძირითადი ნაწილი კი — თბილისის ძველ უბნებსა და პავილიონებში. მაგალითად, ის ბინა, სადაც გივი ბერიკაშვილისა და გურანდა გაბუნიას გმირები ცხოვრობდნენ, უფრო ახლებური უნდა ყოფილიყო, ამიტომაც საბურთალოზე გადავიღეთ.

„მზე შემოდგომისა“ ძალიან კარგად მიიღო როგორც ქართველმა, აგრეთვე მთელმა საბჭოთა მაყურებელმა. ამიერკავკასიის მასშტაბით პატარ-პატარა პრიზებიც დაიმსახურა, მაგრამ სერიოზული — არაფერი. თუმცა ის ფაქტი, რომ 40 წელია ფილმი ცოცხლობს და მაყურებელს უყვარს, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

✓ თეონა კენჭიაშვილი

ყველაზე აქტიური ვარსკვლავები ინტერნეტში

ვარსკვლავური ამბები

ინტერნეტი და სოციალური ქსელი ჰოლივუდის ვარსკვლავების ცხოვრებაშიც აქტიურად შეიჭრა. ცოტა ხნის წინ ამერიკულ პრესაში ჩატარდა კვლევა, რომელმაც გამოარკვია, რომ დღეს ინფორმაციის 30% სწორედ სოციალური ქსელებით ვრცელდება. ჰოლივუდის ვარსკვლავები თავიანთ ექსკლუზივებს სოციალური ქსელის საშუალებით აქვეყნებენ. გთავაზობთ ინტერნეტში ყველაზე აქტიური ვარსკვლავების რეიტინგს.

ლედი გაგა

„ფეისბუქი“ — 59 282 726 მეგობარი.
„ტვიტერი“ — 40 159 303 მკითხველი.

27 წლის მომღერალი ლედი გაგა შოუ-ბიზნესში არც ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრდა, მაგრამ სულ მოკლე დროში ყველანაირი რეკორდი მოხსნა სოციალურ ქსელში აქტიურობით. მომღერალი არამარტო ორიგინალური ჩაცმულობითა და სკანდალური გამონათქვამებით გამოირჩევა, არამედ იმითაც, რომ ყოველდღე სოციალურ ქსელში რამდენიმე პოსტს აკეთებს. ის „ფეისბუქს“ ხშირად პაპარაცის ინსტრუმენტადაც იყენებს — საკუთარ თამამ და სექსუალურ ფოტოებს თავადვე აქვეყნებს.

— ჯობია, საკუთარ თავზე თავადვე დაწერო ყოველგვარი უხამსობა, ვიდრე ეს სხვებმა გააკეთონ. ჩემთვის „ფეისბუქი“ ერთი დიდი ფანკლუბია, სადაც კარგად ვერთობი, — აცხადებს ლედი გაგა.

მაილი საირუსი

„ფეისბუქი“ — 29 103 827 მეგობარი.
„ტვიტერი“ — 14 045 151 მკითხველი.

20 წლის მაილი საირუსი ხშირად ყურადღების მიქცევას სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტოებითაც ცდილობს. ეპატაჟის დედოფლად წოდებულმა გოგონამ ლამის მადონა და ლედი გაგაც დაჩრდილა. თუ ადრე მაილი თავისი საყვარელი ძაღლებისა და ბოიფრენდის სურათებს დებდა, ახლა მთლიანად საკუთარი მიმიკებისა და სექსუალური პოზების გამოფენითაა დაკავებული. მომღერალმა უბრალოდ გადაწყვიტა, რომ პირადი ცხოვრების აფიშირებას საკუთარი სხეულის დემონსტრირება სჯობია. გამოყოფილი ენა კი მისი საფირმო ნიშანი გახდა.

რიანა

„ფეისბუქი“ — 75 891 993 მეგობარი.
„ტვიტერი“ — 31 855 218 მკითხველი.

25 წლის რიანა, რომელიც დღეს ყველაზე პროდუქტიულ მომღერლად ითვლება, დღეში 7 ჩანაწერს მაინც აკეთებს. ის სოციალურ ქსელით არსებობს, „იუთუბზე“ მის ვიდეოს 3,79 მილიარდი მნახველი ჰყავს. ბარბადოსელი ლამაზმანი სოციალურ ქსელში აქვეყნებს ყველაფერს — ახალ ჩასაცმელს, მაკიაჟს, ვარცხნილობას და პირად ემოციებზეც კი წერს. მაგალითად, როდესაც მისი ბებია სიკვდილის პირას იყო, ამ ფაქტით გამოწვეულ ემოციებზე ყოველდღიურად წერდა. ერთხელ სოციალურ ქსელში მსახიობმა ამანდა ბეისმა მისწერა: „შენ კრის ბრაუნმა იმიტომ გცემა, რომ საშინელი ქალი ხარ“. რაზეც რიანამ უპასუხა: „შეხედეთ, რა მოსდით ადამიანებს, რომლებიც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ არ არიან“.



ბიონსე

„ფეისბუქი“ — 50 639 452 მეგობარი.
„ტვიტერი“ — 12 306 768 მკითხველი.

ბიონსე უფრო ფრთხილია სოციალურ ქსელებთან მიმართებაში. ის პაპარაცულ სურათებს არასოდეს დებს. თავის პროფილზე მხოლოდ პროფესიონალი ფოტოგრაფის მიერ გადაღებულ და დამუშავებულ ფოტოებს აქვეყნებს. ამაში მას მენეჯერი და შტატიანი ფოტოგრაფები ეხმარებიან. მისი ფოტოების სპეციფიკა ყოველთვის ერთნაირია — კარგი ხასიათი და არავითარი დეპრესიული და მელანქოლიური განწყობა. ბოლო დროს ის ინტენსიურად აქვეყნებს ჯეი ზისთან გადაღებულ ფოტოებს. გარდა ამისა, მის პროფილში ნახავთ მდიდრულ იახტებს, ზღვის პეიზაჟებს და ფუფუნების სხვა აქსესუარებს.

კიმ კარდაშიანი

„ფეისბუქი“ — 14 246 230 მეგობარი.
„ტვიტერი“ — 18 500 468 მკითხველი.



32 წლის კიმ კარდაშიანის ოჯახი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. მისი სოციალური ქსელი კი საოჯახო ფოტოალბომს ჰგავს. ყოველდღიურად მისი გვერდის თვალიერებით ზუსტად შეიტყობთ, რა ხდება მათ სომხურ-ამერიკულ ოჯახში. ახალდაბადებული შვილის, ნორტ ვესტის პირველი სურათებიც თავის კედელზე გამოაქვეყნა. მას შემდეგ, რაც დედა გახდა, კიმი უფრო ნაკლებ დროს უთმობს სოციალურ ქსელს, თუმცა ცოტა ხნის წინ გაბედა და მშობიარობიდან სულ რამდენიმე კვირაში ბიკინიში გადაღებული ფოტოები გამოაქვეყნა.

სიახლე!!! ᲕᲘᲜᲐᲚ! ძველ აპარატებს ახალ აპარატებზე
შეფასებული გლუკომეტრები 25 ლარად!
დიდი ფასდაკლება ქოლესტერინის აპარატზე.

აკონტროლეთ თქვენი ჯამრთელობა!
ყარი ყოხარით მიოყარლიყმის
ინფაქრტს და ათურლსყურლზხ!

მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)
ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

10 მილიონიანი ბიუსტჰალტერი ვიქტორია სეკრეტისაგან

ამოდელმა კენდის სვეინპოლმა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბიუსტჰალტერი წარმოადგინა. ვიქტორია სეკრეტის ამ აქსესუარში 4200 ძვირფასი ქვაა გამოყენებული. საცვლების ყველაზე პოპულარულმა კომპანიამ მისი დემონსტრირების საპატიო მისია სამხრეთ აფრიკელ სუპერმოდელ კენდის სვეინპოლს მიანიჭა. ძვირფასი ბიუსტჰალტერის ფასი 10 მილიონ დოლარს აღემატებოდა. გამოყენებულია ბრილიანტები, ლალი და ყვითელი საფირონი. ამ ქმნილებას „ფანტაზია ბიუსტჰალტერი“ ჰქვია, რომელზეც 18 კარატი ოქრო დაიხარჯა, ხოლო მის ცენტრში 52 კარატიანი ლალის თვალია დამაგრებული.

სხვადასხვა პერიოდში ყველაზე ძვირადღირებული ბიუსტჰალტერები წარმოადგინეს კლაუდია შიფერმა, ტაირა ბენქსმა, ჟიზელ ბანდჩენმა, მირანდა კერრმ, ადრიანა ლიმამ და ალესანდრა ამბროსიომ.

— არასოდეს მიტარებია ასეთი ძვირფასი რამ ცხოვრებაში. უხერხულ მდგომარეობაში ვიყავი, რადგან ბიუსტჰალტერს სპეციალური ხელთათმანებით მაცმევდნენ და როცა ის მეკეთა, ჩემ გვერდით ყოველთვის ორი პირადი მცველი იყო, — ამბობს კენდის სვეინპოლი.



ჰელენ ბონემ კარტერი: „ელიზაბეტ ტეილორის როლმა ბრილიანტები შემაყვარა“

ამალე ეკრანებზე გამოვა ლეგენდალურ ელიზაბეტ ტეილორზე და რიჩარდ ბარტონზე გადაღებული ფილმი „ბარტონი და ტეილორი“, რომელშიც მთავარ როლს ჰელენ ბონემ კარტერი ასრულებს. მსახიობი ელიზაბეტის როლმა ისე გაიტაცა, რომ ძვირფასი სამკაულებისა და ბრილიანტების სიყვარული სერიოზულ მანიად ექცა.

— ჩემი ქმარი, ტიმ ბარტონი, ყოველთვის ინანებს იმას, რომ ამ ფილმში თამაშს დავთანხმდი. მას უკვე აღარ შეუძლია, ჩემი ჭირვეულობების ატანა. აქამდე ძვირფასი სამკაულები ნაკლებად მაინტერესებდა, ახლა სიგიჟემდე შემიყვარდა. ფილმის გადაღებებს ჩემი დაბადების დღეც დაემთხვა. ქმარი ძვირფასეულობის მაღაზიაში წავიყვანე და სერიოზულად გავაღარიბე. ახლა მივხვდი, ელიზაბეტ ტეილორს მამაკაცები რატომ გაურბოდნენ. ამ როლმა ჩემს ცხოვრებაზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია. ელიზაბეტმა ბრილიანტები შემაყვარა. ბევრი რამ შევიტყვე თავად ტეილორზე, მაგალითად — ის, რომ სიგიჟემდე უყვარდა ვარდისფერი, ტუჩის მბზინავი საცხი, ჩაი და შოკოლადი. გამიკვირდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ გემრიელად ჭამის მოყვარული იყო, განსაკუთრებით კი კარტოფილის პიურე და შემწვარი წიწილა უყვარდა. იმედია, მეც არ გადავალ ასეთ რაციონზე, — აცხადებს ჰელენ ბონემ კარტერი.

იოვიტალ C დუო-აქტივი

500 მგ, 750 მგ

მხოლოდ 1 კაფსულა დღეში

• ზრდის წინააღმდეგობას ინფექციების მიმართ

• გიცავთ ფიზიკური და ემოციური სტრესისგან

კაფსულები C-ვიტამინის გახანგრძლივებული მოწოდებით

ბიოლოგიურად აქტიური დანამატი

EGIS100

ს.ს. ფარმასევტული ქარხანა ეგისი (უნგრეთი) წარმოადგენლობა საქართველოში.

ტელ.: 255 99 06

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ვალენტინო – ძვირფასი ქსოვილით შემოსილი იდუმალება

ტრადიციისამებრ, ვალენტინოს მოდის სახლის 2013-2014 წლების შემოდგომა-ზამთრის კოლექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. დიზაინერებმა აქცენტი ქსოვილებზე გააკეთეს. გამოყენებული იყო უამრავი მაქმანი, ხავერდი, აბრეშუმი, შიფონი და ჟაკარდი. დომინირებდა ბეწვის საყელოები და ბისერით ნაქარგი დეტალები. კოლექცია მთლიანად აბსტრაქტული პრინტებით იყო წარმოდგენილი. ერთი შეხედვით, ის აღორძინების ეპოქის გათანამედროვებულ თემებს წარმოადგენდა. ძვირფას ქსოვილში გახვეული ვალენტინოს ქალი განსაკუთრებულად იდუმალი და სექსუალური ჩანდა.

ჯენიფერ ლოპესი და კასპერ სმარტი დაშორდნენ

ოპულარულმა მომღერალმა და მსახიობმა ჯენიფერ ლოპესმა თავისი ახალგაზრდა საყვარელი კასპერ სმარტი წარსულში დატოვა. როგორც ჩანს, ვნება და გრძნობები გაქრა, ჯენიფერს კი მარტოობის დრო დაუდგა. დასავლური პრესა წერს, რომ ამ რომანს წერტილი თავად ჯენიფერმა დაუსვა. მას, უბრალოდ, მობეზრდა მოცეკვავე კასპერ სმარტი. წყვილი ბოლოს ერთად პაპარაცებმა ივლისის ბოლოს ნახეს. მას შემდეგ ლათინოამერიკელი მომღერალი ყველგან მარტო ჩნდება.

დადის ჭორები, რომ 44 წლის მომღერალსა და 26 წლის მოცეკვავეს ურთიერთობა კარგა ხნის წინ დაეძაბათ. როგორც ამბობენ, ყველაფერი ზაფხულში დასრულდა.

— ბოლო დროს ჯენიფერი ძალიან სევდიანი და დაღლილი ჩანს. ის ფიქრობს, რომ კასპერის მიმართ ვნება გაუქრა. დიდხანს ებრძოდა საკუთარ თავს, სანამ ამას აღიარებდა. მას დღეს კასპერი აღარ სჭირდება“, — აცხადებს მომღერლის ახლობელი.

ჯერჯერობით ამ დაშორების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ გაკეთებულა. წყვილი ერთად რომ აღარ იყო, ამაზე ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში ალაპარაკდნენ, მაშინ, როდესაც პაპარაცებმა კასპერ სმარტი გეი კლუბიდან გამოსული დააფიქსირეს. თუმცა ამ ინციდენტის შემდეგ ჯენიფერი უფრო ხშირად საუბრობდა იმაზე, რომ შესაძლოა ისინი დაქორწინებულიყვნენ. მომდევნო თვეების განმავლობაში კი მათ სიტყვა „დაქორწინება“ აღარც უხსენებიათ.

გიორგი გვიშიანი: „რომში, შუა მოედანზე, ჯორდანო ბრუნოს სადღეგრძელო დავლიეთ“

თავისი პროფესიის გადამკიდე, ტელეჟურნალისტმა გიორგი გვიშიანმა არასოდეს იცის, ხვალ სად ამოყოფს თავს და რას ნახავს. ისე კი, ყველაზე უცნაური, რაც უნახავს, ჰოლანდიაში სექსის და წამების მუზეუმებია. მის ცხოვრებაში გამორჩეული ვოიაჟი პარიზსა და რომში საქორწინო მოგზაურობა გახლდათ. მაშინ ცოლ-ქმარი გემოვნების საკითხში ვერ შეთანხმდნენ. ირინასთვის პარიზია განსაკუთრებული, გიორგისთვის კი რომი გახლავთ წარუშლელი შთაბეჭდილება. საოცნებო ქვეყანაში — იაპონიაში, გიორგი ჯერ ვერ მოხვდა, მაგრამ გამორიცხული არაა, მაყურებელს სულ მალე იქიდანაც მიესალმოს.

— გიორგი, გიყვართ მოგზაურობა?

— ვფიქრობ, მოგზაურობა ბევრს უყვარს, მათ შორის — მეც. ძირითადად რეპორტაჟების მოსამზადებლად მიწევს ამა თუ იმ ქვეყანაში გამგზავრება. პირადი ვიზიტი ცოტა თუ მახსენდება, მათ შორისაა ჩემი და ირინას საქორწინო მოგზაურობა.

— სად იმოგზაურეთ?

— სიყვარულის ქალაქ პარიზში ვიყავით და მერე — რომში. პარიზი ჩემი ცოლის ოცნების ქალაქი იყო, რომი კი არ მოეწონა. მანამდე მე ორივე ქალაქში ნამყოფი ვიყავი. პარიზში ერთხელ რომ ჩახვალთ, მერე იქ ჩასვლა ყოველთვის მოგინდებათ, მაგრამ ჩემი მეუღლისგან განსხვავებით, პარიზზე მეტად რომი მიზიდავს. ის ისეთი ქალაქია... ქუჩებში რომ დადიხარ, ისტორიაში დააბიჯებ, გახსენდება, რომ აქ ცეზარს გაუვლია, იქ ის მოხდა და აქ — ეს.

მე და ჩემი ოპერატორი და მეგობარი აკა ჯორბენაძე რომში შობის დღესასწაულზე მოვხვდით. კათოლიკური შობა, ხომ იცით, როგორია? ყველაფერი მორთული იყო. გადაღებები რომ დავამთავრეთ, მე და აკა საჭმელად დავსხედით, აღმოჩნდა, რომ ჯორდანო ბრუნოს მოედანზე ვისხედით. ცოტ-ცოტას სასმელსაც ვწრუპავდით. ჯორდანო ბრუნოს ძეგლის მოპირდაპირე მხარეს ონკანია, საიდანაც პატარა ჭავლით წყალი მოედინება. ეს ონკანი შეიძლება სრულიად შემთხვევით დგას, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ სიმბოლური იყოს. ბრუნო ხომ დაწვეს და ალბათ იმ წუთას როგორ ნატრობდა, ვინმეს მისთვის ცოტაოდენი წყალი მიესხა, ხომ გადარჩებოდა? მერე მე და აკამ შუა მოედანზე ჯორდანო ბრუნოს სადღეგრძელო დავლიეთ.

— თქვენს ცოლს რატომ არ მოეწონა რომი?

— იქ სხვანაირი შენობებია, დიდი და გრანდიოზული, რაც, ცოტა არ იყოს, გთრგუნავს. პარიზი კი მსუბუქი და ნამდვილად სიყვარულის ქალაქია. ურთიერთობებიც სხვანაირია. ჩვენთან რომ ქუჩასა და პარკებში კოცნას გიშლიან, იქ ასე არ არის. პარიზში ძალიან ბუნებრივია მოალერსე წყვილი. თუ კოცნიან, ესე იგი, ერთმანეთი უყვართ და რატომ უნდა გააღიზიანოს ამან გარშემომყოფები, ვერ ვხვდები.

— ქალებს საზღვარგარეთ შოპინგი განსაკუთრებულად უყვართ. საქორწინო მოგზაურობის დროს რამდენად შედიოდა ეს თქვენი ცოლის ინტერესებში?

— ირინა სადაც მიდიოდა, ყველგან დავყვებოდი. ქალები მაგრები არიან! პარიზის ცენტრში მდებარე მაღაზიების გარდა, ირინამ ინტერნეტით უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი მოძებნა და იქ წამიყვანა. ასეთი პარიზი მართლა არ მინახავს! ეს ან სავაჭრო უბანი იყო ან უბრალოდ გარეუბანში აშენებული სავაჭრო ცენტრი. იქ უცებ რომ ჩაგაგდონ, ვერც კი მიხვდებით, რომ პარიზში ხართ. ცათამბჯენები, შემინული შენობები ამერიკას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე პარიზს. ქალაქისხელა სავაჭრო ცენტრში ყველაფერი იყიდებოდა. შეიძლება დავიღალე იქ სიარულით, მაგრამ რას ვიზამდი, ცოლს აინტერესებდა და მარტო ხომ არ დავტოვებდი?

ტაილანდში

— თქვენ არ გიყვართ საზღვარგარეთ შოპინგი?

— როგორც წესი, საყიდლებისთვის ბევრი ფული არ მაქვს ხოლმე. თუ განსაკუთრებული არ არის, ტანსაცმელს იშვიათად ვყიდულობ. პატარა ჯარისკაცებს კი ყველგან ვეძებ. უკვე დიდი კოლექცია მაქვს, ყველა ქვეყნიდან თითო ჯარისკაცი მომაქვს. ირინასთვის ტანსაცმლის ჩამოტანას ვერ ვრისკავ, ბიჟუტერიას ვყიდულობ ან იმ ელემენტარულ ნივთებს, რასაც მაბარებს.

— კონკრეტულად რას გაბარებთ ხოლმე?

— მაგალითად, როცა ამერიკაში მივდიოდი, მთხოვა, აუცილებლად წამომიღე წინსაფარიო. „ციხის“ ზოლიანი წინსაფარი ჩამოვუტანე!

— თქვენი ცოლი წინსაფრების კოლექციას აგროვებს თუ რატომ დაგაბარათ მაინცდამაინც ეს ნივთი?

— სადაც მივდივარ, ყველა ქვეყანაში წინსაფარს მაბარებს.

— ამერიკაში როდის იმოგზაურეთ?

— ჩემი ბოლო ვიზიტი სწორედ ამერიკაში იყო. რამდენიმე კვირაა, რაც დავბრუნდი. იქ უკვე მეორედ გახლდით, პირველად 2-3 წლის წინ სამსახურიდან მოვხვდი. ფესტივალი „ჩვენებურების“ გადასაღებად წავედი. ნიუ იორკში, ფილადელფიასა და ვაშინგტონში ვიყავით. ნიუ იორკი ისეთი ქალაქია, შოკს მართლა ვერ გაექცევით. ევროპული ქალაქებისგან აბსოლუტურად განსხვავებულია და, როგორც აღმოჩნდა, ამერიკული ქალაქებისგანაც კი. თუ ვაშინგტონში ცხოვრება მდორე და მშვიდია, ნიუ იორკში ქალაქის გუგუნი ისმის. უამრავი ადამიანი ქაოსურად მოძრაობს, ყველა რაღაცას ლაპარაკობს და ყველას სადღაც ეჩქარება. მჩქეფარე ქალაქია! დილაობით ყველა დარბის და ვარჯიშობს! ჩემთვის მისაღები ცხოვრების რიტმით ცხოვრობენ. დავათვალიერე, რისი ნახვაც შევძელი, მაგრამ საშიშ უბნებში წასვლა არ მირჩიეს. ვერ გეტყვით, რომ უზარმაზარმა შენობებმა დამთრგუნა, ასე იოლად არ ვითრგუნები. როცა ახალს ნახულობ, ეს გიქმნის შთაბეჭდილებებს.

„ყველაზე მაგარი სინას მთაზე ასვლა იყო. ტური ღამით გადის, სიბნელეში მიდიხარ და ვერაფერს ხედავ. ადიხარ და მზის ამოსვლას ელოდები. იქ საოცრად ამოდის მზე!..

ცოლთან ერთად რომში

დათრგუნვა რასაც ჰქვია, ეგვიპტის პირამიდების ნახვისას დამემართა. ყველამ ხომ იცის, რომ პირამიდა უზარმაზარია, მაგრამ ადგილზე რომ მიდიხართ და ამ მასშტაბს უყურებთ, მართლა სხვანაირი განცდა გეუფლებათ. ეს გრანდიოზულობა რამ ააშენებინათო, იფიქრებთ. ამერიკის ცათამბჯენებზე ასე არ დამმართნია. ეგვიპტეში ერთხელ ვარ ნამყოფი, მაგრამ არ ვიყავი ტურისტი, რომელიც წამოწვებოდა და დროს დაკარგავდა. 10 დღით გახლდით, ტურებიც უნდა გადაგვეღო და ღირსშესანიშნაობებიც.

სინას მთაზე, ლუქსორში, პირამიდებში და ბედუინების ნამდვილ საცხოვრებელშიც მოვხვდი. ყველაზე მაგარი სინას მთაზე ასვლა იყო. ტური ღამით გადის, სიბნელეში მიდიხარ და ვერაფერს ხედავ. ადიხარ და მზის ამოსვლას ელოდები. იქ საოცრად ამოდის მზე! როგორც მახსოვს, სინას მთაზე

→46

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

■ მიუნხენში

ძალიან ძველი ქართული წარწერაცაა. ყველაზე მეტად კაირო არ მომეწონა, რუხი ქალაქია.

— ასეთი შთაბეჭდილება რატომ დაგრჩათ?

— წარმოიდგინეთ, თბილისში გაიაროთ და ყველა შენობა დაუმთავრებელი იყოს! ამდენი ნაგებობა რატომ არის დაუმთავრებელი-მეთქი, ვიკითხე. თითქმის ყველა მაღალსართულიანი სახლი დაუსრულებელი იყო. თურმე სხვა რეგიონებიდან ყველა კაიროში ჩამოდის და ერთ ღამეში კედლებს აშენებენ. იქ ხომ წვიმა არ მოდის და შესაბამისად არც იმის პრობლემა არსებობს, რომ კედლებს სახურავი არ ჰქონდეს. ვიღაც ტიპები ბოლო სართულებზეც აშენებენ კედლებს და იქაც გადასარევად იწყებენ ცხოვრებას. პოლიცია კი დასდევთ, მაგრამ არ ნებდებიან და აშენებენ და აშენებენ. ისე, ძველ კაიროშიც გამატარეს და თავისი პეწი ჰქონდა შენარჩუნებული.

„საზამთროს ფორმის მოყვითალო ხილს ჯოჯოხეთის სუნი და სამოთხის გემო ჰქვია. ვეი აგიწერთ, რა მყრალი სუნი ასდის! აეროპორტში არც შეგატანინებენ, ვერსად წაიღებთ, მაგრამ გემო აქვს სასწაული!".

— როგორც მივხვდი, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება თქვენს მთავარ ინტერესებში შედის.

— კი, ასეა. ეს არამხოლოდ ჩემი ინტერესების გამო ხდება, პირველ რიგში, ჩემი სამსახურია. თავდაპირველად ქალაქში ვიღებთ — რისი გადაღება შეიძლება, ან როგორ უნდა აღიბეჭდოს ეს ყოველივე. მარტო ის ხომ არაა, მე განვიცადო? ეს ყველაფერი ხომ მაყურებელს უნდა ვაჩვენო. მადრიდში პრადოს მუზეუმში მარტო შევედი, ვიარე, რამდენიც შემეძლო. უზარმაზარი მუზეუმია, ვერასოდეს დაათვალიერებ ბოლომდე. ბოლოს რომ ვიყავი ამერიკაში, დისნეის მუზეუმი ვნახე. ამ მუზეუმში დისნეის მთელი ცხოვრება იყო მოყოლილი და ეს ყოველივე საკმაოდ საინტერესოდ გახლდათ გაკეთებული.

■ მადრიდში

— უცნაურ მუზეუმებში თუ ხართ ნამყოფი?

— კი, როგორ არა. ჰოლანდიაში სექსის მუზეუმია, ამას ყველა ქვეყანაში ვერ ნახავთ. ასევე ნანახი მაქვს წამების მუზეუმი, სადაც ძველი იარაღები და ადამიანის წამების ამსახველი არტეფაქტები ინახება. კიევში ვნახე მუზეუმი, სადაც გადმოცემული იყო ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ რა მუტაციები განიცადეს ადამიანებმა. ეს მუზეუმი შემზარავიცაა. ორთავიანი, უცნაური, საშინელი ბავშვის ჩანასახები ვნახე!

— საზღვარგარეთ კლუბებსა და ბარებს თუ სწყალობთ?

— კი, შეძლებისდაგვარად. კლუბების დიდი მოყვარული არ გახლავართ, თბილისურ კლუბებში ფაქტობრივად არც დავდივარ. საზღვარგარეთ როცა ამის საშუალება მეძლევა, რატომაც არა? რა უნდა აკეთო მაშინ, როცა მალაიზიაში ხარ და არსებობს ქუჩა, სადაც სულ კლუბებია განლაგებული. აუცილებლად უნდა შეხვიდე, გაერთო, განიტვირთო და ცოტაც დალიო.

— რესტორნებში სიარულიც ვიწყეთ?

— აუცილებლად. ქართველებთან თუ მოვხვდით, ქართულ სამზარეულოში წაგვიყვანენ ან რაიმე ქართულ კერძს გვიმზადებენ. მე კი ყოველთვის ვცდილობ, კონკრეტული ქვეყნის ტრადიციული კერძი დავაგემოვნო. გერმანიაში ხაჭაპური რატომ უნდა ვჭამო, როცა ხორცეულს გამორჩეულად ამზადებენ? გერმანული სამზარეულო განსაკუთრებულად მიყვარს, ალბათ იმიტომ, რომ მათი სამზარეულო ჩვენთან უფრო ახლოსაა. მიუნხენში თუ ვარ, აუცილებლად უნდა მივიდე რესტორანში, რომელიც ცნობილია, რომ ჰიტლერის იყო. მახსოვს, ფეხბურთის ნახევარფინალზე მოვხვდი ამ რესტორანში და ფეხბურთის მოყვარულთათვის ძალიან კარგი სიტუაცია იყო. ღორის ბეჭს ხომ უგემრიელესად ამზადებენ! დიდი ნაჭერია, გგონია, რომ ვერ შეჭამ, მაგრამ ისეთი გემრიელია...

მალაიზიაში ისეთი უცნაური ხილი ვჭამე, რომელსაც სხვაგან ალბათ ვერც კი შეჭამთ. საზამთროს ფორმის მოყვითალო ხილს ჯოჯოხეთის სუნი და სამოთხის გემო ჰქვია. ვერ აგიწერთ, რა მყრალი სუნი ასდის, ისეთია, აეროპორტში არც შეგატანინებენ, ვერსად წაიღებთ, მაგრამ გემო აქვს სასწაული! ვერ გეტყვით, რას ჰგავს. ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უცნაური საჭმელი იყო.

— უახლოეს მომავალში აპირებთ სადმე გამგზავრებას?

— ისეთი პროფესია მაქვს, კაცმა არ იცის, ხვალ სად წავალ. იაპონია ჩემი ოცნების ქვეყანაა. მასზე ბევრი წამიკითხავს, აბსოლუტურად განსხვავებული კულტურის მქონეა. მათი ცხოვრებისეული ხედვა და თავისებური დამოკიდებულება ძალიან მომწონს. ჩაკეტილი სამყარო აქვთ და თუ იქ მოვხდები, ვიტყვი,

■ იალტაში

ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი. კიდევ ბევრი სხვა ქვეყანაა, რომლებსაც სიამოვნებით ვნახავდი, იგივე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს. ცოლთან ერთად მხოლოდ პარიზსა და რომში ვარ ნამყოფი. ირანას ესპანეთის ნახვა ძალიან უნდა და ყველანაირად ვეცდები, ვაჩვენო.

— თვითმფრინავით მგზავრობა გიყვართ?

— თვითმფრინავით უპრობლემოდ ვმგზავრობ, არც არაფრის მეშინია. მახსოვს, პირველად თვითმფრინავში უცნაური შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მეშინოდა კიდეც, მაგრამ ახლა არც საძილე აბებს ვიღებ და არც ვსვამ. შემიძლია მათ გარეშეც დავიძინო. ერთხელ მოვყევი ტურბულენტურ ზონაში, მაგრამ სასწაული რყევა არ მიგრძვნია. მახსოვს, ჩემთან ერთად გოგო მგზავრობდა და თვითმფრინავმა რყევა რომ დაიწყო, სკამს ჩაფრინდა, ტიროდა, კიოდა, მაგრამ რა? თვითმფრინავში სიმშვიდის შენარჩუნება ჯობია.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

ნარა — იაპონიის პირველი დედაქალაქი

ნარა იაპონიის უმნიშვნელოვანესი ქალაქია. ის კანშაის რეგიონში მდებარეობს და ნარას პრეფექტურის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. საუკუნეების წინ ნარა იაპონიის დედაქალაქი იყო. დღეს კი იაპონელები თვლიან, რომ ორი დედაქალაქი აქვთ — ტოკიო და ნარა.

ნარა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, შეიძლება ითქვას, რომ იაპონიის მარგალიტია. ქალაქში უამრავი ისტორიული ძეგლია, რომელთა გამოც 1998 წელს ნარა იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების სიაში შეიტანეს.

ჰეღიგია

იაპონიაში, მათ შორის ნარაში, გავრცელებულ რელიგიებს შორის ისტორიულად უმთავრესი ადგილი შინტოიზმს უჭირავს, მის შემდეგ კი ბუდიზმს, რომელიც ქვეყანაში მე-6 საუკუნეში გავრცელდა და, თავის მხრივ, გარკვეული ცვლილებები შეიტანა შინტოს წეს-ჩვეულებებში. ეს ორი რელიგია აბსოლუტურად მშვიდობიანად თანაარსებობს. ამის ნათელი დასტურია ის, რომ შინტოისტური ღმერთები ბუდისტურ ტაძრებშია და პირიქით — ბუდას ქანდაკებებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს შინტოისტურ ტაძრებში.

მე-16 საუკუნის შუა ხანებიდან შინტოიზმსა და ბუდიზმს ქრისტიანობაც შეემატა, რაც იაპონიაში პირველი ევროპელების, პორტუგალიელების გამოჩენას უკავშირდება.

ჰლიმატი

ნარაში კლიმატი მხარეების მიხედვით მკვეთრად განსხვავებულია. ჩრდილო-დასავლეთით ზამთარში ტემპერატურა 5 გრადუსზე დაბლა თითქმის არ ჩამოდის, ხოლო ზაფხულში 35 გრადუსამდე თბება. ქალაქის სხვა ნაწილებში, რომლებიც უფრო მთიან ტერიტორიაზეა, ტემპერატურა ზამთარში -5 გრადუსამდე ეცემა, ზაფხული კი წვიმებით იწყება და ასე გრძელ-

Cyan Magenta Yellow Black

დება სეზონის ბოლომდე. ამის გამო გარეთ გასვლა ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება.

გაზაფხულსა და შემოდგომაზე ნარას ყველა მხარეში სასიამოვნო სითბო და მშრალი ამინდია, ამიტომაც ამ დროს ტურისტების სმრავლე შეინიშნება. ქალაქში წელიწადის თითქმის ყველა სეზონზე ხშირია ქარები.

ენა

ნარაში იაპონურის შემდეგ პოპულარულია ინგლისური, რომელზეც ძირითადად ახალგაზრდები საუბრობენ. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ინგლისური მეორად ენად ისწავლება.

ფული

იაპონიაში ეროვნული ვალუტა იენია. იენთან ერთად ტურისტულ ადგილებში ევროთი ან ამერიკული დოლარით სარგებლობაც შეგიძლიათ. მიმოქცევაშია 5, 10, 20, 50, 100, 200, 500 ნომინალიანი ბანკნოტები. 1 ამერიკული დოლარი 106,81 იენის ტოლფასია, ხოლო 1 ევრო — 158,28 იენის. საკრედიტო ბარათების გამოყენება გაციცლებით ადვილი და მოსახერხებელია.

ნარაში თავის გასატანად დღეში 5000 იენი სრულიად საკმარისი თანხაა. ევროპისა და აზიის ქვეყნებთან შედარებით, ქალაქში, განსაკუთრებით ტურისტულ ადგილებში, 20%-ით მაღალი ფასებია.

გადაადგილება

ქალაქს საკუთარი აეროპორტი არ აქვს, ამიტომ კანშაის საერთაშორისო აეროპორტი ემსახურება, საიდანაც ნარას მატარებლების სადგურამდე ე.წ. ლიმუზინ-ავტობუსები საათში ერთხელ გადის და მგზავრობის ღირებულება 2000 იენია.

ნარაში მოსახვედრად გაცილებით სწრაფ და ამავდროულად ყველაზე იაფ სატრანსპორტო საშუალებას დედაქალაქ ტოკიოდან მატარებელი წარმოადგენს. ტურისტებიც უპირატესობას მატარებელს ანიჭებენ, მაგრამ ბილეთები რამდენიმე თვით ადრე უნდა დაჯავშნოთ. სისწრაფის თვალსაზრისით, მატარებელს ტოლი არ ჰყავს. თავად იაპონელები კი ტურისტულ ქალაქში მოსახვედრად რატომღაც ავტობუსით მგზავრობას ამჯობინებენ. ტოკიოდან ნარაში თანამედროვე ავტობუსით ზუსტად 8 საათში ჩახვალთ.

უამრავი საშუალებით ხორციელდება შიდა გადაადგილება, რომელთა შორის ავტობუსი ყველაზე პოპულარულია. ოღონდ პიკის საათებში ავტობუსით მგზავრობას თავი უნდა აარიდოთ, რადგან ისინი ისეთი გადატვირთულია, რომ შეიძლება გულიც კი წაგივიდეთ. სხვა მხრივ ავტობუსი უსაფრთხოა.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისათვის სპეციალური ბარათის შეძენა აუცილებელი არ არის. თუ ხურდა არ გაქვთ, ამაზე მძღოლები თავად იზრუნებენ და ფულს დაგიხურდავებენ. ისევე როგორც მთელ იაპონიაში, ნარაშიც აქტიურად იყენებენ ველოსიპედებს. მით უმეტეს, რომ პიკის საათებში ამ ტრანსპორტით უფრო სწრაფად გადაადგილდებით. ველოსიპედის დასაქირავებელი პუნქტები ყოველ ნაბიჯზეა. ყველაზე კომფორტული, მაგრამ შედარებით ძვირი სიამოვნებაა ტაქსი. მგზავრობის ღირებულება მანძილის მიხედვით განისაზღვრება.

სამზარეული

როგორც ამბობენ, იაპონური სამზარეულო ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია. იაპონური კერძები მთელ მსოფლიოშია განთქმული. ერთი შეხედვით, მათი მომზადება შეიძლება მარტივი მოგეჩვენოთ, მაგრამ ასე არ არის. ცნობილია, რომ იაპონელების ერთ-ერთი მთავარი სასაუბრო თემა ყოველთვის სამზარეულო იყო. უყვართ კამათი და კერძების მომზადება. იაპონური სამზარეულო ძირითადად ზღვის პროდუქტებზეა დაფუძნებული. იყენებენ ზღვის ყველანაირ ნობათს, დაწყებული მოლუსკებით და დამთავრებული ზღვის კომბოსტოთი. ზოგს უმს მიირთმევენ დამარილებული სახით, ზოგსაც — ათასგვარად გაკეთებულს.

იაპონელები ხორცსაც ჭამენ, მაგრამ უფრო დღესასწაულებზე და ისიც იშვიათად. ხორცისაგან მომზადებული კერძებიდან ყველაზე მოთხოვნადია სუკიიაკი, რომელიც მზადდება ხორცით, ბოსტნეულით და სპეციალური სანელებლებით. იაპონურ სამზარეულოში ბრინჯი მთავარი პროდუქტია, მას თითქმის ყველა კერძში იყენებენ.

ძალიან პოპულარული კერძია სუში, რომელიც ძმრიანი ბრინჯით, თევზით, ბოსტნეულით და სანელებლებით მზადდება. იაპონიის გარეთ სუში არასწორად აღიქმება, რომ

ნარა

გორც უმი თევზით მომზადებული კერძი. იაპონიაში დაჭრილ უმ თევზს საშიმი ეწოდება და ის სუშისგან განსხვავდება, რადგან მისი შემადგენელი ნაწილია უმი თევზი (უპირატესად წითელი ორაგული) და არა — ბრინჯი. მას საწებელ ვასაბისთან ერთად გეახლებიან.

იაპონელები ეროვნულ საწებელ ვასაბის მცენარე ვასაბისგან ამზადებენ, რომელიც მხოლოდ იაპონიის მთებში ყვავის. მას მდოგვის მსგავსი გემო აქვს, მწვანე შეფერილობისაა და თან ძალიან ცხარე. ნებისმიერ კერძს იაპონიაში სპეციალური ჩხირებით მიირთმევენ.

იაპონელებს სმა ძალიან უყვართ. მათი ნაციონალური ალკოჰოლური სასმელია საკე — ბრინჯის არაყი, რომელსაც თბილს მიირთმევენ. ყოველდღიურობაში ლუდს ენიჭება უპირატესობა. ადგილობრივი ლუდი „კირინი“ სხვა ქვეყნებშიც დიდი მოწონებით სარგებლობს.

ნარაში მისალმების ნიშნად ჩაის დაგახვედრებენ. ქალაქში, როგორც მთელ ქვეყანაში, ჩაის სმის განსაკუთრებული რიტუალი არსებობს.

ღირსშესანიშნაობები

იაპონიის ისტორიულ ქალაქებს შორის ნარას გამორჩეული ადგილი უკავია. პირველ რიგში კი, თავისი ბუდისტური ტაძრებითაა განთქმული. დღეს ის ქალაქ-მუზეუმს წარმოადგენს. ფიჭვნარში ჩაფლული ნარას მყუდროებას მხოლოდ მთებიდან მონაბერი ნიავი და ბუდისტური ზარების ხმა არღვევს ხოლმე.

თითქმის მთელი ქალაქი, სასახლის კომპლექსისა და ბუდისტური ტაძრების ჩათვლით, ხისგანაა აგებული. სხვათა შორის, ეს გამუდმებით ხანძარსაშიშ მდგომარეობას ქმნიდა, სამაგიეროდ მიწისძვრების დროს ნაკლებად ზიანდებოდა.

ნარას დედაქალაქობის პერიოდი ბუდიზმისა და ბუდისტური კულტურის განსაკუთრებული აყვავების ხანას წარმოადგენდა. ამ კულტურის ნიმუშად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ჰორიუჯის ბუდისტური ტაძარი, რომელიც 607 წელს აიგო. ტაძარი ორი ნაწილისგან შედგება. 623 წელს ჰორიუჯის ტაძარში საქვეყნოდ ცნობილი ბუდას ტრიადა დაიდგა, რომელიც ბრინჯაოში ჩამოსხმულ მჯდომარე ბუდას განასახიერებდა. 670 წლიდან მოყოლებული, ჰორიუჯის ტაძარს არაერთხელ გაუჩნდა ხანძარი, მაგრამ ყოველთვის საგულდაგულოდ აღადგინეს, ამიტომაც მისი ძირითადი ნაწილი თითქმის პირვანდელი სახითაა შემონახული.

განსაკუთრებული დიდებულებით გამორჩევა ტოდაი-ძის ტაძარი (აღმოსავლეთის დიდი ტაძარი), რომელიც ხის უდიდესი ნაგებობაა მსოფლიოში. ტაძარი 1998 წლიდან დაცულია, როგორც იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი. ის წარმოადგენს ბუდისტური სკოლის — კეგონის ტრადიციულ ცენტრს. თავდაპირველად 90 ჰექტარი ფართობი ეკავა, მაგრამ დღეს მისი დიდი ნაწილი დანგრეულია. ტოდაი-ძის ტაძრის მშენებლობა 729 წელს დაიწყო და იმპერატორ შიომუს ზეობის დროს (744-757 წ.წ.) დასრულებული სახე მიიღო. ტაძარში ინახება ბუდას გიგანტური ვერცხლისფერი ქანდაკება — ვაიროჩანა, რომლის სიმაღლე 18 მეტრს აღწევს.

ნარაში არის შინტოისტური ტაძარი კასუგა-ტაისია, რომელიც 768 წელს ააშენეს. კასუგა მეტად ორიგინალურ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს: წითლად შეღებილი კომპლექსი მთლიანად სიმწვანეშია ჩაფლული, მისი ნაწილები ერთმანეთს ღამაზი ხეივნით უკავშირდება. ხეივნის მთელ სიგრძეზე კი ქვის ფარნებია გამწკრივებული, რომლებიც წელიწადში ორჯერ ინთება — იაპონური ტრადიციული ე.წ. ათასი ფარნის დღესასწაულის დროს. ტაძარი 1998 წლიდან დაცულია, როგორც იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი. სალოცავი ქალაქგარეთ მდებარეობს, მასთან ახლოსაა ბოტანიკური ბაღი მანიოსიუ, სადაც რეგულარულად იმართება ძველი იაპონური მუსიკისა და ცეკვის წარმოდგენები.

მშვიდი დასვენების მოყვარულებმა ნარას პარკს უნდა მიაშურონ, სადაც ულამაზესი ბუნებით ტკბობასთან ერთად ტურისტები ირმებთან თამაშითაც იქცევენ თავს.

უსაფრთხოების წესები

იაპონელები მთელ მსოფლიოში ზრდილობით განთქმული ერია. მათი წეს-ჩვეულებების თანახმად, შეხვედრისას თავის დაკვრით იციან მოსალმება და მანამ არ გაჩერდებიან, სანამ ამ რიტუალს არ დაასრულებენ. ძალიან უყვართ ტრაბახი და საკუთარ თავზე ლაპარაკი. არ შეგამჩნიონ, რომ ეს არ გსიამოვნებთ, თორემ მწარედ გაგიწყრებიან.

გაითვალისწინეთ, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა სასტიკად აკრძალულია და საკმაოდ დიდი ჯარიმებია დაწესებული.

როგორც აღვნიშნეთ, ჩაის სმა იაპონელებისათვის ერთგვარი რიტუალია. თუ ამ ტრადიციაზე უარს იტყვით, დიდი შეურაცხყოფა და უპატივცემლობა იქნება მათთვის.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — იაპონია;
ქალაქი — ნარა;
ფართობი — 276,84 კვ.კმ;
მოსახლეობა — 365.267;
ოფიციალური ენა — იაპონური;
ოფიციალური ვალუტა — იენი.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

სოფელი გოგონას ტრაგიკული ამბავი

„პირველად კაცები თავად მიშოვა. ცხადია, უმალავდა, ცოლი რომ ვიუავი“

„ჩემი ცხოვრება უფალმა, ღოცვამ შეცვალა“, — ამბობს ახალგაზრდა ქალი ლუიზა, რომელსაც ქმრის გამო ნამდვილი ჯოჯოხეთის გადატანა მოუხდა. სოფელში გაზრდილი უმწიკვლო გოგონა მოძალადე კაცის მსხვერპლი გახდა, შემდეგ კი — მისი შვილების დედა, მისი ცოლი. მოძალადე ქმარმა დიდ ჭაობში ჩაითრია, აიძულებდა, პროსტიტუციით ეშოვა ფული... ლუიზა თავისი ცხოვრების მძიმე ისტორიას გვიამბოს:

— ბავშვობა სოფელში გავატარე. ჩემი მშობლები კეთილი, მშრომელი, პატიოსანი ადამიანები იყვნენ. მამა მიწას ამუშავებდა, დედა საქონელს უვლიდა. ოთხი შვილი ვყავდით, გოგონები, მათგან უფროსი გახლდით. გაჭირვებაში ვიზრდებოდით. შრომას არ ვთაკილობდი, დედას ბავშვების მოვლაშიც ვეხმარებოდი და საქონლის მწყემსვაშიც. ჩემი თანატოლები რომ ბიჭებს ეპრანჭებოდნენ, მე თავჩაუხრელად ვშრომობდი. ვერ ვამჩნევდი, როგორ გავიზარდე და დავქალდი. ამას სხვები აღნიშნავდნენ, ამბობდნენ, მიქელაანთ გოგო როგორ დამშვენდაო. სარკეში ყურება მაშინ დავიწყე, როცა შევნიშნე, რომ სოფლის ბიჭები თვალს მაყოლებდნენ, ზოგიც ჩრდილივით უკან დამყვებოდა. ყველასგან რიდს და პატივისცემას ვგრძნობდი.

მდინარის გაღმა ერთი ჩვენი ნათესავი თემური ცხოვრობდა — შეძლებული, პურმარილიანი და სტუმართმოყვარე კაცი. არაჩვეულებრივი ცოლი და სამი შვილი ჰყავდა. ნათესავებში განსაკუთრებით ვუყვარდით. ჩვენს ოჯახს უშურველად ეხმარებოდა. დაუძახებდა ჩემს უმცროს დებს და უხვად ასაჩუქრებდა (მე მორიდებული გახლდით და საჩუქრებს არ ვართმევდი). ერთხელაც მათთან მივედი დების წამოსაყვანად. სტუმრები ჰყავდათ თბილისიდან და ქეიფობდნენ. ძია თემურის უფროსი ვაჟი დედაქალაქში მუშაობდა და თბილისელები ჩამოჰყავდა ხოლმე პატივსაცემად. იმ საღამოსაც მათთვის სუფრა გაეშალათ, მიმიწვიეს და ღვინო დამაძალეს. საერთოდ არ ვსვამდი. ხათრით ორი ჭიქა დავლიე და ღოყები შემეფაკლა. გავმხიარულდი და ავკისკისდი. სტუმრებს შორის ერთი ვაჟკაცური აღნაგობის, ტანბრგე ბიჭი იყო. ისე დაჟინებით მიყურებდა, სირცხვილით თავი ჩავღუნე და აღარ ამიწევია...

„ქმარი ჩემი სხეულით ნავაჭრი ფულით ყოველ საღამოს დროის სატარებლად მიდიოდა და შინ განტვირთული ბრუნდებოდა. რაც მეტ ფულს იჯიბავდა, მით მეტად ხვდებოდა ჩემს „ფასს“.

მას შემდეგ ის ბიჭი თემურის ოჯახს ხშირად სტუმრობდა და შემთხვევას არ უშვებდა, რომ სადმე გადამყოროდა და დამლაპარაკებოდა. მე ვწითლდებოდი და თავს ვარიდებდი.

ერთ საღამოს საქონელმა დაიგვიანა და ტყეში მათ მოსარეკად წავედი. მოულოდნელად ის ბიჭი გზაზე დამხვდა. სახე ალეწოდა, თვალები უელავდა. საალერსო სიტყვებით ბუჩქებში შემათრია. გავუძალიანდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი, ძალიან ღონიერი იყო... ძალა იხმარა. მერე კი ტყეში ატირებული დამტოვა.

— ეს ამბავი თქვენმა მშობლებმა და თემურის ოჯახის წევრებმა შეიტყვეს? ის ბიჭი ხომ მათი ოჯახის საპატიო სტუმარი იყო.

— სირცხვილით ვერავის გავუმხილე. რომ მეთქვა, თავი მომეჭრებოდა. ამას ჩემი მშობლებიც ვერ გადაიტანდნენ. დარდს გულში ვიკლავდი და მთელი ღამეები ვტიროდი. ერთბაშად დავბერდი და გავუბედურდი.

— ის მოძალადე კვლავ შეეცადა თქვენთან შეხვედრას?

— კარგახანს აღარ გამოჩენილა. ამასობაში თავს ვებრძოდი და ჩავაგონებდი, რომ ის, რაც მოხდა, ცუდი სიზმარი იყო და აღარასოდეს განმეორდებოდა. მის დავიწყებას ვცდილობდი. მეგონა, იმ ამბის შემდეგ სოფელში ჩამოსვლას ვეღარ გაბედავდა, მაგრამ ერთ საღამოს სრულიად მოულოდნელად ორღობესთან დამხვდა. შიშით კინაღამ გული წამივიდა. ერთი შევკივლე და გავიქეცი. დამედევნა და დამიჭირა. პირზე ხელი დამაფარა, რომ არ მეყვირა. ნუ გეშინია, მანიაკი არ ვარ, საშინლად მომეწონე და ვნება ვერ დავიოკე, გეფიცები, აღარაფერს დაგიშავებ, მინდა, ახლოს გაგიცნო და ჩემი საქციელი გამოვასწოროო. როგორღაც თავი გავითავისუფლე და შინისკენ გავიქეცი.

მისი მეშინოდა და ცხადია, იმ საშინელების შემდეგ, რაც ჩაიდინა, ვეღარც ვენდობოდი. სიფრთხილეს ვიჩენდი, რომ არ გადავყროდი. ერთ დღესაც შარაგზაზე მანქანით დამხვდა მეგობრებთან ერთად და მომიტაცა. ვტიროდი, ვკიოდი, მაგრამ არავინ შემიცოდა. თბილისში ჩამომიყვანა და განაცხადა, ჩემი ცოლიაო. სახელიც კი არ ვიცოდი მისი. თურმე დიტო ერქვა.

მისმა ნათესავ-მეგობრებმაც რძლად მიმიღეს. ქეიფს და დროსტარებას მიჰყვეს ხელი. არავინ მეკითხებოდა, მსურდა თუ არა დიტოს ცოლობა. ასე შევრჩი მოძალადე კაცს ცოლად.

— მშობლები თქვენს ასეთ გათხოვებას როგორ შეხვდნენ?

— რაკიღა დიტო თემურ ბიძიას ოჯახში მიღებული პირი იყო, ჩემს მშობლებს არ გაუპროტესტებიათ. ეგონათ, მისი სახით საიმედო პატრონი მომევლინა. ასაკით და სოციალური მდგომარეობითაც ჩემზე მეტი იყო. ვინ იცოდა, ასეთი ქმრის ხელში რა ბედი მელოდა!

— მოძალადე კაცი როგორი ქმარი გამოდგა?

— პირველ მამაკაცს ყოველთვის შეუძლია ქალის მოხიბვლა, რომელსაც არავინ ჰყვარებია. ერთი წელი ძალიან კარგად მექცეოდა. ორსულს მუცელზე მეფერებოდა. მასში თითქოს მოძალადე მოკვდა. თავისი ალერსიანობით თავი შემაყვარა კიდეც. ვუყურებდი და მიკვირდა, ნუთუ ის კაცია, ვინც ტყეში მხეცივით მომექცა და გული მომიკლა-მეთქი.

— შემდეგ რა შეიცვალა?

— თანდათან გაუხეშდა და გაველურდა. მოვბეზრდი. შეურაცხყოფას შეურაცხყოფაზე მაყენებდა, მასხრად მიგდებდა, შენ მხოლოდ დალაგება გეხერხება, ქალად არ ვარგიხარო. ზოგჯერ ხელითაც მეხებოდა. მანიაკურ თვისებებს ავლენდა. ყვიროდა, მამცირებდა. როცა მოთმინებიდან გამომიყვანდა და ავქვითინდებოდი, მაშინ წყნარდებოდა — თითქოს ჩემი ნერვებით იკვებებოდა. უტიფრად მექცეოდა. ზოგჯერ დამაჩოქებდა და მიბრძანებდა, ფეხები დამიკოცნეო. თუ არ გავაკეთებდი, ქამრით მცემდა.

— ამას ფხიზელ მდგომარეობაში აკეთებდა?

— სრულიად ფხიზელი იყო, იშვიათად სვამდა. იცოცხლე, თავს კარგად უვლიდა. ნაბახუსევზე საშინლად აუტანელი იყო, მაშინ ძალადობის განსაკუთრებული შემოტევა ეწყებოდა. ყველას ჩამომაშორა, ვინც მიყვარდა. არც ნათესავი შემრჩა და აღარც მეგობარი. ჩემებიც იშვიათად გვსტუმრობდნენ. მათ რომ დაინახავდა, მაშინ იწყებდა ყვირილს და ღრიალს. ისინიც უხერხულობას გრძნობდნენ და თავს გვარიდებდნენ. ბოლოს ჩემი ოჯახიდან ფეხი მოიკვეთეს. ცხოვრება ღამედ მექცა, აღარაფერი მიხაროდა. მხოლოდ ჩემი შვილები მაძლებინებდნენ.

— საამწუხაროდ, ზოგიერთი ადამიანი მსხვერპლის როლს ეგუება. არ გიფიქრიათ, ძალადობისგან თავი დაგეღწიათ და ცხოვრება შეგეცვალათ?

— ასეთი ძლიერი ვერ აღმოვჩნდი. მეშინოდა, რომ მომკლავდა.

— მოკვლითაც გემუქრებოდათ?

— არამხოლოდ მე, არამედ შვილებსაც, თუმცა ბავშვები უყვარდა და არა მგონია, მათთვის რამე დაეშავებინა... მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია, რაც დამიშავა.

— უარესი რაღა უნდა ექნა?

— უმუშევარი რომ დარჩა და სახლში დაჯდა, მთლად შეირყა.

Cyan Magenta Yellow Black

შენ რა ქალი ხარ, ქმარ-შვილს შიმშილით კლავო, ჩამძახოდა. ვეცადე, სამსახური მეშოვა, მაგრამ არსად მიმიღეს, პროფესია არ მქონდა. ენაზე საშინელი სიბინძურეები ეკერა. როგორც მეძავს, ისე მელაპარაკებოდა. მხოლოდ სახმარად ვარგიხარ (უკაცრავად გამოთქმისთვის), სხვა არაფრისთვისო, მეუბნებოდა. ბოლოს მართლაც ეგეთი გამხადა — მაიძულა, ფულის საშოვნელად პროსტიტუციისთვის მიმემართა. დაუჯერებელია, მაგრამ ჩემმა ქმარმა ამისთვის ყველა ზომას მიმართა.

— მესაკუთრე ქმარმა, რომელიც ნათესავებს და ოჯახის წევრებსაც კი არ გაკარებდათ, სხვა კაცებისთვის გავიმეტათ?

— ეს მისი მანიაკური ბუნების მორიგი გამოვლინება იყო. ერთსართულიან კერძო სახლში ვცხოვრობდით. ერთ ოთახს ცალკე შესასვლელი გაუკეთა და იქ ვიღებდი კლიენტებს. პირველად კაცები თავად მიშოვა. ცხადია, უმალავდა, ცოლი რომ ვიყავი.

— ამ საქმიანობაზე როგორ დათანხმდით?

— ვალებში ვიხრჩობოდით, ბავშვებისთვის საჭმლის ფულიც არ მქონდა. არავისთან ვურთიერთობდით, არც მეზობლებთან. შესაბამისად, ხელსაც არავინ გვიმართავდა. იძულებული გავხდი, ასე მოვქცეულიყავი. ნამდვილი საშინელება იყო. პირველად ძალიან გამიჭირდა. შვილებისთვის თავი გადადებული მქონდა. მხოლოდ მამაჩემზე ვდარდობდი, მის სახელს და პატიოსნებას რომ შეურაცხყოფდი. თავი მძულდა, მაგრამ შემდეგ ამ ურცხვ საქმიანობასაც მივეჩვიე, ბინძური ქცევა ჩვეულებრივ საქმედ მექცა. ფულს ვშოულობდი და ქმარს ვუთვლიდი. მხოლოდ საჭმლის საყიდელს ვიტოვებდი. ქმარი ჩემი სხეულით ნავაჭრი ფულით ყოველ საღამოს დროის სატარებლად მიდიოდა და შინ განტვირთული ბრუნდებოდა. რაც მეტს იჯიბავდა, მით მეტად ხვდებოდა ჩემს „ფასს“, ჩხუბით აღარ მიკლებდა. ხოლო თუ ფული შემოაკლდებოდა, ისევ ალიაქოთს ტეხდა.

— უკაცრავად ინტიმური კითხვისთვის, მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ ქმართან სარეცელს კვლავ იზიარებდით?

— ზოგჯერ ვძაგდი, ბოზს და კახპას მეძახდა. საალერსოდ მაშინ მიხმობდა, როცა მთვრალი იყო. ქმარი უფრო მძულდა, ვიდრე კლიენტი კაცები, ამას გრძნობდა და მეც მასმევდა. მაიძულებდა, ის გამეკეთებინა, რასაც სხვა კაცებთან ჩავდიოდი. არ ვიცი, რა განცდა ჰქონდა იმ დროს, როცა მეხებოდა. მე კი ჭირივით მძულდა.

— შვილებთან თქვენი სამარცხვინო საქმიანობის დამალვას ახერხებდით?

— როცა კლიენტი მყავდა, ჩემი ქმარი ბავშვებს თავის ბიძაშვილთან აგზავნიდა, რომელიც შორიახლოს ცხოვრობდა. ბიძაშვილს ეუბნებოდა, ჩემს ცოლს არ სცალია, ბინებს ალაგებსო.

— თბილისი პატარა ქალაქია, არაფერი იმალება. ნუთუ არ გამჟღავნდა, რაც თქვენს ოჯახში ხდებოდა?

— ერთ ახალგაზრდა კაცს, ვატოს, რომელსაც რამდენჯერმე მოვემსახურე, ჩემ მიმართ გრძნობა გაუჩნდა. არ ვიცი, სიყვარული იყო თუ არა, ან ჩემი მდგომარეობის ქალი როგორ უნდა შეგიყვარდეს... მე ხომ ჩემი ქმრის ხელში სისუფთავის და სირცხვილ-ნამუსის ნიშანწყალიც აღარ შემრჩა. რაღაცნაირად დავმეგობრდით, მივენდე და ჩემი გაჭირვების შესახებ ვუამბე. გადაირია, რომ გაიგო. მითხრა, ცოტაც მაცალე და აქედან წაგიყვანო. არ ვიცი, სად მივყავდი ან რას მიპირებდა... ჩემმა ქმარმა აღარ აცალა. ჩემს ტელეფონში მისი მოწერილი მესიჯები რომ წაიკითხა, დანით დამადგა და მაიძულა, მისთვის პატიმანი დამენიშნა. მის მოსვლამდე სარდაფში ჩამკეტა. მერე თავს დაესხა და დაჭრა. მას შემდეგ აღარ შემხმიანებია, თუმცა ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. პროტესტის გრძნობა გამიჩნდა და გადავწყვიტე, ცხოვრება შემეცვალა.

— ეს შეძელით?

— ქმრისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვისწავლე და უფალს მივმართე დასახმარებლად. თავიდან ტაძარში ვერ მივდიოდი, სულიერად იმდენად დაბინძურებული ვიყავი. არც ქმარი მიშვებდა. თავს ვძლიე და მაინც შევძელი. ჩემი ქმარი დაუძლურდა და სიკვდილს ჩახედა თვალებში. მას შემდეგ შეიცვალა, მათხოვარივით გახდა. ყველაფერი მოინანია და თვალებში შემომციცინებს. იცის, რომ მისი არსებობა ჩემზეა დამოკიდებული და მემორჩილება. ნამდვილად ლოცვამ მიშველა. სამსახურიც გამომიჩნდა და ადამიანური ცხოვრება დავიწყე. მადლობა უფალს!

✓ ნანა კობახიძე

ეს იცოდით?

❖ ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს გვირგვინი სახელმწიფოს საკუთრებაა და არა — რომელიმე მონარქის.

❖ ბრიტანეთის სამეფო გვირგვინზე 1783 ბრილიანტია, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია „აფრიკის ვარსკვლავი“ (309 კარატი).

❖ ნაადამი ყველაზე პოპულარული სპორტული ღონისძიებაა მონღოლეთში. იგი ოლიმპიური თამაშების მსგავსია და ყოველწლიურად ზაფხულში იმართება ქვეყნის დედაქალაქ ულან ბატორში.

❖ ისრაელის ჰიმნს „ჰატიკვა“ ანუ „იმედი“ ჰქვია.

❖ ჰომეროსის „ილიადა“ 15 000 სტროფისგან შედგება.

❖ წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულ ბრუჰენვილზე მცხოვრები ხალხი საუბრობს როტოკასის ენაზე, რომლის ანბანშიც მხოლოდ 12 ასოა.

❖ თავის მოსაკლავად საკმარისია 100 ფინჯანი ყავის ზედიზედ დალევა.

❖ თავდაპირველად სტომატოლოგები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. 1829 წლიდან კი ამ პროფესიის ქალებიც გამოჩნდნენ.

❖ ნიგერიაში 53 000 კაცზე ერთი ექიმი მოდის, ხოლო იტალიაში 200 კაცზე ერთი.

❖ ადამიანი ერთი კონა ნიახურის ჭამისას უფრო მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე მისგან იღებს.

❖ მოზრდილი ადამიანი დღე-ღამეში დაახლოებით 23 000-ჯერ ჩაისუნთქავს და ამოისუნთქავს.

❖ პირველი კაფე-სანაყინე 1672 წელს საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გაიხსნა. მე-18 საუკუნეში კაფე-სანაყინეების მუდმივი კლიენტები გახლდნენ მწერლები ვოლტერი და დენი დიდრო.

❖ მსოფლიოში ყველაზე ხალხმრავალი მეტროს სადგური იაპონიის დედაქალაქ ტოკიოშია. ამ სადგურს „იკებუკურო“ ჰქვია, რომელიც 24 საათის განმავლობაში საშუალოდ 491 958 მგზავრს ემსახურება.

❖ იაპონიაში მათთვის, ვისაც ტელევიზორის ყურებისას რეკლამები აღიზიანებთ, სპეციალურად მოიგონეს ტელევიზორი, რომელიც რეკლამების დროს თავისით ითიშება და მაშინ ირთვება, როცა რეკლამა დამთავრდება.

❖ იაპონიის შემადგენლობაში 3900 კუნძულია.

❖ პირველი დოკუმენტური ცნობები პენსიის შესახებ მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება საფრანგეთის მეფის, ლუი მეთერთმეტის მეფობის ხანაში.

❖ პირველი ქალი, რომელიც გოლფს თამაშობდა, შოტლანდიის დედოფალი მერი გახლდათ. მას იმდენად იტაცებდა ეს თამაში, რომ თავად უკეთებდა ორგანიზებას ტურნირებს.

❖ დიქტატორი ადოლფ ჰიტლერი პირველი იყო, ვინც მოწევის საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო.

❖ კომპოზიტორმა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ ისწავლა ისეთი მათემატიკური მოქმედებები, როგორიცაა გამრავლება და გაყოფა.

❖ 7 თვეში ტარაკნების 1 ოჯახს შეიძლება 164 მილიონიანი შთამომავლობა ეყოლოს.

❖ ჟირაფებისა და ინდაურების დიდი ნაწილი ბისექსუალია.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

სვიის გირჩები სიმშრის წინააღმდეგ

ოსმეტიკაში სვიის გირჩები გამოიყენება, როგორც კანის, თმის მოსავლელი და სიბერის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალება.

რით არის მდიდარი სვიის გირჩები? ისინი შეიცავს ეთერზეთებს, ფლავონოიდებს, ვიტამინებს (რუტინი, B_1, B_3, B_6, PP), მინერალურ მარილებს და დუბილურ ნივთიერებებს. გარდა ამისა, სვიის გირჩების შემადგენლობაში შედის ჰორმონის მსგავსი ესტროგენური ნივთიერებები, რომლებიც გამაახალგაზრდავებელ ეფექტს უზრუნველყოფენ.

ხელოვნური თმისთვის

1. თმის გასაძლიერებლად და მათი ზრდის სტიმულაციისთვის, კვირაში 2-3-ჯერ თავი გაწურული ნაყენით დაიბანეთ. 2-3 სუფრის კოვზ სვიის დაქუცმაცებულ გირჩებს 2 ლიტრი მდუღარე დაასხით, 10 წუთი დადგით, გაწურეთ. შეგიძლიათ მცენარის ფოთლებიც გამოიყენოთ — იგივე ეფექტი აქვს.

2. ქერტლისა და ცხიმიანი თმის შემთხვევაში, თავის დაბანის შემდეგ თმაზე გირჩების ნაყენი გადაივლეთ (1 სუფრის კოვზ ნედლეულს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 1 საათი დადგით).

წაბლისფერთმიანებმა და შავგვრემანებმა თმას სასიამოვნო ფერი რომ მისცენ, თავის დაბანის შემდეგ თმაზე სვიის ნახარში უნდა გადაივლონ (2 სუფრის კოვზ გირჩებს 1 ლიტრი წყალი დაასხით, 20 წუთი ადუღეთ, გააგრილეთ და გაწურეთ).

ნიღბები ცხიმიანი ჯანისთვის

2 სუფრის კოვზ სვიის გირჩებს 0,5 ლიტირი მდუღარე დაასხით, 2 საათის შემდეგ გაგრილებული ნაყენი გაწურეთ. მცენარის ნარჩენები სახეზე დაიდეთ 15-20 წუთი. ეს ნიღაბი სისხლის მიმოქცევას, კანის ელასტიკურობას და მის ცხიმოვან ცვლას აუმჯობესებს. დარჩენილი ნაყენი შეგიძლიათ სამკურნალო ნიღბისთვის გამოიყენოთ. დაახლოებით 50მლ. გირჩების ნაყენს (ჭიქის მეოთხედი) სახამებელი ან ფქვილი დაუმატეთ. მიღებული ფაფა სახეზე დაიდეთ 15-20 წუთი, შემდეგ წყლით ჩამოიბანეთ. ასეთი ნიღაბი ცხიმს აცლის და ფორებს ხურავს.

ჯანის მოვლა

სვიას ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს, ინფექციების მიმართ კანის გამძლეობა-ამტანობას აძლიერებს, ახალი უჯრედების წარმოქმნას ასტიმულირებს. გირჩების შემადგენლობაში არსებული ჰორმონის მსგავსი ესტროგენური ნივთიერებების აქტივობის წყალობით, სვიის გირჩებს წარმატებით იყენებენ კანის დაბერების საწყის ეტაპზე. გირჩების ნაყენით სახეს იბანენ ან ისუფთავებენ კანის გასასწორებლად და ნაოჭების თავიდან ასაცილებლად.

ცხიმიანი კანის დროს 2 ჩაის კოვზ გირჩებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, დადგით, გააგრილეთ, გაწურეთ. ამ ნაყენით სახე დაბანის შემდეგ გაიწმინდეთ. სახის კანს კარგად ატონიზირებს და აახალგაზრდავებს სვიის გირჩების ყინულის კუბიკების წასმა (ერთ ჭიქა ნაყენში წინასწარ ჩაუმატეთ 20 გრამი ელეუტერეკოკის ან ჟენშენის ექსტრაქტი).

მკერდის გადიდების მსურველთათვის

ვინაიდან სილამაზეზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალები სვიის გირჩების ნაყენს პატარა მკერდის გასადიდებლად იყენებენ. როგორც წესი, პატარა მკერდი დაკავშირებულ-განპირობებულია ქალური ჰორმონების უკმარისობასთან, ხოლო სვიის გირჩები ნატურალურ ფიტოჰორმონებს შეიცავს. 1 ჩაის კოვზ ნედლეულს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით. ეს ნაყენი ღამით დალიეთ. სვიის გირჩების ნაყენი 2 კვირა სვით, შემდეგ 2 კვირა შეისვენეთ და ასე გააკეთეთ 3-ჯერ. 2 თვის შემდეგ შეგიძლიათ კურსი გაიმეოროთ. გარეგანი გამოყენებისთვის ნებისმიერ კრემში სვიის გირჩების 10%-იანი ნაყენი დაუმატეთ.

ჰორმონული თანაფარდობას იცავს

მენოპაუზის შემდეგ სახეზე თმის გაძლიერებული ზრდისას ჰორმონული თანაფარდობის შესანარჩუნებლად, შიგნით მისაღებად და გარედან წასასმელად გირჩების ნაყენს იყენებენ.

1 ჩაის კოვზ სვიის გირჩებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და მთელი ეს ნაყენი თბილი სახით ღამით დალიეთ (სვიის გირჩების ნაყენი ასევე ამშვიდებს). გარედან პრობლემურ ნაწილებზე წასასმელად უფრო მაგარი ნაყენი გამოიყენეთ.

ალოე ჰრობლემური ჯანისთვის

ოსმეტოლოგიაში ალოე გამოყენება, როგორც ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო საშუალება. ალოეს წვენი ფორებს ხსნის და ასუფთავებს, ატენიანებს და კანს ჭიმავს. შეუძლია უჯრედებში ადვილად და ღრმად შეაღწიოს, ნივთიერებათა ცვლას აღადგენს, უჯრედების განახლებას ასტიმულირებს, ასევე ანთებასა და გაღიზიანებას ხსნის.

პრობლემა: მუწუკები

რეცეპტი. ალოეს ფოთოლი გარეცხეთ, ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ, წვენი გამოწურეთ და არაყი დაუმატეთ. მიღებულ ნარევში ბამბა დაასველეთ და მუწუკებზე დაიდეთ. რამდენიმე სეანსის შემდეგ მუწუკები მოიწვება და კანის პრობლემისგან გათავისუფლდებით.

პრობლემა: ცხიმის ბრწყინვა

რეცეპტი. ალოეს რბილობი, კვერცხის ცილა და კიტრის ფაფა აურიეთ, რამდენიმე წვეთი ლიმონის წვენი დაუმატეთ. ნიღაბი თანდათან, 3 ფენად დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ გამშრალი ნიღაბი ცივი წყლით ჩამოიბანეთ.

კანს აბანო უყვარს

ანს აბანო, საუნა მრავალი მიზეზის გამო უყვარს.

1. აბანოში კანის სისხლით მომარაგება ძლიერდება, ე.ი. კანი კარგად კვებას იწყებს და სასარგებლო ნივთიერებებით მდიდრდება.

2. გარემოში მაღალი ტემპერატურის გამო კანი ჟანგბადით ჯერდება როგორც შიგნიდან, ასევე გარედან.

3. ნივთიერებათა ცვლა ჩქარდება, მავნე ნივთიერებები კანიდან გამოდის და მთელი ორგანიზმი აქტიურდება.

4. საოფლე და ცხიმის ჯირკვლები იხსნება და იწმინდება.

5. მუდმივი სტრესისგან დაღლილ კანზე მოდუნება გამაახალგაზრდავებელ ზემოქმედებას ახდენს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

დავიცვათ პატარები სიცივის ალერგიისგან

ქარი, სუსხი, დაბალი ტემპერატურა — ამინდის ასეთი ცვლილებები ნამდვილი განსაცდელია პატარების კანისთვის. ზამთრის პერიოდში ბავშვების ნაზ კანზე უარყოფით გავლენას ახდენს სახლში არსებული გამომშრალი ჰაერიც, რის გამოც, გარდა იმისა, რომ კანი შრება, ზედმეტად მგრძნობიარე და მტკივნეულიც ხდება.

ვინც გაფრთხილებულია, ის შეიარაღებულია!

თუ იცით, რა ტიპის კანი აქვს თქვენს შვილს, სიცივის მიმართ ალერგიასთან გამკლავება რთული არ არის. კანის ტიპის დასადგენად მინი ტესტი ჩაატარეთ: დაბანეთ პატარას სახე და 2-3 საათის შემდეგ გაუწმინდეთ ქაღალდის ხელსახოცით. თუ ბავშვს ცხიმიანი კანი აქვს, ხელსახოცზე აუცილებლად დარჩება ცხიმის კვალი, თუ ნორმალური ან მშრალია — არანაირი კვალი არ იქნება. მშრალი კანის შემთხვევაში პატარას სახის დაჭიმულობის შეგრძნება ექნება.

საპონი და წყალი — შეიძლება ითქვას, რომ ეს ტანდემი სიცივეში კანის პირველი მტერია. პატარებს კანი სპეციალური, ბავშვისთვის განკუთვნილი ლოსიონით გაუწმინდეთ. მათთვის კოსმეტიკური საშუალებების შეძენისას კი ყურადღება მიაქციეთ, რომ ისინი არ შეიცავდნენ სპირტს და საპონს.

უდავოა, რომ პატარების კანსაც სჭირდება დატენიანება, რისთვისაც დღეს სააფთიაქო სქელში უამრავი მალამოა. თუ პატარა სიცივეში სასეირნოდ გაგყავთ, გამოიყენეთ მკვებავი კრემი, რომელიც ერთგვარ დამცავ ბარიერს შექმნის.

სიცივეში დაცვა ტუჩებსაც სჭირდება, რომ არ დასკდეს და გამოშრეს. ცივ სეზონზე ტუჩებზე ხშირად ჩნდება ჰერპესიც. მისი არსებობის შემთხვევაში სავალდებულოა სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ პატარებისთვის განკუთვნილი სამკურნალო მალამოებით სარგებლობა. თუ ჰერპესმა იჩინა თავი, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

პირველი — არ შეეხოთ პატარას ტუჩებზე დაუბანელი ხელით.

მეორე — არავითარ შემთხვევაში შეიძლება ჰერპესის გაღიზიანება, არსებული შიგთავსის ძალით გამოდენა, ფუფხის მოცილება. ეს ინფიცირების დამატებითი რისკია.

მესამე — ჰერპესის სამკურნალო მალამო პატარას ტუჩებზე ბამბიანი ჩხირით უნდა წაუსვათ და არა — ხელით (თითით).

დაბოლოს, პროფილაქტიკისათვის უმნიშვნელოვანესია, პირველ რიგში, ბავშვის იმუნიტეტის გაძლიერება და გაკაჟება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა, სრულფასოვანი კვება, სუფთა ჰაერი და ჰიგიენა.

როგორ დავამეგობროთ შვილები წიგნებთან

ფსიქოლოგები და პედაგოგები ერთხმად ამტკიცებენ: თუ გვსურს, ბავშვი წიგნის სიყვარულს მივაჩვიოთ და კითხვის ინტერესი გავუღვივოთ, საჭიროა ამაზე პატარაობიდანვე ვიზრუნოთ, სანამ ბავშვს წელი შეუსრულდება. ალბათ გაგიკვირდებათ და დაგაინტერესებთ, თუ რატომ მაინცდამაინც წლამდე.

პირველ რიგში, იმიტომ, რომ როცა ამ ასაკის პატარას წიგნს უკითხავთ, ეს საშუალებას აძლევს, მალე დაიწყოს ლაპარაკი, გამართულად მეტყველებდეს, კიდევ ხელს უწყობს აბსტრაქტული აზროვნებისა და წარმოსახვის უნარის განვითარებას.

საბავშვო ბიბლიოთეკა

სახლში, სადაც პატარა იზრდება, მშობელმა აუცილებლად უნდა იზრუნოს საბავშვო ბიბლიოთეკის შექმნაზე. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვს საშუალება უნდა ჰქონდეს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად აიღოს წიგნი ამ თუ იმ თაროდან.

როგორც წესი, 4-5 წლამდე ასაკის პატარები ზღაპრებს ანიჭებენ უპირატესობას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია წიგნის ილუსტრაციებიც, რამდენად საინტერესოდ და გემოვნებითაა დასურათებული ის. შესაძლოა, ერთი შეხედვით, ეს ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, სწორედ ასე იწყება პატარების წიგნთან მეგობრობა და კითხვის სიყვარული.

წლამდე ასაკის ბავშვების ბიბლიოთეკა უნდა შემოიფარგლებოდეს ილუსტრირებული წიგნებით. გარდა იმისა, რომ მკვეთრი და სასიამოვნო შესახედაობის წიგნები პატარას მისი გადაფურცვლისა და დათვალიერების სურვილს უჩენს, ამ გზით ისინი უნებურად სწავლობენ ფერთა გარჩევა-შეხამებას, ნახატის მთლიანობაში აღქმას და სხვა.

3-5 წლის ასაკი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პერიოდია ბავშვებისა და მშობლებისთვისაც. ამ დროს პატარები მეტად ცნობისმოყვარეები ხდებიან, აბსოლუტურად ყველაფერი აინტერესებთ. მათი ინტერესის დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებაა საბავშვო ენციკლოპედია. ის ძალიან კარგია ზოგადი განათლება-განვითარებისათვის.

6-7 წლის ბავშვს უკვე თამამად შეგიძლიათ წასაკითხად მისცეთ როგორც ქართული, ისე მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებები, ბუნებრივია, ასაკის გათვალისწინებით.

8 უნიკალური პროდუქტი დედიკოებისათვის

1. წითელი თევზი — დიდი რაოდენობით შეიცავს ა, დე, ე, ბე ჯგუფის ვიტამინებს, ასევე ომეგა 3-ს. ეს ვიტამინები ქალის (განსაკუთრებით ახალნამშობიარევი დედიკოს) ორგანიზმს ეხმარება გაძლიერებაში, ენერგიის აღდგენაში, კარგია კბილებისა და ძვლოვანი სისტემისთვის.

2. ბროკოლი — შეიცავს ცე ვიტამინს, ამინომჟავებს, რაც ქალის ორგანიზმს საშუალებას აძლევს, გამოდენოს შლაკები და ტოქსინები. ბროკოლი ქრომის საბადოა, რომელიც სისხლში შაქრის რეგულირებას ახდენს. ამ სახეობის კომბოსტოში უხვადაა ფერმენტების ჯგუფი, რომლებიც ქალებს სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარებისგან იცავს.

3. ჭარხალი — განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ქალებისათვის, რომლებსაც მენსტრუალური ციკლის დარღვევა აღენიშნებათ. ჭარხალი არაჩვეულებრივად წმენდს სისხლს. მისი წვენი მდიდარია რკინით და შესაბამისად მისი პერიოდულად მიღება იმის გარანტიაა, რომ ანემია არ განვითარდება.

4. კოჭა — აქვს ტკივილგამაყუჩებელი თვისება. თუ თავი აგტკივდათ, ნუ იჩქარებთ წამლის დალევას, დაღეჭეთ კოჭას პატარა ნაჭერი. ის დიეტური პროდუქტიცაა და თუ ახალნამშრობიარევ ქალს წონის პრობლემა აქვს, შეუძლია რაციონში კოჭას ჩართვა. ის ეფექტურად წვავს ცხიმებს.

5. ხორბალი — მდიდარია ამინომჟავებით და იოლად შესათვისებელი ნაშირწყლებით. ეფექტურია ნაადრევი ნაოჭების პროფილაქტიკის, ფრჩხილების, თმისა და კანის ჯანმრთელობისთვის.

6. სოია — ლეციტინი და ქოლინი, რომელთაც ეს პროდუქტი შეიცავს, მეტად მნიშვნელოვანია ნერვული სისტემისა და თირკმლებისთვის. ის განსაკუთრებით სჭირდებათ ორსულებს და მეძუძურ დედებს.

7. ალუბალი — მდიდარია ცე ვიტამინით. მას ხშირად უწოდებენ ახალგაზრდობის ელექსირსაც. ფოლიუმის მჟავა, რომელსაც ალუბალი შეიცავს, ეხმარება ქალის ორგანიზმს სტრესთან ბრძოლაში, კარგია მეხსიერებისა და იმუნიტეტის გაძლიერებისთვის.

8. ღორის ხორცი — ცილების საბადოა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქსოვილებისათვის. როცა საკვები საკმარისი რაოდენობის ცილებს არ შეიცავს, ორგანიზმი სუსტდება, ირღვევა ჰორმონული ბალანსი, ამიტომ კვირაში 1-2-ჯერ მისი მიღება სავალდებულოა.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

როდის არის თავის ქება სასარგებლო

ავშვობიდან გვასწავლიან, რომ თავის ქება ცუდია. სინამდვილეში უფრო ცუდი ისაა, როდესაც ადამიანს სატრაბახო არაფერი აქვს.

თავმომწონეობა ყველას უყვარს და ამაში საძრახისი არაფერია. ნუ მოგერიდებათ თქვენი მიღწევების შესახებ სხვებს მოუყვეთ. მთავარია, ეს ისე გააკეთოთ, რომ გარშემომყოფებმა თქვენი წარმატებებით გაიხარონ და არ შეშურდეთ.

ჰატომ ტჰაბახობთ?

1. იმიტომ, რომ ყურადღება მიიქციოთ. ზომიერების ფარგლებში ეს შეიძლება სრულიად გამართლებული იყოს. მაგალითად, თუ თქვენი იდეა წარმატებული სამუშაო პროექტის საფუძველი გახდა.

2. თვითდამკვიდრებისთვის. გსურთ, სხვებს თავი მოაწონოთ, პატივისცემა და აღტაცება დაიმსახუროთ — ეს სრულიად ბუნებრივია.

3. სხვადასხვა შიშის შესანიღბად. გარშემომყოფებმა თქვენს თვალებში პანიკა რომ არ შეამჩნიონ, თქვენი კარიერული წინსვლის, ეგზოტიკური მოგზაურობების შესახებ ყვებით. ასეთი ტრაბახი კეთილდღეობისა და ცხოვრებით კმაყოფილების ილუზიას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, პრობლემებს ვერ ჭრის.

ეს ah უნდა გააკეთოთ

არასდროს, არც ერთ ვითარებაში თქვენი წარმატებებით არ იტრაბახოთ გარშემომყოფების დამცირების მიზნით, სხვის ხარჯზე თვითდამკვიდრებისთვის. ერთია ლამაზ ფერებში აღწეროთ თქვენი დასვენება ცნობილ კურორტზე და სხვა საქმეა ქედმაღლურად დაურთოთ: „ამ წელსაც თქვენს აგარაკზე ისვენებდით?“. გახსოვდეთ, საკუთარი უპირატესობის აღიარებით წუთიერ კმაყოფილებაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი მეგობრებთან და ნაცნობებთან კარგი ურთიერთობაა.

თუ თავს იქებთ იმიტომ, რომ გარშემომყოფებში ბანალური შური აღძრათ, მაშინ ერთხელ კიდევ დაფიქრდით, ეს მართლა გჭირდებათ? „ჩემი შურთ, მაშასადამე, წარმატებული ვარ“ — შესაძლებელია, მაგრამ თქვენი მისამართით წამოსული ამდენი ნეგატიური ემოცია ამად ღირს?

თავმომწონეობა უნდა იყოს

1. გულწრფელი: თუ გარშემომყოფები ხედავენ, ბედნიერებისგან როგორ ასხივებთ, მხოლოდ გულღვარძღვანი და შურიანი ადამიანები დაიბოღმებიან და თქვენს სიხარულს ვერ გაინაწილებენ. უმჯობესია, ასეთ „მეგობრებს“ კილომეტრის დაშორებით აუაროთ გვერდი.

2. ტაქტიანი: არ შეიძლება თქვენი შვილების წარმატებებსა და თქვენს დედობრივ ბედნიერებაზე ელაპარაკოთ მეგობარს, რომელიც ვერაფრით ფეხმძიდება. ან კოლეგას თქვენი ახალი მანქანის უპირატესობები აღუწეროთ, რომელმაც თავისი „რკინის ცხენი“ ახლახან საგზაო ავარიაში დაამტვრია.

3. ზომიერი: ფორმულა მარტივია, როგორც ნულზე გამრავლების ტაბულა — ერთსა და იმავე ადამიანთან ერთი და იმავე საბაბით მხოლოდ ერთხელ შეიძლება იტრაბახოთ. ნუ გაგიტაცებთ თამაში, თუ ხელმძღვანელმა პროექტის წარმატებით დასრულებისთვის გაკვრით შეგაქოთ. საჭირო არ არის კოლეგებს მოუყვეთ, აღტაცებული შეფი როგორ ტიროდა და მუხლებზე დაჩოქილი ხელებს გიკოცნიდათ.

4. საქებარი: ნაცვლად იმისა, რომ თქვათ: „შეხედე, როგორ ახალი ჩანთა მაქვს“, წარმოთქვით: „აუცილებლად უნდა შეაფასო, შენ დახვეწილი გემოვნება გაქვს“. მთელი თქვენი გარეგნობით უნდა აგზავნიდეთ სიგნალს: „ლამაზი, წარმატებული, საყვარელი, ჭკვიანი ვარ და ჩემ გარშემო ასევე შესანიშნავი, გულისხმიერი ადამიანები არიან“.

საზღვარგარეთელი ფსიქოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ თავის ქება ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ყველანი ისე ვართ მოწყობილი, რომ მიღწევები და წარმატებები გვესაჭიროება.

ღამით მუშაობა ორგანიზმისთვის სტრესია

ამით ცვლაში მუშაობას გარკვეული მინუსები აქვს, რომლებიც ჯანმრთელობაზე კვალს ტოვებს. მეცნიერული გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ღამით მუშაობა ძლიერი სტრესული ფაქტორია და ორგანიზმის ფუნქციონირების ჩვეულ რიტმს არღვევს. ღამის ცვლაში მუშაობის აუცილებლობა კონფლიქტშია ორგანიზმის ბიოლოგიურ საათთან. გარდა ამისა, შეუფერებელ დროს აქტივობა, ჰორმონული „ორკესტრის“ აწყობილ მუშაობას არღვევს. ამას ორგანიზმის ყველა ორგანოსა და სისტემის ფუნქციონირებაში ქაოსი შეაქვს. ამიტომ ადამიანმა დღისით აუცილებლად უნდა დაისვენოს, თავისი ორგანიზმის სიგნალებს მოუსმინოს. დასვენება უმჯობესია ჩაბნელებულ ოთახში. აუცილებელია მეგობრებთან, ახლობლებთან კონტაქტი, საყვარელი საქმის კეთება. არ ღირს დასვენების დღეების გამოყენება დამატებით გამომუშავებისთვის. შესაძლებელია, შრომითი თავგანწირვა გარკვეული დროის განმავლობაში შეუმჩნეველი, უკვალო დარჩეს, მაგრამ გახსოვდეთ: მანქანებიც კი ვერ იტანენ ზედმეტ დატვირთვას და იმსხვრევიან.

ღამით თავის რეგულარულად გამხნევება კოფეინისა და ნიკოტინის დიდი დოზებით არ ღირს. ორგანიზმი ამას სწრაფად ეჩვევა. ხანმოკლე მხნეობისა და ნათელი გონებისთვის საფასურის გადახდა გაღიზიანებული ნერვული სისტემითა და კუჭის პრობლემებით მოგიწევთ. დოპინგის სახით უმჯობესია დალიოთ მატონიზირებელი მწვანე ჩაი, რეგულარულად მიიღოთ პოლივიტამინები, საკმარისი რაოდენობით ჭამოთ ხილი, ხოლო თავისუფალ დროს სუფთა ჰაერზე ისეირნოთ, სპორტით დაკავდეთ.

როგორ გამოვიმუშაოთ სიხარულის ჰორმონები

ედნიერების წუთებში ადამიანის ორგანიზმში მნიშვნელოვანი ქიმიური ცვლილებები ხდება. შედეგად გამომუშავდება სასწაულმოქმედი ნივთიერებები — ენდორფინები (შინაგანი მორფინები). ისინი მთელ სხეულში ვრცელდებიან და ტკივილის იმპულსებს თრგუნავენ, ნერვულ სისტემას ამშვიდებენ, ამაღლებულ განწყობას ქმნიან და ყოფით წვრილმანებზე მტკივნეულად აღარ ვრეაგირებთ. გარდა ამისა, ენდორფინები უჯრედების განახლების პროცესს აუმჯობესებენ. მათი წყალობით, შინაგანი რესურსების ხარჯზე სიბერის სიმპტომები ნეიტრალიზდება.

ენდორფინების გამომუშავების მთავარი პირობაა სწორი კვება. პირველ რიგში, ჩვენთვის აუცილებელია ტრიფტოფანის (შეუცვლელი ამინომჟავა) პროდუქტები. ასეთია: ღვიძლი, ხაჭო, კვერცხი. რაც შეეხება ყველასთვის საყვარელ სასუსნავებსა და ამგზნებ სასმელებს (ტკბილეული, ღვინო), ისინი ენდორფინების წყაროდ არ ითვლება.

მელოდიური მუსიკის თანხლებით ვარჯიში, აბაზანა სურნელოვანი ეთერზეთების დამატებით სხეულს მატონიზირებელი კომპონენტებით ამხნევებს და ენდორფინულ ეფექტს ახდენს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ლენოქს ლუისი 100 მილიონს ითხოვს


ლენოქს ლუისი

ყრივში მძიმე წონაში ყოფილმა მსოფლიოს ჩემპიონმა, ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა, ინგლისის გამოცემა „The Daily Mail"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 50 მილიონი დოლარი შესთავაზეს კლიჩკოების ერთ-ერთ ძმასთან ორთაბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

48 წლის მოკრივე სტუმრის სტატუსით დაესწრო მოსკოვში გამართულ ორთაბრძოლას რუს მოკრივე ალექსანდრ პოვეტკინსა და უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოს შორის. ინტერვიუში ბრიტანელს არ დაუკონკრეტებია, თუ ვინ შესთავაზა ფული.

ლუისის თქმით, მან ჰონორარის გაორმაგება მოითხოვა. თუ თანხა 100 მილიონ დოლარამდე გაიზრდება, მაშინ მზად იქნება 2014 წლის მაისში რინგზე გასასვლელად. ლუისმა იქვე დაამატა, რომ მას ძალუძს, გაიმეოროს ამერიკელი ჯორჯ ფორმენის მიღწევა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის წოდება 48 წლის ასაკში დაიბრუნა.

ბოლოს ლენოქს ლუისი რინგზე 2003 წლის ივნისში გავიდა. მაშინ მან ლოს ანჯელესში გამართულ ორთაბრძოლაში ვიტალი კლიჩკო დაამარცხა. ორთაბრძოლის შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში ვრცელდებოდა ხმები მატჩ-რევანშის გამართვასთან დაკავშირებით, მაგრამ ლუისისა და უფროსი კლიჩკოს განმეორებითი შეხვედრა არ შედგა. 2004 წელს ლუისმა კარიერის დასრულებასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა.

როგორც ინგლისური გამოცემა აღნიშნავს, მატჩის ორგანიზება ლუისსა და უფროს კლიჩკოს შორის რუს პრომოუტერებს სურთ, თუმცა, როგორც თავად ბრიტანელმა მოკრივემ განაცხადა, მისთვის უფრო საინტერესო უმცროს ძმა, ვლადიმირ კლიჩკოსთან ორთაბრძოლა იქნება.

თუ ლუისი ორთაბრძოლაში მონაწილეობისთვის თუნდაც 50 მილიონ დოლარს მიიღებს, ეს კრივის ისტორიაში სარეკორდო ჰონორარი იქნება. დღემდე მოქმედი რეკორდი ამერიკელ ფლოიდ მეიუზერს ეკუთვნის, რომელმაც მექსიკელ საულ ალვარესთან ორთაბრძოლისთვის მიმდინარე წელს ჰონორარის სახით 41,5 მილიონი დოლარი მიიღო.

თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში ლენოქს ლუისმა 44 ორთაბრძოლა გამართა, რომელთაგან 41-ში (32 ნოკაუტით) გაიმარჯვა, ორჯერ დამარცხდა, ხოლო ერთი შეხვედრა ფრედ დასრულდა.

✓ მოამზადა ანა ხატიაშვილმა

კრიშტიანუ რონალდუ ფანს გამოექომაგა

კრიშტიანუ რონალდუ

ადრიდის „რეალის" ფორვარდი, კრიშტიანუ რონალდუ, თავის თაყვანისმცემელს გამოექომაგა, რომელიც მატჩის დროს შეეცადა, პორტუგალიელ ფეხბურთელს გადახვეოდა და სწორედ ამის გამო დააპატიმრეს. კრიშტიანუმ ფლორიდის ხელისუფლებას განცხადებით მიმართა, მის ქომაგს წაყენებული ბრალდება მოუხსნან.

რონალდ გიოკას, 19 წლის კანადელ სტუდენტს, რომელიც უკვე დიდი ხანია, რონალდუს თაყვანისმცემელია, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და აკრძალულ ტერიტორიაზე შესვლა ედება ბრალად. იგი მას შემდეგ დააკავეს, რაც მაიამის სტადიონ Sun Life Stadium-ის მოედანზე შეიჭრა, როდესაც იქ მადრიდის „რეალისა" და ლონდონის „ჩელსის" მატჩი მიმდინარეობდა. რონალდუ თავის ქომაგს გადაეხვია და გაესაუბრა, დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა კი გიოკა მოედნიდან გაიყვანეს.

პორტუგალიელმა ფეხბურთელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტუდენტს რაიმე სახის აგრესია არ გამოუხატავს და იქვე დაამატა, იმაზე ვნერვიულობ, რომ გიოკას აშშ-ის საემიგრაციო სამსახურთან შეექმნა პრობლემებიო.

ბრალდებულის ადვოკატის თქმით, გიოკას, რომელიც ადრე არასოდეს დაუკავებია პოლიციას, სრულად აქვს შეგნებული საკუთარი შეცდომა და მიაჩნია, რომ ის ჯარიმა, რომლის გადახდაც დაკავების შემდეგ მოუწია, საკმარისი სასჯელია მისი ქმედებისთვის.

როგორც მაიამის საოლქო პროკურატურაში აღნიშნეს, რონალდუს განცხადებას ამ საქმეში რამის შეცვლა არ შეუძლია, ვინაიდან დაზარალებულ მხარედ სტადიონია მიჩნეული. სწორედ მაიამის სტადიონის ხელმძღვანელებზე იქნება დამოკიდებული, მოუხსნიან თუ არა 19 წლის ბიჭს ბრალდებას.

კვიტოვა და იანკოვიჩი კრემლის თასისთვის თავს არ შეიწუხებენ

პეტრა კვიტოვა

ელენა იანკოვიჩი

ცნობილმა ჩოგბურთელებმა, ჩეხმა პეტრა კვიტოვამ და სერბმა ელენა იანკოვიჩმა, რომლებსაც ამჟამად ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის (WTA) მსოფლიო რეიტინგში მეშვიდე და მერვე ადგილები უკავიათ, უარი თქვეს კრემლის თასზე მონაწილეობაში.

ორივე ჩოგბურთელმა უკვე გაინაღდა წლის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობის უფლება და დამატებითი სარეიტინგო ქულების მოპოვება აღარ სჭირდებათ. სწორედ ამ მიზეზის გამო თქვეს მათ უარი მოსკოვში კრემლის თასზე გამართულ ტურნირში მონაწილეობაზე. ამავე მიზეზით არ გამოვიდა კვიტოვა ლინცში გამართულ ტურნირზე, ხოლო იანკოვიჩი — ოსაკაში.

კვიტოვასა და იანკოვიჩის გამოკლებით,WTA-ს შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკელი სერენა უილიამსი, ბელორუსი ვიქტორია აზარენკო, პოლონელი აგნეშკა რადვანსკა, ჩინელი ლი და იტალიელი სარა ერნანი. მალე კი სტამბულში გასამართი ტურნირის ბოლო მონაწილის ვინაობა გაირკვევა.

მიმდინარე სეზონში კვიტოვამ და იანკოვიჩმა თითო ტურნირი მოიგეს. ჩეხმა ჩოგბურთელმა ტოკიოს ტურნირში გაიმარჯვა, ხოლო იანკოვიჩმა — ბოგოტაში.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მებაღემ 3 კილოიანი პომიდორი მოიყვანა

ოკლაჰომას შტატში მცხოვრებმა მებაღემ, გორდონ გრემონმა, მსოფლიოში ყველაზე დიდი პომიდორი მოიყვანა. ბოსტნეულის წონა ზუსტად 3 კილოგრამს და 510 გრამს შეადგენს. ასეთი მაჩვენებლების გამო პომიდორი გინესის რეკორდების წიგნში უკვე შევიდა.

როგორც თავად მებაღე ამბობს, რეკორდული წონის პომიდვრის მოსაყვანად მას არანაირი განსაკუთრებული მეთოდისთვის არ მიუმართავს. ამ დრომდე ყველაზე დიდი წონის პომიდორი რუსეთში მცხოვრებმა მოქალაქეს ჰქონდა მოყვანიილი, რომელიც 2 კილოგრამს აღემატებოდა.

ბერლინი სინათლის ფესტივალს მასპინძლობს

გერმანიის დედაქალაქ ბერლინში სინათლის ტრადიციული ფესტივალი მეოთხედ ტარდება და 26 ოქტომბრამდე გასტანს.

ფესტივალის განმავლობაში ქალაქის არქიტექტურული, ისტორიული და თანამედროვე შენობები, აგრეთვე ბულვარები და მოედნები განათებული იქნება სხვადასხვა ფერის შუქით. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება ფერების შოუ და ფეიერვერკები. საერთო ჯამში, ახალი განათება უკვე დამონტაჟდა 40 შენობაზე, მათ შორისაა ბრანდენბურგის ჭიშკარი და ბერლინის ტაძარი.

ღვინო ჯატებისა და ძაღლებისათვის

იაპონიის თითქმის ყველა ქალაქის მაღაზიებში გასაყიდად უკვე გამოიტანეს ძაღლებისა და კატებისთვის განკუთვნილი ღვინო. 180 მილიგრამიან ბოთლში ჩამოსხმული ღვინის ფასი 399 იენია. სასმელი ცხოველების საკვების მწარმოებელმა კომპანიამ გამოუშვა. კომპანიის მფლობელის განცხადებით, ღვინო გათვალისწინებულია იმ ოთხფეხებისთვის, რომელთა პატრონებსაც მოლხენა უყვართ და იმაზე დარდობენ, რომ მათ ცხოველებს არ შეუძლიათ მათთან ერთად გაერთონ და სხვადასხვა დღესასწაული აღნიშნონ.

ღვინო ალკოჰოლს არ შეიცავს, გამდიდრებულია ვიტამინებით, რომელთა შორისაა კატაბალახა. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ ცოტა ხნის წინ ბაზარზე ძაღლების ლუდიც გაიტანა.

კაცს სახლში 42 დალმატინელი ჰყავს

დალმატინელი ძაღლებისადმი განსაკუთრებული ინტერესი ჩილეში მცხოვრებ ნელსონ ვერგარას 1996 წელს, კინოფილმ „101 დალმატინელის“ ნახვის შემდეგ გაუჩნდა და გადაწყვიტა, მაწანწალა ძაღლები, განსაკუთრებით კი დალმატინელები, სახლში მიეყვანა. ამ ჯიშის ძაღლებისადმი მისი განსაკუთრებული სიყვარული სანტიაგოში ყველასათვის ცნობილი ფაქტია. ამ დროისათვის ვერგარას თავისი მოკრძალებული სახლის უკანა ეზოში 42 დალმატინელი ჰყავს.

— მათდამი სიყვარული ფილმის ნახვის შემდეგ გამიჩნდა. ფილმში ყველაფერი არარეალური იყო, მაგრამ მე მინდა, ეს მართლა მოხდეს, — განუცხადა ვერგარამ ჟურნალისტებს.

დალმატინელების გარდა ნელსონს სახლში ნებისმიერი ჯიშის მაწანწალა ძაღლი მიჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ მეზობლები მისი საქციელით უკმაყოფილოები არიან, კაცი დარწმუნებულია, რომ მის ამ ახირებას ბედნიერი დასასრული ექნება.

რესტორანი, სადაც საუბარი აკრძალულია

ნიუ იორკში გაიხსნა რესტორანი, სახელწოდებით „ჭამა“, სადაც საუბარი აკრძალულია. ნებისმიერ კაფესა თუ რესტორნებში ყოველთვის ხმაურია. ისინი კი, ვისაც საუზმობა, სადილობა ან ვახშმობა სიჩუმეში სურს, „ჭამას“ უნდა ესტუმრონ.

ამ რესტორანში თუ დაილაპარაკე, ქუჩაში გაგაგდებენ. მიუხედავად ამისა, იქ ყოველთვის ხალხმრავლობაა და თანაც საოცარი სიჩუმე სუფევს.

ეს იცოდით?

- 1969 წლის 25 დეკემბერს კალიფორნიაში შავი თოვლი მოვიდა, მანამდე კი, 1955 წელს, ქალაქი მწვანე თოვლმა დაფარა. ეს მოვლენები დღემდე ამოუხსნელია.
- ალპების მთებს შვეიცარიის ტერიტორიის 2/3 უკავია.
- ევროპაში ყველაზე მაღლა მდებარე სარკინიგზო სადგური შვეიცარიაშია იუნგ ფრაუს ხეობასთან ახლოს და მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 3454 მეტრს შეადგენს.
- საუდის არაბეთის ტერიტორია 9-ჯერ აჭარბებს ინგლისის გაერთიანებული სამეფოს ფართობს, 4-ჯერ საფრანგეთისას და ამერიკის შეერთებული შტატების ფართობის დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს.

Cyan Magenta Yellow Black

ველოსიპედისტმა უკუსვლაში რეკორდი დაამყარა

ავსტრალიელმა ენდრიუ ჰელინგმა ველოსიპედით უკუსვლაში რეკორდი დაამყარა. მან 24 საათში 337 კილომეტრი დაფარა, მიღებული თანხა კი ზამბიის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს გადაურიცხა. ენდრიუს განზრახული ჰქონდა, 24 საათის განმავლობაში 300 კილომეტრი დაეფარა, მაგრამ მეტი შეძლო და რეკორდიც მოხსნა.

ენდრიუმ ველოსიპედით უკუსვლით სიარული ჯერ კიდევ ბავშვობაში ისწავლა. ამ დრომდე კი უკუსვლით მხოლოდ 100 კილომეტრის დაფარვას ახერხებდა.

გიგანტი ქაშაყის დაჭერას 15 მყვინთავი დასჭირდა

სამხრეთ კალიფორნიის სანაპიროზე, კუნძულ სანტა კატალინაზე მყვინთავებმა ყველაზე დიდი თევზი დაიჭირეს. უზარმაზარი თევზი თავდაპირველად ყვინთვის ინსტრუქტორმა ქალმა, ჟასმინ სანტანამ შეამჩნია. მრავალწლიანი პრაქტიკის მიუხედავად, ჟასმინს ამ ზომის თევზი არასოდეს უნახავს. 5,5 მეტრი სიგრძის ქაშაყის ნაპირამდე გამოყვანას კი 15 მყვინთავი დასჭირდა.

სპეციალისტების განცხადებით, ქაშაყი შესაძლოა 15 მეტრი სიგრძისაც კი გაიზარდოს. გიგანტი ქაშაყის ნახვას კუნძულზე მალე ყველა მსურველი შეძლებს.

თვითმფრინავი უსაწვავოდ დაფრინავს

შვეიცარიული თვითმფრინავი „სოლარ იმპალსი“ პირველია, რომელიც მზის ენერგიაზე მუშაობს. დღისით მზის სხივებით იტენება, ღამით კი მიღებულ „საწვავს“ ხარჯავს. მისი

ფრთების სიგრძე 63 მეტრია, წონა კი — 1600 კილოგრამი.

რამდენიმე დღის წინ ამ თვითმფრინავმა ამერიკას გადაუფრინა, რასაც არც ერთი წვეთი ბენზინი არ დასჭირვებია. შემდეგ ფრენას კი 2015 წელს განახორციელებს.

მარტორქა ბოთლის საცობებით

კალიფორნიელი ჯიმ კარმაიკლი ბოლო 20 წლის განმავლობაში ღვინის ბოთლის საცობების შეგროვებით იყო დაკავებული. ერთ დღესაც მეუღლემ გამოუცხადა, რომ მისი კოლექცია მათ პატარა სახლში აღარ ეტეოდა და დრო იყო, მოეშორებინა.

ჯიმს საცობების გადაყრა დაეწანა და მათგან ნატურალური ზომის ჟირაფის გაკეთება გადაწყვიტა. 6 მეტრიანი ჟირაფის ასაგებად 12 000 ცალი საცობი არ ეყო და ამიტომ 4 მეტრიანი მარტორქა ააგო. ამ საქმისათვის უცნაურ მოქანდაკეს 3 წელი დასჭირდა.



ცხოველების ფორმის ატრაქციონი



საფრანგეთის ქალაქ ნანტში მსოფლიოში ყველაზე უცნაური ატრაქციონი გაიხსნა. გასართობ ცენტრში ცხოველის ფორმის უამრავი ატრაქციონია განთავსებული, რომელთა დიზაინი ორ ფრანგ დიზაინერს, ფრანსუა დელარუზეს და პერა ორფისას ეკუთვნით.

განსაკუთრებულ მოწონებას გიგანტური სპილო იმსახურებს, რომლის სიმაღლე 12 მეტრია, ხოლო სიგანე — 8 მეტრი. გასართობ ცენტრში შესვლა მნახველებისათვის უფასოა.

Cyan Magenta Yellow Black

როგორი სიყვარული შეგიძლიათ?

1. მუღლესთან ან შეყვარებულთან ერთად წვეულებაზე ხართ და ამ დროს სხვას გაეარშიყეთ. აცნობიერებთ, რატომ მოიმოქმედეთ ეს?
ა) იმისთვის, რომ მეუღლე ან შეყვარებული ვაეჭვიანო — 3
ბ) მსუბუქი ფლირტი ძალიან მომწონს და იმიტომ — 2
გ) მინდოდა, გვერდზე მყოფისთვის სამაგიერო გადამეხადა — 1

2. როგორ იქცევით, როცა გაბრაზებული ხართ?
ა) ვფეთქდები და ყვირილს ვიწყებ — 1
ბ) ვცდილობ, თავი შევიკავო — 2
გ) სიტუაციაში გარკვევას ვცდილობ — 3

3. რატომ ცხოვრობთ მასთან?
ა) სიყვარულის გამო — 3
ბ) ასეთი ყოფა მაწყობს — 2
გ) მარტოობას გავურბივარ — 1

4. იცით, საყვარელ ადამიანს რა საჭმელები უყვარს?
ა) დიახ, ვიცი — 3
ბ) მიჭირს გახსენება — 1
გ) არ ვიცი — 2

5. მეუღლე თქვენთვის უინტერესო გადაცემას უყურებს, რას იზამთ?
ა) სხვა საქმეს მოვძებნი — 2
ბ) წავალ და დავიძინებ — 1
გ) მეც მასთან ერთად ვუყურებ — 3

6. როცა საყვარელი ადამიანი კომპლიმენტს გეუბნებათ, თქვენ რითი პასუხობთ?
ა) მადლობას ვუხდი — 2
ბ) ამას ჩვეულებრივ მოვლენად ვთვლი — 1
გ) მივუალერსებ და ვაგრძნობინებ, რომ ეს ჩემთვის სასიამოვნოა — 3

7. ბოლოს როდის უთხარით მეუღლეს, რომ გიყვართ?
ა) დღეს — 3
ბ) ცოტა ხნის წინ — 2
გ) არ მახსოვს — 1

8. რას იზამთ, თუ მიხვდებით, რომ შეყვარებული გღალატობთ?
ა) დავშორდები — 1
ბ) დაველაპარაკები და სიტუაციას გავარკვევ — 3
გ) ამას ყურადღებას არ მივაქცევ — 2

9. საყვარელმა ადამიანმა სექსუალური საჩუქარი მოგართვათ, მიიღებთ?
ა) არა — 1
ბ) მივიღებ, მაგრამ სადმე დავმალავ — 2
გ) სიხარულით მივიღებ — 3

10. შეყვარებულს ინტიმური სიურპრიზებით ანებივრებთ?
ა) დიახ — 3
ბ) არასოდეს — 1
გ) ზოგჯერ — 2

11. თუ საღამოს გატარება სახლში არ გსურთ, გეგმებს ვინ აწყობს?
ა) მე — 1
ბ) ორივე ერთად ვთათბირობთ — 3
გ) ჩემი შეყვარებული — 2

12. ბავშვური გართობები გიტაცებთ?
ა) ზოგჯერ — 2
ბ) არა — 1
გ) ხშირად — 3

13. მომავლის გეგმებს საყვარელ ადამიანთან ერთად აწყობთ?
ა) ყოველთვის — 3
ბ) არა — 1
გ) სიტუაციას გააჩნია — 2

14. შეყვარებულთან ურთიერთობამ შეგცვალათ?
ა) უფრო ლამაზი და მიმზიდველი გამხადა — 3
ბ) ჩემში არაფერი შეცვლილა — 2
გ) უარესად გამოვიყურები — 1

15. ყოველთვის ამჩნევთ, როგორ ხასიათზეა თქვენი რჩეული?
ა) ძნელად — 1
ბ) ხანდახან — 2
გ) ცხადია, ვამჩნევ — 3

შედეგები:

45-38 ქულა — თქვენ ის ბედნიერი ადამიანი ხართ, რომელსაც ნებისმიერ ასაკში აღმერთებენ.

37-28 ქულა — ეს საშუალოზე მაღალი შედეგია და არაა გამორიცხული, ბედის რჩეულთა სიაში მოხვდეთ.

27-22 ქულა — საყვარელ ადამიანს უფრო ალერსიანად, მეგობრულად უნდა მოექცეთ, რაც ურთიერთლტოლვის გაძლიერების საწინდარია.

21-15 ქულა — შეიძლება ითქვას, სიყვარული არ შეგიძლიათ. ამის მიზეზი კი, პირველ რიგში, საკუთარ თავში ეძებეთ.

სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

		9	6		3			1
	5			7				
4					2		8	
	1				6	9		4
		2	8				7	
6			5					
8				9		1		2
		6	4				3	
	3	7						5

№ 2

		7			4	3		
		9	7				5	
		8			2		1	
1				5				
2			1					9
	3			7	6	8		
	4			9				
			3				7	6
	5		6		1	2		

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

მარტივი დიეტა



კვების რეჟიმი 12 დღეზეა გათვლილი და შეგიძლიათ (თუ ივარჯიშეთ კიდეც), 8-14 კგ-ს დაიკლოთ.

1-ლი-მე-3 დღე — კეფირი ნებისმიერი რაოდენობით;

მე-4-6 დღე — ვაშლი ნებისმიერი რაოდენობით;

მე-7-9 დღე — მოხარშული ქათმის ხორცი (სასურველია თეთრი ხორცი);

მე-10-12 დღე — წითელი, მშრალი ღვინო (ნებისმიერი რაოდენობით) და ყველი (30 გ თითო ულუფა ღვინოზე).

Cyan Magenta Yellow Black

მოხერხებული თუ დოყლაპია?

„ა“ პასუხის შემთხვევაში დაიწერეთ 5 ქულა, „ბ“ — 2, „გ“ კი — 0.

1. ქუჩაში საშინელ ავტოავარიას შეესწარით, რა რეაქცია გექნებათ?

ა) შევჩერდები და შევეცდები, გავიგო, რა მოხდა.

ბ) ძალიან შევწუხდები, მაგრამ ცნობისმოყვარეობის გამო მაინც შევჩერდები.

გ) გზას გავაგრძელებ.

2. ხშირად ავადმყოფობთ?

ა) დიახ.

ბ) ხანდახან.

გ) ძალიან იშვიათად.

3. როგორ მოიქცევით, თუ ქუჩაში გულწასულ ადამიანს წააწყდებით?

ა) გვერდს ავუვლი.

ბ) შევეცდები, დავეხმარო.

გ) სასწრაფოს გამოვიძახებ.

4. რას ინახავთ საოჯახო აფთიაქში?

ა) კოსმეტიკას და თავის მოვლის საშუალებებს.

ბ) ყველანაირ წამალს — ვადაგასულსაც და ახალსაც.

გ) მხოლოდ აუცილებელი წამლების მარაგს.

5. თუ გიფიქრიათ, რომ შესაძლოა, ოდესმე ატომური ომი დაიწყოს?

ა) დიახ, ამაზე მიფიქრია და ეს მაშინებს.

ბ) არ მიფიქრია.

გ) მიფიქრია და გონებაში შესაძლო თავშესაფარიც კი მიძებნია.

6. ქუჩაში საეჭვო ტიპი აგეკიდათ, როგორ მოიქცევით?

ა) შევეცდები გაქცევას.

ბ) გავჩერდები და გამოველაპარაკები.

გ) აუჩქარებლად გავაგრძელებ გზას.

7. საკმაოდ დიდი თანხა დაკარგეთ, რა რეაქცია გექნებათ?

ა) შეიძლება თავიც კი მოვიკლა.

ბ) ნათესავების დახმარების იმედი მექნება.

გ) ბანკიდან კრედიტს ავიღებ.

8. რას იზამთ, თუ ექიმმა დიდი ხნის წოლითი რეჟიმი დაგინიშნათ?

ა) არ დავემორჩილები.

ბ) ვთხოვ, უფრო მარტივი რეჟიმი დამინიშნოს.

გ) აუცილებლად დავემორჩილები.

9. ახლობელი გარდაგეცვალათ, რომელიც ძალიან გიყვარდათ...

ა) სულ ტირილში ვიქნები.

ბ) დეპრესიაში ჩავვარდები.

გ) სიკვდილი ცხოვრების განუყრელი ნაწილია.

10. მოულოდნელად შეიტყვეთ, რომ საყვარელი ადამიანი (მეუღლე) თქვენთან დაშორებას აპირებს, რას მოიმოქმედებთ?

ა) გავბრაზდები და მე თვითონ გავაგდებ.

ბ) ახალ ამბავს აუღელვებლად მოვისმენ და დავთანხმდები.

გ) მდგომარეობის გამოსწორებას შევეცდები.

11. ძილის წინ შფოთვა გახასიათებთ?

ა) დიახ.

ბ) ხშირად.

გ) იშვიათად.

12. სიბნელეში სახლში საჭირო ნივთს ადვილად პოულობთ?

ა) დიდი გაჭირვებით.

ბ) თითქმის მომენტალურად.

გ) ზოგს სწრაფად ვპოულობ, ზოგს — ვერა.

13. რა რეაქცია გექნებათ, თუ შეიტყობთ, რომ თქვენმა შვილმა რაღაც მოიპარა?

ა) შევეცდები, შვილი დავიცვა.

ბ) საშინლად დავსჯი.

გ) გავერკვევი სიტუაციაში, რა როგორ და რატომ მოხდა და შესაბამისად ვიმოქმედებ.

14. რა განცდა დაგეუფლებათ, თუ შეიტყობთ, რომ თქვენი ახლობელი ფსიქიკურად დაავადდა?

ა) შემრცხვება და არ გავამხელ, რომ ჩემი ახლობელია.

ბ) მის საქციელზე გამეცინება.

გ) გავითვალისწინებ, რომ საქმე ავადმყოფთან მაქვს.

შედეგები:

50-70 ქულა — ეს სახიფათო შედეგია, რადგან მოულოდნელი ამბავი საშინლად გაფრთხობთ და იბნევით. გირჩევთ, ასეთ სიტუაციებში მობილიზაცია მოახდინოთ და თავს შეუძახოთ, რათა მთლად უსუსური არ გახდეთ.

22-49 ქულა — როგორც სირაქლემა მალავს თავს მიწაში საშიშროების დროს, ზუსტად ასე ემალებით სირთულეებს. იმას კი ვერ ხვდებით, რომ ასეთი საქციელით მხოლოდ თავს იტყუებთ.

8-21 ქულა — კარგი შედეგია, ასე განაგრძეთ.

0-7 ქულა — იდეალური შედეგია, მაგრამ ძალიან ნუ გათამამდებით.

მარცვლეულის დიეტა

დიეტის დღეებში მარილი, შაქარი და ალკოჰოლი გამორიცხეთ. დღეში არანაკლებ 1,5 ლიტრისა სითხე დალიეთ და შედეგიც არ დააყოვნებს.

I დღე – ხორბალი

180 გ ხორბალს 3/4 ლ წყალი დაასხით და 20 წუთი ნელ ცეცხლზე ხარშეთ.

საუზმე — ხორბლის ფაფა საქარინით, 1/2 ჭიქა რძე.

სადილი — 2 ღერი მწვანე ხახვი, 1 ფინჯანი ბოსტნეულის ბულიონი და ხორბლის ფაფა.

ვახშამი — ხორბლის ფაფა ცოტა საქარინით და დარიჩინით, 125 გ იოგურტი.

II დღე – ფეტვი

180 გ ფეტვს 3/4 ლ წყალი დაასხით, წამოადუღეთ და ნელ ცეცხლზე 30 წუთი ხარშეთ.

საუზმე — 1/2 ჭიქა თბილი რძე, ფეტვის ფაფა საქარინით.

სადილი — 1 ფინჯანი ბოსტნეულის ბულიონი, ფეტვის ფაფა.

ვახშამი — 1 ცალი გახეხილი ვაშლი, ლიმონის წვენი საქარინით.

III დღე – შვრია

170 გ შვრიას 3/4 ლ წყალი დაასხით, წამოადუღეთ და კიდევ 10 წუთი ხარშეთ.

საუზმე — 1/2 ჭიქა რძე, შვრიის ფაფა საქარინით.

სადილი — ფინჯანი ბოსტნეულის ბულიონი, შვრიის ფაფა ცოტა ნივრითა და ოხრახუშით.

ვახშამი — 80 გ ხაჭო, 3 ს.კ. რძე და 1 ს.კ. კაკაო შეურიეთ და საქარინიანი შვრიის ფაფა მიატანეთ.

IV დღე – ბრინჯი

140 გ ბრინჯი 35 წუთი ხარშეთ. 1/2 კგ ვაშლი გაფცქვენით, დაჭერით და მცირე რაოდენობით წყალში მოთუთქეთ. შემდეგ მოხარშულ ბრინჯს შეურიეთ, დაუმატეთ ცოტა ლიმონის წვენი, საქარინი, დარიჩინი და მთელი დღის განმავლობაში მიირთვით.

V დღე – ქერი

180 გ ქერი და 3/4 ლ წყალი წამოადუღეთ და 10 წუთი ხარშეთ.

საუზმე — ქერის ფაფა ცოტა საქარინით და 1/2 ჭიქა რძე.

სადილი — 1 ჭიქა ბოსტნეულის ბულიონი, ქერის ფაფა ცოტა ხახვით.

ვახშამი — ქერის ფაფა, 1/2 ჭიქა ფორთოხლის წვენი, 2 ს.კ. შესქელებული რძე.

VI დღე – წიწიბურა

100 გ წიწიბურას 3/4 ლ წყალი დაასხით და ნელ ცეცხლზე 15 წუთი ხარშეთ.

საუზმე — წიწიბურას ფაფა საქარინით და ჭიქა თბილი რძე.

სადილი — ფინჯანი ბოსტნეულის ბულიონი სანელებლებით და წიწიბურას ფაფა.

ვახშამი — ჭიქა კეფირი და წიწიბურას ფაფა საქარინით.

VII დღე – მარცვლოვნების ნარევი

60-60 გ ხორბალი, წიწიბურა და შვრია აურიეთ, დაასხით 3/4 ლ წყალი, წამოადუღეთ და 20 წუთი დაბალ ცეცხლზე ხარშეთ.

საუზმე — 1/2 ჭიქა თბილი რძე, ფაფა საქარინით.

სადილი — ფაფა 3 ს.კ. ტომატ-პასტით, ფინჯანი ბოსტნეულის ბულიონი ნივრითა და სანელებლებით.

ვახშამი — ფაფას ვაშლი ჩაახეხეთ, დაუმატეთ ლიმონის წვენი, დარიჩინი და საქარინი.

Cyan Magenta Yellow Black

მკურნალობა წამლების გარეშე

მეცნიერება ყოველწლიურად წინ მიდის. ახალი სამკურნალო პრეპარატების რიცხვი განუხრელად იზრდება. რეკლამები უამრავი ახალი დასახელების საშუალებას გვთავაზობენ, რომლებიც ტკივილის, დეპრესიისა და ალერგიისგან გათავისუფლებას გვპირდებიან. ბევრ ადამიანის ჩვევად ექცა, როგორც კი თავს ცოტა შეუძლოდ იგრძნობს, მაშინვე აბებს მიაშურებს. ნუთუ ასე აუცილებელია ორგანიზმის მოწამვლა ქიმიით?! შეიძლება თუ არა ხალხური საშუალებების გამოყენება თუნდაც ყველაზე მარტივ შემთხვევებში, დაავადების პირველი სიმპტომების დროს?

სიცხის დამწევი ჰიპერსიტები

სხეულის ტემპერატურის მომატება იმის ნიშანია, რომ ორგანიზმი დაწყებულ დაავადებასთან ბრძოლაში ჩაება. სიცხის დაწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ის 39 გრადუსი და მეტია. მაშინაც კი, თუ თერმომეტრმა კრიტიკული ციფრი უჩვენა, არ ღირს მაშინვე წამლები მიიღოთ. მოსინჯეთ ხალხური საშუალებები.

ჟოლო უძველესი დროიდან სიცხის დამწევ ეფექტურ საშუალებად ითვლება. ნაყოფი შეიცავს სალიცილის მჟავას, ამიტომ გამხმარი ჟოლს ან ჟოლოს მურაბის ჩაი სიცხეს დაბლა კარგად სწევს.

თაფლი ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი სიცხის დამწევი საშუალებაა. საკმარისია ერთი სუფრის კოვზი ერთ ჭიქა თბილ წყალში გააზავოთ და ეფექტური და სასარგებლო წამალი ხელთ გაქვთ.

ვაშლის ძმრით სხეულის გაწმენდა სიცხეს დაბლა სწევს. 1 სუფრის კოვზი ვაშლის ძმარი 0,5 ლიტრ წყალში გააზავეთ. პატარა ბავშვებს ძმარში დასველებულ და კარგად გაწურულ წინდებს აცმევენ.

ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები

სადღეისოდ 200-ზე მეტი დასახელების ტკივილგამაყუჩებელი საშუალება არსებობს. თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება, გამოყენება და გვერდითი ეფექტი აქვს. შესაძლებელია ალტერნატიული საშუალებებითაც ადვილად გახვიდეთ ფონს.

გვირილას კარგი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი აქვს. მისი ნახარშის კომპრესები დაჟეჟილობისა და დალურჯების დროს ტკივილს ხსნის.

ქონი. წინასწარ მარილისგან გასუფთავებულ პატარა ნაჭერს მტკივნეულ კბილსა და ლოყას შორის იდებენ. რაც უნდა გასაოცარი იყოს, ტკივილი სწრაფად გადის.

კამის თესლები. 3 სუფრის კოვზ კამას ერთ ჭიქა მდუღარეს ასხამენ, 15 წუთი დგამენ და შემდეგ ერთ მიღებაზე სვამენ შარდის ბუშტის გაციების ან ინფექციის დროს.

ლავანდის, პიტნისა და როზმარინის ეთერზეთს თავის ტკივილის დროს, შუბლსა და კისერზე ისვამენ.

ლიმონი. ლიმონის ცედრა საფეთქლებზე 10-15 წუთი დაიდეთ, თავის ტკივილი გაივლის.

ანტიბიოტიკები

დაავადების გამომწვევი ბაქტერიებით დასნებოვნებისას ანტიბიოტიკები გამოიყენეთ, მაგრამ თანამედროვე პრეპარატებსაც კი ბევრი გვერდითი ეფექტი აქვთ — ღვიძლს აზიანებენ და ნაწლავთა მიკროფლორას არღვევენ. ალტერნატიული მკურნალობის სახით ბუნებრივი ანტიბიოტიკები გამოიყენება.

ჟოლოს ანთებისა და მიკრობების საწინააღმდეგო თვისებები გააჩნია.

ნივრის ერთ კბილს შუაზე ჭრიან და სუნს შეისუნთქავენ ანგინისა და სურდოს დროს. ყოველდღიურად რეკომენდებულია 2 კბილის ჭამა. ზედმეტის მიღება კუჭნაწლავის ტრაქტისთვის მავნეა.

ძახველი ძლიერი ანტიბიოტიკია. გაციების, ბრონქიტის, ანგინის დროს ძახველის ჩაის სვამენ. ძახველი უკუნაჩვენებია თრომბოფლებიტის დროს, ვინაიდან სისხლის შედედებას ამაღლებს.

თაფლი სასარგებლოა ხველის, ანემიის, გაციების დროს. გაცხელებისას თაფლი თავის სასარგებლო თვისებებს კარგავს. მხოლოდ თბილი სახით გამოიყენეთ.

ხახვი პათოგენურ მიკროორგანიზმებს ანადგურებს, მიკროფლორის ნორმალიზაციას ეხმარება. ხახვი ზომიერად მიღეთ, ვინაიდან მჟავიანობასა და წნევას ამაღლებს.

ბოლოკი ძლიერმოქმედი ბუნებრივი ანტიბიოტიკია. გაციებით გამოწვეული დაავადებების დროს თაფლთან ერთად იღებენ. ბოლოკი უკუნაჩვენებია წყლულებისა და თირკმლების მძიმე დაავადებების დროს.

ანტიდეპრესანტები

თუ დამამშვიდებელი და საძილე საშუალებების გამოყენება აუცილებელია, ტრანკვილიზატორებს ნუ მიმართავთ. ჯერ ხალხური საშუალებები მოსინჯეთ.

ვალერიანი, შავბალახა, პიტნა დააყენეთ, როგორც ჩაი — ნერვებს შესანიშნავად ამშვიდებს.

კრაზანაბუნებრივ ანტიდეპრესანტად ითვლება. ამ მცენარის ჩაი დაწყებულ დეპრესიას ძირფესვიანად მოაშთობს.

დარიჩინის ფხვნილის ნაყენი სასიცოცხლო ტონუსს ამაღლებს, განწყობას აუმჯობესებს.

ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებები

სხვადასხვაგვარი წარმოშობის ალერგიის სამკურნალო მზა პრეპარატები თვლემას, პირის სიმშრალეს იწვევენ. მკურნალობის ხალხური საშუალებები მოსინჯეთ.

თუ ალერგია გამოწვეულია სეზონური მცენარეების ყვავილობით, საკმარისია ყელში წყალი გამოივლოთ და ქუჩიდან დაბრუნების შემდეგ შხაპი მიიღოთ.

სამყურას ყვავილების წვენი თვალების ალერგიული დაზიანებისას კარგად ეხმარება.

ალერგიის საწინააღმდეგო უნივერსალური საშუალებაა —**ორკბილას ნაყენი.** თუ მას რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაისა და ყავის მაგივრად დალევთ, შესაძლებელია ამ სენისგან საბოლოოდ განიკურნოთ.

ხოლესაც აბები აუცილებელია

ნებისმიერი დაავადების დროს აუცილებელია ექიმს მიმართოთ და მისი კონსულტაცია მიიღოთ. თუ დაავადება თქვენ სიცოცხლეს არ ემუქრება (მაგალითად, ჩვეულებრივი გრიპი), მაშინ მკურნალობა ხალხური საშუალებებით დაიწყეთ. ზოგჯერ ის სრულიად საკმარისია, მაგრამ, თუ ადამიანს ფილტვების ანთება აღმოუჩინეს, მისი მკურნალობა ბალახების თბილი სასმელებით უაღრესად არაგონივრული და სიცოცხლისთვის საშიშია. ამ შემთხვევაში სამკურნალო მცენარეებით ალტერნატიული მკურნალობა მედიკამენტოზურს დაემატება.

ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჯანმრთელობა, განსაკუთრებით ბავშვის, მხოლოდ ექიმთან შეთანხმებით იმოქმედეთ!

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

რატომ გვიბუყბუყებს მუცელი?

ამ პრობლემის მიზეზის გასარკვევად, პირველ რიგში, საჭიროა ბევრი ნიუანსის დაზუსტება. სახელდობრ: რამდენად ხშირად გაწუხებთ მუცლის შებერილობა? როდის აღმოცენდება — მხოლოდ სადილის შემდეგ, თუ დღის განმავლობაში სხვადასხვა წახემსების დროს? სადილის შემდეგ რამდენ ხანში (მაშინვე, ნახევარი, ერთი საათის შემდეგ?) ამავდროულად გაწუხებთ თუ არა მუცელში ბუყბუყი, გულისრევა, გულძმარვა, ბოყინი? სხვა ჩივილები გაქვთ? ამ კითხვებზე პასუხის გაცემით, ექიმი ზუსტად დაადგენს შებერილობის მიზეზს. მაგრამ ხშირად ადამიანი საკვებთან ერთად ჰაერს ყლაპავს (ასეთ გამოვლენას „აეროფაგია“ ეწოდება). ისიც შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი იყოს.

ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტები მუცლის შებერილობად გულის კოვზთან სიმძიმეს აღიქვამენ. ის ჭამის შემდეგ მაშინვე აღმოცენდება, მაგრამ დაკავშირებულია კუჭის მხრიდან დარღვევებთან (მაგალითად, კუჭის წვენის დაბალ მჟავიანობასთან).

იკვებეთ ხშირად და მცირე ულუფებით. შეზღუდეთ პროდუქტები, რომლებიც აირების მომატებას ხელს უწყობენ. ასეთია: ლობიო, ბარდა, სოია, პურ-ფუნთუშეული, თხილეული, მზესუმზირის თესლები. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ბევრი ბოსტნეული და ხილი საჭმლის მომნელებელ ტრაქტში გადამუშავებისას დიდი რაოდენობით აირებს წარმოქმნიან. ხოლო ზოგიერთ ადამიანში გადამამუშავებელი ფერმენტები სუსტად ან საერთოდ არ მუშაობენ, რაც ასევე შებერილობის მიზეზია.

მოცემული პრობლემის მოგვარებას ეხმარება კამის წყალი (კამის თესლების სუსტი ხსნარი). 1-2 სუფრის კოვზი ჭამის დროს მიიღეთ.

თუ ეს რეკომენდაციები არასაკმარისია, ექიმ გასტროენტეროლოგს მიმართეთ და გამოკვლევა ჩაიტარეთ.

Cyan Magenta Yellow Black

გვპასუხობს ექიმი



— მაქვს ცხიმიანი კანი. მასწავლეს ატმის ნიღაბი. მოუხდება თუ არა ჩემს კანს? ვარ 23 წლის.

— ატმი კანს ტენს მატებს და შესაბამისად, უფრო ელასტიკურს ხდის. ატმის და გარგარის წვენი უხდება თითქმის ყველა ტიპის სახის კანს, მაგრამ მაინც გამომშრალი კანისთვის არის ეფექტური.

— რამდენიმე წელია კანზე გამიჩნდა იარა, რომელიც პერიოდულად შემახსენებს თავს, მექავება, მოოხანის შემდეგ კანი მიღიზიანდება. იარა მხოლოდ ერთ ადგილას მაქვს, მითხრეს, სოკოვანი დაავადებაა. ვიმკურნალე, მაწუხებს ერთი კონკრეტული უბანი.

— უმჯობესია მიმართოთ დერმატოლოგს. შეიძლება თქვენ ნეიროდერმატიტი გჭირთ. ნეიროდერმატიტს ახლავს ქავილი, განაკაწრები, კანის გასქელება, ფერის შეცვლა. იგი ძირითადად ნერვული სისტემის, ენდოკრინოლოგიური დაავადებებისას, განსაკუთრებით ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლისას ვითარდება. დიდი მნიშვნელობა აქვს ალერგიულ მდგომარეობას. ნეიროდერმატიტი ძირითადად მუხლქვეშ და იდაყვის ფოსოებში, კისერზე ვითარდება. ქავილი ძირითადად ღამით ძლიერდება. ექიმი-დერმატოლოგი მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად შესაბამის დიეტასაც დაგინიშნავთ.

— რითი ვუმკურნალოთ რადიკულიტს?

— პირველ რიგში, დაწექით მაგარ საწოლზე, მიიღეთ ბე ჯგუფის ვიტამინები. არ დაიდოთ ცხელი სათბური მტკივან ადგილზე, ტკივილს გაგიძლიერებთ. აუცილებლად მიმართეთ ნევროპათოლოგს. არ არის სასურველი თვითმკურნალობა. შეიძლება მიიღოთ არასტეროიდული, ანთების საწინააღმდეგო საშუალებები, სანამ ექიმთან მიხვალთ. შვებას აუცილებლად იგრძნობთ.

— ყოველდღიურად შეიძლება კორსიზის სმა?

— კორსიზი დამაწყნარებელი, სუსტი სედატიური საშუალებაა. იგი დამამშვიდებლად მოქმედებს მომატებული აგზნების, გულის კუნთის გადატვირთვის დროს. ერთი შეხედვით უწყინარი წამალია, მაგრამ მისი მიღება მაინც ექიმის დანიშნულების მიხედვით უნდა მოხდეს. ხანგრძლივი გამოყენებისას შეიძლება პრეპარატის მიმართ დამოკიდებული გახდეთ. არ არის სასურველი ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის მძიმე დარღვევების დროს. სწორი გამოყენების შემთხვევაში კი შეიძლება ადამიანის ყურადღების მოდუნება გამოიწვიოს, ამიტომ მისი მიღება საჭესთან ყოფნის დროს სასურველი არ არის.

— ვარ მუდმივად ცუდ სასაათზე, ტირილი მსურდა, გული მიჩქარდება ძალიან. რისი ბრალია?

— ადამიანი თუ შეამჩნევს, რომ გულის რიტმის დარღვევამ სტაბილური ხასიათი (ხშირი აჩქარება ან შენელება) მიიღო, აუცილებელია, სასწრაფო წესით გადაიღოს ელექტროკარდიოგრამა და მიმართოს კარდიოლოგს. უპრიანი იქნებოდა, თუ ნევროპათოლოგთან გაივლიდით კონსულტაციას. ჩამოთვლილი ჩივილების მიხედვით თქვენ ალბათ ვეგეტონევროზი გჭირთ, რაშიც გადამწყვეტი თქვენივე განწყობაა.ვეგეტონევროზის დროს ნერვული სისტემის ორგანული დაზიანება (სტრუქტურული შეცვლა) არ მიმდინარეობს. ამ დროს ორგანიზმი ყველაფერზე რეაგირებს, იცვლება გუნება-განწყობა, ქვეითდება შრომისუნარიანობა, ზოგჯერ კანი მშრალია, გაფერმკრთალებული, გაძლიერებულია ოფლიანობა, აღინიშნება სისხლის წნევის მკვეთრი მატება. სისხლში შეიძლება მცირე ცვლილებები მიმდინარეობდეს.ვეგეტონევროზის დროს მიიღეთ კუნელის, ვალერიანის, „პუსტირნიკის“, კორვალოლის წვეთების ნარევი დღეში სამჯერ 20-20 წვეთი. შემდეგ ნელ-ნელა დოზა შეამცირეთ. თუმცა ეს მკურნალობის კურსი არ არის, იგი მდგომარეობას დროებით შეგიმსუბუქებთ. ნევროპათოლოგის ჩარევა შეიძლება აუცილებელი გახდეს.

— როგორ მოვუარო მშრალ თმას?

— მშრალი თმა ზოგჯერ ქერტლის გაჩენის მიზეზი ხდება. ზოგი დერმატოლოგი მიიჩნევს, რომ მშრალი თმა კვირაში ერთხელ უნდა დაიბანო, რაც ზოგჯერ ძალიან შემაწუხებელი ხდება. უმჯობესია, იხმაროთ მშრალი თმისთვის განკუთვნილი სპეციალური შამპუნები და ბალზამები. ორ კვირაში ერთხელ თმაში შეიზილეთ აბუსალათინის ზეთი. ნახევარი საათის შემდეგ ჩვეულებრივი წესით დაიბანეთ.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

„მზის ვიტამინი“ გაციების წინააღმდეგ

გაციების და გრიპის საუკეთესო პროფილაქტიკად ყოველთვის ასკორბინის მჟავა ითვლებოდა, მაგრამ უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, უმჯობესია არაC ვიტამინს, არამედ D ვიტამინს მიეძალოთ. ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ გრიპითა და გაციებით დაინფიცირების რისკს სანახევროდ სწორედ „მზის ვიტამინი“ ამცირებს.C ვიტამინის ეფექტურობა უფრო დაბალია.

მკვლევართა აზრით,D ვიტამინი უფრო ეფექტურია, ვიდრე ვაქცინაცია, თუმცა აცრები მაინც საჭიროა, ვინაიდან ვაქცინები შეძენილი იმუნიტეტის ფორმირებას ახდენენ, ხოლო ვიტამინD ორგანიზმის ბუნებრივ დამცავ ძალებს ამაღლებს.

ჯანმრთელობაზე ზრუნვისას არ დაგავიწყდეთ: ჰიპერვიტამინოზი ისევე საშიშია, როგორც ჰიპოვიტამინოზი.C ვიტამინის სიჭარბე საწინააღმდეგო ეფექტს იწვევს — იმუნიტეტს თრგუნავს და სისხლძარღვების ტონუსს მკვეთრად აქვეითებს. ხოლო D ვიტამინის ნამეტი კალციუმის მარილების შინაგან ორგანოებში დალექვითა და ძვლების დემინერალიზაციით იმუქრება.

გახსოვდეთ: ორგანიზმის დღიური მოთხოვნილებაD ვიტამინზე 0,01 მგ-ია, ხოლოC ვიტამინზე — 75-100 მგ.

მტაწლის სიკეთე

ბროწეული ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ხილია დედამიწაზე. ის ცნობილია უძველესი დროიდან. სამკურნალოდ გამოიყენება ბროწეულის წვენი, რომელშიც ბევრი ვიტამინი, გლუკოზა, ლიმონის, ვაშლის და მჟაუნას მჟავაა. მჟავიანობის მიხედვით, წვენიD ჯგუფად იყოფა: ტკბილი, ტკბილ-მჟავე და მჟავე. მჟავე წვენი აუცილებლად წყლით უნდა გაიაზავოთ, ვინაიდან მასში ბევრი მჟავაა.

ბროწეულის ტკბილი-მჟავე გემო მადას აღვიძებს, საჭმლის მონელებას აუმჯობესებს. ამავდროულად ბროწეული დაბალკალორიულია (100 გრამში 30 კკალორიაა).

წყალში გაზავებული ბროწეულის წვენი შეგიძლიათ ანგინის დროს ყელში გამოივლოთ, ხოლო სტომატიტის დროს ბროწეულის ქერქის ნახარში გამოიყენეთ. 20% გრამ დაქუცმაცებულ ქერქს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 30 წუთი ადუღეთ, გაწურეთ და მოცულობა 1 ჭიქამდე დაიყვანეთ.

ფრჩხილის ბუდის ანთების, ჩირქოვანი წყლულის, ყურისა და ცხვირის დაავადებების დროს, ბროწეულის დანაყილი თესლები და თაფლი აურიეთ და მაზის სახით გამოიყენეთ. კანზე ნახეთქების, ნაკაწრის დროს მოსაფრქვევად ქერქის ფხვნილი იხმარეთ.

სისხლნაკლულობის დროს ბროწეულის წვენი 0,5-1 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე დალიეთ. ამავდროულად წვენისა და კანის ფხვნილისგან დამწვრობას მკურნალობენ. სხეულის დაზიანებული ნაწილის ზედაპირზე ჯერ წვენი წაისვით, შემდეგ გამხმარი ქერქის ფხვნილი მოაფრქვიეთ.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

1. მთის მასივი ეგრისის ქედზე; 2. თანამდებობის პირის წარწერა რაიმე დოკუმენტზე, რაც მასზე თანხმობას ნიშნავს; 3. ძველბერძენი პოეტი ქალი; 4. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 5. რისამე გარკვეული რაოდენობა; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. ჟარგონული მიმართვა; 8. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული მცენარე; 9. მისაღები თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ უხდიან; 10. ალკოჰოლური სასმელი; 11. თვალების უნებლიე სწრაფი მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით; 12. ტკივილის შეგრძნების დაკარგვა; 13. გემის მზარეული; 14. ხის მოჭრისას მიწაში ჩარჩენილი ნაწილი; 15. „... მიუნჰაუზენის თავგადასავალი“; 16. გერმანული ავტომობილი; 17. უტყეო, ბალახოვანი ზონა რუსეთში; 18. გარიჟრაჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ცდის გარეშე, იმთავითვე; 20. ცირკის მოედანი; 21. დოღი სხვადასხვა ასაკის ცხენების მონაწილეობით; 22. ... სარაჯიშვილი; 23. შოტლანდიელი მამაკაცის ქვედატანი; 24. სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელი; 25. დიდი, კრემიანი ნამცხვარი; 26. შაშის სახეობა; 27. თეატრის კოლექტივი; 28. მიწისქვეშეთის ერთ-ერთი მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში; 29. ბურუსი, ჯანღი; 30. ... ბარდემი; 31. ბუნებრივი საღებავი; 32. შორისდებული, რომელიც აღტაცებას, ნატვრას, გაოცებას ან დალოცვას გამოხატავს; 33. ლუდის სასმისი; 34. ნიგერიის ფულის ერთეული; 35. ... კაპური; 36. „... იტყვის ხალხი“; 37. ... შილდსი; 38. ბერძნული ანბანის ასო; 39. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 40. ერთცხენიანი საქირაო ეტლი ინგლისში; 41. ქართული გაზეთი; 42. სილის გორაკი უდაბნოში; 43. პატრიარქის ძალაუფლების ერთ-ერთი ნიშანი; 44. ბილიარდის ჯოხი; 45. მოკლე ორლესური მახვილი; 46. თაღი; 47. თხრობითი მხატვრული ლიტერატურა; 48. შეძახილი ცეკვისას; 49. მაგდანას ვირის სახელი; 50. ჯადო, გრძნება; 51. მძიმე შემთხვევა, უბედურება; 52. სოფელი ლაჩრეთის რაიონში; 53. თოვლზე სასრიალო საზიდარი; 54. მოთხრობითი ბრუნვა; 55. ცხენის კისრის ნაწილი; 56. არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი; 57. ფრენბურთის მსგავსი სპორტული თამაში; 58. ჩქარტემპიანი პატარა მუსიკალური ნაწარმოები; 59. რუსი კოსმონავტი; 60. თავისუფალი ფორმის ნარკვევი; 61. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 62. ექვს-რვანიჩბიანი ვიწრო მსუბუქი ნავი; 63. თიხის მრგვალი ჭურჭელი მჭადის გამოსაცხობად; 64. მხატვარი ... ჯაფარიძე; 65. ფრანგი მწერალი, წარმოშობით რუსი.

სიტყვა-კოდი

1	2	3	4	5	6

ერთმანეთში დახვლანჯული რამ (მაფი, თოკი)

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ემი; 2. არგონი; 3. ორე; 4. მანონ; 5. ორგია; 6. მარანი; 7. უნაგირი; 8. ელი; 9. კოდალა; 10. სუ; 11. ასაკი; 12. კაჭკაჭი; 13. ეტლი; 14. სიგარა; 15. ადა; 16. დასი; 17. კიევი; 18. ტარ; 19. სპირიჩუელსი; 20. ანორექსია; 21. ატა; 22. ტაიჭი; 23. პატიო; 24. აარე; 25. კარბიდი; 26. პასტილა; 27. მის; 28. ლიონ; 29. სკა; 30. საუნა; 31. ბი; 32. როზგი; 33. ტაპიორი; 34. აკინაკი; 35. სიო; 36. მიომა; 37. ტირე; 38. სერაფიმი; 39. აპერიტივი; 40. ბატატი; 41. პატერი; 42. ნო; 43. პანტა; 44. მესტია; 45. ანფასი; 46. სერვიზი; 47. ტერმინატორი; 48. სმალტა; 49. სენატი; 50. ასი; 51. სან; 52. ერგი; 53. იგრეკი; 54. კატა; 55. რა; 56. ფრონტი; 57. ასო; 58. მზად; 59. კაა; 60. დანტე; 61. პენსია; 62. ანდანტე. **სურათებზე:** მარია სორტე; ხოაკინ კორტესი; ჰეიდენ კრისტენსენი; ჰიზერ გრემი.

ჯოდი: ჭვინტა

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ხომალდის ტვირთი
2. მეორე ნოტი
3. იუპიტერის თანამგზავრი
4. ყვავილი
5. კილიანი ხორბალი
6. წიგნთა წიგნი
7. წარმოდგენა
8. ნაბიჯი ბალეტში
9. საგრილობელი
10. ... სუმაკი
11. ტრანსპორტის სახეობა
12. „... დამაცადე“
13. თხის ჯოგი
14. სიგრძის საზომი ერთეული
15. ფილმი „ადამიანი...“
16. მცენარის ნაწილი
17. ბავშვის მოსანათლი ჭურჭელი
18. სამანძიანი ხომალდი ძველად
19. ინდონეზიის კუნძული
20. ტაბლეტი
21. ტატოს ლექსი
22. ხურდა ფული დანიაში
23. სარწყავი არხი
24. სამიანი ნარდში
25. ალგორითმული ენა

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ორიგინალი; 2. რუ; 3. გო; 4. სულავესი; 5. ლუდი; 6. ივ; 7. აგრაფია; 8. აგა; 9. რაბინი; 10. ლუდვიგ; 11. ეტა; 12. „ალია“; 13. ბარაბა; 14. ნანი; 15. ვო; 16. ილინოისი; 17. ფიტინი; 18. აბრაზია; 19. ანტალია; 20. ასა; 21. ილი; 22. მატე; 23. ბალი; 24. სი. **სურათებზე:** სუბარუ; ფიატი; სააბი; ვილისი.

Cyan Magenta Yellow Black

უნაყოფო ბროლი

ძველად შეიძლება მოიძებნოს ისეთი სუფთა და გამჭვირვალე ქვა, როგორიცაა ბროლი. თითქოს პრიზმაა, რომელშიც მთელი სამყაროს დანახვა შეიძლება. არცთუ დიდი ხნის წინ შეუძლებელი იყო სახლის წარმოდგენა ბროლის ჭურჭლისა და ბროლის ჭაღის გარეშე. მაგრამ მოდა შეიცვალა და მასთან ერთად ჩვენი ბინის შემავსებლებიც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბროლი დაძველდა — კლასიკა ყოველთვის მოდაშია! მით უფრო, ბროლი სახლს სისუფთავის ენერგიითა და ჰარმონიით ავსებს.

მთის ბროლი კვარცის სახესხვაობაა, რომლის ფუძეში, თავის მხრივ, კაუბადის მინერალია (მასთან დაკავშირებულია დედამიწაზე სიცოცხლის განვითარება). ლეგენდის მიხედვით, ბროლი ოთხი ელემენტის (მიწის, წყლის, ცეცხლისა და ლითონის) შერწყმის შედეგად წარმოიქმნა. ძველი ალქიმიკოსების აზრით, სწორედ ეს ანიჭებს მას საოცარ ენერგეტიკულ თვისებებს.

ბროლი დადებითი ენერგიის ძლიერი გენერატორია და სწორედ ამ მიზნით გამოიყენება. სივრცეს ნეგატიური ენერგიის ზეგავლენისგან ასუფთავებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბროლის კრისტალების მახვილი ბოლოები ყველაზე ძლიერ გამწმენდად ითვლება, მათგან დადებითი, ნათელი ენერგია მოედინება. პოზიტიური ენერგიის მოსაზიდად ბროლის კრისტალები ფანჯრებზე ან შენობის ცენტრალურ ნაწილში ჩამოკიდეთ. მაგრამ კრისტალი ფანჯარაზე მხოლოდ დღისით მუშაობს, როდესაც მზის სხივები ეცემა. ხოლო ოთახის ცენტრში ბროლის ჭაღი დადებით ენერგიის უფრო ეფექტურად მოზიდვას დღე-ღამის ნებისმიერ დროს ახდენს. ამავდროულად, დიდი ზომის წყალობით, ბროლის ჭაღი ენერგიის ნაწილს სხვა ოთახებშიც მიმართავს.

სასარგებლოა ბროლის პატარა პირამიდა ან ბროლის ფიგურა ბავშვის სამეცადინო მაგიდაზე იდოს: ეს შემოქმედებითი შესაძლებლობების ზრდას და ყურადღების კონცენტრაციას ეხმარება. ბროლისთვიანი ბეჭედი ღამით ცუდი სიზმრებისა და აკვიატებული ფიქრებისგან იცავს, ხოლო დღისით ათბობს და ყველაზე მნიშვნელოვანზე გულისყურის მოკრებაში ეხმარება.

მთის ბროლი სამკურნალო თვისებებით შეუდარებელია! ძველად ბროლის ჭურჭელს იმ მიზნით ამზადებდნენ, რომ ასეთი ჭურჭლიდან ჭამა ჯანმრთელობას ეხმარებოდა და სხვადასხვა დაავადებას კურნავდა. ბროლი კურნავს ლიმფურ სისტემას, კბილებისა და ღრძილების დაავადებებს, სასუნთქ სისტემას, თირკმლებს, შარდის ბუშტს, ორგანიზმიდან ქვები გამოაქვს. გარდა ამისა, ბროლი მეხსიერებას აუმჯობესებს, გულისა და თავის ტვინის მუშაობას ეხმარება, ნერვული სისტემის მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

მურაბის სარგებლობა: მიკრობებს ანადგურებს და ჰიპერტონიას ებრძვის

მურაბას, ჯემსა და ხილფაფას ორგანიზმიდან მავნე ქიმიური ნაერთები გამოაქვს. საქმე ისაა, რომ პექტინები, რომლებსაც როგორც ქორფა, ასევე დამუშავებული ხილი შეიცავს, მძიმე ლითონებს ბოჭავენ და ორგანიზმიდან გამოაქვთ. ამიტომ არაკეთილსასურველი ეკოლოგიის პირობებში მცხოვრებთათვის რეკომენდებულია შოკოლადისა და კანფეტების მაგივრად პირი მურაბით ჩაიტკბარუნონ.

ბევრისთვის მურაბა, ჯემი და ხილფაფა სინონიმური სიტყვებია, თუმცა მათ შორის განსხვავება მაინც არის.

მურაბა. ნაყოფმა ქილაში თავისი ფორმა უნდა შეინარჩუნოს და არ უნდა დაიშალოს.

ჯემი და კონფიტიური. რასაც ინგლისელები ჯემს უწოდებენ, ფრანგები მას კონფიტიურს ეძახიან.

ხილფაფას პიურესგან ამზადებენ.

რისგან ხარშავენ მურაბას — ეს გემოვნების საქმეა. თითოეული თავისებურად სასარგებლოა.

ქაცვის მურაბა. ერთადერთი კენკრაა, რომელიც გაცხელებისასC ვიტამინს ინარჩუნებს. ამიტომ მურაბა არანაკლებ სასარგებლოა, ვიდრე ქოფრა კენკრა. ეს ვიტამინი კი ქაცვში ნამდვილად ბევრია. C ვიტამინის შემცველობით 6-ჯერ აჭარბებს შავ მოცხარს და 15-ჯერ ციტრუსებს. ასე რომ, ნარინჯისფერი კენკრის მოყვარულებს ძლიერი იმუნიტეტი გარანტირებული აქვთ. გარდა ამისა, ეს კენკრა შეიცავს ფიტონციდებს, როგორც მეორენაირად უწოდებენ, ბუნებრივ არტიბიოტიკებს. ფიტონციდები ორგანიზმში ანთებით პროცესებს ებრძვიან, დაავადების გამომწვევი მიკრობების გამრავლებას აბრკოლებენ. ამიტომ ქაცვის მურაბა გაციების საწინააღმდეგო შესანიშნავ საშუალებად ითვლება.

შტოშის მურაბა. სისხლში მავნე ქოლესტეირინის დონეს ამცირებს და ჰიპერტონიას ებრძვის. წნევის დაწევა შტოშის შარდმდენი ეფექტის წყალობით ხდება. ბევრი სხვა შარდმდენი საშუალებისგან განსხვავებით, შტოში ორგანიზმიდან სასარგებლო კალიუმს არ გამორიცხავს. შტოში აბრკოლებს ბაქტერიების, მათ შორის წყლულის გამომწვევი ბაქტერიის გავრცელება-გამრავლებას.

შავი ცირცელის მურაბა. ჰიპერტონიკებმა იციან, რომ საკმარისია ორი კოვზი შავი ცირცელის მურაბის ჭამა და წნევა მაშინვე დაწევას დაიწყებს. ხოლო შრომისდამკვრელები შავი ცირცელის მურაბას აფასებენ იმ თვისების გამო, რომ ფიზიკურ და გონებრივ დაძაბულობას სწრაფად ხსნის.

ქლიავის მურაბა. ქლიავი დამუშავების დროს ბევრ სასარგებლო ნივთიერებას ინარჩუნებს. ეს ხილი განსაკუთრებით სასარგებლო მათთვის, ვინც თავის სისხლძარღვებზე ზრუნავს. საქმე ისაა, რომ ქლიავი მდიდარი წყაროK ვიტამინის (სისხლის შემადგენლობას აუმჯობესებს, თრომბის წარმოქმნას თავიდან აგაცილებთ) და P ვიტამინის (როგორც მსხვილი არტერიების, ასევე წვრილი კაპილარების კედლებს ამაგრებს).

ლუდი — მამაკაცებისთვის მავნე, ქალებისთვის სასარგებლო?

ამბობენ, რომ ლუდში არსებობს ნივთიერება, რომელიც მამაკაცებისთვის მავნეა. ამავდროულად ქაფიანი სასმელი ქალების ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება. რამდენად სწორია ეს მოსაზრება?

საქმე ისაა, რომ ლუდის ერთ-ერთი მთავარი ინგრედიენტი სვია ე.წ. ფიტოესტროგენებს — ქალის სასქესო ჰორმონების მცენარეულ ანალოგებს შეიცავს. მამაკაცის ორგანიზმში დიდი რაოდენობით მოხვედრისას, ფიტოესტროგენები რეპროდუქტიული სისტემის მუშაობას არღვევს, მამაკაცის ფემინიზაციას იწვევს.

არც ქალებისთვის არის სასარგებლო ქაფიან სასმელზე მიძალება. ლუდის ჭარბი მოხმარება მათში ციკლის დარღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის ლუდით გატაცება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს ავითარებს. არსებობს ასეთი დარღვევის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი „ლუდისმიერი გული“. ამ დროს გული მოცულობაში იმატებს და სრულფასოვნად მუშაობა არ შეუძლია. რა თქმა უნდა, არც ქალებმა და არც მამაკაცებმა არ უნდა დაივიწყონ ის, რომ ლუდი, ისევე როგორც ნებისმიერი ალკოჰოლი, მასზე დამოკიდებულებას იწვევს.

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები



— ჯოვ, სად იშოვე ე მახინჯი ქალი? — ეკითხება ჯახელი შვილს.

— ხა ვქნა, მამი, შამიყვარდა!

— ეი მაგრამ ქალიშვილი მაინც თუ არი?

— აბა ხა, მამი, განა ვინ მიახტებოდა ამისთანა მახინჯსა?!

— ხათ გადავჭეხი, ჯოვ, ღეიძელა ხაზი? — ეჩხუბება ჯახელი ჰატხელი შაქოს.

— გადავჭეხი, ჯაცო, გადავჭეხი. ხა ვქნა ეხლა, ავიღო და ეთიმანეთზე გადავფსჯვნა?

მამამ შვილი სასტიკად სცემა.

— თუ იცი მაინც, რატომ გცემე? — ეკითხება ბოლოს.

— იმიტომ, რომ დეგენერატი ხარ!

❖ ❖ ❖

მიხომ ქალაქელი ცოლი მოიყვანა. სამი დღის შემდეგ ცოლი ეუბნება:

— მიხოვ, ყავა გაგვითავდა. წადი, დააფქვევინე.

— ჩვენი წისქვილი აგე მეორე თვეა, არ მუშაობს.

❖ ❖ ❖

ჟურნალისტები ბიძინა ივანიშვილს შემოეხვივნენ:

— ბატონო ბიძინა, თქვენ ხალხს დაპირდით, რომ საამური ცხოვრება ექნებოდათ და ხმა მოგცეს. როდის იქნება საამური ცხოვრება?

— როცა ხალხი იმ გაგებამდე მივა, რომ გაგებით უნდა მოეკიდონ ცხოვრებას.

❖ ❖ ❖

თანამშრომელი შეფთან შევიდა და ეუბნება:

— ძალიან დიდი ბოდიში, უფროსო, მაგრამ არ მომწონს, ჩემს ცოლთან რომ წევხარ ხოლმე.

— ჰო, ამ ბოლო დროს რაღაც მეც აღარ მომწონს.

❖ ❖ ❖

ერთი გურული მეორეს:

— აუ, რა სიცხეა, ძამა, მე მგონი, 45 გრადუსია ჩრდილში!

— შე კაცო, გაი მერე ჩრდილში, რეიზა იკლავ თავს?!

❖ ❖ ❖

— ბატონო, მე თქვენი ქალიშვილს ხელს გთხოვთ!

— მარტო ხელს, ყმაწვილო?

— რა თქმა უნდა, არა. ხელი მეც კი მაქვს, მაგრამ არ ყოფნის საქმეს.

❖ ❖ ❖

— სად ეგდე მთელი ღამე?

— უყვირის ცოლი ქმარს.

— საყვარელო, გახსოვს, შენ რომ მეუბნებოდი, მე რომ შენი ცოლი არ გავმხდარიყავი, ნეტავ, სად წახვიდოდიო?

— მერე?

— იქ ვიყავი.

❖ ❖ ❖

— პორფირიჩ, ღვინო გიყვარს თუ ქალი?

— გააჩნია, რომელი რა ასაკისაა.

❖ ❖ ❖

— ძვირფასო, ყავა გინდა?

— ძალიან.

— მაშინ შენთვისაც მოადუღე.

❖ ❖ ❖

— ერთგული ქალია ჩვენი ნატაშა.

— რაღა ერთგულია, მეოთხედ გათხოვდა უკვე.

— სამაგიეროდ საყვარელი ჰყავს ერთი და იგივე.

❖ ❖ ❖

— კარგი, რა, მამი, რა უყურადღებო და დაუკვირვებელი ხარ, — საყვედურობს კახელს შვილი.

— ყურადღებიანი და დაკვირვებული რომ ვყოფილიყავი, შენ არ დაიბადებოდი.

❖ ❖ ❖

— ქალო, დღეს სტუმრები უნდა მოვიდნენ და ვახშამი მოამზადე.

— როგორი ვახშამი?

— რას ჰქვია, როგორი?!

— მომავალშიც რომ მოვიდნენ თუ საერთოდ აქეთ რომ აღარ გამოიხედონ?

❖ ❖ ❖

— წარმოგიდგენია? თურმე ჩემი ქმარი მღალატობს! შენ რას მირჩევ, ვუთხრა თუ არ ვუთხრა?

— შენ გგონია, არ იცის?

❖ ❖ ❖

დედა-შვილი ქუჩაში მიდიან. ქალს ძველი ნაცნობი შეხვდა და მიესალმა. ბავშვი მორცხვობს.

— ნუ გერიდება, შვილო, — ეუბნება დედა, — მიესალმე ძიას ვაუკაცურად, ისე, როგორც მამიკო ესალმება ხოლმე ძმაკაცებს.



მახო სახესთან ტრიალებს და მიხოს ეუბნება:

— ჰაა, ჩოგო გამოვიყენები?

— ეგ ხაა, შენ სხვები უნდა ნახო!

— ვაა, პრივეტ, იდიოტო! სად ტრაკში დაიკარგე, შე ჩემა?

❖ ❖ ❖

— მამი, ჩემი ტოლი რომ იყავი, კომპიუტერი და ინტერნეტი გქონდა?

— არა, მე ბავშვობა მქონდა.

❖ ❖ ❖

— იცი, ეთერიე წუხელ ვისთან იწვა, სიმონ? გედეირევი, რომ გეიგო.

— ვისთან, კოწიასთან?

— არა.

— რეზიკოსთან?

— არა.

— აპა, თემურასთან?

— არა.

— აპა, ახალი საყვარელი გეიჩინა და იმასთან?

— ხომ გითხარი, ვერ მიხვდები-თქვა... ვისთან იწვა და თავის ქმართან.

— შენმა ძაღლმა მიკბინა, კომპენსაცია უნდა გადამიხადო, — ეუბნება მეზობელი ქეთისელს.

— საღამომდე უნდა მოიცადო.

— საღამოს ხას იზამ?

— სახლში მოვა, დავიჭეხ, დაგიძახებ და შენც უკბინე.

— შენმა ძაღლმა ოთხი ქათამი შემიჭამა, ხავა, სახლში ახ აჭმევ? — ეკითხება გუხელი მეზობელს.

— სა მყავს მე უბედუხს ქათმები!

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ალან ალექსანდრ მილნი

დასაწყისი №37-42

წითელი სახლის საიდუმლოება

— ევრიკა! — შესძახა ბილმა, — ვიპოვეთ!

ენტონიმ სექცია უკან დააბრუნა, ბილს ასშერი გამოართვა, თავის ადგილზე დადო და მეგობარს მიუბრუნდა:

— ჰო, გაგვიმართლა. ისე კი, ბავშვური თამაშია, ვატსონ, მეტი არაფერი.

— თამაში? კი მაგრამ, რანაირად?

ენტონიმ მხიარულად გაიცინა:

— სინამდვილეში ახსნა-განმარტება არ გაინტერესებს. უბრალოდ, ვატსონს თამაშობ, რასაც ძალიან ვაფასებ.

— არა, ტონი, ვფიცავარ!

— ჩემო ძვირფასო ბილ, მოდი, ჯერ ტახტზე ჩამოვსხდეთ და ჩვენი ჭკვიანური დიალოგი მერე გავაგრძელოთ.

ასეც მოიქცნენ. ენტონიმ უხმოდ გააბოლა, მერე კი განაგრძო:

— როცა საიდუმლოს ფარდა ეხდება, გიკვირს, როგორ შეიძლებოდა, ეს საერთოდ საიდუმლო ყოფილიყო. ეს ყველაზე თვალსაჩინოდ ფოკუსების დროს ჩანს. საიდუმლო გასასვლელი, რომელზეც ვსაუბრობთ, წლების განმავლობაში არსებობდა და დღესაც არსებობს. მისი ერთი ბოლო ბიბლიოთეკაშია, მეორე კი იმ თხრილთან, გოლფის მოედანს რომ არტყია, თუმცა... შეიძლება იქ არც იყოს.

— როგორ? — გაუკვირდა ბილს, — ხომ ვნახეთ ხვრელი?

— უფრო ლოგიკური იქნებოდა, მეორე ბოლო ფარდულში იყოს, იქ რომ დგას.

— იქნებ ვერ შევნიშნეთ და არის კიდეც?

— ადვილი შესაძლებელია. ნაბიჯების ხმამ დაგვაბნია და წესიერად ვერ მოვძებნეთ, მაგრამ ეს გამოსწორებადია.

— რანაირად?

— თუ აქედან შევალთ და ფარდულში აღმოვჩნდებით, ეს ვარაუდი გამართლდება.

— მერე ხვრელი?

— იქნებ ის რომელიმე ნადირის ბუნაგია და მეტი არაფერი?

— არც ესაა გამორიცხული. მოკლედ, ასეა თუ ისე, მარკმა ეს საიდუმლო გზა აღმოაჩინა და მისი შენიღბვა გადაწყვიტა, სხვებსაც რომ არ ენახათ. იმ ბოლოზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, აქ კი, როგორ გგონია, რა მოიფიქრა?

— ვერ ვხვდები, — აღიარა მცირე ფიქრის შემდეგ ბილმა.

— ამ ადგილზე ყველაზე უინტერესო წიგნები დააწყო, ანუ ვიქტორიანული ეპოქის აღსარებების კოლექციები, რაც დღეს აღარავის აინტერესებს.

— რა ჭკვიანი ხარ, ტონი!

— შენი ნათქვამი შეიძლება მართლა დავიჯერო, რაც ჩემთვის საზიანოა, არადა მისი მოსმენა ძალიანაც მსიამოვნებს.

— ახლა ისღა დაგვრჩენია, გზას გავუდგეთ.

— რომელ გზას, ვატსონ?

— ცხადია, ამას, ახლა რომ მივაგენით.

— არა, — ენტონიმ თავი გააქნია.

— რატომ?

— იქ რის პოვნას ელი?

— არ ვიცი. თავად ამბობდი, შეიძლება რამე სასარგებლოს მივაგნოთო.

— ვთქვათ, მარკს?

— მისმინე. მართლა ფიქრობ, რომ ის იქ არის?

— რომ იყოს?

— მაშინ არ ვიცი.

ენტონი ბუხართან მივიდა, ჩიბუხი დაბერტყა და უკან დაბრუნდა. სიჩუმე მისმა ხმამ დაარღვია:

— რას ეტყვი? ანუ როგორ მოიქცევი?

— მარკს თუ ვნახავთ?

— ჰო. დაპატიმრებას დაუპირებ თუ მის შველას შეეცდები?

— მე... მე... რა თქმა უნდა... არა, არ ვიცი.

— საქმეც მაგაშია. ჯერ გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. ასე არაა?

ბილს არ უპასუხია. აშკარად დაბნეული იყო. მართლა ვის მხარეს დაიჭერს, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, მარკისას თუ კანონისას?

— ვერც იმას ეტყვი: „ჰელოუ, მარკ! როგორ ხარ?“.

ბილი წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. მებაღე გაზონების ბალახს კრეჭდა. დღე ისეთივე ცხელი უნდა ყოფილიყო, როგორც გუშინ. მას მარკი საერთოდ გადაავიწყდა, ენტონის წამოწყებული დეტექტიური თამაში მართლა თამაშად ეჩვენებოდა და არა რეალური ტრაგედიის რეალურ გამოძიებად.

ის მეგობრისკენ შემობრუნდა:

— საიდუმლო გზა ნაპოვნია. შიგ შესვლას აპირებ თუ არა?

ენტონიმ მკლავზე გამოსდო ხელი:

— მოდი, ისევ გავისეირნოთ. ახლა ვერ შევალთ. როცა კეილი ასე ახლოსაა, გარისკვა სახიფათოა. ბილ, მეც იმავეს ვგრძნობ, რასაც შენ. ცოტა მეშინია, მაგრამ რის, კარგად ვერ გამიცნობიერებია. მოკლედ, საქმე ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გავაგრძელოთ. ასეა, ხომ?

— რასაკვირველია, — ბილის პასუხი კატეგორიული იყო, — აუცილებლად.

— მაშინ, თუ საშუალება მოგვეცემა, საქმეს დღის მეორე ნაწილში შევუდგეთ ან თუ არა, ღამით.

მათ ვესტიბიულში გაიარეს და მზის შუქზე გავიდნენ.

— ენტონი, მართლა ფიქრობ, რომ იქ მარკს ვნახავთ? — შეეკითხა ბილი.

— არაა გამორიცხული, — მიუგო ენტონიმ, — მარკს ან... — მან სწრაფად შეიკავა თავი: „არა, არა! ამგვარი ფიქრი დაუშვებელია!.. ჯერჯერობით მაინც“.

ბორისკენ მიმავალ ინსპექტორ ბერჩს მისტერ ჯილინჰემი და მისტერ ბევერლი შემოხვდნენ.

— დღე მშვიდობისა, ჯენტლმენებო! — ღიმილით მიესალმა მათ ბერჩი, — ჩემს დასახმარებლად ხომ არ წამოხვალთ?

— ტბის ფსკერის გაჩხრეკას გულისხმობთ? — დაინტერესდა ბილი.

— დიახ.

ენტონი შეიშმუშნა:

— ახლა არ გვცალია. თუ შეიძლება, მერე მიამბეთ, რას იპოვით.

— აუცილებლად.

— აბა, წარმატებას გისურვებთ, თუმცა არა მგონია, მაგ გუბურაში რამე საინტერესოს წააწყდეთ. გაქცეულისთვის არც ისე მოსახერხებელი ადგილია.

— იგივე თქვა მისტერ კეილიმ, გუბურა რომ ახსენა, მაგრამ შემოწმება მაინც საჭიროა. ამგვარ საქმეებში მოულოდნელობები არც ისე იშვიათია.

— მართალი ბრძანდებით, ინსპექტორო. აბა, ჯერჯერობით, მეტს აღარ დაგაყოვნებთ, — ენტონიმ თავაზიანად გაუღიმა.

— კარგად, სერ.

— წარმატებით, — თქვა ბილმა.

ენტონი ისე დიდხანს გასცქეროდა მიმავალ ინსპექტორს, რომ ბილმა სახელოზე მოქაჩა და თითქმის გაბრაზებულმა უთხრა:

— რა ხდება?

ენტონიმ ნელა გადააქნია თავი:

— არ ვიცი. მართლა არ ვიცი. ის, რასაც მე ვფიქრობ, სრული ოხრობაა. არ შეიძლება ასეთი ცივი, უსულგულო იყოს.

— ვინ?

ენტონის პასუხი არ გაუცია, უკან გამობრუნდა, ბაღის იმ სკამთან მივიდა, ადრე რომ ისხდნენ, დაჯდა, თავი ხელებს დააყრდნო და ჩაილაპარაკა:

— იმედია, რამეს იპოვიან.

— ტბორში?

— ჰო. მაგრამ რას?

— ნებისმიერ რაღაცას, ბილ, ნებისმიერს.

ბილი განაწყენდა:

— მისმინე, ტონი, ასე არ გამოვა. რაღაცეებს შენთვის ფიქრობ, მე კი არაფერს მიზიარებ.

ენტონიმ თავი ასწია და გაკვირვებით შეხედა მეგობარს:

— განა არ გაიგონე, რა თქვა?

— რა?

— რა და, ტბის დათვალიერების იდეა კეილის ეკუთვნოდაო.

— აი, თურმე რა! — ბილი კვლავ აღელდა, — გინდა თქვა, რომ მან იქ რაღაცა დამალა?

— პირიქით, ვშიშობ, რომ არაფერი დაუმალავს.

— ეს როგორ?

— როგორ ფიქრობ, რომელია ყველაზე უსაფრთხო ადგილი რამის დასამალავად?

— ის, რომლის გაჩხრეკის იდეა არავის მოაფიქრდება.

— უკეთესი ადგილიც არსებობს.

— რომელი?

— სადაც უკვე ეძებეს და ვერაფერი

Cyan Magenta Yellow Black

იპოვეს.

— გინდა თქვა, რომ... კეილი მერე დამალავს ტბაში რაღაცას? — ბილს თვალები გაუფართოვდა.

— ვშიშობ, რომ ასეა.

— რატომ შიშობ?

— რადგან ეს რაღაცა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომელსაც სხვაგან ვერ დამალავ.

— თუ იცი, თქვი, რაღას მაწვალებ? რა არის ეს რაღაცა?

ენტონიმ თავი გააქნია:

— არა, ჯერ არა. ვნახოთ, ინსპექტორი რას იპოვის. თუ ვერაფერი იპოვა, მაშინ კეილი დააპირებს დღეს ღამით იქ რაღაცის დამალვას.

— მაგრამ რის? — ისევ შეეკითხა ბილი.

— ბილ, სულსწრაფი ნუ ხარ. აუცილებლად ნახავ, რადგან ჩვენც იქ ვიქნებით იმ დროს.

— შესანიშნავია!

თუ დილით ის ორჭოფობდა, რა პოზიცია დაეკავებინა მარკის მიმართ, ახლა უყოყმანოდ დადგა კანონის მოდარაჯეთა მხარეს კეილის წინააღმდეგ. მარკს მისთვის, ბოლოს და ბოლოს, ცუდი არაფერი გაუკეთებია, კეილის კი... დაე, კეილი ჩამოახრჩონ, თუ ამას კანონი მოითხოვს!

ენტონიმ საათზე დაიხედა და წამოდგა:

— წავედით.

— საით?

— დღის მეორე ნახევრისთვის რომ დავგეგმე.

— ჰო, გამახსენდა. რა არის?

ენტონის არაფერი უთქვამს, ისე შევიდა სახლში და კაბინეტისკენ გაემართა. ბილიც თან მიჰყვა. როცა შიგ შევიდნენ, რობერტის გვამი აღარსად იყო, მისი კვალი კი მუქ ლაქად ჩანდა. ენტონი მივიდა და ისე ჩაიმუხლა, როგორც 24 საათის წინ.

— მინდა, ყველაფერი გავიმეოროთ, — თქვა მან, — შენ კეილი იქნები. მან თქვა, რომ წყალს მოიტანდა. უკან სველი ცხვირსახოცით დაბრუნდა. ცხვირსახოცი, ჩემი აზრით, კომოდიდან ამოიღო... ცოტა დამაცადე.

ის წამოდგა, მეზობელ ოთახში გავიდა, ერთი-ორი უჯრა გამოსწია და კაბინეტში დაბრუნდა.

— ჰო, მარჯვენა უჯრებშია. ბილ, შენ კეილი ხარ. წყლის მოსატანად მიდიხარ.

ბილი წამოდგა და გავიდა. ენტონიმ, როგორც წინა დღეს, თვალი გააყოლა. ბილმა დავალება კარგად შეასრულა და უკან სველი ცხვირსახოცით დაბრუნდა.

— აბა? — ცნობისმოყვარედ იკითხა.

ენტონიმ თავი გააქნია:

— ყველაფერი სხვანაირადაა. შენ, მაგალითად, კეილისთან შედარებით ძალიან ხმაურობდი.

— იქნებ ვერ გაიგონე, როგორ გავიდა ან სულაც კარი გაიხურა?

— მოიცა! — მან ხელი შუბლზე მიიდო და ჩაფიქრდა, როგორ იყო ეს ყველაფერი გუშინ, როცა კეილის როლს კეილი ასრულებდა.

უეცრად სახეგაბრწყინებული წამოხტა:

— ბილ, გამახსენდა!

— რა?

— ჩრდილი კედელზე! ვირი ვარ, ასჯერადი ვირი!

ბილს ვერაფერი გაეგო და გაშტერებით მისჩერებოდა მეგობარს. ენტონი იდაყვზე სწვდა და დერეფნის კედლისკენ გაახედა:

— ხედავ მზის შუქს? ეს იმიტომ, რომ კარი ღია დატოვე და მზე ფანჯრიდან ანათებს. ახლა კარს მივხურავ... შეხედე! ნახე, როგორ მიცოცავს ჩრდილი! აი, რა დავინახე, როცა მის უკან კარი დაიკეტა. ბილ, წადი და კარი გაიხურე, ოღონდ ჩქარა!

ბილი გავიდა, ენტონი კი მუხლებზე დაეშვა და დაძაბული ადევნებდა თვალს.

— ასეც ვიცოდი! — შესძახა მან, — ვიცოდი, ეს რომ შეუძლებელი იყო.

— რა მოხდა? — იკითხა დაბრუნებულმა ბილმა.

— მზის შუქი და ჩრდილი ერთიანი მოძრაობით დაბრუნდნენ უკან.

— გუშინ რაღა მოხდა?

— მზის შუქი იქ დარჩა, მერე კი ძალიან

ნელა მოძრავი ჩრდილი გამოჩნდა და კარის არანაირი, ოდნავი ხმაც კი!

ბილი ანთებული თვალებით მისჩერებოდა მას:

— ანუ კეილიმ მერე დაკეტა კარი, თან ძალიან ფრთხილად, შენ რომ არ გაგეგონა.

— ჰო, ასეა, — დაეთანხმა ენტონი, — ახლა კი, მოდი, გავარკვიოთ, რას აკეთებდა აქ მისტერ კეილი და რატომ იქცეოდა ასე ფრთხილად.

ბილმა კომოდის უჯრა გამოსწია და შიგ ჩაიხედა, მის უკან მდგარმა ენტონიმ კი, რაკი ეს პროცედურა თავადაც გაიარა, ჰკითხა:

— ტანსაცმელს აქ რატომ ინახავდა?

— ძვირფასო ტონი, ალბათ ყოველი შემთხვევისთვის, სხვაგან რომ არ ერბინა. როცა მე და შენ ლონდონიდან სადმე მივემგზავრებით, ტანსაცმელი თან მიგვაქვს. მარკი ასე არასოდეს იქცეოდა. მას ლონდონის ბინაშიც ტანსაცმლის მთელი კომპლექტი ჰქონდა და თან არაფრის წაღება არ სჭირდებოდა.

— გასაგებია, — ენტონიმ იქვე მდგარ სარეცხის კალათას ახადა თავი, — ეტყობა, ცოტა ხნის წინ აქ საყელოს წასაღებად იყო.

ბილმა თვალები მოჭუტა: კალათის ძირში ერთი საყელო მოჩანდა.

— ასე ჩანს, — დაეთანხმა ენტონი, — ძალიან პეწენიკია.

— ანუ ნამდვილად შემოვიდა, აი, კეილი კი ასე ფარულად რატომ შემოიპარა?

— ანდა კარის ჩაკეტვა რაში დასჭირდა?

— რაღაცის გაკეთებას აპირებდა, რაც მე არ უნდა გამეგონა.

— მაგრამ რის? საკითხავი აი, ეს არის, — ის ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო, — ძლივს არ გავგრილდი!

— ვატსონ! — იყვირა უცებ ენტონიმ, — შენ მართლა აღარ ხუმრობ, ჭეშმარიტი ვატსონი ხარ, მე კი ჰოლმსი კი არა, ვირი ვარ, ნამდვილი ვირი!

— რატომ ილანძღავ თავს? — დაინტერესდა ბილი.

— ფანჯარა! კეილიმ ფანჯარა გამოაღო! ამიტომ დახურა კარი ფრთხილად, ფანჯრის გაღების ხმა რომ არ გამეგონა!

ჰო, ღია ფანჯარა საკმარისი იყო, ღია ფანჯარა და რამდენიმე დამტვრეული ტოტი, ოღონდ ჩუმად, ძალიან ჩუმად, ენტონიმ რომ არ გაიგონოს, მაგრამ მან ჩრდილი დაინახა კედელზე და ყველაფერს მიხვდა. აბა, ჰოლმსს ტყუილად ხომ არ დაირქმევდა?!

ბილი პირდაღებული ისმენდა ენტონის მონოლოგს და ბევრ რამეს ვერც ხვდებოდა. ბოლოს მთავარი კითხვა თავად დაუსვა:

— სადაა მარკი?

— თუ ელსის დავუჯერებთ, კაბინეტში იყო, ანუ კარიდან შევიდა, მერე კი კარიდანვე გავიდა.

— მერე ამას სად მივყავართ?

— იქ, სადაც მარკი მიიყვანა, ფარულ გასასვლელთან.

— ანუ, შენი აზრით, მას შემდეგ იქ იმალება?

— არ ვიცი, მაგრამ მისმინე, ბილ. იმის მეშინია, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო ან შეიძლება მოხდეს, — ის სკამის ზურგზე გადაწვა, ფეხები კი წინ გაიშვირა, — დავიწყოთ იქიდან, როცა მარკი რობერტს კლავს, ვთქვათ, შემთხვევით, როგორც თავად იტყვის. ის პანიკაშია, მაგრამ კარს არ კეტავს და არ გარბის. რა ქნას? კეილი ახსენდება! მისი ძაღლივით ერთგული დეიდაშვილი და დახმარებას სთხოვს. „შენ აქედან ახლავე გაქრი, მე კი რამეს მოვიფიქრებ“. დამშვიდებული მარკი ბიბლიოთეკაში მიდის, რომ გაიპაროს, კეილი კი კაბინეტის კარს კეტავს და ბრახუნს და ყვირილს იწყებს: „გააღე კარი!“ ხომ გასაგებად აგიხსენი?

— ჰო, ოღონდ... მარკს მერე რა დაემართა?

ენტონიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— რაც მალე ჩავალთ იმ გასასვლელში, მით მალე შევიტყობთ, — შენიშნა ბილმა.

— მერე ამისთვის მზად ხართ?

— აბსოლუტურად.

— იმისთვისაც მზად ხარ, რაც შეიძლება იქ ნახო?

— მაინც ვერ შემაშინებ, ტონი!

— კარგი, კარგი. უცებ გადამავიწყდა, ვატსონი რომ ხარ.

— ვინმე ხომ არ ჩაგვავლებს, ტონი? ის ტიპები ალბათ ჯერ ისევ ტბის ჩხრეკაში არიან.

— ამაში თავად თუ დარწმუნდები, გაცილებით უკეთესი იქნება. ხოხვა ხომ გეხერხება?

— აბა რა!

— მაშინ წადი, ნელ-ნელა მიჩოჩდი და გაიგე, რა ხდება. შენი მთავარი, ასე ვთქვათ, სამიზნე კი, ცხადია, კეილი იქნება.

— გასაგებია. მივდივარ.

— ბილ, მე ბიბლიოთეკაში ვიქნები და მოუთმენლად დაგელოდები, — მიაძახა ენტონიმ მეგობარს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-42

www.facebook.com/Tinatinbonney

თავი 13

ბალონში ვარ. თავს მბანენ, მე კი დახუჭული მაქვს თვალები და ვისვენებ. როცა წამოვედი, სანდროს ეძინა. ვიცი, გაცოფდებოდა გაღვიძებისას, მაგრამ ასეა საჭირო. რაც უფრო მეტს იფიქრებს ჩემზე, მით ნაკლებად გაახსენდება ის... ლენა.

ვდგები და სარკეში ვიხედები. თავზე ლურჯი პირსახოცი მაქვს წაკრული. სალონში ჟრიამულია, ყველა თავისას ერეკება. მე სულ არ მაინტერესებს მათი ჭორები და არც მათი ბომონდი. რატომ თვლიან, რომ ვინმესთვის მათი სტატუსი მნიშვნელოვანია? საერთოდ საიდან გაჩნდნენ ამდენი?

ჩემი სტილისტი თავისუფლდება და სკამზე მითითებს. ვჯდები. პირსახოცს მართმევს და გვერდით დებს. ვუყურებ ჩემს გამოსახულებას და მიჩნდება კითხვა: რისთვის ვარსებობ? რატომ ვდგები დილაობით საწოლიდან? რა მიზანი აქვს ჩემს ყოფას? ნუთუ ამაზე პასუხი არსებობს? სტილისტი თმას მიშრობს და ცდილობს, ამალაპარაკოს. მე ჩუმად ვარ. მე მარტო ვარ. ჩემს თავთან ვარ მარტო.

აღელვებული ირაკლი თავის კაბინეტში შერბის და კარს აჯახუნებს. ალექსანდრას უნდა კარგი პოზიცია, კარგი ხელფასი და კაბინეტი. კი, მაგრამ ადგილი რომ არ არის? გამოჩნდება. ვინმეს გამოაგდებს ოთახიდან. ალექსანდრა რომ დაიწყებს მასთან მუშაობას, სამსახურში სიარულსაც ექნება ხალისი. ირაკლი წინ და უკან დადის. ძალიან ნერვიულობს. უარესი ხომ არ მოხდება? იქნებ ასეთი ხშირი კონტაქტით საერთოდ გააფუჭოს ყველაფერი?

— გააფრინე? — ჩაესმის დიტოს ხმა.

— რა? — ფხიზლდება.

— გიჟივით შემოქანდი ოფისში, ახლა ზომბივით დადიხარ და შენს თავს ელაპარაკები.

— გინდოდა რამე?

— მაინტერესებს, რა გჭირს.

— არაფერი.

— კაი, შე ჩემა, რა, — დიტო სავარძელში ჯდება.

— რა გინდა, ბიჭო?

— მინდა, ვიცოდე, რა ხდება. რა უნდა მინდოდეს?

— ახალი თანამშრომელი ამყავს.

— აკი ადგილი არ გვაქვსო, — დიტო თვალებს ჭუტავს.

— ამისთვის ვიპოვი.

— ანუ შენთვის შეიძლება და ჩემთვის — არა?

— დარწმუნებული ხარ, რომ გსურს ამ საუბრის წამოწყება?

— კარგი, არ გვინდა ეს დაძაბვა. ვინ არის?

— ერთი ადამიანია.

— ასისტენტად აგყავს?

— არა.

— აბა?

— მოადგილედ.

— მამაშენმა იცის?

— ეს მამაჩემის ფირმა აღარ არის.

— ფირმა მამაშენისაა, დირექტორი ხარ შენ.

— მამაჩემს სხვა სადარდებელი აქვს ახლა.

დიტო ფეხზე დგება და ირაკლის უყურებს.

— ჩემი ძმა ხარ, იცი, მაგრამ გაიშარები.

— რა გინდა, რას გადამეკიდე? — ირაკლი ღიზიანდება.

— თუ ასე გევასება, ცოლად რატომ არ მოგყავს?

— რა იცი, რომ ქალი მომყავს აქ?

— აბა, კაცი შეგიყვარდა?

— ვინ თქვა, რომ შემიყვარდა?

— გახსოვს, პატარები რომ ვიყავით, მეზობლის გოგოს რომ იები აჩუქე და სახეში შემოგაყარა?

— უკეთესი არაფერი გახსოვს? — ირაკლის ეცინება.

— მაგაშია საქმე, რომ ეგეც კი მახსოვს და მერე რომ სახლში იჯექი და ქსოვდი...

— რას ვქსოვდი, ბიჭო?

— კაი, ხო, არ ქსოვდი, — იცინის დიტო, — მაგრამ საშინელ დეპრესიაში რომ იყავი, მე გამოგათრიე.

— ათი წლისაც არ ვიყავით მაშინ, რა დეპრესიაში?

— მაშინაც კი ემოციური ბალღი იყავი.

— რა მორალი აქვს შენს ისტორიას?

— ის, რომ მე ვიცი, როდის ხარ შენ გაშარული.

— დიდი სიბრძნე!

— ძალიან მინდა, გავიცნო მომავალი რძალი.

— დიტო, არც იფიქრო, იღადავო ამ თემაზე!

— მეტი საქმე არ მაქვს.

— საქმე არ გაქვს, ისე ეტყობა. ამდენი ხანია აქ დგახარ.

დიტო კარს აღებს და ტრიალდება.

— მეჯვარე ვარ, იცოდე.

— წადი!

დიტო გადის და ირაკლი სავარძელში ჯდება. სკოლის მოსწავლესავით იქცევა, ემოციებიც ასეთივე აქვს. აფორიაქებულია. იცის, რომ ყველაფერი გამოუვა, მთავარია, მოინდომოს. მაგრამ ალექსანდრა ახლა მასთან კარგადაა და ბევრი დრო არ უნდა მისცეს, უნდა იმოქმედოს. სასწრაფოდ უნდა იმოქმედოს. ირაკლი მობილურს იღებს. უნდა დაურეკოს... და რა უნდა უთხრას? სამსახურზე დაელაპარაკება, ერთი მეორეს მიჰყვება და სადილზეც დაპატიჟებს. ასეთი ბრინჯივით დაბნეული არასდროს ყოფილა და დროა, ნერვები მოთოკოს. მას ხომ ეს ქალი უნდა.

რეკავს მობილური. ახლა შემოვედი სახლში და დაძინებას ვაპირებდი. თუ სვეტაა და სადმე გაძრომის იმედი აქვს, სულ ტყუილად ირჯება. ვეძებ მობილურს ჩანთაში. ვპოულობ და ვპასუხობ.

— გისმენთ.

— როგორ ხარ? — მეკითხება ირაკლი.

— კარგად, შენ?

— მეც.

— რამ შეგაწუხა? თუ, როგორც მომავალი უფროსი, თვლი, რომ უნდა მეკონტაქტო ხშირად?

— ასე გეწყინა, რომ დავრეკე?

— გეხუმრები, ხომ იცი.

— მინდოდა, მეკითხა, საღამოს თუ გცალია.

— გააჩნია, რისთვის.

— მინდა, სადილზე დაგპატიჟო... ჩემთან.

— სად, შენთან?

— სახლში.

— ირაკლი!

— რა?

— თუ ერთად მუშაობას ვაპირებთ, ხომ იცი, რომ ეგ დაუშვებელია?

— სადილი, მხოლოდ სადილი.

— რა ვიცი...

— კაი, პატარა ბიჭი ხომ არ ვარ? უბრალოდ მომინდა სადილის მომზადება და ვიფიქრე, რომ ერთად მოვაბამდით ამას თავს.

— მხოლოდ მე და შენ?

— თუ გინდა, მეგობრებსაც დავუძახებ...

— არა, იყოს, არ არის პრობლემა.

— მაშინ... გამოგივლი...

— არ გინდა. ვიცი შენი სახლი და თვითონ მოვალ. რომელზე?

— 8-ზე?

— მე მაწყობს. რა წამოვიღო?

— არაფერი.

— კარგი. საღამომდე.

ვთიშავ მობილურს და მაგიდაზე ვაგდებ. ხომ ვიცი, რომ პატიოსანი სადილი არ იქნება ეს, თუმცა შემპირდა და ვენდობი. ირაკლი სულ სხვანაირია. რა ჩავიცვა?

სიცხიანი ზურა ჩაიში შაქარს იყრის და ახველებს. როგორ მოახერხა გაციება?! იმდენი აცრა აქვს გაკეთებული, რომ გრიპი

Cyan Magenta Yellow Black

ვერ იქნება. ალბათ ვარჯიშის დროს დაუბერა. თავი უსკდება. კოვზს ლამბაქზე დებს და ჩაის სვამს. ორთქლი სასიამოვნოდ ეფინება მის ყელს. ბებერივით მილასლასებს საძინებელში და საწოლზე წვება. ინტერესი კლავს, რატომ უმესიჯებდა ალექსანდრა, რატომ აღარ უმესიჯებს, რა კავშირი აქვს ირაკლისთან და საერთოდ რა ხდება. თუმცა ახლა ისე ცუდად გრძნობს თავს, რომ ცოლსაც კი შეურიგდებოდა.

სპორტულად მაცვია. მიზნობრივად არ გამოვიპრანჭე. ეს მხოლოდ მეგობრული სადილია. ჩვენ ეს ორივემ ვიცით. ვრეკავ ზარს. კარი იღება და ვმუნჯდები. ირაკლის მუქი ლურჯი, წელში გამოყვანილი პიჯაკი აცვია. შარვალიც იმავე ქსოვილისაა და კიდევ უფრო აგრძელებს მის ფეხებს. ხმას ვერ ვიღებ. მე პიჟამაში ვარ, თუმცა ერთი რაღაც კი მხვდება: გებრიელ მაქტ!

— როგორ? — მეკითხება გაოცებული.

— ვინც შენ სემ პეიჯს მიგამსგავსა, ის იყო ბრმა. ამ ფორმაში სუფთა მაქტი ხარ.

— მაქტი? — ვერ ხვდება, რას ვამბობ.

— კაი, გავიარეთ, — შიგნით შევდივარ.

ირაკლი კარს კეტავს.

— მე არ ვიცოდი, რომ საღამოს კაბა უნდა ჩამეცვა.

— კარგი, ნუ დამცინი. სხვა ვერაფერი ვიპოვე. გამოვიცვლი.

— არა, გიხდება, — ვუღიმი და ვატყობ, როგორ უციმციმებს თვალები.

— ყველაფერი მზად არის.

— სად შეუკვეთე?

— შევუკვეთე? გავაკეთე.

— რა ქენი?

— მე გავამზადე.

— ხუმრობ?

— ცნობილია, რომ მამაკაცები შეუდარებელი მზარეულები არიან.

— მოკლედ, სრულყოფილი ხარ, რა.

— არ ვარ, — იღუშება.

— არ გვინდა ახლა დრამა, — ვუღიმი.

— მოდი, დაგისხამ ღვინოს.

— მოდი, — სავარძელში ვჯდები.

ირაკლი ღვინის ჭიქას მაწვდის და ოთახიდან გადის. რა ლამაზი ბინაა. წინაზე ასე არ მომწონებია და ირაკლიც საოცარ ფორმაშია. ვდუნდები. რაღაც კარგად ვარ. ირაკლი ბრუნდება და მეორე სავარძელში ჯდება. სიჩუმეა.

— სხვა? — ვკითხულობ მე.

— რა ვიცი. ორშაბათს შეგიძლია სამსახურში გამოხვიდე.

— აჰა.

— პირობებს ადგილზე გაგაცნობენ, მე არ ვიცი დეტალები.

— და იქნებ არ მაკმაყოფილებს პირობები? — „ვნაგლდები“.

— მაშინ... მაშინ... გაგიუმჯობესებთ.

— ირაკლი, რაღაც მინდა, გკითხო.

— გისმენ, — იძაბება.

— რატომ აკეთებ ამას ჩემთვის? ნუთუ იმ ერთი ღამის...

— შენც ხომ იცი, რომ ერთი ღამე არაფერ შუაშია.

— შენ მე სულ არ მიცნობ.

— იმაზე კარგად გიცნობ, ვიდრე წარმოგიდგენია. წამო, თორემ გაცივდება.

ყველაფერი უგემრიელესია. ვსაუბრობთ, ვიცინით. ძალიან თბილი სიტუაციაა. გეგონება, მთელი ცხოვრებაა ვიცნობთ ერთმანეთს.

ვალაგებთ მაგიდას. ირაკლი ტინგიცობს, მე ისტერიკულად ვიცინი. საოცარი სანახავები ვართ. სამზარეულოში გავდივართ და იქ ვსხდებით.

— ერთი ღერი უნდა მოვწიო, რა, — ირაკლი სიგარეტს იღებს.

— შეიძლება დაგეწვიო?

— რა თქმა უნდა, — ირაკლი სიგარეტს მაწვდის.

ვუკიდებ და ნაფაზს ვარტყამ.

— ამერიკაში მხოლოდ ძალიან მძიმე სიტუაციაში ვეწეოდი ხოლმე.

— იმედია, ახლა მასე არ არის.

— არა, ახლა აღარც ვეწევი.

— გენატრება იქაურობა?

— იცი... აღარ. ჩემთვის ის ეტაპი დამთავრდა და დაიწყო რაღაც ახალი.

— მე მინდა უკან წასვლა.

— მერე რას ელოდები?

— საქმეებს ვერ ვტოვებ.

— მე დამიტოვე შენი ბიზნესი, მიგიხედავ. შენ კი წადი ამერიკაში, ჰოლივუდი გიხმობს.

— იღადავე და დიდი შანსი მაქვს, — იცინის.

— ძალიან სიმპათიური გგონია თავი, ხომ?

— არ ვარ?

— ხარ.

ირაკლი პიჯაკს იხდის და პერანგში რჩება. მომწონს ის, რასაც ვხედავ, მით უმეტეს, როცა მახსენდება, რა იმალება პერანგის ქვეშ.

— გერმანიაში რომ ვიყოთ, გეტყოდი, ჩემთან დარჩი-მეთქი.

— მაგრამ გერმანიაში არ ვართ.

— მაგიტომაც არ გეტყვი.

ვჩუმდებით. თვალებში მიყურებს და ჟრუანტელი მივლის.

— იცი, სხვანაირად გიყურებ ძალიან, — ამბობს უეცრად.

— ეგ როგორ?

— თვითონც ვერ ვხსნი.

— იმედია, კარგად.

— ზედმეტად კარგად.

— ანუ, როგორც მომავალ ცოლს უყურებენ? — ეს მე არა, ეს წითელი ღვინო იყო!

— შეიძლება, — ეღიმება.

— ერთხელ შევცდი, ჩემო ირაკლი და, შენი აზრით, მეორედ დამემართება იგივე?

— გააჩნია, ვისთან.

ფეხზე ვდგები. ირაკლიც დგება.

— მოდი, მე გავუყვები გზას.

— გაგიყვან.

— ტაქსს გავაჩერებ.

— ჩაგაცილებ მაშინ.

— არ მინდა.

— მუდამ რატომ მკრავ ხელს?

— არ გვინდა დრამა-მეთქი, რა გითხარი?

ირაკლი კედელთან მაყუდებს და ძალიან მიახლოვდება. მის სუნთქვას ვგრძნობ ჩემს სახეზე. გაშეშებული ვდგავართ. გული ძალიან სწრაფად მიცემს. არ მკოცნის. იწევა და გზას მითმობს. კარამდე მომყვება. ლოყაზე ვკოცნი და მივდივარ. საუცხოო ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ შორის საოცარი ქიმიაა, ამას არ უარვყოფ, მაგრამ რატომღაც ორივე ვიძაბებით. ამ დროს ყველაფერი ძალიან მარტივადაა. ძალიან.

ჩავდივარ კიბეზე. გარეთ გრილა. ვაჩერებ ტაქსს და მივდივარ სახლში. აღარ მინდა კაცები. დავიღალე. ხვალ დილიდან მივალაგებ, კომპოტს მოვხარშავ და გადავალ შაკუნასთან. ძალიან მომენატრა.

ზურას კანკალი აღვიძებს. ეტყობა, ძალიან მაღალი სიცხე აქვს. სასწრაფოში ხომ არ დარეკოს? ცახცახით დგება საწოლიდან და კედელ-კედელ მიდის სააბაზანოში. მდუღარე წყალს უშვებს აბაზანის ასავსებად. წყალი მოჩქრიალებს, ის კი ტანსაცმელს იხდის და იატაკზე ყრის. კანკალი ოდნავ შეუმსუბუქდა, მაგრამ შიგნიდან გაუსაძლისად სცივა. ნელი ტემპით ეშვება აბაზანაში და ცხელი წყალი სხეულზე ესხმება. მთავარია, კარგად გახდეს და მერე იცის, რასაც გააკეთებს.

დედაჩემმა სუპი მოხარშა, ქილაში ჩამისხა და გამომიშვა შაკოსთან. იმედია, მე არ უნდა ვაჭამო. ძალიან მიყვარს ეს ოხერი, მაგრამ კოვზით ჭმევა მეტისმეტია.

შევდივარ სამზარეულოში. შაკოს დედა ქილას მართმევს, ორი სიტყვით მიამბობს შაკოს მდგომარეობაზე და საოჯახო საქმეს უბრუნდება. გავდივარ.

შაკო კინოს უყურებს. ჩემს დანახვაზე ეღიმება და ხმას უწევს.

— შენც რა უსაქმური ხარ.

— რა გინდა, ბიჭო?

— სულ აქ როგორ უნდა იყო?

— როდის ვარ სულ აქ? ძლივს მოვიცალე.

— მე მგონია, რომ სულ აქ ხარ. ვერ მოგიშორე.

— ისე, რა უტანელი იყავი და ახლა ხომ საერთოდ.

— რა ხდება ქალაქში?

→68

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

— გეგონება, ვიცი.
— პოლიტიკაში?
— მით უმეტეს.
— აბა, რას მოხვედი?
— მომენატრე.
— უსაქმოდ ხარ, რა.
— ვაიმე, მოკლედ, რა!
შაკო ბალიშს ისწორებს.
— კუბოკრული პერანგი მინდა.
— დაიწყო, — ვოხრავ.
— ვაიმე! — ამბობს უცებ.
— რა იყო? — ხერხემალი ხომ არ ეტკინა?
— შენ რომ ტიპს ეძებდი... რა ერქვა?
— ზურა სტეფანიდი, — ვიშმუშნები.
— გიპოვე.
— როგორ?
— რეესტრიდან ამოაგდო მეგობარმა. უნდა მეთქვა შენთვის და მერე კინაღამ მოვკვდი, როგორც მოგეხსენება.
— კიდევ კარგი, არ მოკვდი.
— თორემ ვერც იპოვიდი მაგ ზურას.
— მიშლი ნერვებს!
— მიდი, უჯრა გამოაღე.
ვდგები და მივდივარ საწერ მაგიდასთან. ფურცელი გდია. ვიღებ.
— მაგ მისამართზეა რეგისტრირებული.
— და რა იცი, რომ ეგაა?
— ტელეფონი ხომ მომეცი? ამოვაგდე ძველი მისამართი და მერე ვნახეთ ახალი.
ვუყურებ ფურცელს და არ ვიცი, რას უნდა ვგრძნობდე.
— ხოდა, აქ ჯდომას, წადი, ნახე. მერე მოხვალ და მომიყვები.
ვკოცნი შაკოს შუბლზე და გავდივარ.
სწრაფად გამოვიცვალე და გიჟივით გამოვვარდი გარეთ. ნეტავ თუ მართლაც ისაა. ან რა უნდა ვუთხრა, რომ ვნახავ? იმდენჯერ წარმოვიდგინე ეს სცენა, ახლა კი ბრინჯივით დავიბენი. გონებადაბინდული მოვედი აქამდე. ვრეკავ ზარს.

ირაკლი ხინკალს ჭამს და თან ცდილობს, არ დაისვაროს. დედამისი თავზე ხელს უსვამს და სკამიდან დგება.
— ხელსახოცს მოგცემ.
— მადლობა.
— ჩემი ხინკლით ძლივს შემოგიტყუე.

— კაი, დედა, ხომ იცი, ბევრი საქმე მაქვს.
— მამაშენი სულ გკითხულობს.
ირაკლი ახველებს და ხელსახოცით იწმენდს პირს.
— შვილო, ბევრი კი არ დარჩენია...
— ჩვენ ეს არ ვიცით!
— ნებისმიერ შემთხვევაში, დროა, შეურიგდე.
— მე არ ვარ მასთან ნაჩხუბარი, დედა.
— გაბრაზებული ხარ.
— დედა, ძალიან გთხოვ.
— მე ვაპატიე და მინდა, რომ შენც შეურიგდე.
— მე არ შემიძლია, — ირაკლი ფეხზე დგება.
— შეუვლი?
— შევუვლი, — მკაცრად ამბობს ირაკლი.
უფროს მეტრეველს სძინავს. ირაკლი რამდენიმე წამი უყურებს მას, შემდგომ კი ოთახიდან გადის და კარს ხურავს.

კარს კიკინებიანი პატარა გოგო მიღებს. საყვარელი ჭორფლი აქვს ცხვირზე.
— გამარჯობა, — ვეუბნები ღიმილით.
— გამარჯობა, — მპასუხობს სერიოზულად.
— ეს სტეფანიდების სახლია?
— დიახ.
— უფროსები არიან სახლში?
რატომ ვეკითხები? უნდა გავტრიალდე და წავიდე. სხვის ოჯახში მოვვარდი და ვურევ რაღაცეებს.
— დედას სძინავს. ძალიან იღლება სამსახურში, — მეუბნება ეს პატარა „კნოპკა“.
— მართლა? სად მუშაობს? — რაში მაინტერესებს?
— მაღაზიაში.
— გასაგებია.
— თქვენ ვინ ხართ?
— მე შენი მამიკოს მეგობარი ვარ.
რა აზრი აქვს ტყუილს? თუ გამოვა ზურა, მოვიკითხავ და წავალ.
— ჩემი მამიკო ღმერთთან არის, ცაში, — მეუბნება ბავშვი.
ამ სიტყვების გაგონებაზე თავბრუ მეხვევა და კიბეზე ვჯდები. გარდაიცვალა? ჩემი სიზმარი ახდა? როგორ გავიგო ეს? ბავშვი ჩემ გვერდით ჯდება და მათვალიერებს. ვცდილობ, გავუღიმო.
— გავაღვიძო დედიკო? — მეკითხება საყვარლად.
— არა, მაგრამ შეგიძლია ერთი ჭიქა წყალი მომიტანო?
— დიახ.
რა ხდება ეს, ღმერთო? ნუთუ ეს მართლა ხდება?! რა ვქნა ახლა? უბრალოდ წავიდა? ბავშვი წყალს მაწვდის და ერთი მოყუდებით ვცლი ჭიქას.
— მადლობა, — ვეუბნები ღიმილით.
— არაფრის.
— შენ რა გქვია, საყვარელო? — ვეკითხები და თავზე ხელს ვუსვამ.
— ალექსანდრა, — მეუბნება და თვალებს აფახულებს.
ჩემი სახელი ჰქვია. ღრმად ვისუნთქავ ჰაერს. ცუდად ვარ. მგონი, გული მიმდის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეს იცოდით?

❖ ნიუ იორკში უკვე შესაძლებელია მობილური ტელეფონების დამუხტვა მზის ენერგიით პირდაპირ ქუჩაში. მობილურის დასამუხტი სადგურები ქალაქის სხვადასხვა ნაწილშია გახსნილი და მსურველებს სრულიად უფასოდ შეუძლიათ სარგებლობა როგორც დღისით, ასევე ღამით.

❖ საყოფაცხოვრებო მაცივარი 1890 წელს გამოიგონეს.

❖ დელფინს ძუძუმწოვრებში ყველაზე დიდი ტვინი აქვს. მისი ტვინის წონა 1700 გრამს შეადგენს.

❖ ცოცხალ არსებას შორის ჭიანჭველებს სხეულთან შეფარდებით ყველაზე დიდი ტვინი აქვთ.

❖ როდესაც გველი კანს იცვლის, ის დროებით ბრმავდება.

❖ ქათმები სიბნელეში არ ჭამენ.

❖ დამშეული მგელი დაახლოებით 10 კგ ხორცს შეჭამს.

❖ კოღოს კბილები აქვს. მიკროსკოპით დაკვირვებისას მისი 22 კბილი ჩანს.

❖ დელფინი ზღვის წყალს არ სვამს. თუ დალევს, ავად გახდება და შეიძლება დაიღუპოს კიდეც. ორგანიზმისთვის საჭირო წყალს ის საკვებიდან იღებს.

❖ მორიელს შეუძლია მთელი წელი იშიმშილოს.

❖ მე-12 საუკუნეში საფოსტო მტრედს წმინდა სისხლის არაბული ცხენის ფასი ჰქონდა.

❖ ავსტრალიაში, კერძოდ კი ქალაქ მელბურნში, კატებისთვის 20:00 საათიდან საკომენდანტო საათი მოქმედებს.

❖ გადაფრენის დროს წეროებს პერიოდულად შეუძლიათ ჰაერში 10 წუთით დაიძინონ.

❖ ზვიგენი ერთადერთი თევზია, რომელსაც შეუძლია ორივე თვალი ერთდროულად დაახამხამოს.

❖ ძროხებს აქვთ მეგობრობის გრძნობა და ჰყავთ საუკეთესო მეგობრები.

❖ ძველ რომში სახლებს მიწის ქვეშ განლაგებული ღუმელებიდან წამოსული ცხელი ჰაერით ათბობდნენ. ეს იყო პირველი ცენტრალური გათბობა. მე-19 საუკუნის შუა ხანებში გამოიგონეს ე.წ. ბოილერი, რომელიც რადიატორებისთვის წყალს აცხელებდა.

Cyan Magenta Yellow Black

ანანასი – მოხდენილობისა და ჯანმრთელობის ნაყოფი

ანანასის სამშობლოდ ბრაზილია ითვლება. ნაყოფი ქრისტეფორე კოლუმბმა გასინჯა და შესანიშნავი არომატით მოხიბლულმა, ეს ხილი ევროპას გააცნო. რით არის სასარგებლო ანანასი?

მწიფე წვნიანი ნაყოფი C და B ჯგუფის ბევრ ვიტამინს, კაროტინს, კალიუმს, მაგნიუმს, კალციუმს, თუთიას, რკინას, ილოდსა და სპილენძს შეიცავს. სასარგებლოა ჰიპერტონიის, თირკმლების დაავადებების დროს. ანანასი სისხლძარღვების გაწმენდას ეხმარება. აგრეთვე კუნთებისა და სახსრების ტკივილს აცხრობს. ეს ხილი რეკომენდებულია საჭმლის მონელების სხვადასხვა დარღვევის დროს.

ანანასის ყველაზე მთავარი სასარგებლო თვისება ისაა, რომ ძვლებს ამაგრებს. ის დაბალკალორიულია (100 გრამში 48 კკალორიაა). ამიტომ სასარგებლოა მათთვის, ვისაც გახდომა სურს. შარდმენი თვისებაც აქვს და ზედმეტი სითხისგან ათავისუფლებს, ხოლო დიდი რაოდენობის უჯრედისების წყალობით, ნაწლავებს ასუფთავებს. შეიცავს ფერმენტების უნიკალურ კომპლექსს — ბრომელაინს. ეს ნივთიერება გამოიყენება ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ და ცილების გადამუშავებას ეხმარება.

ანანასის ნიღაბი. ანანასი რგოლებად დაჭერით. ორ რგოლს 1 ჩაის კოვზი თაფლი და ცოტა შვრიის ფქვილი დაუმატეთ, სქელი ფაფა რომ მიიღოთ. სახესა და დეკოლტეს მიდამოზე დაიდეთ. 10-15 წუთის შემდეგ ნიღაბი ბამბის სველი ტამპონით მოიცილეთ. პროცედურის დროს შეიძლება მსუბუქი ჩხვლეტა იგრძნოთ — ეს ნორმალურია.

ფულის ხე – შინაური წამალი

თახის მცენარეების თითქმის ყველა მოყვარულს შინ აუცილებლად აქვს ფულის ხე, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ბარაქის ხის ფოთლების წვენს ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებები გააჩნია. გთავაზობთ შინაურ რეცეპტებს.



ანგინა, ყელის ანთება, ხოხბისა და ხახის ანთება

ფოთოლს წინასწარ ცხელი წყალი გადავლეთ და 1/3 ნაწილი დღეში 3-ჯერ დაღეჭეთ.

ჭიღლობა, ნაჯანხი, მწეხის ნაჯბენი

გარეცხილ ფოთოლს ზედა აპკი მოაცილეთ, რბილობი დანით დასერეთ და დაზიანებულ ადგილზე დაიდეთ. ბინტით დააფიქსირეთ.

ანთებითი პროცესი თირკმლებში

1 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთლებს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, წყლის აბაზანაზე 15 წუთი გააჩერეთ, შემდეგ გადმოდგით, ერთი საათის შემდეგ გაწურეთ. 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 15 წუთით ადრე მიიღეთ. კურსი — 10 დღე. აუცილებლობის შემთხვევაში ერთი კვირის შემდეგ გაიმეორეთ.

ჯოჯი

ფოთოლს ზედა აპკი მოაცილეთ, ღამით მტკივნეულ ადგილზე დაიდეთ და დაიმაგრეთ. გაიმეორეთ, სანამ კოჟრი არ გაქრება.

ხელის სახსრების ანთიტი

მცენარის ფოთლების წვენი მტკივნეულ ადგილზე შეიზილეთ.

დამნვრობა

დასერილი ფოთოლი მტკივნეულ ადგილზე დაიდეთ, ბინტით დაიმაგრეთ. გაშრობის შემდეგ გამოცვალეთ.

დაჟეჟილობა-დაჭიმულობა

ფოთლების წვენში ბინტი დაასველეთ და დაზიანებულ სახსარზე ან კუნთზე დაიდეთ, ცელოფანი დაიფარეთ და ბინტით დააფიქსირეთ. სახვევი ყოველ 3 საათში გამოცვალეთ.

სასარგებლო საღათები

ანს მიკრო და მაკროელემენტებით კვებავს ასეთი საღათები:

დიდი ვაშლი გახეხეთ, სუფრის კოვზი მანანის ბურღული (4 სუფრის კოვზი ცივ, ანადუღარ წყალში წინასწარ დაალბეთ), 2 სუფრის კოვზი ფორთოხლის წვენი (ზაფხულში ყოლოს, მარწყვის, მოცხარის წვენით შეცვალეთ), 2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ნიგოზი და 2 სუფრის კოვზი თაფლი დაუმატეთ.

ჭარხლის საღათს ნიორი და ნიგოზი დაუმატეთ. მცენარეული ზეთი მოასხით.

კანისთვის მეტად სასარგებლოა მარწყვი, ზეითუნის ზეთი, მწვანე ჩაი, გოგრა, ბროწეული. ჭამეთ ან ნიღბები მოამზადეთ.

ნაზი ტუჩებისთვის

საკთან ერთად ტუჩები სულ უფრო მიდრეკილი ხდება გარემოს უარყოფითი ზემოქმედებისკენ. რომ არ დასკდეს, ყოველთვის ხორცსავსე, ღამაზი და ნაზი იყოს, ყოველდღიურად ცოტა დრო დაუთმეთ.

დაბანის დროს (დილით და საღამოს) მასაჟი გაიკეთეთ. თითების ბალიშები აკურატულად იტყაპუნეთ. შემდეგ სპეციალური ტუჩის ბალზამი ან ნებისმიერი მკვებავი ცხიმიანი კრემი წაისვით.

კვირაში ორჯერ სტაფილოს წვენის, თაფლისა და არაჟნის ნარევის ვიტამინური ნიღაბი გაიკეთეთ. ნიღაბი 15-20 წუთი დაიდეთ, შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ტუჩებზე ცხიმიანი კრემი წაისვით.

ტუჩები მკვრვი რომ იყოს, ყოველდღიურად სპეციალური სავარჯიშო შეასრულეთ. რაც შეიძლება ფართოდ გაიღიმეთ და შემდეგ ტუჩები უცებ მოკუმეთ. გაიმეორეთ 15-20-ჯერ.

ტუჩები მოამრგვალეთ, წინ წამოსწიეთ, ჰაერი გამოუშვით, შემდეგ შესწიეთ. გაიმეორეთ 15-20-ჯერ.

სახეზე ჭარბი თმა შენიშნეთ?

ქალებში სახეზე თმის გაჩენა იმის ერთგვარი სიგნალია, რომ ორგანიზმში მამაკაცური ჰორმონები ჭარბობს. ამ შემთხვევაში ენდოკრინოლოგთან ვიზიტია საჭირო, რომ მიზეზის დადგენა მოხდეს. იმ შემთხვევაში, თუ ექიმი საჭიროდ ჩათვლის, ჰორმონოთერაპია ინიშნება. ასევე — თმის ზრდა შეიძლება საკვერცხეების პოლიკისტოსზეც მიანიშნებდეს. თუ ქალს ეს პრობლემა აწუხებს, ჯობია, მისი მკურნალობის დაწყება ადრეულ სტადიაზე მოხდეს.

დღეს თმის მოსაცილებლად ყველაზე ეფექტური საშუალება ლაზერული ეპილაციაა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასურველ შედეგს მხოლოდ ენდოკრინოლოგთან ჩატარებული მკურნალობის პარალელურად შეიძლება მიაღწიოთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 26 ოქტომბერი, 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ გოგოს, ვარ 28 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 557491234. გუგა

2. გავიცნობ 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს შეხვედრებისთვის. 593622326. გიო

3. გავიცნობ განათხოვარ, თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 555669960

4. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის, ვარ 30 წლის დასაქმებული და უცოლო ბიჭი. 591218769

5. ვარ 187/25/90, სიმპათიური, ევროპული სტილის მამაკაცი, გავიცნობ თბილისში ან ქუთაისში მარტო მცხოვრებ ლამაზ, სერიოზულ გოგოს შეხვედრებისთვის. 598405598. ჯეკო

6. ვარ ქუთაისელი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. 555272506

7. ვარ 31 წლის, სიმპათიური, განათლებული, მწვანეთვალება, დასაქმებული მამაკაცი, ყოფილი სპორტსმენი. გავიცნობ 50 წლამდე ლამაზ ქალს. 555619588

8. ვარ 65 წლის მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 558454430. რეზო

9. ვარ 30 წლის, თბილისელი ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ გოგოს. 593424240. დათკა

10. შეხვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე ქალს, ვარ თბილი და მოსიყვარულე მამაკაცი. 574070310

11. შეხვედრებისთვის გავიცნობ 36 წლამდე იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ ქალს. ვარ 39 წლის, სიმპათიური მამაკაცი ქუთაისიდან. 557994113. ჯონი

12. გავიცნობ 35 წლამდე სერიოზულ ქალს შეხვედრებისთვის, ვარ წესიერი, სანდო მშვიდი, 35 წლის მამაკაცი. 558600892

13. გავიცნობ 30 წლამდე ქუთაისელ ქალს, სერიოზული ურთიერთობისთვის, ვარ 30 წლის, დასაქმებული მამაკაცი. მომწერეთ 6 საათის შემდეგ. 599243423. დათო

14. ვარ 50 წლის სპორტული აღნაგობის მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ კარგი გარეგნობის ქალს. 593580587

15. ვარ 26 წლის მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ლამაზ ქალს. 555109884

16. ვარ 27 წლის ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს, თუნდაც ქმარს გაცილებულს, სასურველია თბილისელი. 598951103

17. გავიცნობ 22-დან 32 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის, ვარ 26 წლის ბიჭი. 557503047

18. გავიცნობ კარგი გარეგნობის, მიმზიდველ და ენერგიულ, 30-დან 40 წლამდე ქალს, სასიამოვნო შეხვედრებისთვის. ვარ 27 წლის, სიმპათიური ბიჭი. 557677718. ბაჩო

19. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე გოგოს, სასურველია თბილისში ან რუსთავში მცხოვრები, ვარ 26 წლის. 577474753

20. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ ქალს, ვარ 28 წლის, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 557491234

21. ვარ 47 წლის, დაოჯახებული, მშრომელი, პატიოსანი მამაკაცი, გავიცნობ ქუთაისელ, ფინანსურად შეძლებულ ქალს. 551922592. იაკობი

22. ვარ 42 წლის, ხაშურელი მამაკაცი, გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. 551524721. გიო

23. გავიცნობ ბათუმელ, 25 წლამდე ქალს, ვარ 27 წლის. 555620255. ლაშა

24. თავისუფალი საუბრებისთვის და შეხვედრებისთვის გავიცნობ 18-27 წლამდე გოგოს, ვარ თბილისელი, 28 წლის. 598288696. დათო

25. გავიცნობ 40 წლამდე, პუტკუნა და დიდმკერდიან ქალს, ვარ 23 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი. 557981923

26. გავიცნობ 35 წლამდე, ღარიბ, უპატრონო, ლტოლვილ, სულიერად ლამაზ, მშვიდ, სანდომიან, უშვილო გოგოს. 591707279. გიო

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სამტრედიელ, ლამაზ, პატიოსან, 27 წლამდე ქალიშვილ გოგოს. 551974197

2. ვარ 50 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ, სიმპათიურ ქალს. 551554115. ვანო

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-35 წლამდე განათხოვარ, თბილისელ, მარტო მყოფ ქალს, ვარ დასაქმებული. 551539247

4. ვარ 41/174/70, უცოლო მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32 წლამდე, ქუთაისში მცხოვრებ, ქალიშვილ გოგოს. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი, მაქვს საშუალო ბიზნესი, ვცხოვრობ ქუთაისში. 557527483. გოგიტა

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45-დან 50 წლამდე სერიოზულ, გაუთხოვარ ქალს. 557688767

6. ვცხოვრობ თელავში, ვარ ცოლს გაცილებული, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 35 წლამდე გოგოს. 555580860. ბექა

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ქალს, ვარ ბინით, სამსახურით და ავტომანქანით უზრუნველყოფილი. 555495237

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე, ბედნაცვალ ქალს. 557595692

9. ვარ 52/165/93 მამაკაცი, მთელი არსებით მართლმადიდებელი ქრისტიანი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40-55 წლამდე ქალს. 555798275

10. ოჯახის შექმნის მიზანით გავიცნობ წყნარ, თუნდაც განათხოვარ გოგოს, ვარ 30 წლის, დასაქმებული მამაკაცი, მაქვს ბინა. 557760643

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე უშვილო ქალს, ვცხოვრობ თბილისში მარტო, ვარ განქორწინებული, 40 წლის მამაკაცი. 599384721

12. გავიცნობ 33 წლამდე ჭკვიან, მეოჯახე, სანდო, უბრალო, კარგი აღნაგობის გოგოს ოჯახის შესაქმნელად. 591707279. გიორგი

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 40 წლის, სერიოზული ქალი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 42-50 წლამდე სერიოზულ მამაკაცს. 557517446

2. ვარ 39 წლის, ლამაზი და პატიოსანი ქალი, არ ვარ განათხოვარი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბათუმელ ან თბილისელ საქმროს. 557692195. სოფო

3. გავიცნობ თბილისელ, გამხდარ, 30-35 წლამდე მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით. 555422547

4. გავიცნობ 42 წლამდე თბილისელ, დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად. 551806880

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ წესიერ, შეძლებულ მამაკაცს, ვინც მარტოხელა ქალს დაუდგება გვერდში, ვარ სიმპათიური ქალი. 555613568. ნანა

თუ გსურთ, ახლობელს მიელოცოთ ჰაიმე ან გაუმხიღოთ თქვენი გრძნობები ეუნაღ „სარჯის" მეშვეობით, აუფიფეთ ასო „M", შემდეგ – ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარჯის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 26 ოქტომბრის 17 საათამდე.
ეფთი sms-ის ღირებულებაა 1 ღარი. ნეფილი, ჰომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, აარ დაიბეჭდება!
ეფთი აღრესატისადმი მინეფილ ოთ ბარათზე მეტი აარ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

მამა საბა: „ნუ გგონიათ, რომ ღმერთი სადღაც ზის და იქიდან გვაკვირდება, ის ჩვენშია!“

„მე ვეჰ ვეტყვი მჰევლს, ჰომ ყველაფეჩი ჯაჰგადაა და ქვეყანა გაბჰნყინდება. ინდივიდუალეჩი გაბჰნყინება იქნება, საყოველთაო ჯი — აჰა“.

ᲛᲐᲛᲐ ᲡᲐᲑᲐ ᲑᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 8 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲝᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲠᲩᲔᲑᲐᲗ, ᲗᲘᲗᲝᲭᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲝᲓᲘᲡ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ. ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲘᲧᲝ, ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ, ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲝᲛᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ. ᲐᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲤᲘᲥᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲛᲦᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲑᲓᲐᲠᲘᲧᲝ.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲛᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔ ᲘᲧᲝ, ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲨᲘᲪ ᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲓᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲪᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲰᲒᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲛᲐ ᲡᲐᲑᲐᲛ „ᲡᲐᲠᲙᲔᲡᲗᲐᲜ“ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲝ-ᲠᲝᲛᲢᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

— ᲛᲐᲛᲐ ᲡᲐᲑᲐ, ᲡᲐᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ?

— ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ-ᲑᲐᲯᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ. ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲑᲘᲕᲘᲓᲐᲜ ᲪᲮᲝᲑᲐ ᲮᲐᲜ ᲘᲧ ᲖᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲔᲕ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲙᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ �გᲘᲝᲠ�გᲘᲡ ᲭᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ. 7 ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲥ ᲕᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑ. ᲘᲥ ᲕᲐᲠ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲕᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ, ᲔᲡ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲰᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲝ, ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲔᲯᲔᲠᲘᲗᲔᲑᲘᲜᲐ. ᲐᲛᲘᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲤᲚᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲕᲔᲩᲕᲘᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ, ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲔᲩᲘᲕᲔᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲑᲐ ᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ ᲐᲡᲕᲚᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲪ ᲛᲪᲘᲠᲔᲐ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ 100-150 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗᲘᲗ ᲕᲐᲠᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ.

— ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲗ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ?

— ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲩᲔᲛᲘ ᲥᲐᲓᲐᲒᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ ᲐᲡᲕᲚᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲪ ᲛᲪᲘᲠᲔᲐ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ 100-150 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, ᲛᲐᲗᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗᲘᲗ ᲕᲐᲠᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲕᲔᲩᲕᲘᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ. ᲛᲘᲗᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ. ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲓᲜᲔᲜ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲔᲦᲝ. ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲕᲐᲑᲐᲠᲔ, ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲘᲧᲝ, ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ, ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲝᲛᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ. ᲐᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲣᲤᲘᲥᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲛᲦᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲑᲓᲐᲠᲘᲧᲝ. ᲛᲐᲛᲐ ᲡᲐᲑᲐᲛ „ᲡᲐᲠᲙᲔᲡᲗᲐᲜ“ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲝ-ᲠᲝᲛᲢᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

ᲩᲔᲛᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲛᲝᲛᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲓᲜᲔᲜ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲔᲦᲝ. ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲕᲐᲑᲐᲠᲔ, ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲘᲧᲝ. ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲐᲠ ᲕᲘᲥᲘᲠᲝᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲦᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲪᲝᲓᲜᲐ ᲒᲐᲛᲔᲦᲠᲛᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲰᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲕᲧᲝᲚᲝᲓᲘ.

— ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲡᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ?

— ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲔ, ᲠᲐᲪ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲬᲐᲕᲓᲘ. ᲘᲡᲔᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲭᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲠᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲕᲝᲚᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲕᲔᲗᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲞᲔᲪᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲨᲘ ᲕᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲓᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲯ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲩᲔᲛᲨᲘ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕ-ᲨᲘᲠᲓᲘ. ᲛᲝᲛᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲪᲐᲠᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲕᲤᲘᲥᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲒᲕᲮᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔ ᲨᲔᲕᲣᲓᲔᲥᲘ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲒᲖᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲓᲒᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲦᲕᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲝᲓᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲗᲣᲚᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲘᲧᲝ. ᲙᲐᲠ�გᲘ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲝᲑᲐ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ. ᲪᲕᲓᲘᲚᲝᲛᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲐᲜᲣ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲠᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲪᲝᲢᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ, ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ �თᲣ ᲗᲔᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲝᲛᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ. ᲩᲔᲛᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲗᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲕᲣᲥᲐᲓᲐᲒᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲕᲐᲮᲕᲔᲓᲠᲝ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲛ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔ, ᲐᲜᲣ ᲛᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲠ ᲕᲐᲠ. ᲛᲠᲔᲕᲚᲡ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲣᲥᲐᲓᲐᲒᲝ, ᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲥᲝᲜᲓᲔᲡ. ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲔᲜᲓᲝᲑᲓᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲝᲗ ᲠᲐᲦᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲜᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐᲕᲡ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲣᲚᲙᲔᲗᲘᲚᲘ, ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐᲜᲘ, ᲛᲝᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛᲘᲡᲙᲘᲜ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑ ᲛᲠᲔᲕᲚᲡ, ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲘᲒᲘᲕᲔᲜᲐᲘᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲛᲘᲡᲐᲡ ᲕᲐᲛᲪᲙᲘᲪᲔᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲗᲚᲘ ᲕᲐᲠ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ ᲛᲠᲔᲕᲚᲡ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲛ. ᲛᲠᲔᲕᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲗᲧᲕᲘ, ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲛᲧᲕᲐᲠᲔᲯ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲕᲘᲧᲝ ᲐᲡᲘᲗᲘᲡ, ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲝ?!

— ᲛᲠᲔᲕᲚᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲝᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲛᲐ?

— ᲩᲔᲛᲡ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲕᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲐᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲐᲜᲣ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲠᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲪᲝᲢᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ, ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲗᲔᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲝᲛᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ. ᲩᲔᲛᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲗᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ

→75

ᲙᲣᲭ-ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘ
(ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲝᲑᲐ, ᲤᲐᲦᲐᲠᲐᲗᲘ, ᲨᲔᲑᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ)
ᲓᲘᲡᲑᲐᲥᲢᲔᲠᲘᲝᲖᲘ

ᲛᲘᲘᲦᲔᲗ

ᲚᲐᲥᲗᲝ-ᲯᲘ

www.laqto.ge

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲪᲐᲜᲘᲗ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐᲡ, ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ.

Cyan Magenta Yellow Black

ხშირად ცხვირწინ გვიდგას სასწაული და ჩვენ არ გვსურს მისი დანახვა

ცხოვრება წმინდისა მოწამისა იაკინთესი

ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო უნდა გამოდგეს დღევანდელი ჩვენი საუბარი, რადგან მოგითხრობთ წმინდა მოწამეზე, რომელმაც ქრისტესთვის აღასრულა სიცოცხლე მოწამეობრივად ჯერ კიდევ იმ დროს, როცა იესო ქრისტეს რამდენიმე მოწაფე ცოცხალი იყო. ეს არის წმინდა მოწამე იაკინთე, რომელიც პირადად არ იცნობდა არც იესო ქრისტეს და არც მის ცოცხლად დარჩენილ მოწაფეებს, თუმცა სმენოდა მის შესახებ, მისი ღვთაებრივი საქმეების შესახებ და კერპების, უსულო საგნების თაყვანისცემა მისთვის, როგორც ქრისტიანისთვის, იყო სასტიკად მიუღებელი და ამას შეეწირა კიდეც საბოლოოდ.

წმინდანი დაიბადა კესარია-კაბადოკიის ეპარქიაში 98 წელს, მაშინ, როცა იმპერიას მეფე ტრაიანოსი მართავდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ქრისტიანები უსასტიკესად იდევნებოდნენ. წმინდანი სამეფო სამსახურში იყო, საბუღალტრო საქმეებით გახლდათ დაკავებული. იმპერიის ყველა მოქალაქე ვალდებული იყო და სახელმწიფო სამსახურში მყოფი ყველა პირი განსაკუთრებული სისასტიკით ისჯებოდა, თუ მეფის ბრძანების წინააღმდეგ გაბედავდა წასვლას.

მეფის ბრძანების წინააღმდეგ წავიდა წმინდა იაკინთე, როცა უარი განაცხადა იძულებით ნაკერპავის მიღებაზე და ამის მიზეზად ქრისტიანობა დაასახელა. იმპერიის მესვეურთათვის ამგვარი რამ გაუგონარი იყო. წმინდა იაკინთე დროებით დააპატიმრეს და ციხეში გამოამწყვდიეს. ციხის დარაჯს ყველას ნაბრძანები ჰქონდა, პატიმრისთვის არანაირი საკვები არ მიეწოდებინათ, რათა ამ გზით იძულებული გამხდარიყო და ნაკერპავის მიღებას დათანხმებულიყო. ქრისტეს ღირსეულმა ჯარისკაცმა არათუ შეიცხადა ეს უმსგავსო გადაწყვეტილება, არამედ სიმშვიდით მიიღო და ღვთის დაშვებად ჩათვალა ეს პატარა განსაცდელი. ორმოცი დღის განმავლობაში საერთოდ არაფერი მიუღია იმის შიშით, ნაკერპავი რამე არ ყოფილიყო.

ეს გიამბეთ მოკლედ, ახლა კი მივყვეთ თანმიმდევრობით, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ოცი წლის იაკინთეს წინააღმდეგ, რის გადატანა მოუხდა ქრისტეს გულანთებულ მიმდევარს, რომელმაც არაფრად ჩააგდო მეფის ბრძანება, როგორც უკვე გითხარით და უარი თქვა საერთოდ რაიმე ნაკერპავის მიღებაზე.

იმპერატორმა ტრაიანოსმა გადაწყვიტა, მთელი იმპერიის მასშტაბით სადღესასწაულო ღონისძიება გამოეცხადებინა, რომელშიც ყველა მოქალაქეს უნდა მიეღო მონაწილეობა. მონაწილეობა გულისხმობდა სამსხვერპლოებიდან ნაკერპავის მიღებასაც, რაც ქრისტიანებისთვის სასტიკად მიუღებელი გახლდათ. მათ რიცხვში იყო წმინდა მოწამე იაკინთეც, რომელიც მთელი ამ ღონისძიების მანძილზე განმარტოებით იდგა და ლოცულობდა თავისი ღმერთის წინაშე.

ბუნებრივია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა ღონისძიების ორგანიზატორებისთვის და მომხდარის შესახებ აცნობეს თვით იმპერატორს, რომელმაც ბრძანა, დაეძალებინათ ახალგაზრდა იაკინთესთვის დღესასწაულში მონაწილეობა, კერპებისთვის შეეწირა მსხვერპლი და სამსხვერპლოდან აღებული ნაკერპავის საკვები მიეღო. როცა ამაზე უარი განაცხადა წმინდანმა, მასთან ერთად მსახურობდა ვინმე, სახელად სერვიკიოსი, რომელმაც განიზრახა, პირადად ეამებინა მეფისთვის და მოახსენა: „მეფეო, თქვენს უძლეველ იმპერიას ემსახურება სახელად იაკინთე, რომელიც წინააღმდეგია, შეასრულოს თქვენი აღმატებულების ბრძანება და სამსხვერპლოდან აღებული საკვები იხმიოს, არამედ დგას განმარტოებით და ლოცულობს, ვიღაც ქრისტეს მოუხმობს ლოცვის დროს“.

ამის გამგონე ტრაიანოსმა განრისხებულმა ბრძანა, სამხარზე მასთან მოეყვანათ სასახლეში იაკინთე. უნდოდა, ენახა, თუ ვინ იყო და როგორ ბედავდა იმპერატორისთვის წინააღმდეგობის გაწევას. მართლაც, მოიყვანეს წმინდანი სასახლეში, სადაც თვითონ იმპერატორმა ტრაიანოსმა მოსთხოვა, ჯერ მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის და შემდეგ ყველას დასანახად ნაკერპავი საკვებიც მიეღო, რაზეც წმინდანმა ჯერ პირჯვარი გამოისახა და გამხნევებულმა, ღვთის მადლით გულანთებულმა უპასუხა:

„ეგ არ მოხდება, მეფეო, მე, ქრისტიანმა, ნაკერპავი მივირთვა. საპირისპიროს კი გეტყვი, იქნებ შენც დაფიქრებულიყავი და განშორებოდი კერპთაყვანისმცემლობას, რომელიც ჯადოქრობა უფრო არის, ვიდრე სარწმუნოება. თავი დაანებე შენც და ამ ხალხსაც გამოუცხადე, რომ უარი თქვან ამ დემონების, უსულო კერპების თაყვანისცემაზე, რადგან ჭეშმარიტი ღმერთი არის ერთი და მხოლოდ მას უნდა ვცეთ თაყვანი ყველამ“.

ამის მოსმენა უკვე მეტისმეტი იყო ტრაიანოსისთვის. გაცეცხლებულმა უბრძანა მსახურებს, სასტიკად ეცემათ, ვიდრე აზრს არ შეიცვლიდა და კერპებს მსხვერპლს არ შესწირავდა. პირნათლად შეასრულეს დემონთა მსახურებმა მთავარი ეშმაკეულის ტრაიანოსის ბრძანება, უმოწყალოდ ურტყამდნენ სახეში, მუცელში, თავში, სასიკვდილოდ გაიმეტეს. არც ერთი ჯალათი სინდისს არ შეუწუხებია და არ უკითხვათ წმინდანისთვის, თუ რატომ სწირავდა თავს ან რა იყო ისეთი, რისთვისაც შეეძლო საკუთარი სიცოცხლე მიეცა. ეკითხებოდნენ დამცინავად: „ნუთუ არ იცი, იაკინთე, რომ იმყოფები ჩვენი ძლევამოსილი მეფის ტრაიანოსის ხელში? როგორ ბედავ და ამბობ იმას, რასაც ამბობ“.

დააგდეს მიწაზე წმინდა იაკინთე და ნახევრად გონწასულს ძალის გამოყენებით ჩაუდეს პირში ნაკერპავი საკვები. ამის შემდეგ ბრძანა განრისხებულმა მეფემ, წაეყვანათ მთავარ მოედანზე, სადაც ამფითეატრი იყო და იქ თვითონაც დაესწრებოდა ყველას დასანახად იაკინთეს სამაგალითო დასჯას, ისეთს, როგორც ჯერ არავინ დასჯილა მანამდე.

მიიყვანეს წმინდანი ბრძანებისამებრ მთავარ მოედანზე, მოვიდა ტრაიანოსიც და მიუგო წმინდანს: „იაკინთე, გონს მოდი და მოიქეცი ისე, როგორც სურთ ჩვენს ღმერთებს და ნუ გახდება მიზეზი შენი სამარცხვინო და უსასტიკესი სიკვდილისა შენი ამპარტავნება, რათა იარო შენი ღმერთების და წინაპრების საწინააღმდეგოდ. დათანხმდი, ვიდრე ჯერ კიდევ არ არის გვიან და მსხვერპლი შესწირე ჩვენს დიდებულ ღმერთებს, რადგან თანდათან ახლოვდება შენი აღსასრული“.

ქრისტეს მოწმე კი, ბედნიერი, მხნე და პირმომღიმარი, რომელსაც ამდენი ტანჯვის მიუხედავად სულიერი სიმტკიცე გაათმაგებოდა, შიშის და სინანულის ნაცვლად კიდევ უფრო ბედნიერი იყო, დაეთმინა ქრისტესთვის უფრო მეტი შეურაცხყოფა. ღვთის ძალით განმტკიცებულმა მიუგო მტარვალს: „მე რადგან ვარ ქრისტიანი, არარაობად მივიჩნევ შენს დემონურ წამების მეთოდებს, ვერაფერს დამაკლებ და სამარცხვინოდ დამარცხდები. ვერ შეძლებ, უარი მათქმევინო საუკუნო სიცოცხლეზე, დაუსრულებელ სამეფოს მკვიდრობაზე. შენი მეფობა დროებითია და მოიქეცი ისე, როგორც გინდა, მაინც დამარცხებისთვის ხარ განწირული“.

უზომოდ განრისხებულმა ტრაიანოსმა ბრძანა, კიდევ უფრო შეუბრალებლად ეცემათ წმინდანი. როგორც მემატიანე აღწერს, მტარვალები წმინდა იაკინთეს სისხლით იყვნენ გაშავებულები, მხოლოდ თვალები უჩანდათ თეთრად. ახლა ბრძანა, ჩამოეკიდათ და დაესერათ, რათა კიდევ უფრო აუტანელი ყოფილიყო ტკივილი.

მიუხედავად იმისა, რომ ტყავი თითქმის მთლიანად ჰქონდა გაცლილი, წმინდანი ხმამაღლა, ყველას გასაგონად ყვიროდა: „ქრისტიანი ვარ, ტრაიანოს! ქრისტეს მონა ვარ და არასდროს უარვყოფ მას. რომც შემიწყნარო, მაინც არ მინდა, მტარვალო, რადგან უნდა განვიცადო ის ვნება, რაც ჩემმა ქრისტემ განიცადა. კიდევ უფრო სასტიკი მოიგონე რამე, რათა კიდევ უფრო მეტად ვირწმუნო იესო ქრისტესთვის თავდადების ძალა, კიდევ უფრო მეტად გახდეს ყველასთვის დასანახი, თუ როგორ ეხმარება თავის შვილებს იესო ქრისტე“.

უკვე საღამოვდებოდა. ტრაიანოსმა გადაწყვიტა, დროებით შეეწყვიტა იაკინთეს წამება და ბრძანა, როგორც უკვე მოგახსენეთ, მისი საპყრობილეში ჩაგდება, ოღონდ უმკაცრესი გაფრთხილებით, რომ არავის გაებედა და რაიმე სახის დახმარება არ გაეწიათ მისთვის, არც წყალი მიეწოდებინათ და არც პური. ვნახოთ, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს მისი სიჯიუტეო. მხოლოდ ციხის უფროსს შეეძლო მიეტანა მისთვის სამსხვერპლოდან ნაკერპავი საკვები. წმინდანი კი, მიუხედავად რომ მწყურვალი და მშიერი იყო, მაინც არაფერს ეკარებოდა.

მოგვიანებით ტრაიანოსი დაინტერესდა წმინდა იაკინთეს მდგომარეობით, დაიბარა საპყრობილის უფროსი და გამოჰკითხა მისი ამბავი. ის, რაც მოისმინა, მისთვის არცთუ მაინცდამაინც სასიამოვნო იყო, რადგან უკვე ოცდათვრამეტი დღე იყო გასული და მაინც ვერ გატეხეს წმინდანი, რომელიც არც ჭამდა და არც სვამდა. საპყრობილის უფროსმა უთხრა, რომ ციხეს, რომელშიც წმინდა მოწამე ჰყავდათ გამოკეტილი, ნათლის სვეტი ადგა, თვითონ წმინდანს კი ანგელოზები იფარავდნენ, ერთი ანგელოზი მის სხეულს ფარავდა, მეორეს კი გვირგვინი ეჭირა წმინდანის თავზე.

ტრაიანოსს ციხის უფროსის მონაყოლი მონაჩმახი და ფანტაზიები ეგონა, რადგან

Cyan Magenta Yellow Black

რას ვევედრებით იერუსალიმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს

მამა გიორგი

25 ოქტომბერს იერუსალიმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული აღინიშნება. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატს განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს. არსებობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სხვადასხვა დასახელების ხატები, რომელთა მიმართაც წასაკითხ ლოცვებს მორწმუნენი ინდივიდუალურად ირჩევენ. როგორც წესი, იერუსალიმის ღვთსმშობლის ხატს ევედრებიან ხანძრის, ეპიდემიის დროს, ასევე პირუტყვის ხანძრისაგან დასახსნელად, სიბრმავისა და დამბლისგან განსაკურნებლად... წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატის ისტორიისა და ზოგადად ხატის მნიშვნელობის შესახებ გვესაუბრება.

— მამაო, რა ისტორია აქვს იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატს?

— გადმოცემის მიხედვით, ეს ხატი მაცხოვრის ამაღლებიდან მეთხუთმეტე წელს ლუკა მახარებელმა დაწერა. 453 წელს ხატი იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში გადაიტანა საბერძნეთის მეფემ ლეონ დიდმა და იქ ღვთისმშობლის ტაძარში მოათავსა. როცა ღვთისმშობლის შეწევნით სკვითები დამარცხდნენ, ის კონსტანტინეპოლის ვლაქერნის ტაძარში გადააბრძანეს. 988 წელს ხერსონში რუსთა შემოსვლისას ლეონ VI ფილოსოფოსმა ხატი წმიდა დიდ მთავარ ვლადიმირს გადასცა, როცა მან კორსუნი დაიპყრო და იქვე მოინათლა. ვლადიმირმა ეს სიწმინდე ნოვგოროდელთა მოქცევასთან დაკავშირებით მათ აჩუქა. ის სოფიის ტაძარში იმყოფებოდა, სანამ ქალაქს მეფე იოანე IV დაიპყრობდა, რომელმაც ხატი მოსკოვის მიძინების ტაძარში გადაიტანა. 1812 წელს ნაპოლეონის დროს ხატი დაიკარგა და მის ადგილას დააბრძანეს ძველის ზუსტი ასლი, რომელიც მოსკოვის ღვთისმშობლის შობის ეკლესიიდან გადმოაბრძანეს. ხატის კიდეებზე მოციქულების გამოსახულებებია მოთავსებული: პეტრე და პავლე, იოანე, ლუკა, სიმეონი, ფილიპე, მარკოზი, იაკობი, თომა, ბართლომე; ასევე წმინდა მოწამეები: პროკოფი, გიორგი და მერკური.

→74

თვითონ ჰქონდა დახშული თვალიც და გონებაც. ორი დღის შემდეგ ბრძანა, მაინტერესებს, აბა, როგორ ეხმარება ან ქრისტე, ან კიდევ ანგელოზები და ვნახოთ, თუ გამოიხსნიან ჩემი ხელიდანო.

მტარვალის მუქარას აღსრულება არ ეწერა, რადგან მეფეს მოახსენეს ციხის მცველებმა, რომ იაკინთე ციხეში გარდაცვლილიყო. წმინდანის სხეულს ადამიანის მსგავსი ანგელოზები დასტრიალებდნენ, რომელთაც ხელში ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ. ამის მნახველი მცველები მაშინვე მეფესთან მიცვივდნენ და მოახსენეს: „მეფეო, საკანში მისულეს მოწამე გარდაცვლილი დაგვხვდა, უამრავი ადამიანი შეკრებილიყო მის გვამთან და ყველა მათგანი თეთრ სამოსში იყო გამოწყობილი. იდგნენ იაკინთეს გარშემო და ანთებული ჩირაღდნები ეჭირათ“.

ამის გამგონე ტრაიანოსმა, რომელსაც ყოველივე, რაც მოისმინა, მაგიური ძალების შემოქმედება ეგონა, ბრძანა, წაეღოთ მისი სხეული და მთაზე დაეგდოთ, სადაც ლეშისმჭამელი ფრინველები და ცხოველები შეჭამდნენ. უბრძანა მცველებს, ყურადღებით ყოფილიყვნენ, რომ მისი ახლობლები ან მისნაირი მაგიური ძალით შეპყრობილები არ მოსულიყვნენ, მისი გვამი არ მოეპარათ და როგორც ღმერთს, თაყვანი არ ეცათ მისთვის.

მღვდელი, სახელად ტიმოთე, კაცი ფრიად ღვთისმოშიში, სათნოებებით შემკობილი, იაკინთეს ნათესავი იყო. მან გადაწყვიტა, როგორც ეგვიპტის მოქალაქეს და არა რომისას, გამოეხსნა წმინდა მოწამის სხეული. მართლაც, უცნობია, როგორ მოახერხა, მაგრამ მოიპარა წმინდანის სხეული და დიდი პატივით დაკრძალა. წმინდა მოწამის საფლავი ავადმყოფებისთვის ნამდვილი თერაპიის ადგილი იყო. მოგვიანებით მღვდელი ტიმოთე ისხენებდა, რომ თვით ანგელოზები ანთებული ლამპრებით იცავდნენ წმინდანის სხეულს და არ აძლევდნენ მხეცებს ახლოს მისვლის ნებას. ღვთის დახმარებით, როგორც იქნა, მოახერხა მამა ტიმოთემ სხეულის მოპარვა და უსაფრთხო ადგილას ღირსეულად მიაბარა მიწას.

სიცოცხლეში მღვდელი არავის უმხელდა, თუ სად დაკრძალა მოწამის წმინდა სხეული. ტიმოთეს გარდაცვალების შემდგომ ფოფოდიასგან შეიტყვეს ქრისტიანებმა წმინდა იაკინთეს საფლავის შესახებ. დიდი ხანი არც ფოფოდია ამხელდა, რომ მოწამის საფლავს თვითონ უვლიდა, რადგან ეშინოდა. იმ ქალაქში, იმ ადგილას, სადაც წმინდა მოწამის საფლავი იყო, უამრავი წარმართი ცხოვრობდა და ადვილი შესაძლებელი იყო, საფრთხე შექმნოდა ფოფოდიასაც და წმინდა ნაწილებსაც. მათი მხრიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდხანს არავინ არაფერი იცოდა წმინდა ნაწილების შესახებ, ვიდრე თვითონ წმინდანმა არ ისურვა თავისი თავის გამჟღავნება.

კესარიაში, წმინდა იაკინთეს სამშობლოში, ერთი ღვთისმოსავი ქრისტიანი უსინათლობას ებრძოდა. თვალისჩინი წართმეოდა და ამას განიცდიდა, განუწყვეტლივ ლოცულობდა და უფალს ევედრებოდა განკურნებას. ერთხელაც ძილში გამოეცხადა წმინდა მოწამე იაკინთე და ჰკითხა ავადმყოფს, უნდოდა თუ არა, რომ განკურნებულიყო. ბრმას გამოეღვიძა და მიუგო: „დიახ, ძალიან გთხოვ“.

მაშინ ჰკითხა წმინდანმა: „შენ ვინ ხარ?“ „მე უსინათლო სინგლიტიკოსი (სახელმწიფო მოხელე) გახლავართ, ვერც ერთმა ექიმმა ვერაფერი მიშველა. მითხარი, რამდენი მოგცე, ოღონდ კი გამათავისუფლე ამ სიბნელისგან, რადგან სულით ვარ შეძრწუნებული სიბრმავის გამო“. ამ სიტყვებზე წმინდა მოწამემ მიუგო: „ჩემი უფალი განგკურნავს უფასოდ. მხოლოდ ეს დაიმახსოვრე და გაითვალისწინე, რასაც ახლა გეტყვი: იმ მოხუც დედაბერთან, ვინც ჩემს სხეულს ინახავს, მიხვალ და გამოართმევ ჩემს სხეულს, გაგზავნი ან თვითონ ჩაიტან კაბადოკიელთა ქვეყანაში, კერძოდ, კესარიის მიტროპოლიაში“.

ირწმუნა უსინათლო სინგლიტიკოსმა და გამთენიისას გაემგზავრა იმ ქვრივის სახლში, სადაც მიასწავლა წმინდა იაკინთემ. იპოვა წმინდანის საფლავზე ანთებული კანდელი, მაშინვე კანდელიდან ზეთი ამოიღო, იცხო თვალებზე და ჰოი, საოცრებავ, დაუყოვნებლივ განიკურნა! გასაკვირი კი ის იყო, რომ შეთანხმებისამებრ წმინდა ნაწილები არ წააბრძანა კესარიაში.

შეთანხმება დავიწყებას მიეცემოდა, რომ არა ერთი სამწუხარო ამბავი: ზუსტად ერთი წლის შემდეგ სინგლიტიკოსის მხედველობამ კლება დაიწყო და მალე თითქმის სრულიად დაბრმავდა. ისევ მიადგა ქვრივ ქალთან მყოფ წმინდანის ნაწილებს, რათა განკურნებულიყო და მოესმა ხმა: „როგორც უგულებელყავი ჩემი თხოვნა, ასევე იქნები უგულებელყოფილი“. მაშინვე გაახსენდა ერთი წლის წინ წმინდანთან დადებული პირობა, რომელიც არ შეასრულა და მიუგო: „მომმადლე კურნება და ამჯერად უცილობლად შევასრულებ დანაპირებს“.

წმინდა მოწამეს გულით ეწადა, საკუთარი სამშობლოსთვის გადაეცა თავისი სხეულის ნაწილები და ამიტომაც კიდევ განკურნა სინგლიტიკოსი. როგორც კი შეეხო კანდელის ზეთი ავადმყოფის თვალებს, მაშინვე განიკურნა. ახლა კი ნამდვილად შეეშინდა, კიდევ რომ არ შეესრულებინა დანაპირები და თავის ახლობლებთან ერთად უზრუნველყო წმინდა ნაწილების გადასვენება ღვთის მოწამე იაკინთეს სამშობლოში.

წმინდა ნაწილები პირველად ქალაქის კარიბჭეში დაბრძანეს, ადგილზე, რომელსაც ერქვა სევასტიანი. ეს ადგილი მაინცდამაინც საიმედო არ იყო, ამიტომ ისევ წმინდანის მითითებით სტენადიონში გადაასვენეს. სწორედ აქ იყო წმინდანის სახლიც და აქ გაატარა სიყმაწვილის წლები. ასე იზრუნა წმინდა იაკინთემ თავისივე წმინდა სხეულზე, რომელიც დიდი წვალების მიუხედავად, მაინც მოხვდა იქ, სადაც პატრონს სურდა.

განსრულდა წმინდა მოწამის ცხოვრება, რომელიც, ვგონებ, ერთგულებისა და ვაჟკაცობის მაგალითია ყოველი ქრისტიანისთვის და გადამდები უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც სურს, რომ ნახოს უფალი.

განსრულდა იესო ქრისტეს მოწამის, რომის მოქალაქის, წმინდა იაკინთეს ცხოვრება დედამიწაზე 3 ივლისს, რომელმაც ორმოცი დღის განმავლობაში არაფერს გაუსინჯა გემო, არც საჭმელს და არც წყალს, რადგან იყო მეფის ბრძანებით ნაკერპავი და სასტიკად მიუღებელი მისთვის. ის იკვებებოდა წმინდა სულის ენერგიით და არც ზრუნავდა სხეულზე, რომელზეც იმარჯვა და მოიპოვა კიდეც საუკუნო სიცოცხლე. ფეხქვეშ გათელა მეფე ტრაიანოსის სამეფო უძლეველობა, რომელმაც დემონთა მბრძანებლობას ვერაფრით დაალწია თავი და თავისი უგუნურებით ყოვლადწმინდა სამების ღვთიურ წყალობას ჩამოშორდა. თუმცა სამდურავი არავისზე ეთქმის, რადგან იხილა ღვთიური საქმენი საკუთარი თვალით და არა გულსხმაჰყო.

გვფარავდეს უფალი წმინდა მოწამე იაკინთეს მადლით!

ქრისტესმიერი სიყვარულით
პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

Cyan Magenta Yellow Black

— რატომ ესჭება ღვთისმშობელს და მის ხატებს ასეთი უდიდესი მნიშვნელობა ქრისტიანულ სარწმუნოებაში?

— განუზომლად დიდია და მიუწვდომელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატების მნიშვნელობა ქრისტიანულ ხატწერაში, ვინაიდან მისით უფლის ძე განკაცდა, განხორციელდა. იგი სისხლხორცეულად ადამიანის მოდგმას ეკუთვნოდა, მაგრამ გამორჩეულ იქნა ღვთისმოსაობის, განსაკუთრებული სიწმინდის, სრულყოფილების გამო და გახდა ჭურჭელი უფლის ნების განსახორციელებლად. იგი ერთადერთია ადამიანთა შორის, რომელიც უკვდავებაში გადავიდა და რომელმაც საუკუნო სასუფეველი თვით უფლის გვერდით დაიმკვიდრა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იესო ქრისტესთან ერთად ადამიანთა ბედის გამგებელი შეიქმნა. მისი ხატები ხატწერული ტიპების სიმრავლით და განსაკუთრებული პატივმიგებით გამოირჩევა.

— როგორ და რისთვის იქმნება ხატი?

— ხატი გარკვეული რეალობის სიმბოლურად გადმოცემის საშუალებაა. მაგალითად, შეიძლება ითქვას, სახარება ხატია ქრისტესი, სიტყვებით გადმოცემული; „ქართლის ცხოვრება“ კი საქართველოს ხატია, ასევე წერილობით გადმოცემული. რაღაცის ან ვიღაცის ხატი შეიძლება შეიქმნას მუსიკის, პოეზიის ან კიდევ სხვა რაიმე სიმბოლოს საშუალებით; ასევე ფერებითა და ხაზებით, ანუ მხატვრობით. მხატვრობის მეშვეობით შეიძლება ნებისმიერი პიროვნების ხატი შევქმნათ. როდესაც ახლობელი ადამიანის სურათს ვუყურებთ, ჩვენს წარმოსახვაში იმ პიროვნებას მივეახლებით, ვინც სურათზეა გამოსახული. ღვთაებრივმა პიროვნებამ ადამიანური ბუნება (კაცობრივი სული და ხორცი) მიიღო, რითაც საშუალება მოგვეცა მისი ფერებით გამოსახვისა.

ზემოთქმულს თუ მოვიშველიებთ (ახლობლის სურათის შეხედვა), ქრისტეს ხატი მაცხოვრის პიროვნებასთან, ანუ ძე ღმერთთან გვაკავშირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ღმერთმა ადამიანური ბუნების მიერთებით და განწმენდით მთელი სამყაროს განახლება და განწმენდა გახადა შესაძლებელი (ადამიანი თავის თავში მოიცავს მთელ სამყაროს: არამატერიალურს და მატერიალურს, ცოცხალს და არაცოცხალს). ამიტომ კურთხევის მიერ ხატის მატერიალური შემადგენლობაც განწმენდილი და მადლმოსილი ხდება, რაც მას ზეცაში გამავალ ერთგვარ სარკმლად ხდის.

ხატი, ზეცის სარკმელი, ხანგრძლივი მუშაობის შედეგად იქმნება, რაც დიდ მოთმინებას, გამოცდილებასა და ნიჭს მოითხოვს. ხატის ნივთიერება არ იცვლება, იგი ისეთივე რჩება, როგორც ღმერთმა შექმნა, ასე რომ, ყველა გამოყენებული მასალა და შემადგენელი ნაწილი მინერალური, მცენარეული ან ორგანული წარმოშობისაა.

— რა მნიშვნელობა აქვს ხატთაყვანისცემას? რატომ არის ქრისტიანობაში მიღებული ხატების — ანგელოზთა, უფლის და წმინდანთა გამოსახულებების შექმნა?

— წმინდა მამები ბრძანებენ და ამაზე უკვე მოგახსენეთ, რომ ხატი სარკმელია, რომლის მეშვეობითაც ზეციურ სამყაროს, იქ დავანებულ უფალს, ანგელოზებსა და წმინდანებს ვუკავშირდებით. ხატის წინაშე მლოცველი ზეციურ სასუფევლამდე მაღლდება და ლოცვით ამყარებს ურთიერთობას უფალთან, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან, ანგელოზებსა და წმინდანებთან. მათგან კი მლოცველზე ღვთიური მადლი, შემწეობა და ლოცვა-კურთხევა გადმოედინება.

— ზოგისთვის ხატის თაყვანისცემა კერპთაყვანისმცემლობაა. რა განსხვავებაა ხატის და სხვა ნივთის თაყვანისცემას შორს?

— ხატის თაყვანისცემისას პატივს მივაგებთ არა ხეს, საღებავსა და იმ მასალას, რომლისგანაც ხატია შექმნილი, არამედ

■ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲮᲐᲢᲘ

„ხატი სარკმელია, რომლის მეშვეობითაც ზეციურ სამყაროს, იქ დავანებულ უფალს, ანგელოზებსა და წმინდანებს ვუკავშირდებით. ხატის წინაშე მლოცველი ზეციურ სასუფევლამდე მაღლდება და ლოცვით ამყარებს ურთიერთობას უფალთან, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან, ანგელოზებსა და წმინდანებთან. მათგან კი მლოცველზე ღვთიური მადლი, შემწეობა და ლოცვა-კურთხევა გადმოედინება“.

მასზე გამოსახულ პირველსახეს — უფალს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ანგელოზებს, წმინდანებს ან წმინდა მოვლენებს. წმინდანთა გამოსახულებებს თაყვანს ვცემთ და ლოცვა-ვედრებას აღვუვლენთ იმის გამო, რომ ისინი თავიანთი ამქვეყნიური ცხოვრებით და ქრისტიანული აღსასრულით სათნო ეყვნენ უფალს და ამის გამო მეტი კადნიერება აქვთ უფლის წინაშე თხოვნისა, ვიდრე ჩვენ.

— როგორ განყალაგოთ ხატები?

— ჯვრის ქვემოთ მარჯვენა მხარეს უნდა მოთავსდეს მაცხოვრის ხატი, მარცხნივ — ღმრთისმშობლისა, ქვემოთ წმიდანებისა. ეს ზოგადი წესია, კანკელის მაგალითიდან აღებული. დანარჩენი კი თითოეულის გემოვნებაზეა დამოკიდებული, თუმცა სასურველია, დავიცვათ იერარქია: წმიდანის ხატი მაცხოვრის ხატის ზემოთ რომ არ მოხვდეს. სამღვდელო კურთხევანის მიხედვით, უფლისა და ღმრთისმშობლის ხატების შემდეგ დაცულ უნდა იქნეს ხატების განლაგების შემდეგი იერარქია:

1) წმ. იოანე ნათლისმცემლის;
2) წმ. წინასწარმეტყველთა;
3) წმ.პეტრესი, წმ. პავლესი და ათორმეტთა მოციქულთა;
4) წმ. მღვდელმთავართა;
5) სხვა მოციქულთა და წმიდა მოწამეთა;
6) ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა;
7) წმ. უვერცხლო მკურნალთა;
8) წმ. იოაკიმესი და წმ. ანასი.

— როგორ მოვაწყოთ სამლოცველო კუთხე?

— პირველ რიგში, სწორად უნდა შევარჩიოთ ხატები. უფლის, ღმრთისმშობლის ან წმიდანების ყოველგვარი გამოსახულება არ შეიძლება ხატად ჩაითვალოს. მართლმადიდებლურ ხატს აქვს თავისი კანონიკა, რისი წყალობითაც იგი თავისუფლდება ყოველგვარი მიწიერისგან და მასზე გამოსახული წმიდანის სულიერ პორტრეტს წარმოაჩენს. ამიტომ არამართლმადიდებლურ (მაგალითად, კათოლიკურ) ხატებს არ გააჩნიათ ლოცვითი ღირებულება და სალოცავ კუთხეში არ შეიძლება მათი მოთავსება. ხატები უნდა განლაგდეს აღმოსავლეთ კედელზე. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, ჩრდილოეთ ან სამხრეთ კედლებზე. შესაბამისად, ქრისტიანიც ლოცვისას პირით აღმოსავლეთისაკენ დგება.

— დაბოლოს, მამაო, უფრო ხშირად რას ეკვედრებიან იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატს?

— იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატს ევედრებიან ხანძრის, ეპიდემიის დროს, ასევე პირუტყვის ხანძრისაგან დასახსნელად; ამასთან, სიბრმავისა და დამბლისგან განსაკურნებლად.

ᲢᲠᲝᲞᲐᲠᲘ

სახეი მტკიცისა შუამდგომელობისა და გულმოწყალებისა შენისა, დედუფალო, ხატი იერუსალიმისა გამოგვიბრწყინდა ჩუენ და აღვავლენთ ლოცუასა სულთა ჩუენთაგან წინაშე მისსა, და სარწმუნოებითა ვხმობთ შენდამ: გულმოწყალეო, მოხედენ ერსა შენსა, ყოველნი მწუხარებანი და ვნებანი ჩუენნი დაშრიტენ, კეთილნი ნუგეშინის-ცემანი გულთა შინა ჩუენთა დანერგენ და ცხოვრებაი სამარადისოი ითხოე სულთა ჩუენთათვის.

ᲚᲝᲪᲕᲐ

ყოვლადწმიდაო დედუფალო ღუთისმშობელო, სასოო ყოველთა შენდა მოლტოლვილთაო, მწუხარეთა მეოხო, უსასოთა ნავსაყუდელო, ობოლთა და ქვრივთა გამომზრდელო, შემივრდენ და შემიწყალენ ჩუენ ცოდუილნი და უღირსნი მონანი შენნი, ღმობიერად შევრდომილნი წმიდასა ხატსა შენსა, ევედრე, დედუფალო გულმოწყალეო, ძესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რაითა მოგვიტევნეს ცოდუანი და უსჯულოებანი ჩუენნი, რაითა მოწყალებითა მისითა ღირს ვიქმნეთ კეთილსა აღსასრულსა ცხოვრებისა ჩუენისასა და წყალობაი მისი ყოველთა რჩეულთა მისთა ზედა აჩუენე, რამეთუ კურთხეულ და უფროსად დიდებულ ხარ, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

✓ **მანანა ნოდია**

Cyan Magenta Yellow Black

←71 ლებში რომ ჩახედა, გააცნობიერა ის ჭეშმარიტება, რომ მიიღებდა იმას, რაც თავისი წარსულით დაიმსახურა. ის კი არა, ჯვარზე გაკრულ იესო ქრისტეს უთხრა, როცა შენი სუფევით მოხვალ, მეც მომიხსენიეო. არც სამოთხეში შეყვანა სთხოვა და არც ანგელოზად დადგენა.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ადამიანებს ჰგონიათ, თუ წლების განმავლობაში ეკლესიურად იცხოვრებენ, სამოთხეში შესვლას დაიმსახურებენ. ისინი ზემოდან უყურებენ თუნდაც ურწმუნო მეზობელს, რომელიც ტაძარში არ დადის. ასეთი აზროვნება ზნეობრივი პრობლემაა. მართლმადიდებლობას სწორი აღქმა და გაცნობიერება სჭირდება. თუ თავად ვერ აღიქვამს, მაშინ ეს სულიერმა მოძღვარმა უნდა გააკეთოს.

— საკუთარ თავზე სიმართლის გაგებით ხშირ შემთხვევაში ადამიანები ითრგუნებიან.

— კი, ნამდვილად, მაგრამ ტყუილს ისევ სიმართლე სჯობს. დღეს ჩვენ თითქმის ყველა სფეროში გვაჩვევენ იმას, რომ ყველაფერი კარგად არის. არადა გულის სიღრმეში ყველამ კარგად ვიცით, რომ ასე არაა. შეუძლებელია, ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყოს, ყველა კარგად გრძნობდეს თავს და ა.შ. მაგალითად, ეკლესიაში მოსულ მორწმუნეს მოძღვარმა არ უნდა უთხრას, ყველაფერი კარგად არისო. როცა ადამიანს ამას ვეუბნებით, იქ მთავრდება მისი სულიერი განვითარება. ამიტომაც მრევლს ყოველთვის უნდა ვუქადაგოთ, რომ ჯერ კიდევ ბევრია მისაღწევი და გაჩერება არ შეიძლება. ამ სიტყვების შემდეგ ადამიანი უფრო მეტად დაფიქრდება საკუთარ თავზე, რაღაცეებს აწონ-დაწონის და ეცდება, უკეთესი გახდეს.

ზოგჯერ ჩვეულებრივი ადამიანები აკეთებენ ქველმოქმედებას, სიკეთეს, მაგრამ თითქოს ამას ანგარების ან მოჩვენებითობის სახე აქვს. ეკლესიის შესაწირ ყუთში ფული ისე უნდა ჩაგდო, რომ ვერავინ გაიგოს. როცა ყუთში ფულს ისეთ დროს აგდებ, როცა მსახურებაა და ტაძარში სიჩუმეა, ხურდის ჩავარდნის ხმა ისმის. შესაბამისად, ყველა ყურადღებას შენზე გადმოიტანს და დაინახავს, რომ შესაწირი გაიღე. ქველმოქმედება ჩუმად, შენთვის უნდა გააკეთო. გაკეთებულ სიკეთეზე ლაპარაკი მადლს კარგავს. მოძღვრების ვალია, მრევლს მსგავსი წვრილმანები ავუხსნათ. რატომღაც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ თუ დიდი შესაწირი გაიღეს ტაძრისთვის, იქ შესულთ მღვდელი სანთლებით უნდა მიეგებონ და აღსარების რიგში პირველები დადგნენ. პატივმოყვარეობაში ჩავარდნა საერთო პრობლემაა.

— ისეთ თემებზე ამსჯელებთ ყურადღებას, ეს თქვენს სიმკაცრეზე ხომ არ მიუთითებს?

— მკაცრი მოძღვარი არ ვარ. მსგავს თემებზე საუბარს არასოდეს ვერიდები. დღეს რატომღაც ასეთი ტენდენციაა, რომ სიმართლის თქმა ბევრს აღარ მოსწონს. ხალხს ისეთი მოძღვრის ყოლა ურჩევნია, მისი ლამაზი სიტყვებით გულს რომ მოიფხანს. და მაინც, ჩემს მრევლთან რბილი ვარ. სულ ვეფერები მათ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მაგრამ სწავლებაში სხვანაირი გახლავართ. ადამიანს ყოველთვის სიმართლეს ვეუბნები. მე ვერ ვეტყვი მრევლს, რომ ყველაფერი კარგადაა და ქვეყანა გაბრწყინდება. ინდივიდუალური გაბრწყინება იქნება, საყოველთაო კი — არა. როცა ვიცით, რა არის რეალობა, მაშინ გამოსავალზე ვფიქრობთ, ხოლო როცა რეალობა არ ვიცით, მაშინ გამოსავალი საკმაოდ ბუნდოვანია.

უფალი ჩვენი ცხოვრების ორიენტირია, ის გვიდგენს ცხოვრებას, მცნებებს, სჯულს და ამას თუ შეასრულებ, შენი სულისთვის უკეთესი იქნება. ღმერთი სიცოცხლეს გჩუქნის და გეუბნება, დანარჩენი თავად გააკეთეო. ჩვენ კი ხშირად ვსხედვართ ხელგაუნძრევლად და ვამბობთ, როცა უფალი ინებებს, ყველაფერი მაშინ მოხდებაო. სინამდვილეში, უფალმა უკვე ინება, ცხოვრების გზა დაგვიდო და რაღას ვითხოვთ?! ისღა დაგვრჩენია, ხელი გავანძრიოთ.

— სულიერი მამები მოგვიწოდებენ, ერთმანეთი გვიყვარდეს. რამდენად შესაძლებელია ყველას შეყვარება?

— მეც ხშირად ვქადაგებ, რომ სიყვარული უნდა გვქონდეს. მხოლოდ ოჯახის წევრები და ნათესავები კი არა, ყველა უნდა გვიყვარდეს. მაგალითად, ბევრი მისვამს ხოლმე ასეთ შეკითხვას — როგორ უნდა მიყვარდეს მეზობელი, რომელიც ყოველ დილით გამოდის და მწყევლისო. ამ ყველაფერს სხვანაირი აღქმა უნდა. როცა ადამიანთან კარგი ურთიერთობა არ გამოგდის, ის ვერ გეყვარება, მაგრამ ნურც შეიჯავრებ, ნურც დანყევლი. ის რომ ერთს გეტყვის, შენ ათს ნუ ეტყვი. სიყვარული ესაა, რომ შენ მიმართ უარყოფითად განწყობილ პიროვნებას იმავეს არ გაუკეთებ და ამით მასზე მაღლა დადგები. მრევლთან ამას ვქადაგებ, ერთმანეთი არ უნდა გეზიზღებოდეთ-მეთქი. შეიძლება ადამიანები ისე ვერ შევიყვაროთ, როგორც საკუთარი და ან ძმა, მაგრამ არც სიძულვილი უნდა გვქონდეს მათ მიმართ.

პირველი ქრისტიანები სრულიად უცხოებისთვის თავს სწირავდნენ, კეთროვნებს უვლიდნენ მაშინ, როცა იყო საფრთხე, დაავადება მათაც გადასდებოდათ. ეს იყო ნამდვილი ქრისტიანობა, თუმცა ეს პირველ საუკუნეში იყო, 21-ე საუკუნის ქრისტიანს იმავეს ვერ

„ეხთ-ეხთ წმინდა მამას აქვს ნათქვამი, ქალი შეიძლება მხოლოდ იმითაც ცხონდეს, ხომ ქმარ-შვილს უვლიდეს, უყვარდეს ისინი, ზრდილობიანი და თბილი ადამიანი იყოსო".

მოსთხოვ. რომც მოვინდომოთ, ამას ვეღარ შევძლებთ, მაგრამ ერთმანეთსაც ნუ შევიჯავრებთ, ნუ დავწყევლით. ეს ხომ მაინც შეგვიძლია. საბედნიეროდ, დღეს არათუ უცხოებთან გვაქვს მტრული დამოკიდებულება, არამედ საკუთარ დედასთან, მამასთან, ძმასთან და ა.შ. ოჯახის ორ-სამ წევრს ერთი აზრი რომ არ გააჩნია და ერთმანეთს ვერ იტანენ, იქ რომელ ქვეყნის გაბრწყინებაზეა საუბარი?!

— თქვენი ოჯახის წევრები ვინ არიან?

— ოჯახი 22 წლის ასაკში შევქმენი. სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი მყავს. უფროსი ვაჟი მეორე კურსის სტუდენტია, უმცროსი ქალიშვილი კი სამი თვის არის. ჩემი მეუღლე უბანში გავიცანი, როდესაც სკოლა უკვე დამთავრებული მქონდა და სამხედრო სამსახურში წასასვლელად ვემზადებოდი. ჩემზე 3 წლით უმცროსია. ოჯახი უცებ არ შეგვიქმნია, რამდენიმე წელი ახლო ურთიერთობა გვქონდა. ერთ დღესაც მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ერთმანეთს ვჯირდებოდით და დავქორწინდით. მას შემდეგ 25 წელია ერთად ვართ.

— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს, ეკლესიურ ცხოვრებაში ჩართულია?

— მღვდლის მეუღლეობა რთული პასუხისმგებლობაა. მას როგორც შეუძლია, ისე ახერხებს ეკლესიურ ცხოვრებაში ჩართვას. როცა ქალს ხუთი შვილი ჰყავს, მეუღლე — მისახედი და კიდევ უამრავი საოჯახო საქმე, ყველა წირვა-ლოცვაზე ვერ ივლის. ჩემი აზრით, სასულიერო პირის ცოლი თუ ეკლესიაში ხშირად ვერ ივლის, დიდი ტრაგედია არ არის. მთავარია, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ მისმა მეუღლემ კარგად იმსახუროს. მაგალითად, სახლში მისულს ნერვები არ მოუშალოს, კარგად მოუაროს, ოჯახზე იზრუნოს.

სანამ შვილები გვეყოლებოდა, ჩემი მეუღლე კარგ ადგილზე მუშაობდა — გამომცემლობაში. როცა ოჯახი გაიზარდა და შვილები გაგვიჩნდა, მუშაობას ვეღარ ასწრებდა. მე ასეთი მიდგომა მაქვს, რომ თუ ორ საქმეს ვერ ასწრებ, მაშინ იმ ერთს უნდა მიხედო, რისი მოსწრებაც თავიდან ბოლომდე შეგიძლია. ყველა ქალის მოწოდება ხომ დედობაა, ამიტომაც ჯობია, ეს საქმე გამოუვიდეს ხუთიანზე და შვილებს ყურადღება არ მოაკლოს. იმაზე ლაპარაკს არ დავიწყებ, როგორი კარგი მეუღლე მყავს, ქება რა საჭიროა. მთავარია, რომ ჩემს სიყვარულსა და პატივისცემას საქმით ვუმტკიცებ და არა — ზედმეტი ლაპარაკით. ერთ-ერთ წმინდა მამას აქვს ნათქვამი, ქალი შეიძლება მხოლოდ იმითაც ცხონდეს, რომ ქმარ-შვილს უვლიდეს, უყვარდეს ისინი, ზრდილობიანი და თბილი ადამიანი იყოსო.

— ხუთი შვილის მამობაც განსაკუთრებული ტვირთია. არც მათთან ხართ მკაცრი?

— შვილებს არასოდეს არაფერს ვაძალებ. მინდა, ისინი წესიერები, მოსიყვარულეები და ზრდილობიანები იყვნენ. ჩემი ვალია, მათ მაგალითი მივცე, ვასწავლო და, როცა თვითონ გაუხარდებათ, ტაძარში მაშინ მოვიდნენ. მათ აქვთ არჩევანის უფლება, იცხოვრონ თუ არა ეკლესიურად და რომელ ტაძარში და რომელ მოძღვართანაც უნდათ, იქ იარონ.

— დაბოლოს, ჩვენი ჟურნალის საშუალებით რას უსურვებთ საქართველოს?

— ფსევდოსიყვარული არ უნდა იყოს, რომ — თუ შენც გიყვარვარ, მეც მიყვარხარ და თუ შენ აღარ გიყვარვარ, მეც მეჯავრები. ერთი ცნობილი ფსიქიატრი ამბობდა: „თუ ერთ მშვენიერ დღეს ეს ცივილიზებული სამყარო დაიღუპება, ეს იქნება არა სიბრძნის, არამედ უშუალობის დეფიციტის ბრალი". დღეს ზუსტად ასეა — ადამიანებში ცოცხალი და უშუალო ურთიერთობა გაქრა. ყველას ვუსურვებ, რომ უშუალო და მარტივი ადამიანები იყვნენ. სიმარტივე სიყვარულს ნიშნავს. თავად უფალიც და წმინდანებიც ხომ ასეთები იყვნენ. ცხოვრების რა საფეხურზეც უნდა ავიდეთ და როგორ წარმატებასაც უნდა მივაღწიოთ სულიერებით თუ მატერიალური კუთხით, უშუალობა არასოდეს უნდა დავკარგოთ. ზევიდან არ უნდა ვუყუროთ ჩვენზე დაბალ საფეხურზე მყოფებს. სახარება გვასწავლის, ისე მოვექცეთ ყველას, როგორც გვინდა, ჩვენ გვექცეოდნენ.

✓ **თეონა კენჭაშვილი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

თავსატეხი



იპოვეთ ერთნაირი ქოლგები

გაიფერადეთ



Cyan Magenta Yellow Black

შოკოლადიანი ვაშლი ფენოვან ცომში

მასალა:
მზა ფენოვანი ცომი — 500 გ
ვაშლი — 4 ცალი
შაქარი — 4 ს.კ.
ვანილის შაქარი — 50 გ
დარიჩინი — 2 ჩ.კ.
კარაქი „ნუტელა“ (ან შოკოლადის კრემი) — გემოვნებით
ლიმონის წვენი — 20 გ

მომზადება: ღუმელი 180 გრადუსამდე გაახურეთ.

ჯამში აურიეთ შაქარი, დარიჩინი და ვანილი. ვაშლი გათალეთ, გადააჭერით თავი, ამოცალეთ გული ისე, რომ ძირი არ დაუზიანოთ, გარშემო კი ლიმონის წვენი წაუსვით. ამოავლეთ ვაშლი დარიჩინიან შაქარში, გულში ჩაუდეთ „ნუტელა“.

ფენოვანი ცომი 1,5 სმ სიგანის ზოლებად დაჭერით და ვაშლს გარშემო ისე შემოახვიეთ, რომ ნაპირები ცოტათი ერთმანეთზე გადავიდეს. ბასრი დანით ცომისგან ფოთლის ფორმებიც გამოჭერით და ვაშლს თავზე მიამაგრეთ.

გამოაცხეთ ღუმელში დაახლოებით 30-40 წუთი.

სპანაკოპიტა

მასალა:
ფენოვანი ცომი — 5 ფურცელი
ისპანახი — 1 კგ
ყველი — 500 გ
ხახვი — 2 თავი
კვერცხი — 2 ცალი
ზეთი — საჭიროებისამებრ

მომზადება: ისპანახი გარეცხეთ, მოთუთქეთ მდუღარეში, თუშფალანგზე გადაწურეთ და დაჭერით.

ხახვი აკეპეთ და ზეთში მოშუშეთ. დაუმატეთ ისპანახი. ყველი გახეხეთ, შეურიეთ ისპანახი (თუ ყველი უმარილოა, ცოტა მარილი დაუმატეთ). ამ მასაში ჩაახალეთ ერთი კვერცხი და კარგად აურიეთ.

გამოსაცხობ ფირფიტას ზეთი წაუსვით და ერთი ფურცელი ფენოვანი ცომი დადეთ. ცომსაც ზეთი აპკურეთ. ასე დააფინეთ 4 ფენა ცომი. ბოლო ფენას ზეთი აღარ უნდა, მხოლოდ გულსართი დაადეთ და თანაბრად გადაანაწილეთ. ქვედა ფენის ფურცლები გადმოკეცეთ და ბოლო, მე-5 ფენა ცომი დაადეთ, რომელსაც ზეთი და ათქვეფილი კვერცხი გადაუსვით. ღუმელში შედგმამდე თავზე ორ-სამგან ფრთხილად ჩაჭერით, რომ ღვეზელიდან ჰაერი გამოვიდეს და ფორმა არ დაკარგოს.

სპანაკოპიტა 180 გრადუსზე გამოაცხვეთ დაახლოებით 25-30 წუთი. როცა თავი მოებრაწება, ე.ი. მზადაა.

ყველის წვნიანი

მასალა:
თეთრი პური — 2 ნაჭერი
კარაქი — 2 ს.კ.
ხორცის ბულიონი ან წყალი — 1 ლ
გახეხილი ყველი — 7-8 ს.კ
რძისა და ნაღების ნარევი — 1 ჭიქა
ოხრახუში, მარილი, პილპილი, კოჭა — გემოვნებით

მომზადება: პური პატარა ნაჭრებად დაჭერით, ჩაყარეთ ქვაბში და კარაქში შებრაწეთ. დაუმატეთ ბულიონი და დაბალ ცეცხლზე ხარშეთ 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ დაუმატეთ რძისა და ნაღების ნარევი, გადმოდგით ცეცხლიდან, ჩააყარეთ გახეხილი ყველი და ურიეთ, სანამ ბოლომდე არ გადნება. წვნიანი შეანელეთ მარილით, პილპილითა და კოჭათი, ზემოდან მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.

მწვანე ლობიო ქათმით

მასალა:
მწვანე ლობიო — 1,5 კგ
ქათმის ხორცი — 1 კგ
კარაქი — 100 გ
შაშკვლავი — 1 კონა
ქინძი — 1 კონა
რეჰანი — 1 კონა
ხახვი — 4 თავი
მწვანე წიწაკა — 1 ცალი
ქონდარი — ნახევარი კონა
ნიორი — 2 კბილი
წყალი — 2 ჭიქა
მარილი — გემოვნებით

მომზადება: ლობიო გარეცხეთ, დაამტვრიეთ და სქელძირიან ქვაბში ჩაყარეთ. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი 2 თავი ხახვი, ნიორი და მწვანილი, დაასხით წყალი და ცეცხლზე შემოდგით. ხარშვის დროს რამდენიმეჯერ ამოურიეთ.

ქათმის ხორცი პატარა ნაჭრებად დაჭერით და დარჩენილ 2 თავ ხახვთან ერთად კარაქში მოშუშეთ. როდესაც ლობიო მოიხარშება, ხის კოვზით დასრისეთ და ხახვთან ერთად მოშუშული ქათმის ხორცი შეურიეთ. მოურიეთ, დაბალ ალზე კიდევ 5 წუთი გააჩერეთ და შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით.

სტაფილოსა და ჯარტოფილის ცხარე საღათა

მასალა:
სტაფილო (მოთუთქული) — 600 გ
კარტოფილი (მოხარშული) — 300 გ
მაიონეზი — 150 გ
არაჟანი — 6 ს.კ.
კამა — 1 კონა
წითელი ხახვი — 1 თავი
დანაყილი მწვანე წიწაკა და ნიორი — 1 ჩ.კ.
მარილი — გემოვნებით

მომზადება: კარტოფილი და სტაფილო მსხვილ სახეხზე გახეხეთ და სასალათეში მოათავსეთ. კამა და ხახვი აკეპეთ. მაიონეზში 3 ს.კ. არაჟანი, ნიორი და წიწაკა აურიეთ, შეაზავეთ მარილით და მოასხით გახეხილ ბოსტნეულს. სალათა შეგიძლიათ მორთოთ კამის ფოთლებითა და არაჟნით.

ხორცი ბერძნულად

მასალა:
საქონლის ხორცი — 600 გ
სტაფილო — 2 ცალი
ხახვი — 2 თავი
ნიორი — 5-6 კბილი
წითელი ღვინო — 250 მლ
ზეთისხილი — 60 გ
ოხრახუში, მწვანე ხახვი, მარილი და პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ხახვი და ნიორი წვრილად აკეპეთ, სტაფილო რგოლებად დაჭერით. მოშუშეთ ზეითუნის ზეთში, დაუმატეთ დაჭრილი საქონლის ხორცი და მოშუშეთ. შემდეგ მოასხით ღვინო, დაუმატეთ დაჭრილი ზეთისხილი, ალს დაუწიეთ და ტაფას სახურავი დააფარეთ. გაზზე მანამ გააჩერეთ, სანამ ხორცი მზად არ იქნება (თუ სითხე დააშრა, ცოტა წყალი დაუმატეთ). ბოლოს მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი, შეაზავეთ მარილით და პილპილით და სუფრასთან მიიტანეთ.

Cyan Magenta Yellow Black

საყვავილე ქაღალდის ყვავილებით

თუ დრო და სურვილი გაქვთ, საკუთარი ხელით ქაღალდით ულამაზესი ყვავილისა და საყვავილის დამზადება შეგიძლიათ. დაგჭირდებათ: ძველი, გამოუსადეგარი წიგნის ოდნავ გაყვითლებული ფურცლები, მაკრატელი (სასურველია ხერხიანი პირით), ქინძისთავები, წებო, მრგვალი ფორმის ღრუბელი, საყვავილე.

წიგნიდან ფურცლები ამოხიეთ და ისე გადაკეცეთ, როგორც მე-2 ფოტოზეა ნაჩვენები (აუცილებელია, ფურცელი ოთხად იყოს გაკეცილი). მაკრატლით მოაჭერით ზედმეტი ნაწილი ისე, რომ ბოლოები ოღროჩოღროდ ჰქონდეს მომრგვალებული (როგორც მიხაკს). უნდა მიიღოთ მე-4 ფოტოზე მოცემული ფორმა, რომელიც იმდენ ნაწილად გადაკეცეთ, რამდენზეც შესაძლებელი იქნება. შემდეგ გაშალეთ და ორ ცალს ერთად ცენტრში ქინძისთავი ჩაარჭვეთ. ასე გაიმეორეთ მანამ, სანამ არ მიიღებთ ღრუბლის ამობურცული ნაწილის დასაფარად საკმარის ყვავილების რაოდენობას.

ღრუბელი საყვავილეზე (ან ჭიქა, ან სანაყინე და ა.შ.) მყარად დაამაგრეთ (შეგიძლიათ წებოთიც). ქინძისთავიან ყვავილს წვეროში წაუსვით წებო, ჩაამაგრეთ ღრუბელში და აცალეთ გაშრობა. რამდენიმე წუთში საყვავილე, ულამაზესი ვინტაჟყვავილებით, მზად არის.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები № 1

7	2	1	9	3	6	8	4	5
4	8	5	1	2	7	9	3	6
6	3	9	8	5	4	2	7	1
5	7	8	6	9	1	4	2	3
1	4	3	2	8	5	6	9	7
9	6	2	7	4	3	1	5	8
3	1	4	5	6	9	7	8	2
2	9	7	3	1	8	5	6	7
8	5	6	4	7	2	3	1	9

№ 2

5	8	4	3	9	1	7	6	2
7	9	6	8	4	2	3	5	1
3	1	2	7	6	5	4	9	8
4	7	5	1	8	9	2	3	6
1	2	3	4	7	6	5	8	9
9	6	8	5	2	3	1	4	7
2	4	7	9	5	8	6	1	3
6	3	9	2	1	4	8	7	5
8	5	1	6	3	7	9	2	4

ეს იცოდით?

❖ იაპონიაში ერთმა კაცმა 140 უპატრონო ძაღლი აიყვანა და ახლა მთელ დღეებს მხოლოდ მათ მოვლას უთმობს.

❖ ჩინეთის დედაქალაქში შექმნილი ავტომობილების საცობი მსოფლიოში ყველაზე გრძელი — 6 მილის სიგრძე გახლდათ და 11 დღეს გაგრძელდა.

❖ ყველაზე დიდი ალმასის წონა, რაც დედამიწაზე აღმოჩენილა, 3106 კარატს შეადგენს.

❖ 7 დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ჯადოსნურ ციფრად. ბაბილონელები იცნობდნენ 7 პლანეტას, 7 ტონიან ტაძრებს აგებდნენ და კვირაში 7 დღე ჰქონდათ. 7 მრავალ რელიგიაში წმინდა ციფრად ითვლება.

❖ ჩანგალი სადილობისას პირველად ამერიკელმა ჯონ უინტროპმა გამოიყენა. ეს მოხდა 1630 წლის 25 ივნისს.

❖ ყოველწლიურად მსოფლიოს მოსახლეობა საშუალოდ 567 მილიარდ კვერცხს მოიხმარს.

❖ დილით გამოფხიზლებისთვის ვაშლი ყავაზე უკეთესია.

❖ ბელგიაში შეიძლება გუნდაობის გამო დაგაჯარიმონ.

❖ 1952 წელს ჰარვარდში მთელი წელი რომ გესწავლა, საჭირო იყო 600 დოლარი. დღეს ეს თანხა 35.568 დოლარის ეკვივალენტია.

❖ ამერიკაში გოგრების 99% ჰელოუინის დღესასწაულისთვის გამოიყენება.

❖ კონდიციონერები პირველად ამერიკაში გამოიყენეს 1911 წელს. სახლის გასაგრილებლად თბილ ჰაერს გარეთ ტუმბავდნენ, გრილს — შიგნით.

❖ 1839 წელს გამოიყენეს პირველი ფოტოაპარატი, რომელიც სურათს ძაღლიან ნელა გამოსახავდა სპეციალურ ქაღალდზე ან მინაზე.

❖ საბეჭდი მანქანა XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოიგონეს.

❖ პირველი რადიო XX საუკუნის 20-იან წლებში დამზადდა. ის ძალიან სუსტ ბგერებს გამოსცემდა და მისი მოსმენა მხოლოდ ყურსასმენებით შეიძლებოდა.

❖ პირველი პატარაეკრანიანი შავ-თეთრი ტელევიზორი XX საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდა. 60-იანი წლებიდან კი ფერადი ტელევიზორიც გამოვიდა.

❖ კოსმოსში პირველი მოგზაურობის ხანგრძლივობა 12 წუთს შეადგენდა.

❖ ფრენბურთი 1895 წელს გამოიგონეს.

Cyan Magenta Yellow Black



■ გვენ როსდეილი და გვენ სტეფანი

■ შარლიზ ტერონი

დემი მურმა მოდელები დაჩრდილა

ლოს ანჯელესის ყველაზე პრესტიჟულ უბანში ცოტა ხნის წინ ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იყო. ბევერლი ჰილსზე არტ-პერფორმანსის მუზეუმი გაიხსნა და ამასთან დაკავშირებით ვარსკვლავური გალა ვახშამი მოეწყო. სტუმრებს შორის იყვნენ გვენ სტეფანი, დემი მური, შარლიზ ტერონი, ალესანდრა ამბროსიო და სხვები.

44 წლის მომღერალი გვენ სტეფანი წვეულებაზე პირველად გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მესამე ბავშვზეა ფეხმძიმედ. მას ვერცხლისფერი კაბა ეცვა, გვერდს კი გევინ როსდეილი უმშვენებდა. შარლიზ ტერონმა ვარსკვლავური წვეულებისათვის მდიდრული შავი კაბა აირჩია, რომელსაც ამოღებული ზურგი და ოქროსფერი ნაქარგი მხრები ჰქონდა.

მოდელი კაროლინა კურკოვა და ახალგაზრდა რეჟისორი ჯინა კოპოლა ერთნაირ ოქროსფერ კაბებში გამოცხადნენ. განსაკუთრებული ყურადღება კი დემი მურის ჩაცმულობამ მიიქცია. ის წითელ ხალიჩაზე ბრწყინავდა და ბევრი ახალგაზრდა ვარსკვლავი დაჩრდილა. მსახიობს სალვატორე ფერაგამოს ლურჯი კაბა ეცვა. დემის ახალგაზრდობის საიდუმლო იოგასა და ახალგაზრდა საყვარლებშია.

■ დემი მური

რობერტ პატინსონმა და ჯეიკ ჯილენჰალმა გარეგნობა როლებს შესწირეს

■ ჯეიკ ჯილენჰალი



■ რობერტ პატინსონი

ჰოლივუდის სექსსიმბოლოები მეტამორფოზას განიცდიან და სახეს იცვლიან. ახალგაზრდა მსახიობები სულ უფრო ძნელად ცნობადები ხდებიან. ხშირ შემთხვევაში კი ცვლილებები როლებთანაა დაკავშირებული.

ამჯერად რობერტ პატინსონისა და ჯეიკ ჯილენჰალის დრო დადგა, რომლებმაც გარეგნობა როლებს შესწირეს.

რობერტ პატინსონი ამჟამად მუშაობს ფილმზე „მისია: შავი სია“. ამ როლისათვის კი ისე შეიცვალა, რომ 27 წლის ბიჭი 37 წლისას ჰგავს. პაპარაცებმა მსახიობი პლაჟზე გადაიღეს, სადაც ჩანს, რომ რობერტს 10 კილოზე მეტი აქვს მომატებული და მისი ვარსკვლავური გარეგნობისგან თითქმის აღარაფერია დარჩენილი.

32 წლის ჯეიკ ჯილენჰალმა კი ახალი ფილმისათვის „სტრინგერი“ 12 კილო დაიკლო, ვარცხნილობაც შეიცვალა და სექსსიმბოლოდან ახალგაზრდა თინეიჯერ ბიჭად იქცა.

რობერტი და ჯეიკი პირობას დებენ, რომ გადაღებების შემდეგ ძველ ფორმას აუცილებლად დაიბრუნებენ.

ალესანდრა ამბროსიოს ოჯახი დაეგბრა

32 წლის სუპერმოდელ ალესანდრა ამბროსიოს პირად ცხოვრებაში რთული პერიოდი აქვს — ის უკვე ქორწინების ბეჭდის გარეშე დადის. ერთ-ერთი ტაბლოიდის ინფორმაციით, ის და მისი ქმარი, ჯეიმ მაზური, დიდი ხანია, ერთად აღარ არიან.

— მათ შორის სიყვარული დამთავრდა. ამბობენ, რომ მოდელმა საყვარელ მამაკაცს ღალატი არ აპატია. ისინი ბავშვების გამო მეგობრულ ურთიერ-

თობას ინარჩუნებენ. ალესანდრა განიცდის, რომ 8 წლიანი ურთიერთობა ჯეიმთან დასრულდა. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მოდელმა განაცხადა: „სიყვარულს გაფრთხილება სჭირდება. თუ რაღაც გაიბზარა, მისი გამრთელება შეუძლებელია“, — წერს ტაბლოიდი.

კაილი მინოუგი ბოიფრენდს დაშორდა

45 წლის ავსტრალიელი მომღერალი კაილი მინოუგი და 35 წლის ესპანელი მანეკენი ანდრეს ვალენკოზო 5 წლიანი რომანის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ. მიზეზი კაილის სამუშაო გრაფიკი გახდა. მომღერალი თავის მე-12 სტუდიურ ალბომზე მუშაობს და ბრიტანული „ვოისის“ ჟიურის წევრიცაა. ასეთი დატვირთული რეჟიმის გამო საყვარელი მამაკაცისათვის დრო არ რჩებოდა.

— კაილი და ანდრესი უკვე ძალიან ცოტა დროს ატარებდნენ ერთად. კაილი ლოს ანჯელესში, სტუდიაშია ჩაკეტილი, ანდრესი კი კინოში პირველ ნაბიჯებს დგამს. ხანგრძლივი რომანის ასეთი დასასრული რთული გადასატანი აღმოჩნდა კაილისათვის, მაგრამ ახლა მას სამუშაო აქვს და ამაზე არ ფიქრობს, — აცხადებს მომღერლის მეგობარი.

კაილიმ და ანდრესმა ერთმანეთი 2013 წელს სარეკლამო კლიპის გადაღებების დროს გაიცნეს. მანამდე მომღერალს რომანი ჰქონდა ფრანგ მსახიობ ოლივიე მარტინესთან, რომელიც ახლა ჰოლი ბერის ქმარია.

კრისტენ ბელი და დეკს შეპარდი დაქორწინდნენ

6 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მსახიობი კრისტენ ბელი და მისი მეგობარი მამაკაცი დეკს შეპარდი დაქორწინდნენ. ცერემონია ბევერლი ჰილსზე შედგა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, კრისტენი ძალიან რომანტიკული იყო, ცერემონიალზე იტირა კიდეც. წყვილს რამდენიმე თვის წინ გოგონა შეეძინა. ლინკოლნ ბელ შეპარდის დაბადებიდან 2 თვის შემდეგ კი დეკსმა საყვარელ ქალს ცოლობა სთხოვა.

— როდესაც ბავშვი დაიბადა, მაშინვე მივხვდით, რომ ჩვენ უკვე ნამდვილი ოჯახი ვიყავით. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, იმ 2 თვის განმავლობაში როგორ ვეღოდებოდი დეკსისაგან ხელის თხოვნას. ცოტაც რომ დაეგვიანა, ალბათ მე ვთხოვდი, რომ ცოლად მოვეყვანე, მაგრამ ეს არ დამჭირდა, — ამბობს კრისტენი.

სილქნეტი
SILKNET

ტურბო ღილაკი

100 მგ/წმ ინტერნეტ სიჩქარე

2 საათის განმავლობაში 1.5 ლარად



Silk Optic

Find us on: facebook

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები